კარლო ტყებუჩავა

# დათა თუთაშხია

## პოემა

ქ. თბილისი

1994 წ.



# მოკლე ბიოგრაფია

კარლო ევგენის-ძე ტყებუჩავა დაიბადა 1927 წელს ქალაქ.სენაკში. 1942-43 სასწავლო წელს წარჩინებით დაამთავრა სენაკის III საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო აქსტაფა-კიროვაბადის საავიაციო- საფრენოსნო სასწავლებელში. 1944 წლის დამლევიდან ჩაება მეორე მსოფლიო ომში. საბრძოლო მამაცობისათვის დაჯილდოვებულია ორდენებითა და მედლებით. დემობილიზაციის შემდეგ მიიღო ინჟინრის სპეციალობა და მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

ამჟამად პენსიონერია. ჰყავს მეუღლე, ოთხი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

# წინასიტყვაობა

პატივცემულო მკითხველო, ვარ მთხოვნელი ერთი რამის,
გთხოვთ, გულწრფელად წაიკითხოთ, რასაცა ვწერ იმ ამბავის,
ეს ეხება ჩემს პოემას, სიბნელეში მყოფ დიდხანის,
გაწამებულს და გატანჯულს, ამ უკუღმართ დრო და ჟამის.

რომ დავიწყე წიგნის წერა, მყავდა მრავალი სპონსორი,
ყველა საქმოსანი ხალხი, ფულიანი და პირსწორი,
როს ფინიში გადავლახე, მქონდა გული თანასწორი,
მე ვსთქვი ღმერთმა გადმომხედა, ვნახე გზანი თანაც სწორი.

საქმე სხვაგვრივ შეტრიალდა და მეც შემიღონდა გული,
ყველა სპონსორმა დამტოვა, დამწვარი და დადაგული,
მომიშხამეს მათ სიცოცხლე, გამიმწარეს წმინდა სული,
მას გესტაპოც არ იზამდა, ძე იყოს და გინდ ასული.

არ ვიცი რის შეეშინდათ, მე დახარჯულს ვუბრუნებდი,
უკვე სხვა გზა არა მქონდა და მეც ჩემსა ბედს დავნებდი,
სულით მაინც არ დავეცი, მაინც ლაღად ვნავარდებდი,
გადმოგხედავს მაღლით ღმერთი, ჩემს გულს ამას ვაბარებდი.

ყველას გვარებს აქ იხილავთ, ვინც მე გამიწოდა ხელი,
გამილაღეს მე მათ აწმყო, დამავიწყეს დარდი ძველი,
ჩემმა გულმაც სითბო იგრძნო, მე გავლიე გზა და ველი,
გვერდით ისეთი ხალხი მყავს, აწ სიმწარეს აღარ ველი.

დავითი დიხამინჯიას ყველა სცნობს როგორც ვაჟკაცი,
პატიოსანი, მშრომელი, თან უმწიკვლო მამაკაცი,
ის სკოლის მეგობარია, მას არ უყვარს ფლიდი კაცი,
მის ოჯახს ისე უძღვება, როგორც ცხვარს გულადი „კაცი".

მან პირველმა გამიწოდა თავის ხელი გულკეთილი,
რაც სპონსორებმა გიმტყუნეს შენთვის არის გაკვეთილი,
შენს წიგნს რომ წაიკითხავენ, დარჩებიან ხელკვეთილი,
ცხოვრებაში იქნებიან სულით, გულით მოკვეთილი.

დავითს გვერდით ამოუდგა, კაცი ძან დიდგვარიანი,
სულით, გულით მეგობარი, ჩემი ჯობე დევდარიანი,
გამამხნევა, გამანათა, როგორც ღამე მთვარიანი,
მითხრა შენ გულს ნუ გაიტეხ, მოგივა დღე დარიანი.

დავითს, ჯობეს ამოუდგა, კოჩი მუჭით თოფურია[1],
საპროექტოს დირექტორი გახლავთ რევაზ თოფურია.
მასთან იხმო ნაკაშიძე, მისი არქიტექტორია,
მან დახატა გარეკანი, ეს კი ნამდვილად სწორია.

დავითს, ჯობეს და რევაზის ამოუდგა გვერდით გივი,
გვარად ბოლოთაშვილია დაილოცოს მისი სხივი,
ოთხი ვაჟკაცი გვერდ-გვერდით, დადგა როგორც ერთი მწკრივი,
აწი მგონი წიგნს დავსტამბავ, დაინახოს მან მზის სხივი.

დავითს, ჯობეს, რეზოს გივის, შეემატა მეგობარი,
თამაზი კანდელაკია, დაილოცოს მისი გვარი,
ბიძაშვილის მეუღლეა, ჩემი მზიას კარგი ქმარი,
მადლობა ჩემო თამაზი, რადგან დამიმშვენეთ მხარი

ყველაფერი გავამზადე, დადგა სურათების ჯერი,
კინო სტუდიას მივადექ, მაინც შევძარი კედელ-ჭერი,
ვის და ვის არ შევევედრე, მე ვერ გავხდი ვერაფერი,
უსურათებოდ პოემას ეკარგებოდა ელფერი.

გამოჩნდა კაცური კაცი, ყველასთვის საყვარელია,
გახლავთ დიდი მსახიობი „რაეაა სარჩიმელია“,
არ დატოვა ქალი, კაცი, ყველას უთხრა სათქმელია,
და სურათების შოვნაში, „დაძრწოდა, როგორც მელია“.

საყვარელი მსახიობი, გახლავთ გურამ ფირცხალავა,
მან მიშოვა სურათები, არ დაუწყო არვის დავა.
გურამის დიდი მადლობა, საქმე მასი სულ წინ წავა,
ღმერთი მაგას არ გასწირავს, აზვირთებულ მტკვარზე გავა.

---

1. თოფური — თაფლის მსგავსი, ე. ი. კოჩი მუჭით თოფურია — კაცი როგორც თაფლი.

ბატონ ოთარ ზაუტაშვილმა, შემიწყალა გამაშუქა,
და რამდენიმე სურათი, ავტოგრაფით მან მაჩუქა,
რაც სურათები დამაკლდა, მხატვრებმა თავით აშუქა,
ვენაცვალე მადლენს, თემურს, მათ ხელებმა რაც მაჩუქა.

ბატონ ჭაბუა ამირეჯიბმა, დიდი კულტურით მიმიღო,
ასეთ დიდ პიროვნებასთან, მეშინოდა ხმა გამეღო,
სათქმელი ხომ უნდა მეთქვა, „ხახა“ ცუდად არ დამეღო,
მწერალი ყველაფერს მიმიხვდა, წიგნი ბნელში არ წამეღო.

წიგნის კორექტორობაზე შევხძარი ბევრი ერია,
არ დავტოვე რედაქცია, „თბილისი“ და „იბერია“,
კაცი გამოჩნდა გულწრფელი, არ გეგონოთ ის „ბერი“- ა,
წიგნის კონსულტანტი გახლავთ ბატონ ჯუმბერ თითმერია.

ყველას გიხდით დიდ მადლობას, ვისაც ხელი გაგიწვდიათ,
თქვენ წუხილი გამიქარწყლეთ, ყველგან ხიდი გაგიდვიათ,
მე ამ წიგნის დაწერაში თქვენთვის თავი დამიდვია,
პოემის შეფასება კი მკითხველთათვის მომინდვია.

ავტორი

კარი პირველი

# გრაფი სეგედი

თავი ვანებე სამსახურს, უკვე მიწია ასაკმა,
მაინც იმ ხალხში ვტრიალებ, ვინც ცხოვრება დამიამა,
მეგობრებთან სიახლოვემ გამომბრძმედა, არ მაწამა,
რასაც ქვემოთ მოგიყვებით, ბევრი ვაჟკაცი აწამა.

აქ ეხება ეს ამბავი სისხლით, ხორცით ნათესავსა,
აბრაგ დათა თუთაშხიას და მუშნი ზარანდიასა,
სოფელში ერთად გაზრდილთა, ერთ ლოგინში მწოლიარსა.
მაგრამ ბედმა ასე უყო და გარიყა სხვა-სხვა გზასა.

როს ცხრამეტი წლისა იყო ჩვენი დათა თუთაშხია,
ანდრიევსკის მის დისათვის ძალის ძალით უკოცნია,
და როდესაც ეს ამბავი ამაყ ვაჟკაცს გაუგია,
ამდგარა და ანდრიევსკი სასიკვდილოდ დაუჭრია.

ეს ამბავი გახმაურდა და მთელ სოფელს გაუგია,
ამის შემდეგ ჩვენსა დათას აბრაგობა დაუწყია,
ტყე-კლდეებში მარტო ყოფნას ხელი ეისთვის შეუწყვია,
მისგან უმიზნოდ ნასროლი არ ყოფილა ცალი ტყვია.

# ანდრიევსკის დღიურები

## არქივში მოძიებული მასალებიდან
## 1884 წლის 9 აპრილი

არქივიდან ძაან ბევრი მაქვს მასალა დასაწერი,
მიტომ კაცი ვიქირავე წყნარი, მშვიდი წესიერი.
თვეში თუმცა თუმანს ვუხდი, მაინც არის ბედნიერი,
ლამაზია, თან მცოდნეა, სიტყვაძუნწი, თვინიერი.

მუშნი ჰქვია მას სახელად, გვარად არის ზარანდია.
სიმართლე აინტერესებს, თვითონც სამართლიანია.
საღამო ჟამს ის მოვიდა, მე დავუწყე კარნახია.
ასე კოხტად დაწერილი არ მინახავს რა ხანია.

ცოტა ხანი შეისვენა, მან ჯიბეს ჩაიყო ხელი,
ცხვირსახოცი ამოიღო, ჰქონდა ფული ოქროსფერი.
იატაკზე რომ დაეცა, გახდა მუშნი ვარდისფერი.
ფული, ალბათ, თქვენ დაგვარდათ, მტაცა მუშნიმ ხელში ხელი.

უცბად რაღაც მოაგონდა, მან იტკიცა შუბლზე ხელი,
აიღო ის თუმნიანი, გაისწორა კოხტად წელი,
მითხრა, ცოტა ხანს მადროვეთ, მივალ, უცბად გეახლებით
და მეც აღარ დავუშალე მუშნის იქ წასვლაში ხელი.

გავიგე ის წვრილ მრეწველი მუშნის შეუმოწმებია,
ქრთამი ველარ გაუბედავს, ჯიბეს ფული უსწრებია.
მისულა და დაუჭირავს, ფულიც დაუბრუნებია,
თუ მეორედ ეს გაბედე, შენ ციხე მოგწყურებია.

1884 წლის 14 ნოემბერი.

გუშინ მე და თუთაშხია ეტლით მაზრაში წავედით,
გზაში ცრიდა, თან ციოდა, სანამ ადგილზე ავედით.
მოხუც ქალს წამოვეწიეთ, დასველებულს წვიმის თქეშით,
მითხრა, ქალი წაეიყვანოთ, ხედავ, როგორ მიდის კვნესით.

მე დავთანხმდი, წავიყვანეთ, უკვე ადგილზე ავედით,
ფართლეულის მაღაზიას ჩვენ ორთავენი შევედით,
დახლთან ცოტა რიგი იყო, მივედით, რიგს შევუერთდით,
ის ნაჭერი მოგვაწოდეთ, ჩვენი ჯიბით თუ შევწვდებით.

რიგის წინ ჩაგვიდგა ქალი, ვიღაც შაფათავას ცოლი,
ლამაზი და მოხდენილი, ქათქათებდა, როგორც ბროლი,
პირდაპირ პირველი დადგა, არ დაუდვა დათას ტოლი.
დათამ რიგი არ დაუთმო და ჩათვალა როგორც ნოლი.

გამოვედით, მერე ვკითხე, უცნობი რომ დავსვი გზაში,
შენ გზა ფეხით გაიარე, ისე ამოხველ მაზრაში,
აქ კი შაფათავას ცოლზე გაბრაზდი და ნოლზე დასვი,
იმას რიგი არ დაუთმე, თანაც ცივი წყალი ასვი.

— ჩისთვის მოვიქეცი ასე, ჩემთვის კი არ მოვქცეულვარ,
თუ არადა ქალის მიმართ მე უზრდელი არ ვყოფილვარ,
ის თუ ცანცარა გამოდგა, მე ზრდილობას ჩვეული ვარ,
დაფიქრდება, გულში იტყვის: მე გაუზრდელი ვყოფილვარ..

## დაკითხვის ოქმი

ქ.ფოთი, სამხედრო ლაზარეთი,
1885 წლის მარტის 11

ქუთაისით ფოთს ჩავიდა კაცი გამომძიებელი,
გაერკვია ლათას ტყვიის საქმენი საძიებელი.
რომ მიიღო მან თანხმობა ექიმისგან სრული რწმენით,
შეაღო ოთახის კარი, სადაც იწვა ანდრიევსკი.

– ვინ მოგაყენათ ჭრილობა, რომელსაც ახლა მკურნალობთ?
ვინ და დათა თუთაშხიამ, მაგას ღმერთი დიდად წყალობს,
ჩვენს შორის თანხმობა იყო, მიტომაც მე არა ვნანობ,
გთხოვთ ფურცელში ის დაწეროთ, რასაც მე ახლა გკარნახობთ.

დათა მეჯოგე კაცია, იჯარით ილებს საძოვრებს,
ნახირი მას ძვირფასი ჰყავს, ზამთარშიაც იქ აძოვებს,
მასთან არის თან მისი და, ურეცხავს, უგვის მას კარვებს,
დათას ელე ისე უყვარს, ცივ ნიავსაც არ აკარებს.

ზასწავლებლად არ ყოფილა, მაგრამ ნაკითხი კაცია,
მკვირცხლი და პატიოსანი, სალი სიმართლის ფასია.
რუსულ ენასაც კარგად ფლობს, უყვარს, რომ კოხტად აცვია,
ვენაცვალე მე მის გამზრდელს, ვინც აკვანი დაურწია.

არ ვუჩივი თუთაშხიას და გიწერთ ასეთ ვექსილსა:
შეწყდეს საბრალმდებლო საქმე, ამასა ვთხოვ ჩემს ვექილსა,
სასამართლოსაც ავაცდენ, ცუდად არ ვიხსომებ ქმნილსა,
ვუსურვებ ტკბილად ცხოვრებას ბუნებისაგან შექმნილსა.

# ლ.დ.შვანგირაძის პატაკი.

1885 წლის 27 მარტი

თანახმად თქვენი წიგნისა ვუთვალთვალებდით ლაზარეთს,
მოსული არვინ მინახავს და არც უნახავს ლაზარეს,
ოცდაექვს მარტს კაცი იყო, იმათ კარები ჩარაზეს,
ტაბალუამ და მოსულმა ბაასი არ დაიზარეს.

მოსული ბიბილეიშვილი დაინტერესდა ძველ საქმით,
დაჭრილის გარდაცვალება გაიგო ტაბალუას თქმით,
თან აუწერა ადგილი საფლავია რომელი მხრით,
ბიბილეიშვილი წავიდა, თან მიაყოლა მწარე ხმით.

ტაბალუამ ეს ამბავი მე მაშინათვე მაცნობა,
და თან დაურთო ამ ამბავს მრავალი კიდევ სხვა ცნობა:
დათას ფოთში პატივს სცემენ, დუქნებში ჰყავს ნაცნობობა,
შეიპყართ ბიბილეიშვილი, თუ გინდათ დათას დამხობა.

თუთაშხია სასაფლაოს შელამებისას გამოჩნდა,
იგი ჩვენ არ დაგველოდა, უცბად საფართან ალმოჩნდა,
ჩვენ მას სროლა ავუტეხეთ, მაგრამ სწრაფად ბორცვს ავიდა,
ივანცოვ შარია დაჭრა, თვით სამშვიდობოს გავიდა.

# ᲒᲠᲐᲨᲘ ᲡᲔᲒᲔᲓᲘ

როდესაც რომ დამნაშავე პასუხგებას თავს არიდებს,
ახალ დანაშაულს იდენს, თავს თვითონ მახეში იგდებს,
მაგრამ დათა ცუდ კაცებთან მეგობრობაზე ხთელს იღებს,
მარტო დადის ტყე და ველი, ხან მღერის და ხან ღიღინებს.

პოლიციის მრავალ ჯგუფმა შემოარტყა დათას ალყა,
ალყაშივე მათ მოპარა რვა ცხენი და თან წალალა,
ოზურგეთს ცხენები ჰყიდა, ჯიბეს ფული ჩაილაგა,
შეჯდა თავის ბედაურზე და სადღაც შორს მიიმალა.

# ᲗᲘᲧᲕᲐ ᲫᲐᲫᲣᲐ

ცალი თვალი გავიფუჭე თუთაშხიას გულისთვისა,
ორთავ თვალი რომ მქონოდა, ვიდარდებდი ფულისთვისა?
ორმოცდაათი თუმანი მქონდა თითქმის ყოველთვისა,
ვშრომობდი და ვაპურებდი ოჯახს, სტუმარს, მუდამ თვისსა.

ყუბანის ერთ მთის სოფელში, — სახელად ბარაკაევკა ჰქვია, —
კასრის ფიცრებს ვთლიდით, დღისით და შტაბელად იქ აწყვია,
ცალში ორ კაპიკს გვაძლევდნენ, არ გაუვა მაგას ტყვია,
და იქ ტყეში რაც გადამხდა, ახლა თვალებზე მატყვია.

ვიამხანაგე კაზაკი, — გვარად ის კრაველი გახლდა, —
კარგი ხელოსანი იყო, ყოველი დღე ტყეში მახლდა,
მაგრამ ერთ თვეში ამხანაგს სულში სენი ჩაუსახლდა,
ვერ უშველა მკურნალობამ ცივ სამარეში ჩასახლდა.

დავრჩი მარტო იმ სოფელში, მარტოობა გულს მიკლავდა,
მაგრამ ერთ დღეს საიდანღაც დათა იქ გამომეცხადა,
სიხარულით ცას ვეწიე, მე სიცოცხლე გამილაღდა,
უკვე მყავდა მეგობარი და ყველგან სტუმრად დამყავდა.



ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ და ავაწყეთ მეშაობა,
ბლომად გვქონდა პურ-მარილი, ხშირად გვქონდა ქეიფობა,
დღეს დღე ცვლიდა, ღამეს — ღამე, კარგად ავაწყვეთ ცხოვრება,
მაგრამ ერთ დღეს ჩვენდა ჭირად დაგვატყდა უბედურება.

მოგვამაგრეს ჩვენ ცოლ-ქმარი, რომ ესწავლათ მათ ხელობა,
ყოვლით ხელი მოვუმართეთ, არა გვქონდა თაღლითობა,
ჭამდნენ, სვამდნენ, ქეიფობდნენ, იყო მართლა გულღიობა,
ცოტა ხანმა გაიარა, მაგათ ისწავლეს ხელობა.

დათამ თანაც ფული მისცა, რომ ეყიდათ ცხვარი, ძროხა,
გაიმართეს კარგი სახლი, თან ჩაიცვეს კარგი ჩოხა,
ჩვენ ორთავეს შორს გაგვიდგნენ, აღარ სურდათ ჩვენთან ყოფნა,
ცოტა ხანში ბუდარიხამ ქმარი ბუდარა დაიოთხა.

ბუდარიხა გათახსირდა და დაიწყო მან ბოზობა,
დღეში ათ კაცს გვერდში ეწვა, აღარ უნდა მას მოწმობა,
ბუდარა ცოლს ეხვეწება — შენ არ გინდა ეს ბაზრობა,
მაგრამ ქმარს არ დაუჯერა, გააგრძელა იმან ოხრობა.

ერთ საღამოს ეს ბუდარა მოვიდა, დათას ეახლა,
ჩემო დათა, მიშველეო, გაგაჩნია მაგის ძალა,
უთხარი ცოლს, რომ დაბრუნდეს ჩემთან სახლში, თანაც ჩქარა,
სხვა გზა მეტი მე არა მაქვს, თავს მოვიკლავ აქვე, ახლა.

უპასუხა დათამ მშვიდად: შენს საქმეს ვერ ჩავერევი,
ბოზი ქალის განკურნებას აღარა ვარ მე ნაჩვევი,
წადი, თვითონ მოუარე, დახმარებას ნუ ეჩვევი,
ღორი არ მოშლის ღორობას, დაუჩვევს ნუ დაეჩვევი.

სახლით გავიდა ბუდარა, დაესივნენ მას ხლისტები,
მეც გავვარდი საშველებლად, თან ფეხზე მეცვა ფოსტლები,
ვიღაცამ თვალში მატაკა წაწვეტილი ხის ტოტები,
იქ დავკარგე ცალი თვალი, მივაყოლე ზედ ფოსტლებიც.

— დათა, მიშველე! — ვიყვირე, მე უგონოდ ვეგდე გზაზე,
ის ლომივით გამოვარდა და დაემხო ჩემსა მხარზე,
ხლისტებმა დათა იხილეს, დაიფანტნენ თვის ბაზაზე,
მე „ვაი, დედას“ ვიძახდი, ბუდარა ეგდო მიწაზე.

მოცდა არ შეიძლებოდა, დათამ შეკაზმა ცხენები,
დავტოვეთ იქაურობა, გავვლეთ კლდე, ღრე და ველები,
ტკივილისგან მე გზადაგზა ვიკრუნჩხები, ვიბნიდები,
სანამ ლაზარეთს მივედით, მეგონა გაეიდა წლები.

მომიარა დათამ მაშინ, სასმელ-საჭმელს არ მაკლებდა,
ყველ-კარაქით, თაფლით, პურით მუდამ სუფრას მიმრავლებდა
სახლისკენ გამომაცილა, დალოცვა გზას მინათებდა,
ასე დავრჩი მე ცალთვალა და სიკვდილი მე დამნებდა.

## გრაფი სეგედი

მარტოხელას, რა თქმა უნდა, გამიხარდა მისი ნახვა,
ეს გახლდათ დიდი თავადი, თვითონ გრიგოლი ფალავა,
ვიცანი მუშნის ნაწერი, იმან სიტკბო დამიხვავა;
თანაც მწერდა: ბოდიშს გიხდი, ვერ მოვასწარ თქვენი ნახვა.

მუშნიმ ჟანდარმერიაში ოცდასამი წელი დაჰყო,
და აბრაგთა დიდი რიცხვი სულ სხვადასხვა ფენად გაყო,
მოეფერა, შეირიგა, ბევრმა თავი ყულფში გაჰყო,
რის შედეგად ბევრ აბრაგმა აბრაგობა თვით უარყო.

## ალექსი სნეგირი

პირით მე ყუბანიდან ვარ, თან ვიყავით ტყუპი ძმანი,
მამის გარდაცვალებიდან არ გავიდა დიდი ხანი,
დედაც ძან ცუდად გაგვიხდა, არა ჰქონდა აწი ხანი,
რაც შეგვეძლო, ვუმკურნალეთ და გასტანა ცოტა ხანი.

გაჭირვებამ შეგვაწუხა, ოთახი გავაქირავეთ,
მდგმური კარგი კაცი იყო, მამისაგან არ ვანსხვავეთ,
ასე გვითხრა, ლუკა მქვიან, ჩვენც ამ სახელს დავუყვავეთ,
ბევრი კარგი საქმე გვიყო, ჩვენც ამიტომ შევიყვარეთ.

ჩვენთან კაცი დადიოდა, გვარი მალინოვსკი ჰქონდა,
ჩვენგან ბატებს ყიდულობდა, ცოტა ფული ჩვენცა გვქონდა,
მაგრამ ერთხელ გაგვიბრაზდა, არ ვიცი რის ჯინი ჰქონდა,
ფული უკან დამიბრუნეთ, ბე რომელიც მისგან გვქონდა.

დედამ ამბავს ყური მოკრა და ძალიან ცუდად გახდა,
გადმოვარდა საწოლიდან, თავი იატაკს ახალა,
ვერ ვუშველეთ ჩვენ ვერაფრით, როგორც მაგონდება ახლა,
გარდაიცვალა დედაჩვენი, ობლად დავრჩით ორი გლახა.

წავიდა ბატონი ლუკა და თან კუბო მოიტანა,
სამარე მეზობლებმა გაჭრეს, დედამ საფლავს მიატანა,
დავრჩით ორთავე ობლები, გვსურდა ტანჯვის გადატანა.
აწ ყველაფერს მოგიყვებით, რაც ცხოვრებამ მოგვიტანა.

ძმებმა ჩვენ არა ვიცოდით, ძია ლუკა თუ ვინ იყო,
ხელის ბიჭად მას დავუდექ, ვინც თავისი ბე წაიღო.
იქიდან გამოიკვეთა, ჩვენი მდგმური სულ სხვა იყო,
თურმე საყვარელი კაცი დათა თუთაშხია იყო.

იმ ჩემს ხაზეინ მარუდას ყოველდღე ბაზარში ვახლდი,
ის კამათლით ფულს იგებდა, არა ჰქონდა სხვისი დარდი.
თუ ფეხი გადაგიბრუნდა, ავიწყდებათ შენი კარგი,
არავინ არ ამოგიყვანს, თუკი ორმოში ჩავარდი.

ფულის დასახურდავებლად გამაგზავნეს მე დუქანში,
ძია ლუკა იქ რომ ვნახე, სიხარულმა გამცრა ტანში,
ვიღაც მაჰმუდ და სელიმა ეჯიბრებოდნენ თამაშში,
სელიმმა მოგებული ფული ჩაიყარა მის კალთაში.

სელიმ კამათლებსა დაწვდი, ასე ბრძანა ლუკამ ხმაში,
იძრო ჯიბით მაუზერი და მიაბჯინა ხახაში.
შაში დასვი, ჩარი დასვი, თორემ წამოვიდა თავში,
ახლა მაჰმუდს დაუბრუნე, რაც მოუგე ამ თამაშში.

სელიმს სხვა გზა არა ჰქონდა და მაჰმუდას მიუბრუნდა,
ვიცი, დათა, ვაჟკაცი ხარ, მე ფეხი გადამიბრუნდა,
ყველა ფული მაჰმუდს ჰქონდეს, აღარ მინდა მისგან ხურდა,
მაჰმუდამ მას სილა ტკიცა: დაგიბრუნე, რაცა მსურდა.

მეორე დღეს ჩვენს მაგიდას ეახლა ბატონი ლუკა,
და მან ნახევარ საათში სულ წააგო მთელი ხურდა,
აბა, მაშინ რა ვიცოდი ბატონ ლუკას თუ რა უნდა,
აქ თამაშში რად ჩაება, ან წაგება რისთვის სურდა.

სახლში ვნახე ბატონ ლუკას ჩვენი სქემა დაეხატა,
ხურდა ფული ბლომად ჰქონდა, კამათლებიც, რაც ებადა.
მარტო აგორებს კამათლებს, ხედავს ციფრებს, რაც ეხატა,
მივხვდი, რაღაც საიდუმლოდ ლუკამ გულში ჩაიხატა.

მეორე დილით ბაზარში ლუკა მარუდას მოადგა,
საათიც აღარ გასულა, მან რომ თამაშს თვალი ადგა.
შევატყვე, ჩემი ხაზეინი რაღაცა განზე გადადგა
ლუკამ მოიგო ფულები და თავის შარას დაადგა.

სამი დღე ასე ზედიზედ მან მარუდა „გაატყავა“,
არ დაუტოვა კაპიკიც, რომ დაელია მას ყავა.
მეოთხე დღეს კი მარუდა ლუკას თამაშს აღარ გაყვა,
უთხრა: შენთან არ ვთამაშობ, მე მაგის ძალა არ ამყვა.

კვირა დილით ხაზეინმა ვიღაც ხალხი გადიბირა,
ბოლოს სელიმას ესტუმრა, მასთან დიდხანს ითათბირა,
მოძებნა გოროდავოი, თანაც უთხრა, არ დაჰრიდა:
კაცი უნდა დაიჭირო, ბლომად იღე ფეხის ქირა.

დავინახე, ძია ლუკა პოლიციას გაკოჭილი ჰყავს,
თვალში ცრემლი მომერია, გავიფიქრე რატომ მიჰყავს,
მკვირცხლად დუქანში გავწიე, სადაც მას მეგობრები ჰყავს
და სასწრაფოდ მათ ვუთხარი: ბიძა პოლიციას მიჰყავს.

ხელოსანმა ბედევანმა მაჰმუდს ფული ჩაუთვალა,
შველა უნდა მეგობარსა, სხვა არ არის მეტი ძალა,
მაჰმუდ ჰასანას ეწვია ბლომად ფული გადუთვალა,
მის მაგივრად მე ჩავჯდები, ბედევანმა შემოთვალა.

ჰასანამ ოქროს ფულები მის ჯიბეში ჩაატარა,
ლუკას მაგივრად მე ჩამსვა, ის კი სხვა გზით გააპარა.
წამოვწექი მე ლოგინზე, დაღლილს ძილი შემეპარა,
შევლუხინი თავს დამადგა, თვალი თვალში გამიყარა.

წამოვდექი, მე ძან ნელა შევლუხინს სალამი ვკადრე,
— ეს ის კაცი აღარ არის, შენ შევლუხინს რა აკადრე? —
ასე იყვირა მარუდამ, თან იტკიცა ხელი მწარე,
კოზირი ხელში მეჭირა, პასუხითაც გავამწარე.

აქ შევლუხინს მოვახსენე, მე მარუდამ გამაწამა,
ყაბარდოელთ ორი ცხვარის მე ქურდობა დამაწამა,
ჰასანამ ფული დამტყუა, დამიბრუნოს ეხლავ ჩქარა,
თორემ ისეთ დღეს დავაყრი, მიგონებდეს წარამარა.

შევლუხინმა ჰასანს უთხრა: ოინები შენი კმარა,
მაჰმუდს ფული დაუბრუნე, არ გავიგო შენი ჩარა!
მარუდას თხუთმეტი როზგი ზურგში უთავაზეთ ჩქარა,
მე კი სახლში გამომიშვა, თვითონ ნახა ეტლით შარა.

სახლში მიველ და რა ვნახე: მაგიდაზე ფული იყო,
არაფერი არ ვიცოდი, ლუკა უკვე წასულიყო,
გული დამწყდა, რომ ვერ ვნახე, ვინც ჩემთვის კეთილი იყო,
მე უკვე ასე ვფიქრობდი, ჩვენი გზები გაყრილიყო.

მე და ჩემმა ძმამ გავყიდეთ სახლი, კარი, ბოსტან-ბაღით,
და მრავალი წლების შემდეგ ჩვენ როსტოვში გადავსახლდით.
რესტორანს დავიწყე შრომა, ყოველდღე ბევრ სტუმარს ვახლდი,
იქ შემთხვევით შემხვდა ლუკა, სიხარულისგან გავლაღდი.

ჰოდა, იმ ბატონმა ლუკამ მოიგონა თან წარსული,
— ერთ ადგილას ვერ ვჩერდები, აღარ მიდგას არსად გული.
ჩემი სიტყვა დაიხსომე, რომ არ იყო გულნაკლული,
და ყველაფერს შენ გერჩიოს სწორი სიტყვა, მართლად თქმული.

## ბრაში სეგედი

ჩრდილო კავკასიას ვიყავ, თუთაშხიას გვარი ვნახე.
საიდუმლო პოლიციას დათასთვის დაეგო მახე.
ვიღაცა დიდი ვაჭარი დაუმხია დათას თავქვე,.
ოქრო-ვერცხლი წაუღია, დაკარგვიათ მისი სახე.

როგორც შემდგომ გამოირკვა, არ ყოფილა ასე საქმე,
დათა იქ სულ არ ყოფილა, არც უცანცლავს ფული სადმე.
თვითონ პატიმრებმა მითხრეს: არც გვინახავს მისი სახე,
მართალ კაცს ცილს ნუ დასწამებთ, ეს არ არის კარგი საქმე!

ჩვენ დასაჭერად დავსდევდით, მთელი ხალხი მისკენ იყო,
მაშინათვე მოგახლიდნენ: „დათამ ცუდი ვის რა გიყოთ?"
მისი კერპის დაბრუნება სურდა ყველას, თავად კიკოს,
მდიდარი, ღარიბი, გლეხი, თუ გინდა ვაჭარი იყოს.

რადგან ყველას კერპი იყო, მე სულ სხვა ხერხებს მივმართე,
ხუთი ათას ოქროს ვიძლევი, ვინც დათას მანახებს სადმე,
თითქოს დათა მას ელოდა, დინჯად ფოთს ეახლა მალე,
მევახშე კაჟა ბულავას გაუსწორა დღე და ღამე.

2. კ. ტყებუჩავა



# ნიკიფორე ბუზუტეიშვილი

ტერორის აქტს ამზადებდა ჩვენი ხალხი ვილაცაზე,
აქ საჭირო იყო ფული, სხვა რომ არ ვთქვათ რაღაცაზე;
უნდა დათა მოძებნახა, მეთქვა ამ ჩვენს განზრახვაზე,
სამი ათასი მანეთი მომეტანა მე ჩემს ხალხზე.

ავდექ, წაველ, ვნახე დათა, მეჯოგესთან ელარჯს ჭამდა,
სუფთად გაწყობილ ტაბაკზე თანაც მეგრულ არაყს სვამდა,
ავდექი და მოვუყევი, რისთვის მოველ, მე რა მწადდა,
გულუბრყვილოდ რომ მოგიყვეთ, თან სირცხვილი ძაან მწვავდა.

გულახდილად ვუთხარ დათას ფოთელ კაჟა ბულავაზე,
იმან მითხრა, ჩვენ ჯობია, რომ დავეცეთ ფოსტას თავზე.
მე აბრაგს არ დავეთანხმე ჩვენი ფოსტის გაძარცვაზე,
ჯანდაბასო, ასე მითხრა და წამომყვა ის ჩემს გზაზე.

მივადექით კაჟას ბუნაგს, ჭრაქის შუქთან იჯდა მარტო,
ნეკა თითი ცხვირ'ში ჰქონდა და ფიქრობდა მარტოდ მარტო.
ყაბალახი მოვიხვიე და შევვარდი შიგნით ფართოდ,
მეც დათა უკან შემომყვა – ხმა არ დასძრა, შე ქოფაკო.

კაჟას ვუთხარ ფული მინდა, უნდა მომცე თან საჩქაროდ,
თორემ, აი, მაუზერი, გაგიხვრიტავ მაგ თავს ფართოდ.
ხელები გაასავსავა – სადა მაქვს მე ფული, ხალხო.
თუ არ გჯერათ, მოდით ნახეთ, დასამალი მე რა მაქვსო.

ამ ხმაურში წამოცვივდნენ გატიტვლებული ბავშვები,
აქ მეტი ვერ მოვითმინე, დათას ვუთხარ: რას მიშვები,
წადი, ნახე ის სუნდუკი , მე კაჟას არ მოვეშვები,
თუ არა და სახლს ცეცხლს მივცემ, დაიწვება ეს ბავშვები.'

მაშინ კაჟამ დაიყვირა: ნუ მიზამთ უბედურებას,
ნუ დამიწვავთ ცოცხლად ბავშვებს, შეხედეთ ჩემს ღარიბობას.
თუკი რამე გამაჩნია, არ დაგიჭერთ აბრაგობას,
აქ ხუთასი თუმანია, დაურიგეთ ღარიბობას.

დათა მივარდა კაჟას ცოლს, იგი მყავდა გაკოჭილი,
გაუხსნა ყვაყვას ხელ-ფეხი, პალოდ იყო დარჭობილი,
ყვაყვამ უცბად დრო იხელთა, მორთო საშინლად ყვირილი,
ჩვენ ცხენები გავაჭენეთ, შორს კი გვესმოდა კივილი.

დათამ სიტყვა მისცა კაჟას, სესხად მიმაქვს შენი ფული,
სესხად მიმაქვს, დაგიბრუნებ, დაიწყნარე მშვიდად გული.
სარგებელი არ მომთხოვო, თუ გიდგია კაცის სული.
მე თუ მომკლეს, რაღა გიყო, დაივიწყე შენი ფული.

# გრაფი სეგედი

ზარანდიას ჩააბარეს ერთი კონდრაბანდის საქმე.
მუშნი ამას არ დასჯერდა, მან აქ ნახა სულ სხვა რამე,
ბათუმიდან ტუაფსემდე ამხილა სხვა თანმოსაქმე,
ორ კვირაში ციხეს იყო ორმოცდაათი მოსაქმე.

შეეცადნენ მოსაქმენი მოესყიდათ ჩვენი მუშნი,
ბევრი ოქრო შესთავაზეს, მაგრამ მას სხვა ჰქონდა გულში.
არ გაცვალა მუშნიმ საქმე მიძლეული დიდრონ ფულში,
მცდელობის მონაწილენი ყველა ჩასვა მან ჯურღმულში.

ცნობა იყო სამმართველოში დათა-მუშნის თაობაზე,
ნათესავები არიან, არის მუშნი დათმობაზე,
გამოკვლევამ დააადგინა, მუშნი წმინდაა ამ გზაზე,
საერთო არა ჰქონიათ და არცა აქვთ ერთობაზე.

# მოსე ზამთარაძე

ერთხელ კეტებით გაგვლახეს ეს ორი დიდი აბრაგი,
ფეხი მქონდა მოტეხილი, ეს იყო დათას ამაგი.
საავადმყოფოს მიგიყვანონ, უნდა გახლდეს გვერდს ბადრაგი[1],
ახე გადმიხადა დათამ ზამთარს ჩემი ნაამაგი.

1. ბადრაგი — პატიმრის გამცილებელი.









ფირალი კაცისათვის ზამთარი ხომ ძან ძნელია.
საირმეში კაცი მყავდა, მკაცრი ენა-უთქმელია,
გვარად იყო ის სეთური და სახელად აბელია,
ნეტავ იქ არ წავსულიყავ, ის დღე უხსენებელია.

ჩვენი სტუმრობა მასპინძელს გაუხარდა და ეამა,
ისეთი სუფრა გაშალა, რომ ვერ გამოთქვას ენამა.
შემწვარი თუ მოხრაკული, რა გინდა რომ არ გენახა,
ასე გაწყობილი სუფრა მართლა დიდხანს არ მენახა.

სეთურმა სასტუმრო მოგვცა, თანაც მომსახურე ქალი.
ტოფანა ერქვა სახელად, კუდიანი, ენამყრალი.
ძან უყვარდა მას დასმენა, ტყუილ იყო თუ მართალი.
ნუთუ ასეთი ხალხისთვის არ არსებობს სამართალი.

სეთურს დათაზე ეუთხარი, გვარად არის ეს თორია,
რადგან აბრაგს ასე სურდა, სიმართლეა და სწორია.
გავეცანით კარ-მიდამოს, მაღლობია თუ სწორია.
— რაღაც ცუდი შეგვემთხვევა, — მეუბნება მე თორია.

სეთურს ჰყავდა ქირით ხალხი და ისინი თხრიდნენ მიწას,
აგროვებდნენ, თანაც ცრიდნენ, არ აგდებდნენ არცა ცინცხალს.
ასეთ მძიმე საქმისათვის მათ უხდიდა ზლვაში მისხალს.
თვითონ ჯიბეს ისქელებდა სხვისი შრომით გამომდინარს.

იმ დამწვარ დღეს მე და დათამ მოვისურვეთ ტყეში გავლა.
გავიარეთ ხევი, მთები, ხან მაღლა და ხანაც დაბლა,
დათა რაღაც დაიბოღმა, თანაც მითხრა ძალიან დაბლა:
— იმ ბოგაზე ნუ გადავალთ, გვირჩევნია ხევით გავლა.

გავჩერდით და შემოგვესმა ყიჟინი და უცხო ხმები.
ბავშვების ალყას მოვყევით, თითქოს ვიყავით ჩვენ ყმები.
ხელში ქვებით, ხელკეტებით აგვიწითლეს ჩვენ ზურგები.
ხმის გალება არ გვაცალეს, ისე დაგვიხიეს ყბები.

შევეკითხეთ: რას ჩადიხართ, ანდა ჩვენ რატომ გვიწყრებით.
— ჩვენ ტოფანამ გაგვაფრთხილა, რომ ხართ თქვენ სეთურის მტრები.
— თქვენ ეს აღარ გეკადრებათ, ჩვენ ვართ მისი მეგობრები.
თუ სიმართლე გინდათ გითხრათ, ჩვენ თქვენთანაც დავმოყვრდებით.

მაგათ თავი დავაღწიეთ და ჩვენ მოვლასლასდით სახლში,
ვიფიქრეთ, რა მოგვივიდა, სად ჩავვარდით, როგორ ხალხში.
მე მივუხვდი ბატონ დათას, რაც გამოკვეთა მან ხმაში:
ხომ ნახე რა ბოროტია შენი აბელ უსტაბაში.

მეორე დილით მოგვესმა ჩოჩქოლი და ვაი-ვიში.
დათამ უთხრა: რას ჩადიხართ, ნუთუ არ გაქვთ ვინმეს შიში,
რა ჩაგიდვათ იმ სეთურმა, მამაძაღლმა, მაგ თქვენს ტვინში.
სტუმრებს ასე რომ გვექცევით, რა გაგიჯდათ მაგ თქვენს სისხლში.

ამის თქმა და ელვასავით დაგვაყარეს ხელ-კეტები,
დათას მარგილი ჩაარტყეს, ჩაუმტვრიეს თავი, ყბები,
მოიყვანეს ორი ცხენი, კუდს მიგვაბეს ჩვენ ფეხებით.
ცხენებმაც ჩვენ გაგვათრია, სანამ დაიღალნენ რბენით.

ჩვენ არ ვიცით, რა დრო იყო, როცა მოვედით ცოტა გონზე,
თან უჭმელი, თან უსმელი, სულ არა ვართ ჩვენ ღონეზე,
უნდა ღმერთის ნებას მიჰყვე, აბა, რას იზამ ამ დროზე,
ათი დღე ასე ვეყარეთ ვიღაც მეჯოგის საწოლზე.

მე და დათამ ძლივს მოვძებნეთ დამალული იარაღი.
ჩემო ძმაო, უნდა მოვკლა მე სეთური თან სულძაღლი
— აღარ მომცა მე აბრაგმა არც თოფი და არცა ხმალი.
ასე სიკვდილს გადამირჩა ის სეთური, მამაძაღლი.

# ბრაფი სეგედი

მე გავიგე: მუშნი, დათა ერთ დედ-მამას გაუზრდია.
მუშნიმ სწავლას მიჰყო ხელი, დათას სხვა გზა უზიდია.
კაცს რომ ბუნება უმტყუნებს, რა მშობლების მიზეზია,
ამიტომაც აქ გაყრილა დათას და მუშნის გზებია.



ბევრი ცუდი საქმე მედო დათას მიერ ჩადენილი,
ისიც საგულისხმო იყო, რომ გზას იყო აცდენილი.
ფაქტით უნდა დაუმტკიცო, რას სჩადიოდა ძებნილი.
ბევრი საქმე, გამოირკვა, ტყვილად იყო აქ შექმნილი.

ბევრი ჭორი დადიოდა, მუშში დათას იფარავსო,
როცა მუშნის მოუნდება ეახლება მის კარავსო,
ერთად ხშირად იძინებენ, იგონებენ ძველ ამბავსო,
აბა, ჭორი რის ჭორია, თუ სიმართლეს არ ფარავსო.

რომ გავიდა ცოტა ხანი, აეხადა ტყვილებს ფარდა,
მუშნი დასაჭერად სდევდა და არასდროს იფარავდა.
მართალია, სისხლი იყო, არვინ ჰყავდა მაგის გარდა.
რამ უშალა დათას ხელი, ის რომ ფირალად გავარდა.

ცხრაასიან წლის საწყისში შიფრით დეპეშა მივიღეთ,
აკრძალულ ლიტერატურით ბათუმს „მავალი" მიიღეთ,
დოცენტია, თან ქართველი, „თქვენ ხომ სტუმრებს კარგად იღებთ",
თუ არადა, ამის შემდეგ ჩვენ საქმეზე ხელს ავიღებთ.

ეს საქმე მე მაშინათვე ბატონ მუშნის გადავეცი.
მუშნიმ გეგმა შეადგინა, თან გაშიფრა, რაც გავეცი,
აგენტი მან მოამზადა, გაამგზავრა, როგორც წესი;
– გერმანიას როცა ჩახვალ, მაგრად გადგი შენ იქ ფეხი.

დადგა დრო, რომ ღია ზღვაში მოცურავდა უკვე გემი.
დოცენტმა კი რა იცოდა, მას აედევნა აგენტი.
აგენტებმა ჩუმად დოცენტს შეუცვალეს ჩემოდნები,
ყველაფერი აქ შესრულდა მუშნის თავში ჩანადები.

გემი ნავსადგურს მოადგა, გადმოვიდნენ ნამგზავრები,
დოცენტი, ჩვენი აგენტი, თან დანარჩენი მგზავრები.
ერთად მოხვდნენ საბაჟოში გაუსინჯეს მათ ბარგები,
დოცენტს აღარ აღმოაჩნდა მისი ხელით ჩანადები.

ისე მოხდა, ხელმეორედ შეუცვალეს მას ნივთები.
დოცენტს უკვე მასთან ეწყო თვის ნამდვილი ჩემოდნები.
შემდეგ სასტუმროს ეწვია, გაიფორმა ოთახები,
მერე კარი გამოკეტა და ქალაქს გავიდა ნებით.

ქალაქიდან რომ დაბრუნდა, მას ორი კაცი ეწვია.
დამხდურმა კარი გაუღო და ოთახში მოიწვია.
სტუმარმა სკამი აიღო, თავის ადგილას დაბრძანდა.
ხუთი წუთიც არ გასულა, ზარანდია შემობრძანდა.

ზარანდიას თავის გვერდით ორი ხელქვეითი ახლდა,
მან საბუთი წარუდგინა, აქ საუბარი განახლდა.
მსურს გავიგო მე მიზეზი, სტუმრები რისთვის გეახლა,
— ამანათი უნდა მივცე, ესენიც მიტომ მეახლა.

როცა გახსნეს ჩემოდანი, დოცენტს აქ ფერი ეცვალა,
როგორ მოხდა, ჩემოდანი საბაჟოში ვინ შეცვალა,
ნივთმტკიცება ხელში ჰქონდა, მუშნიმ ფერი არ იცვალა
და სამივე პატიმარი სწრაფად თბილისს წამოლალა.

ჩვენს დოცენტს გერმანიაში ბევრი დიდი ხალხი ჰყავდა,
ციხის დარაჯს ეს სტუმარი ზევით და ქვევით დაჰყავდა.
რა იცოდა ემიგრანტმა, მომავალი რას უქადდა.
მხოლოდ სულ ამას ფიქრობდა, საქართველო რომ უყვარდა.

დაკითხვისას მუშნიმ ჰკითხა: რას მოელით თქვენ აწმყოში?
— რევოლუცია მოხდება და ჩავდგებით კალაპოტში.
არ იქნება როგორც არის, როგორც იყო ის ნამყოში,
კარგი მომავალი გველის, როგორც ვარდსა ტოტის ყლორტში.

დაიხსომეთ, ოფიცერო, თქვენ ჩემი გამონათქვამი,
გარეთ ვიყო, თუ გინდ ციხეს, არ აწუხებს ჩემი გვამი.
ლექციებს ყველგან ვიკითხავ, რაც არ იყოს იქ ნათქვამი.
მოვა დრო და წინ დაგხვდებათ ყველა ჩემი მონათქვამი.

ზარანდიამ უჯრა გახსნა, რაღაც იქიდან აიღო,
მრავალ ნაწერ ქაღალდიდან ერთი რაღაც გამოიღო,
გრაფს მიმართა: საქმესა ვწყვეტ, თქვენ მოსპობით არ მიიღოთ,
ჩვენს ბრალდებულს ამფსონებთან ციხის კარები გაუღო.

სასამართლო აღარ შედგა და საქმე ძიებით შეწყდა,
რა იცოდა მაშინ გრაფმა მუშნი თუ რას უმიზნებდა.
მან იცოდა სასამართლო სასჯელს აღარ დაადებდა,
ცალი თვალით უყურებდა, როცა გრაფი ხელს აწერდა.

ჩვენგან წასულმა დოცენტმა ნირი აღარ შეიცვალა,
მან მოსკოვის სტუდენტებთან ბევრი წიგნები გაცვალა.
დაიჭირეს, არ აცალეს თავისი გზა შეეცვალა,
კამჩატკაში დასნეულდა და სულ მალე გარდაიცვალა.

## ქუჯი თორია

თქვენი კითხვიდან გამოდის თუთაშხიაზე რა ვიცი,
ან ვირთაგვების გამოწვრთნა სად ვისწავლე, სიდან ვიცი.
ეს ბევრზე მაქვს მონაყოლი და ბევრზე მაქვს დანაფიცი,
რადგანაც მე მომაკითხეთ, გეტყვით ყველას, რაც კი ვიცი.

თორმეტი წლის რომ ვიყავი, მაშინ სამსუნში ვცხოვრობდი,
დათა ბიძაჩემს ეწვია, მე ჩემს ტოლებთან დავრბოდი.
ორი კვირა ჩვენთან დარჩა, მაშინ არაფერს ვდარდობდი,
ცხრა წლის შემდეგ მას რომ შევხვდი, არ მეგონა თუ ვიცნობდი.

მარტო ჩვენ გვარმა იცოდა ვირთაგვების გამოყვანა.
ამ საქმეს ძან დავეუფლე, მიხაროდა მათი გაწვრთნა,
სამოც თუმან ოქროდ ვყიდდი მე გემებზე კარგა ხანსა,
თავს ვირჩენდი, თან ვსწავლობდი, სჯობია მას რამე განა?

ხომალდები ხისა ჰყავდათ, ბევრი იყო იქ ძღრღნელები,
ისე ღრღნიდნენ საქონელსა, როგორც მიწას თხუნელები.
ერთი ვირთაგვა კმაროდა გაეწყვიტა მავნებლები,
ამიტომაც გადავწყვიტე გამომეწვრთნა ვირთაგვები.



ახლა ამბავს მოგიყვებით მე ბიძაჩემ თორიაზე,
ფოთში ფერშლად მუშაობდა, არ დარდობდა დიდ თანხაზე,
მას ესმოდა საწყალ ხალხის ცხოვრება ამ ქვეყანაზე,
ღარიბ-ღატაკს ფულს ჩუქნიდა, ვინც კი შეხვდებოდა გზაზე.

არდადეგებს უფრო ხშირად მე ბიძასთან ვატარებდი.
თეორიას პრაქტიკულად ბიძაჩემთან ვაღრმავებდი.
ბიძას ძალიან უხაროდა, თვალებს რომ არ ვიბრმავებდი:
– ისწავლე, შვილო, რაც ვიცი, სანამ სრულად არ დავბერდი.

ბიძას ფოთში სახლი ჰქონდა სამი ოთახისგან მდგარი,
ლაბორატორიაც ჰქონდა, იქვე იყო ის დამდგარი.
დღე და ღამე მუშაობდა, არ მინახავს მე დამჯდარი,
არასოდეს შემინიშნავს ბიძაჩემი ნირ-წამხდარი.

დილით ადრე ავადმყოფთა ხმაურმა გამომაღვიძა,
ჭონიამ კვიშილაძეს უთხრა: შენ ხარ აქ ყველასი ბიძა,
ვარამიამ, ქურულორიამ გუშინ გადმოფერთხეს კინძა[1],
ახლა შენი ფუთა გავხსნათ, ხომ ასეა, ჩემო ბიძა.

გავინაწილოთ ეს ფქვილი და დავიდოთ ყველამ ტოლი,
ორ დღეში კი გვეახლება ჩვენი კვიშილაძის ცოლი.
ქურულორიამ იყვირა: ჩვენ არცერთი არ ვართ სწორი,
ქალი სიორაძის გახლავთ, არა კვიშილაძის ცოლი.

ამ სიტყვაზე ახმაურდა ყველა ჩვენი ავადმყოფი,
კვიშილაძესთან რად მოდის, თუა სიორაძის ცოლი?
ალბათ, საყვარელი არის, დამერწმუნეთ, მე ვარ სწორი.
თვითონ კვიშილაძემ გვითხრას, რომელია მისი ცოლი.

– მოგახსენებთ, სიორაძე გადიკარგა როგორც ქარი,
თვითონაც ქალმა არ იცის, თუ სადაა მისი ქმარი,
ჭონიას ნერვებმა უმტყუნა, წამოვარდა ვით აფთარი:
– თვითონ ქალმა გადაწყვიტოს, რომელია მისი ქმარი.

---

X კინძა – პარკია ფქვილის ჩასაყრელი.

რომ დაღამდა, აივანზე ჭონიამ დამიმარტოვა;
კონვერტსა გთხოვ წერილისთვის, რატომ სახლმა მიმატოვა.
წერილი ვრცელი დაწერა, ბწკარი აღარ გამოტოვა.
ქალი სასწრაფოდ ჩამოვა, თუ ჩვენთან არ ჩამოთოვა.

მეორე დღეს ის წერილი ჭონიამ მე გამატანა,
ფოსტის ყუთში ჩააგდეო, თანაც ასე დამატანა.
ვიცი ამას არვის ეტყვი, მე არ მინდა ეჭვმიტანა.
გულმა რაღაც მიკარნახა, თანაც ეჭვმა ამიტანა.

გზაში ვეღარ მოვითმინე, გავხსენი და წავიკითხე.
მაშინათვე ტანში გამცრა, რაც იქ მე ამოვიკითხე:
— ჩემო ცუცა, ჩუმადა გწერ, მეტი ვეღარ მოვიფიქრე,
ფულით, საჭმელ-სანოვაგით ჩემთან უნდა ჩამოხვიდე.

სპირიდონა ჩვენთანა წევს, შენ ლაზარეთს არ მიხვიდე,
ჩემი კაცი შენ დაგხვდება, სადაც არის თხმელის ხიდე,
ყველაფერი მას მიეცი, ხალხის ნახვას მოერიდე,
რასაცა გწერ, დაიხსომე, სახლიდან რომ წამოხვიდე.

გულმა მითხრა, ეს წერილი დავხიე და გადააგდე,
ადექ, სიმართლე დაწერე და ფოსტაში ის ჩააგდე,
გირჩევნია მართალ იყო და სიმართლის გზას დაადგე,
უცბად ფოსტის ყუთს მივადექ, უნებურად მეც ჩავაგდე.

წამოსალები წამლები მე მაგარ ძაფზე ავასხი,
ავდექ, პაკპაუზს მივედი, ვირთაგვები წამოვასხი,
როს წამოველ მე დაღლილი ვირთაგვები ადგილს დავსვი,
წამოვწექი და ვიფიქრე: ჭონია, ლაფი დაგასხი!

ბიძა ნარდს მეთამაშება როგორც მისი თანასწორი.
უცბად შორიდან მოგვესმა ჩვენ ცხენების თქარათქორი.
— მეჯოგეა, მძიმედ არის დათვის თათით დანატორი,
ისე უნდა უმკურნალოთ, სახე ჰქონდეს თანასწორი.

ცხენებიდან რომ გადმოხდნენ, მაშინათვე ვიცან დათა,
მასში ცვლილება ვერ ვნახე, საფეთქელთან თმების გარდა,
ის თვითონაც დამაკვირდა, მე მივუხვდი, მიცნო კარგა,
მაგრამ თითქოს ვეღარ მიცნო, თავი ისე შეიმაგრა.

დრო დაუდგა ბიძაჩემსა ჭრილობების გასინჯვისა,
ვირთაგვა შემოგოგმანდა, უნდოდა ცქერა სინჯვისა,
გავუჯავრდი, მივაძახე: შენ რა გესმის ამ საქმისა,
წადი, თაგვებს დაერიე, სარჩო იშოვნე შენთვისა.

ეგაა კაციჭამია? — შემეკითხა აქვე დათა.
ამით იმას შ:მახვედრა, რომ მიცნო მან მე ამაღამ.
მე მას თავი დავუკარი, ამათა ვწვრთნი მე დღე და ღამ..
— კარგი ხელობა გქონია, — თვალით მიმანიშნა დათამ.

—კაციჭამიების გამოზრდა ორი ხერხით შეიძლება,
ხან შიმშილით, ხან სიმაძღრით, ბუნებამ ასე ინება,
მე შიმშილის ხერხითა ვწვრთნი, ასეთია ჩემი ნება,
მას ნაკლები დრო სჭირდება, ღვთის წყალობით ასე ხდება.

დილით ადრე მათ პალატას მომვლელი ხოსრო მიადგა,
— ბატონო ბესო, მიბრძანეთ, რა მოგართვათ, სად რა დავდგა?
მის სახელის სისწორეში დიდი ეჭვი დამებადა.
როგორც შემდეგში გამოჩნდა, მოსე ზამთარაძე გახლდა.

დილით პალატით გასვლისას დათას ჭონია აუხტა,
აბრაგს ჩუმად ჩაეცინა, მაგრამ ნირი არ წაუხდა,
ადგა, აივანს გავიდა და იქვე ბოძს ჩაეხუტა.
ავდექი და მასთან მიველ, მობრუნდა და ჩამეხუტა.

სანამ გარეთ გავდიოდი, ბატონ მოსემ ჩუმად მითხრა:
— ავადმყოფებს გადაეცი, მხოლოდ დათას აღარ უთხრა,
ფული ვითომ ბიძამ მოგცა, სხვის ლუკმაზე არ ეყურა,
გამოიძლონ თავის კუჭი, მერე გინდ იძახონ ურა.

ფული ხოსროს გადავეცი, იგი ქალაქში წავიდა,
ფქვილით, ყველით დატვირთული, მოვიდა ოთახს შევიდა,
ფული მურმანმა გადმომცა, თქვენთვის ხორაგი მეყიდა,
მიდით, კერძი დაამზადეთ, დააყოლეთ ყოვლაწმინდა.

იმ დღეს მზარეულ ჭონიამ სამჯერად მოხარშა ღომი,
მაგრა ედგა ქვაბს ზემოდან, როგორც ტყის ნადირსა ლომი,
სამი დღე რომ იშიმშილა, დღეს კარგად იყო ნაძღომი,
დაამძიმა ის საჭმელმა, ვით მდინარე წყნარი დონი.

დათას ძაან მოეწონა, როგორ ვწვრთნიდი მე ვირთაგვას.
— ალბათ, ცხრიდან ერთი რჩება, — ჩემთვის ასე მოუმართავს,
ასეთია მათი ბედი, რაც ბუნებას გაუმართავს.
— სწორედ ბრძანეთ, ერთი რჩება და მე ვყიდი იმ ვირთაგვას.

უკვე დადგა აწი სწორი, მოვა კვიშილაძის ცოლი,
ჭონიას ასე ეგონა, ვითომ იყო მისი ტოლი,
მეც წაველი, დავიმალე, ვუთვალთვალებ, როგორც ქორი,
კაცის ფეხისხმა მომესმა, გავინაბე როგორც ჭყორი[1].

გავიხედე, ჩემს სამალთან, უკან დგას ბატონი დათა,
ხელში ჰქონდა მაუზერი, არ ვიცოდი, რისთვის, რათა,
მაგრამ მე რომ დამინახა, არ აჩქარდა, როგორც კვათა[2],
იარაღი შეინახა, მკითხა: რისთვის მოხველ აქა?

დაწვრილებით მოვახსენე მე წერილის თაობაზე,
ალელვებულს მიყურებდა, ის არ ამყვა ჩემს გრძნობაზე,
— ცუდი კაცი ცუდად რჩება მის გამოვლილ ყველა გზაზე,
ეს მის გვარს გადაედება თაობიდან თაობაზე.

მატარებელმა იკივლა, ჭონია უკვე ადგილს იყო,
ჩუმად ჩაჯდა, დაელოდა, ცუცა უნდა მოსულიყო,
კაციშვილი არსად ჩანდა, ჩამი-ჩუმი არსად იყო,
ვხედავ, მოდის ქალბატონი, ხურჯინით დატვირთულიყო.

---

1. ჭყორი — მწყერი.
2. კვათარი — ფრინველია ტყის.

აქ ცუცამ სუფრა გაშალა და დაიწყეს მასლაათი,
ქათმის ხორცსა, ხაჭაპურსა მიაყოლეს თან სალათი,
არაყს სვამდნენ, ქეიფობდნენ, სავსე ჰქონდათ მათ კალათი,
ქალსა დასცხა არყისაგან, გადიწია მან ხალათი.

ჭონიამ ვერ გადიტანა ბროლის გულმკერდისა ცქერა,
არყისაგან გალეშილმა ხელი მის ძუძუს აძგერა,
ცუცამ ველარ მოითმინა დოყლაპია კაცის ცქერა,
ჭონიას ისე დაეცა, როგორც ქათმის წიწილას ძერა.

— ახლავე აქედან მოშორდი, ლაწირაკო, ლოტოს კოჭო,
ხომ არ გინდა, რომ ახლავე ჩემი ხელებით გაკკოჭო?
აიკიდე ეს ხორაგი, მაწანწალა, ღორის გოჭო,
ყველა პატრონს ჩააბარე, თორემ გაგსრეს, როგორც ხოჭო.

მე და დათა წამოვედით, ქალი თავის გზას ეწია,
ჭონია ისე მოიქცა, ვითომ ვიღაც მას ეწვია.
მარტო დაჯდა ის საჭმელად, არც არავინ მოიწვია,
სიხარბისგან ბევრის ჭამით კინაღამ სიკვდილს მიეწია.

კვიშილაძემ იცნო ჯამი, საიდანაც ჭონია ჭამდა,
ისეთი ხმაური ატყდა, თითქოს ბომბი ჩამოვარდა,
— ეს ხორაგი სულ ჩემია შენ საიდან ჩაგივარდა, —
უნამუსოს ცემა უნდაო და ის ჭონიას მივარდა.

მას დაუწყო ცემა-ტყეპა, უთავაზა თავში შეშა,
ჭონიას არავინ უშველა, ყველა ადგილზე გაშეშდა,
— განა ამას კაცი იზამს, შე უნამუსო, ხეშხეშა,
კაცი კი არა, გველი ხარ, მაძრომელა ქვეშა-ქვეშა.

ერთ კვირაში დათა ბატონს აქ ვიღაცამ მოაკითხა,
მათ ლაპარაკი გააბეს, მე ვიდექი, როგორც ვირთხა,
საღამოს ცხენებზე შესხდნენ, სად წავიდნენ, მე ვინ მკითხა.
ყველაფერი მოგიყევით, ამის მეტი მე რა გითხრათ.

# გოგი ტატიშვილი

ინსტიტუტი დავამთავრე, სამეგრელოს ვიღე გეზი,
საქმე წესიერად მქონდა, არა მქონდა მე ხარჯეზი,
მუშებს ფული გკუთვნოდა, ავდექი და მეც მივეცი,
უკვე დრომ რომ მოაღწია, ჩემს კარვისკენ გავიქეცი.

დილით ვნახე, ყველა მუშა სათითაოდ გაპარულა,
ცხენებიც მიუპარიათ, უღრან ტყეში დამალულან,
იმდენი ბარგი გამაჩნდა, ავი თვალით არ ნახულა,
ყელში ბოღმა შემომაწვა, ცრემლი ვღვარე თან მალულად.

ავიკიდე ჩემი ბარგი, ტყე-ჭაობზე წამოველი,
შუაღლე გადასული იყო, საურმე გზას გამოველი,
დავლექ, ლოდინი დავიწყე, როს საშშვიდობოს გაეედი.
არსაიდან არვინ ჩანდა, ავდექი, ფეხით წაველი.

მივდივარ და თანაც ვფიქრობ, დღეს რა ბედი მეწია.
კარგა ხანი რომ ვიარე, მე ორი წამომეწია,
ცხენი ჰყავდათ თავისუფალი, ვიფიქრე, ბედი მეწია,
აწ ყველაფერს მოგიყვებით, რაც იმ ღამეს მომიწია.

ვიცან, ერთი მღვდელი იყო, რადგან ანაფორა ეცვა,
მე ვთხოვე მათ, დამეხმარეთ, იმათ ჩემი არა ესმა.
ნაბდის ქვეშ თვალი შევავლე, იარაღი ბლომად ესხა,
აღგა, თავის გზას გაუდგა, ისე, რომ არ წაიხუმსა.

დაუუძახე: შემეშველეთ, ნუთუ არ ხართ ქრისტიანი?
შეჩერდა და მომეგება ზრდილი და ენაწყლიანი,
შემომხედა და, რომ მნახა ასე ტალახ-ტურტლიანი,
შებრუნდა და გზას გაუდგა, არ მინახავს მე ხმიანი.

ის მღვდელი ჩემთან მოვიდა, აიღო ნახევარი ბარგი,
აბა, მაშინ რა ვიცოდი, მეორე იყო აბრაგი,
ის მობრუნდა გულიანად, ცხენს აკიდა ჩემი ბარგი,
მერე თავად ცხენზე შემსვა, ფეხით გაყვა გზას აბრაგი.

ჯაგებიდან თხებთან ერთად ძობა ბიჭი გამოვიდა,
ჩვენ ზრდილობით მოგვესალმა, მერე დათასთან მივიდა,
დათამ ძობას რაღაც ჰკითხა, ისიც ყველაფერსა მიხვდა.
— უკვე იყო, ჩემო ბიძა, რა ხანია, რომ წავიდა.

ეტყობოდა, ჩვენი ძობა გონებამახვილი იყო,
განათლება არ გააჩნდა ბუნებრივი ნიჭით იყო,
წერა-კითხვა თვით ისწავლა და კიკუმაც, როგორც იყო, —
კიკუ და იყო ძობასი, მაგრამ ჭკუათხელი იყო.

ერთხელ კიკუმ მე რომ მკითხა, დავიწყეელე დაბადება:
— ქალი კაცს რომ დაუწვება, მართლა ბავშვი იბადება?
— მართალია, — მე ვუთხარი ის მიცქერის, მაკვირდება,
— აბა, ერთი ამიხსენი, ცხოვრებაში როგორ ხდება.

ასეთივე ჭკუათხელი იყო დურუ — კიკუს მამა,
წერა-კითხვა არ იცოდა და არცერთი ანაბანა.
ცოლი ჰყავდა გარდაცვლილი, კიკუ, ძობა ჰყავდა თანა,
ის კარგ კვერძებს ამზადებდა და სასტუმროც ჰქონდა თანა.

ტვირთი კარებთან დავცალეთ, თუთაშხიამ ძობას ჰკითხა:
ალბათ, ბევრი სტუმარი გყავთ, მის შუბლიდან წაიკითხა,
ბოდლო ყვალთავა, ორი სხვა, საიდუმლოდ არ იკითხა.
იქ რა მოხდა, ამის მერე, ყველამ წიგნით წაიკითხა.

დურუმ რომ დათა იხილა, სალამი არ მოგვიშალა,
წამჟისაც არ გაუვლია, სუფრა ხელად გაგვიშალა,
ერთად ლავსხედით სამივე, ხელი არვინ შეგვიშალა,
ღმერთსაც კი შეშურდებოდა. ასეთი სუფრა გაშალა.

— ისინი შენ არ გიცნობენ, – ჩუმად უთხრა დურუმ დათას.
— პირიქით, მე შემეკითხეს, ხომ არ იცნობ შენ მაგ აბრაგს,
მაღალია, დაბალია, ანდა სახით ვის წააგავს?
ვუპასუხე: მე არ ვიცნობ, სახე მისი არ მინახავს.

რომ გავიდა ცოტა ხანი, ბოდლომ კიკუს დაუყვირა:
— მოდი, ჩვენს სუფრას მოხედე, თორემ დაგსვამ თავდაყირა,
დოქი ღვინო მათ მიართვი, მეორე აქ — სუფრის პირა,
აბა, სწრაფად შეასრულე, რაც ბოდლო ყვალთავამ გითხრა.

— ბოდლო, დააცადე ცოტა, — უთხრა მას ყურუ ქარდავამ, —
ისინიც ხომ სტუმრებია, არ გაწყინოს კიკუს დავამ,
ყურუს რჩევამ აღარ გასჭრა, ასე ინება ყვალთავამ,
კიკუმ სწრაფად შეასრულა, რაც უბრძანა მას დიდთავამ.

როგორც მერე გამოირთვა, მანდ იჯდა კაზა ჩხეტია,
ისე უყურებდა კიკუს, თავის ტანში ვერ ეტია,
იარაღი ბლომად ჰქონდა, ვით სათამაშო კეტია,
საჭმელი ბლომად მიართვეს, სუფრაზე ვერ დაეტია.

რომ დაღამდა, მაშინ ძობამ შანდლები შემოიტანა,
ერთი მათ სუფრას დაუდგა, მეორე კი ჩვენთან თანა.
კიკუ სუფრა გაგვიწმინდე, დაგვიტოვე ღვინო თანა,
ნეტავ, რა დედამ გაგზარდა, არ მინახავს შენისთანა.

ყვალთავამ თავის ჯიბიდან უცბად კარტი ამოიღო,
ხელებში შეათამაშა, ამ დროს კარები გაიღო,
აქ გამოჩნდა ისევ კიკუ, ეტყობოდა, ცუდად იყო,
ხუთ მანეთად ტრუსიკს ჩავხდი, მე ჩხეტია აღარ ვიყო.

დაიწყეს კარტის თამაში, თან ღვინოს ეძალებოდნენ,
თამაშობდნენ გამწარებით, მაგრამ თვალნი სხვაგან რბოდნენ.
არავის ერიდებოდნენ, თან უტიფრად ხარხარებდნენ.
ღვინომ მისი გაიტანა, ჩხუბობდნენ, თანაც ღრეობდნენ.



უკვე ღვინით გაუღენთილი ყვალთავა თავზე დაგვადგა,
მას იქიდან დაუძახეს, მაგრამ მათ ნებას არ აყვა,
მე ღვინო გამომიგზავნეთ, რატომ არა სვამთ, გეთაყვა,
თუ არ დალევთ, გეუბნებით, გამოგივათ წყლის დანაყვა.

თუთაშხიამ მას აცალა, მერე უთხრა: რად არა ვსვამ?
ძლევენზე მადლობას მოგიხდი, მაგრამ ღვინოს მე არა ვსვამ.
გაიფოფრა, როგორც სვავი, მომახალა: არც შენა სვამ?
ღვინოს დალევა ვარჩიე, დანამ მომკლას ან იქნებ სხვამ.

კაზამ ბოდლოს გადმოსძახა, ხედავ, წამივიდა გული,
ამოიღე, თან სასწრაფოდ და მომეცი ჩემი ფული,
ხომ ხედავ, რომ სულ წავაგე, იმიტომ ვარ გულმოსული,
იქნებ, ღმერთმა გადმომხედოს, მეც დამიდგეს გაზაფხული.

ბოლლომ ცუდად გადმოგვხედა, დაბრუნდა, მასთან მივიდა,
მათ თამაში გააგრძელეს, კაზას კარტი მოუვიდა.
ორ-სამ წუთში ყველა ფული კაზამ ჯიბეში ჩაიდვა,
აქ ქარდავა სახტად დარჩა, არაფერი გაუვიდა.

კაზამ გოგოს დაუძახა: კიკუ, საჩქაროდ აქ მოდი,
თვალებს სხვაგან ნუ აცეცებ, შემომხედე, გამისწორდი,
ჩემს თხოვნას თუ შეასრულებ, შენ ნახევარს გაგიყოფდი.
აი, ახლავე წაიღე, თუ აქ ტრუსიკს ჩაიძრობდი.

კიკუმ ფულებს რომ შეხედა, აემღვრია გოგოს თვალი,
იმას სახე გაუწითლდა და მოედო როგორც ალი,
გუნებაში გაიფიქრე — ეს გოგო არი აბდალი,
ვაი, კიკუ, შენი ცოდვა, ვაი, კიკუ, შენი ბრალი,

რომ შევხედე, შევამჩნიე, ძან გაბრაზდა თვით ჩხეტია,
გოგო, შენ რამ გაგახევა, თვალი რას გაგიშრეტია?
ჩაძრობას ხომ წუთი უნდა, არც ნაკლები, არც მეტია,
მიდი, საჩქაროდ ჩაიძვრე, ფული შენთვის გამიმეტია.

ახლა კაზამ ჩვენ გვიყვირა: რატომ აქეთ იყურებით,
ხომ ხედავთ, გოგოს რცხვენია, თქვენი ცქერით და ყურებით,
ახლავ ზურგისკენ მიბრუნდით, არ დააყოვნოთ ცდუნებით,
თორემ ახლავ მანდ გავჩნდები და ჩამოგკიდებთ ყურებით.

ამ ყვირილზე ბატონ დათას წარბიც აღარ შეუხრია,
იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა, ერთი სიტყვაც არ უთქვია,
სწრაფი გამოხედვა ჰქონდა,ეს მის თვალებსა ატყვია
ამან კაზა გააცეცხლა, თავს დაგვადგა, როგორც ტყვია.

ამ მომენტს რომ შევცქეროდი, კიკუმ კარები გაალო,
მიიხედა, მოიხედა, მამა იქ არ იყო ახლო,
ყვალთავას სუფრას მიეჭრა და კაბას ხელი წაავლო,
კაბა ზევით აიწია, დარჩა ტიტველი სახალხოდ.

შიშველი გოგოს შემყურეს, დაუბნელდა კაზას თვალი,
ის გაწითლებული იყო, როგორც საბერველზე ალი,
ადგა, გულ-მკერდს ჩააცქერდა, რომ ენახა ძუძუს ხალი,
ხელით მის ძუძუს შეეხო — ნამდვილად არის მართალი?

კიკუ უცებ გონს მოვიდა, ჩაიცვა კაბა, გაიქცა,
ჩვენი კაზა აფოფხორდა და ლაპარაკად გადიქცა,
გაიძრობს-თქო, რომ გითხარით, ამით დუქანი დაიქცა?
დათა ამ სიტყვის გამგონე თითქოს სიცილით წაიქცა.

ცოტა ხანი რომ გავიდა, კაზამ კიკუს დაუძახა;
კიკუ, ჩქარა მოდი ჩემთან, რაღას დაგილია ხახა.
მოდი სწრაფად, რაღაც გითხრა, გატრუნულხარ, როგორც კათხა,
ამ ქისაში რაც ფული დევს, მომიცია შენთვის ახლა.

ამ ფულებს ხომ ხედავ, გოგო, მოდი ამაღამ ჩემთანა,
— რომ მოვიდე, რა ვაკეთო, მითხარ, ღამე მე შენთანა.
— არაფერი, რაც ქალები აკეთებენ კაცებთანა.
— არ ვიცი ის, — უპასუხა და გაიქცა უკან თანა.

გულადი კაცის სახელი არასოდეს მწყურებია,
მაგრამ სხვის უბედურებას არასდროს მიყურებია,
დათას ვუთხარ: ბევრი კარგი თქვენს სახელზე მყურებია,
ახლა მიკვირს, ასე თავი რატომ წაგიყრუებია.

დათამ მიტომ შემომხედა, მის სახელი რომ ვახსენე,
შემდეგ მათ სუფრას გახედა, თვალით მითხრა — რად მახსენე?
სხვის საქმეში არ ვერევი, აკი უკვე მოგახსენე,
კიკუ მივა თუ არ მივა, მის საქმეა, რად ახსენე.

მაშინ კაზასთან მივიჭერ, სხაპასხუპით დავაყარე:
რას სჩადიხარ, არ გრცხვენია, შენ კი მეხი დაგაყარე!
ჩხეტიამ სილა გამაწნა, მე მას უცბად გავეყარე,
საწოლ ოთახს შევლასლასდი, უნებლიედ ცრემლი ვღვარე.

კარის ჭრიალმა მაღვიძა, მღვდელი ლოგინში ფშვინავდა,
დათას ნაბადი ეხურა, ფრთხილობდა და თან ქშინავდა,
ტახტის ჭრიალზე მომხედა, არ ვიცი ეს რას ნიშნავდა,
და მან ისე შემომხედა, თითქოს დუელს მინიშნავდა.

შუაღამე იქნებოდა, რომ ჩიბუხი გააბოლა,
მის ნაბადში გაეხვია, თქვა, არა მსურს კაცთა ბრძოლა.
რაღაც გულმა მიკარნახა, იქნებოდა ტყვიის სროლა,
იარაღი არა მქონდა, მე რაღა უნდა მესროლა.

მომიჯნავე ოთახიდან მე ჩურჩული შემომესმა:
— შემო, კიკუ, რაღას უცდი, — უკვე ბრძანება მომესმა,
— შედი, გოგო, რაღას უცდი, — ყვალთავასგან მომესმა,
უკვე მივხვდი, შიგნით იყო, რადგან ჭრიალი მომესმა.

— არ ვიცი ეგ, მეშინია, როგორ უნდა მას კეთება...
— საყვარელო, მოდი ჩემთან, რადგან არის შენი ნება,
მაგას ცოდნა აწ რად უნდა, მე მომყევი ნება-ნება,
ეს იქნება ორთავესთვის ტკბილი გრძნობის განახლება.

თუთაშხია ზეზე ადგა, თან სამოსი გაისწორა,
ხანჯალ, ნაგან, მაუზერი თავის ადგილზე ასწორა,
ავდექი და შევჩურჩულე: ნაგანი მომეცით სწორა,
იქნებ მეც შემოგეშველოთ, თუ იქნება ტყვიით სროლა.

მაშინათვე მან ნაგანი, ფეხზე შეაყენა, მომცა,
ნაგანი ჯიბეს ჩავიდე, მან მანიშნა, არ ღირს მოცდა,
ცუდი ამბავი ტრიალებს, ვხედავ, არ უნდა გამოცდა,
ბოდიშს გიხდით თქვენ პირადად, ცუდი რამე თუ წამომცდა.

ამას მისგან არ ველოდი, ვთქვი, ნამუსმა შეაწუხა,
ამ დროს გვერდით ოთახიდან შეკივლებამ შემაწუხა,
თითქოს არა ყოფილიყოს, თუთაშხიამ არ იწუხა,
რაღაც უცბად, ალბათ, ახლოს გაიელვა, დაიქუხა.

დურუ უცბად გამოვარდა, მას მოსდევდა შვილი ძობა,
იმათ შანდლები ეჭირათ, თანაც, თითოს ორი გზობა,
დურუ მიხვდა, რაც მომხდარა, მაგას ეყო ამის გრძნობა,
— კიკუ, გამო შენ ახლავე, თუ არ გინდა თავის წაძრობა.

— დამღუპეთ ხომ, ძაღლისშვილო, — დურუმ აქ დაიღრიალა,
შევარდა თავის ოთახში და თოფით გამოგრიალდა, —
— გამოუშვი ახლავ კიკუ — თან თვალები აუბრიალდა,
მე ახლავე მოგიყვებით, რაც ამბავი დატრიალდა.

დურუ ძალიან გაბრაზდა და ცალი ლულა დასცალა,
გამოვარდა უცბად ბოდლო, დურუს ასე მიაძახა:
— ვის აგინებ, მამაძაღლო, — სულის მოთქმა არ აცალა,
და სასწრაფოდ საწყალ დურუს ორი ტყვია დაახალა.

ხელი მან მუცელს იტაცა, იატაკზე გაიშხლართა,
საქაოს არა იყო, საქმე ისე დაიხლართა,
— ბოდლო, ეს რა ჩაიდინე, აიკიდე ტყვილად ხათა,
დურუს სისხლი კისერს გაწევს, ეს რა ცოდვა დაგემართა.

დათა უკვე ტანთჩაცმული კარებისკენ მიდიოდა,
ძობა მას უკან მისდევდა და ასე მას უჩიოდა,
— ნუ დაგვტოვებთ, დათა ძია, — კიკუც ასე გაკიოდა,
აბრაგს არაფერი ესმა, უკვე გარეთ გადიოდა.

— თუთაშხია, კისერს გაწევს შენ ჩემი შვილების ცოდვა,
აქ კი კიკუ კივილს მოჰყვა, — ვავა, ბაბა, ჩქიმი ცოდა[1],
ბაბა, ადექ, არ დატოვო შვილები და შენი ოდა,
მაგრამ დურუ აქ არ იყო, საიქიოს მიდიოდა.

თუთაშხიას ხსენებაზე ყაჩაღები გაინაბნენ,
ისე გახევდა სამთავე, პირსაც ველარ დაიბან[illegible]
დაეტყოთ, მათ შიშმა ძლია, ყველაფერი მიი[illegible]
სამივე უსიტყვოდ იდგა, ერთი სიტყვა ველარ და[illegible]ს.

აქ ყვალითაგამ ყური ცქვიტა, მაუზერი შეაყენა,
ნუ მიგყავს, დათა, ცხენები, თორემ წამოველ შენსკენა,
ეს ტყვია გულს გაგიგმირავს, გაგისიტუმრებს მიწისკენა,
დათამ იქიდან უყვირა: დააყენე, ბოლლო, ენა.

—სამივე წუპაკები ხართ, სამივეს სახეს გატყვია,
გამბედაობა ვინ მოგცათ, თქვენ რომ მესროლოთ მე ტყვია,
დურუს სისხლი კისერს გაწევთ, ღმერთისათვის მოწმინდვია,
თქვენისთანა ხალხისათვის თავზე ლაფი დამისხია.

ტახტი დუქანს გავიტანეთ და ცხედარი დავასვენეთ,
მღვდელმა მას წესი აუგო, მე ვერაფრით მოვისვენე,
ჯიბეს იარალი მქონდა, სულიერად ვერ ვისვენე,
ავდექი, თხრილში ჩავაგდე და ნერვებით დავისვენე.

სამეგრელოში მე თითქმის წელზე მეტი გავატარე,
გავიგე კიკუ მომკვდარა, ძობას ვერსად შევეყარე,
ქუთაისში წავიდა, იქ ჰყავდა მაგას მოყვარე,
ისე დავცილდი იმ ალაგს, როგორც დედამიწას მთვარე.

---

1. ვავა ბაბა ჩქიმი ცოდა — ვაი მამა ჩემი ცოდვა.

# ბრაში სეგედი

მე და მუშნი ზარანდია მეფისნაცვალთან დაგვიბარეს,
დანიშნულ დროზე მივედით, მაშინათვე გაგვატარეს,
პოლკოვნიკი სახონოვი ჩამოსულა, ჩვენ გვახარეს,
ამ გამოთქმით ოფიცრებმა თავის ჭია გაახარეს.

პოლკოვნიკი სახონოვი ძან ქერქეტა კაცი იყო,
დიდ თავადის მონათლული, სადღა გინდა, რომ არ იყო,
თბილისური, თან რუსული ანეკდოტების თქმაც იყო,
მეფის ნაცვალს მე მივმართე, სხდომა დაწყებული იყო.

სახონოვმა უზრდელურად ზარანდიას მიახალა,
— შენი რა ნათესავია დათა, ეგ ყვავის ბახალა?
— ჩვენ და-ძმათა შვილები ვართ, თქვენ რა გინდათ ამით ახლა? —
მუშნიმ წუთითაც სახონოვს სულის მოთქმა არ აცალა, —

რაც დათა აბრაგად გავიდა, მე ის აღარ მინახია,
— ძან დიდ ფასად ღირებული საყურე ხომ გინახია?
— სრული ჭეშმარიტებაა, მართლაც ვნახე, რა ხანია,
ახლავე ქაღალდს მოგართმევთ, რაც თქვენ არ დაგინახიათ.

ებრაელებმა საქმეში მე ქრთამი შემომთავაზეს,
ცივი უარი რომ ვტკიცე, უფრო მეტიც შესთავაზეს,
რადგან ჩემთან ვერას გახდნენ, მათ სხვა გზები გამონახეს,
აიღეს და ეს საყურე თურმე ჩემს ცოლს უთავაზეს.

აი, ნახეთ ეს ქაღალდი, წაიკითხეთ რა წერია.
სახონოვი სახტად დარჩა, რაც ნოტარუსს უწერია.
— მე საყურე ჩავიბარე, — ებრაელს დაუწერია, —
ერთ ტაფაში ყველას რად სწვავს უპატრონო იმპერია.

სახონოვმა მათ მიმართა: ჩვენს წინ ორი საკითხია,
ჩვენ გეგმას სახელი ვარქვათ, მე ასე მსურს „კილიკია“,
მას უფროსი უნდა ჰყავდეს, კაცი კარგად ნაკითხია,
ასე ვატყობ, ზარანდიას ბევრი წიგნი უკითხია.

„კილიკიას“ ხელშძლევანელად ზარანდია დაინიშნა.
ჩვენი ფიქრები დაემთხვა, მეფისნაცვალმა მანიშნა,
სახონოვმა ამ მომენტში ქაღალდს რაღაც ჩაინიშნა,
მუშნი ისე ჩუმად იჯდა, როგორც უმწიკვლო „ბარიშნა“.

აქ თათბირი რომ დამთავრდა, მე და მუშნი ერთად გავედით,
საჭიროა ამ საქმისთვის საჭირო ხალხს მოვნახავდეთ,
ზარანდიამ ასე მითხრა, მე ორი დღე დამაცადეთ,
შევარჩევთ კანდიდატურებს და პატაკსაც თან მოგართმევთ.

პატაკი რომ წავიკითხე, დავრჩი მე ძან ნაოგნები.
კანდიდატებად ეწერა ქმრის მოღალატე ცოლები,
ერთგული და მოღალატე ხომ იყვნენ თანასწორები?
მუშნიმ მითხრა: მოგახსენებთ, რად არ არიან ტოლები.

— ერთგულები სახლში სხედან, თავიანთ ბავშვებს უვლიან,
მოღალატე ცოლები კი ხუთჯერ ქალაქს მოუვლიან,
თითქოს საქმეზე მიდიან, ცხრა ოჯახს შემოივლიან,
და ჭორების მოსასმენად ას კილომეტრს გაივლიან.

—ქარაფშუტა ხალხია და მათზე ნდობა ძან ძნელია.
— მათზე ნდობა შეიძლება, ჩვენთვისაც სასურველია,
მათ იციან სად და როდის საყვარელი მომსვლელია,
უყურებენ, თან ხედავენ, ვინ სად არის წამსვლელია.

რომ დავფიქრდი, მერე მივხვდი, მუშნი იყო აქ მართალი,
ღალატის გამხელის შიშით, მათკენ იყო სამართალი,
ჩვენთან აგენტად ყოფნის დროს აეხილებოდათ თვალი,
თორემ ისე იფეთქებდნენ, როგორც ნაპერწკლიდან ალი.

— რამდენი გყავთ თქვენ სიაში აგენტად ასეთი ქალი?
— სულ ცოტა ასოცდაათი, მათ ედებათ ცეცხლის ალი.
და ყველა თანახმა არის, უნდა გითხრათ მე მართალი,
ქმრების ღალატს რას დავეძებთ, ჩვენთან იყონ გულმართალი.

მუშნიმ გეგმა მომაწოდა, მომავალი ჩანაფიქრი;
— მე მსურს ასე გავაკეთო, ასეთია ჩემი ფიქრი,
ყურადღებით მომისმინეთ, ჩაიწერეთ დანაფიქრი,
თუ გეგმა არ მოგეწონათ, გამომიმჟღავნეთ ნაფიქრი.

აბრაგების ჯგუფს ცალ-ცალკე ჰყავთ თავიანთი უფროსი,
მისი სიტყვა კანონია, გინდ ასაკით იყოს უმცროსი,
ჩანაფიქრი ძან ძნელია, როგორც გრდემლზე რტყმა უროსი,
მთელ სიმძიმეს თავზე ვიღებ, როგორც ჩაცმას უძიროსი.

აბრაგთაგან ავარჩიე სამი, ვინც უძლეველია,
თავხედი, დაუნდობელი, მძარცველი სარჩიმელია,
წერა-კითხვა მან არ იცის, ბევრი ტყუილის მთქმელია.
ხუთი წელი ციხეს იჯდა, ეს ხომ ჩვენთვის ნათელია.

ოცდათორმეტ წლის აბრაგი ჩემი სისხლი თუთაშხია,
თორმეტი წელი აბრაგობს, ის ხალხის თვალში ეშხია,
არწივივით სწრაფი თვალი, ცხენზე ჯდომა მის ხელშია,
ის ტყვიას ტყვიაში ჩასვამს, აქვს იარაღის თქეშია.

ოცდაშვიდი წლის ასაკის ფრთხილი ბუდუ ნაკაშია,
აბრაგობდა თავის ძმასთან, არ ყოფილა საკანშია,
გიმნაზიის ექვსი კლასი დაამთავრა ცოტა ხანშია
აბრაგთ ხვედრი ასეთია, ხან წყურია, ხანაც შია.

შერიგების ოპერაცია სარჩიმელიას ცდით დაიწყო,
რაჟას ასე დაყოლება, რბილად რომ ვთქვათ, ტუფტა იყო,
ასევე ცდა·შერიგების ლუკასთან წყლის ნაყვა იყო,
ჩვენ მხოლოდ თესლი ჩავაგდეთ, ის რომ გაღვივებულიყო.

აბრაგ დათას მეგობრობდა კაცი მჭედელი ნინუა,
ბევრი, ბევრი წლის მანძილზე დათამ ნინუა იგუა,
მალაქია სიტყვა-ძუნწი და უთქმელი ვითარც ქუა[1],
დათას აღარ შევხვედრივარ, სიმართლეა, ტყურას ვაფთქუა[2],

1. ქუა — ქვა.
2. ტყურას ვაფთქუა — ტყუილს არ ვიტყვი.



ზუგდიდიდან აგენტი ქალი ჩვენვე გავაგზავნეთ გალში,
მეგზურად ხალხი ვაყოლეთ, არ ვყოფილიყავით ვალში,
რამე ცუდი შეხვედროდა, ვვარდებოდით მის ქმრის ყბაში,
ასე იყო ეს საჭირო, დასანახად ხალხის თვალში.

გზად მიმავალთ მხედრები ნინუა მჭედელს მიადგნენ,
მაგათ ქალბატონის ცხენი დასაჭედად მოამზადენ,
განრიგით დაცული გეგმა მათ წინასწარ გაამზადენ,
მალაქია უკვე მიხვდა, რომ მას რაღაცას უმზადენ.

დათამ ბოლოს რომ წაართვა, ასე მგონი, ეს ცხენია,
ლევან, ძმაო, შენ რას ამბობ, ეს ცხენები ხომ ჩვენია,
თუთაშხია რა შუაშია, სხვა რამე თქვა, გირჩევნია,
მოტყუება აღარ გინდა, ხალხს სიმართლე ურჩევნია.

მაზრის უფროსი ოჯახით რაჟას გაუჩერებია,
რაც ებადა, გაუძარცვავს, ქალის პერანგსაც ხებია,
პოლიცმეისტერი ნიკანდრო ქირიაც კი თან ხლებია
და გაძარცული ოჯახი ტყეში დაუტოვებია.

რაჟას მაზრის უფროსისთვის, აი, ასე შეუთვლია:
გირჩევ, თავი დამანებო, თორემ შენი დღე თვლილია,
შენს ცოლ-შვილსაც არ დავინდობ, მე ასე შემომითვლია.
სიტყვა თუ არ შევასრულე, წუთითაც ნუ გამივლია.

რა უქნა რაჟამ აბრაგსა, ხომ გაიგე შენ მაშინა,
მაგან დათას საყვარელი, ეტყობა, ძან შეაშინა,
ერთხელ ლოგინშიც უნახავთ ბეჩუნისთან სახლსა შინა,
ქალი რაჟას ეხვეოდა, როგორც სურო ხესა შინა.

დათას მართლა ჰყავს საყვარლად ლამაზი ბეჩუნ პერტია,
რაც ხთქვით ახლა სიცრუეა, ქალი არ გახლავთ ცეტია,
ენა ბევრ რამესა იტყვის, მაგრამ ეს აქ ზედმეტია,
შენი თვალით ნახვა გიჯობს, არც ნაკლები, არც მეტია.

ყოველივე აქა თქმული დათამ იმავ დღეს გაიგო,
— ყველა ეს მონაჭორია, სხვანაირად არ გამიგო,
ვისი ცხენიც შენ დაჭედე, ყველა მოსყიდული იყო,
იმათმა სიტყვა გიმოწმეს, რაც შენგანა თქმული იყო.

სარჩიმელიამ და მისმა ხალხმა მშვენიერ დღეს გზები შეკრეს,
და ბაზრიდან მომავალი კაცი, ქალი ტყეს შერეკეს,
დათა შემთხვევით წააწყდა, მძარცველები უმალ გარეკეს,
— დაუბრუნეთ ყველაფერი, თორემ სიკვდილს შეგახვედრებთ.

რომ შეიქმნა შეხლა-მოხლა, დათამ ერთი იქვე მოკლა,
— ორივენი წადით ცოცხლად, აღარა მსურს თქვენი მოკვლა,
ხალხის ცოდვას მე არ ვიდებ, ამის ცოდვაც თქვენ გედებათ,
ჩემ სახელით ხალხს ნუ ძარცვავთ, თორემ დრო თქვენც დაგიდგებათ.

დათას ასეთი მოქცევა უკვე ქვეყანას მოედვა,
მაგას ყველა ალმერთებდა, თუმც თავი სასწორზე ედვა,
აბრაგს სულ სხვა ადარდებდა, მარტოობა, თანაც სევდა,
სურდა მალე აღსრულოდა, რაც საბრალო გულში ედვა.

რაჟას სოხუმშია ჰყავდა ვიღაც ქალი ტროანფილდი,
ორმოცი წლის მარტოხელა, ბერძენი და თანაც ფლიდი,
ნაძარცვ საქონელსა ჰყიდდა, მას მოგება ჰქონდა მშვიდი,
მიწის ნაკვეთი იყიდა, წამოჭიმა სახლიც დიდი.

რაჟასა და ქალის ტრფობა ჩვენ აგენტურით ვიცოდით,
ნივთმტკიცება ხელთ არ გვქონდა, ამიტომაც არ ვჩქარობდით,
გემზე ასვლისას დავაკავეთ, უკვე საკმარისად ვცნობდით.
ქალს უკვე კარგად ესმოდა, ჩვენ იმას არ დავინდობდით.

მაგრამ ფლიდმა დედაკაცმა ჩვენთან სხვა ფანდი იხმარა.
— წამოდით, ახლავ განახებთ, — ვიღაც კაცთან მიგვიყვანა, —
საქონელი, რაც წამართვით, მე ამან გამომატანა.
ვერ გავუძელ ამ ცდუნებას და სიციევმ ამიტანა.

ზუგდიდს მიმავალ ოფიცერს გზად ორი აბრაგი დახვდა,
გააჩერეს, სულ წაართვეს, რაც ქონება მათ გააჩნდა,
სადაც ყაჩაღობა მოხდა, ზარანდია უმალ გაჩნდა,
როგორც ძიებით დამტკიცდა, ამას რაჟას ხელი აჩნდა.

აქ უკვე საჭირო იყო ჩასაფრება და თვალთვალი,
უნდა ნელა აგვეყვანა ტრიანფილდი სახლს მავალი,
კირიაკა დავიჭირეთ სახლისკენ ფუთით მავალი,
ისეთი კირკიტა აღმოჩნდა, ვით სალი კლდე შეუვალი,

როზგებმა და შეპირებამ აქ თავისი გაიტანა,
კირიკია დავითანხმეთ, რომ ამბები მოეტანა,
რაჟას იგი შეხვედროდა, თან ფულები მიეტანა,
თუკი ცემას დაუწყებდა, ყველაფერი აეტანა.

მუშნის ტრიანფილდის სახლში ნივთმტკიცება ხელზე ჰქონდა,
ნივთებს სახლში ინახავდა, ზოგი სხვაგანაც გაჰქონდა,
ჩვენ მაინც ვერ დავადგინეთ, რა ჰქონდა და რა არ ჰქონდა,
როგორც ბირდაბირი ხერხი, გაჰქონდა და გამოჰქონდა.

ტრიანფილდი კარგად გრძნობდა, რომ მას ცუდად ჰქონდა საქმე,
და აქ მუშნის შეეხვეწა, გამიკეთეთ მე თქვენ რამე,
მე აწ ყველაფერს ვიღონებ, პატიოსნად ვიყო აწ მე,
თქვენ ჩემს სიტყვას დაეყრდენით, გინდა დღე და გინდა ღამე.

ზარანდია ქალს შეპირდა: ჩვენ ყველაფერს შეგისრულებთ,
ყველა ფული, რაც გერგება, უეჭველად დაგიბრუნებთ,
ჯამაგირსაც დაგინიშნავთ, მეფისნაცვლის ქაღალდს მოგცემთ,
და რომ ჩვენი აგენტი ხარ, არავისთან არ წამოგცდეთ.

კავკასიურ ცხოვრებაში კარგად ვიყავ ჩახედული,
მე ალლო მუდამ მწყალობდა, ვიყავი წინდახედული,
ბევრი ჭკუით სავსე იყო, ბევრი ჭკუით არეული,
მაგათ სუყველას ვუგებდი, ცუდს არ ვიყავ ჩარეული.

სამეგრელოს ერთ სოფელში ცხოვრობდა კაცი თოდუა,
შესანიშნავი მოკრივე, უცოლშვილო, თავად-სქუა[1],
ჩხუბი ექცა გატაცებად, ჰქონდა კარგი, დინჯი ჭკუა.
თუმცა გვიან დაქორწინდა, მას ეყოლა ოთხი სქუა[2].

ოთხივე ბიჭს თვითონ წვრთნიდა, ასწავლიდა კრივის ხერხებს,
შვილებო, კაცს თუ მოუნდა, ის ყველაფერს გაახერხებს,
იცოდეთ, სპორტი სპორტია, აღარ აყვეთ ცუდად ნერვებს,
ღარიბ-ღატაკს დაეხმარეთ და გაიდგამთ ყველგან ფესვებს.

იმათ მამის არ ისმინეს, უქმად იწყეს ხეტიალი,
აყალ-მაყალის ატეხვა იყო მათი იდეალი,
ხალხმა ყველამ შეიძულა, მოსწყინდათ თვალთა ბრიალი,
ცუდის მქნელ კაცს არ დაინდობს ცხოვრება ოხერ-ტიალი.

დედა ნუცა ნაკაშიამ გაითქვა დიდი სახელი,
ჭრილობების მოსარჩენად წამლის მზადებას ჰყო ხელი,
შრომა-გარჯამ ნაყოფი იღო, მოიმაგრეს კარგად წელი,
მაგრამ ის ბიჭები სძულდათ, როგორც შხამიანი გველი.

დოროთე მეჯოგეთ იყო, იქ გაიცნო ჩვენი დათა,
ისინი ძან დამეგობრდნენ, მაგრამ მოხდა ერთი ხათა,
როს კარავში ღვინოს სვამდნენ, გადავარდა უცბად კათხა,
ბიჭებმა ესეც იკმარეს, უმოწყალოდ სცემეს დათა.

დათამ აქ დოროთეს ხათრით ყველაფერი მოითმინა,
დოროთე გულში ფიქრობდა, აბრაგმა ეს როგორ ითმინა,
მან ცხვირ-პირი დაიბანა — რატომ მცემეს მე, რისთვინა,
ზრდილად ყველას დაეთხოვა, გზა განაგრძო თავისთვინა.

ამის შემდეგ თუთაშხია მაგათ არ გაკარებია,
მათი ცუდი ანდა კარგი მის გულს აღარ ყვარებია,
ორ წელიწადში გამოჩნდა, ხალხს სისხლი მოსწყურებია,
დოროთეს გარდა ოჯახში, საფლავს მიუბარებია.

1. თავად სქუა — თავადის შვილი.
2. სქუა — შვილი

რადგან მკვლელები ჩქარობდნენ, იქ ხილბანდი დარჩენია,
ნუცას კარგი სამკაული შვილებისთვის მიუჩენია,
— სამკაულზე ნურსად იტყვით, ხმა გაკმინდეთ, გირჩევნია, —
ასე ჰკადრა მუშნიმ ყველას, საქმეს ასე ურჩევნია.

მუშნიმ მიზნად დაისახა, გვარებს შუა ეგდო შუღლი,
აბრაგი ძმად ეკუთვნოდა, არ გაუხსნია მას შუბლი,
ორ აბრაგ ძმებს ნაკაშიებს უნდა მოეძიათ შური,
თითქოს ნუცას მის შვილებით დათამ ამოხადა შური[1].

აქ ბეჩუნი პერტიასაც გაუვრცელეს უცბად ჭორი:
რაჟასგან ჰყავს ბეჩუნს ბიჭი, ნამდვილად არის ეს სწორი,
შენ ხომ ხედავ, თუთაშხია უკან დაგდევს მკვდარი სული,
ამათ ისიც დაუმატე, ბეჩუნ, რაჟამ გიკლა გული.

იმ ნაკაშიას ადგილი ჩვენთვის იყო გაცნობილი,
თხოვნა აღარ შეასრულა, რაც ჰქონდა მას მინდობილი,
ორი კაზაკი მოგვიკლა, ტყე იყო მისი დობილი,
ლუკა კი ძმა, დამნაშავედ არა ყოფილა ცნობილი.

ერთხელ აზრი წარმოიშვა, მოდი, ლუკა დავიჭიროთ,
ბუდუ, ახლა შენ ჩაგვბარდი, ყელში რომ არ დაგაჭიროთ,
აქ ვიღაცას მოაგონდა, ლუკა ჭკუათხელი იყო,
მის სამართალში მიცემა სრული უკანონობა იყო.

დაუდარაჯეს და ლუკას გზაზე მაუზერი დაუგდეს,
ლუკა დიდხანს უყურებდა, ყური სხვისთვის არ დაუდევს,
იარაღი ქამარს გაირჭო, თვალი ჩვენთვის არ მოუკრავს,
სტვენა-სტვენით გზა განაგრძო, თითქოს სალამურსა უკრავს.

გზად ნანახი იარაღი ლუკამ ბუდუს მიუტანა:
— გზაზე ენახე, მე არ ვიცი, — თანაც ასე დაატანა:
ბუდუმ უცნაური საქმე ბევრჯერ აწონა, დაწონა,
ალბათ, ეს შემთხვევითია, მაუზერი მოეწონა.

1. შური — სული.

ის ნაძარცვი მაუზერი ტრიანფილდის ჩამოვართვით,
ყველაფერი გეგმით იყო, გზაზე ლუკას ჩვენ შივართვით,
ვიცოდით ბუდუს მისცემდა, აღარ დააყოვნა ხანით,
ბუდუს წელზე შემორტყმული რაჟას დაენახა თვალით.

მიუხედავად სხვა აზრისა, მუშნის დათა ძან უყვარდა,
რადგან ელე, დათა, მუშნი ერთ ოჯახში გაიზარდა,
მუშნი ელეს ხელს უწყობდა, მის სახლ-კარზედაც ზრუნავდა,
სახლს რემონტი სჭირდებაო, და ფულებიც არ დაზარდა.

მუშნიმ მერე იმ ჩვენს ელეს ერთი კაცი მიასწავლა,
კარგ ოსტატებს მოგიძებნის, აღარ გინდა სხვაგან გავლა,
— ოსტატები მუშაობენ, მოგიხდებათ ცოტა დაცდა,
როგორც კი იქ მორჩებიან, აღსრულდება თქვენი განცდა.

ალბათ, გასაგები არის, ეს კაცი აგენტი იყო,
ოსტატების გასაგზავნად საჭირო სიგნალი იყო,
ელეს დიდხანს არ უცდია, ოსტატები მასთან იყო,
შეაკეთეს სახურავი, წვიმა არ ჩამოსულიყო.

მუშაობისას ერთ ოსტატმა სხვებსა მეტი დააცალა,
და მან დანიშნულ ადგილას ნუცას ხილბანდი დამალა,
მინამ მორჩნენ მუშაობას, მათ წვიმამაც დააცალა,
მიიღეს თავის ნაშრომი, გზას გაუდგნენ ყირამალა.

„მუშნის ცოლი ცუდად არის“, — ელემ დეპეშა მიიღო,
სახლი სასწრაფოდ დაკეტა, თბილისისკენ გეზი იღო,
სურსათი და სანოვაგე რძალისთვის ელემ წაიღო,
ასე მოხდა ეს ამბავი, ცუდადა თუ კარგად იყო.

აქ საჭირო აღარ იყო რამე იარაღის შოვნა,
საჩქაროდ ძმებ ნაკაშიებს ხილბანდი უნდა ეპოვნა,
თოდუების დახოცვაში აქ არ იყო სხვა ბერია,
იცოდეთ, მათ დახოცვაში დათასი ხელი ერია.

ჯარანდიამ ოპერაცია იქ აფიცერს დაუტოვა,
ჩამოვიდა ის თბილისში, ყველა საქმე მიატოვა,
კიდევ ხუთი საქმე ჰქონდა, თუმც არცერთი არ დატოვა,
მის ჩამოსვლა გამიხარდა, მე რომ მარტო არ დამტოვა.

დაბრუნდებით? – შევეკითხე, მან მომიგო – არა, არა,
– როგორ შედეგს ელოდებით? – მგონი, კარგსა ცისამარა,
რაჟასი შემორიგება, ნაკაშიების აყვანა,
თუთაშხია ამის შემდეგ თვითონ გვეახლება თანა.

– ამ ხათაბალა ამბავში შეიძლება მოკლან დათა,
– ვარიანტი არ არსებობს, რადგან არის აქ სხვა ხათა,
ტყვიის სროლას ვერ დაასწრებ, მარტო არის, როგორც ხვართა,
ელვაზე უფრო სწრაფია, ასეთია ჩვენი დათა.

აბრაგებმა კითხვა-კითხვით ნახეს ლენტორი კუპრავა,
თქვენ სასწრაფოთ მიპასუხეთ, რატომ მოხდა სახლში დავა,
დისშვილები და ჩემი და ვინ და რისთვის დამიხოცა,
სიმართლე თქვი, თორემ ცოლ-შვილს მე ახლავე დაგიხოცავ.

კუპრავას უარი და სიცრუე ხელისგულივით მოჩანდა,
იგი მუხლებზე დაემხო, აქ ტყუილს კუდი უჩანდა,
მე ყველაფერს მოგიყვებით, ნუცას დათას ტყვია აჩნდა,
მოგლიჯა სამკაულები და თვითონ გაუჩინარდა.

– და ყველა ის სამკაული დათამ მის სახლში დამალა,
თუ ტყუილი მოგახსენო, მომიკვდეს შვილი ამალა,
ოსტატმა სამკაულები იქვე სხვაგან გადამალა,
მე განახებთ თქვენ იმ ადგილს, სადაც ოსტატმა დამალა.

ამის შემდეგ ნაკაშიებს ხილაბანდი ხელში ჰქონდა,
სახლს ბენზინი გადაასხეს, ალი ცაში ადიოდა,
სოფელი გამოსულიყო და ხედავდნენ, რა ხდებოდა,
ყველაფერი აქ მუქარით და სასწრაფოდ ასე მოხდა.

ორმა კვირამ გაიარა, რაჟა, ნაკაშიებს შეეფეთა,
იცნო ნაძარცვი მაუზერი, რომელიც ლუკას ეკეთა,
აბრაგი ყველაფერს მიხვდა, აქ იყო გზის გადაკვეთა,
ნელა გასცდა ის ყაჩაღებს და თავის გზა გაიკვეთა.

სარჩიმელიამ გაიგო დათას სახლ-კარის გადაწვა,
რაჟას არ გახარებია და საკმაოდ გული დასწვა,
ისურვა აბრაგის მოძებნა, სურდა ყველაფერი ეთქვა,
მე მოვკლავ იმ ნაკაშიებს, შეუწყდებათ გულის ფეთქვა.

ასეთი ხმებ.ის გაგებით დათა ბევრმა შეიძულა,
თვითონ მონასტრის მოძღვარმა თვით აბრაგი მოიძულა,
— არ ჩამიდენია, დედაო, მე არა ვარ მისი კაცი,
— ერმა ეს უკვე ირწმუნა, რომ არა ხარ შენ ვაჟკაცი.

აბრაგი სარჩიმელია სულ ტურასავით დაძრწოდა,
მას დათას ნახვა უნდოდა, ტყე-ველი ცხენით დარბოდა,
აბრაგს, ალბათ, აწ მობეზრდა და რაჟას თვითონ ანიშნა,
ბანძას მორდეხასა ქოხში შეხვედრის დრო დაუნიშნა.

— გამარჯობა შენი, მორდეხ, — შენ სიკეთე მოგცეს ღმერთმა,
თუ სასიკეთოდ დადიხარ, შეგიწყალოს ერმა, ბერმა,..
სამი დღე და ღამ მორდეხასთან იწვა და დათას ელოდა,
იმ საღამოს კიდევ დაწვა, მეოთხე დღეს დაელოდა.

ყაჩაღის თოფს და რევოლვერს მორდეხმა ტყვია ააცალა,
დათა ღამით შემოვიდა, ყაჩაღს ძილი დააცალა,
მორდეხამ ცეცხლი დაანთო, აქ რაჟას გამოელვიძა,
— სალამი, დათა ბატონო, ვიგრძენ მოსვლა, გამეღვიძა.

გზით გაყვანილ ხალხს ვძარცვავდი, შენ მართალი არ იყავი,
მაგი გულში არ ჩავიდე, მაინც სიკეთე გიყავი,
ბეჩუნი პერტიასთან კი ვარ მართალი და ვიყავი,
ეს ყველაფერი ჭორია, ახლა რაც გინდა, მიყავი.



ერთმანეთთან მტრობას, დათა, არაფერი არ უქნია,
სოხუმს ქალთან ფული მქონდა, ნაკაშიებს წაუღია,
ფული ამომაღებინე, ნაღდი არის თუ ნისია,
მე შენ გაძლევ კაცურ სიტყვას, ნახევარი გამიყვია.

თუთაშხიას მხოლოდ ახლა ვითომ ღიმილი დაეტყო,
ამდენ ხანს რაჟას უსმენდა, მოთმინება მაგას ეყო,
თავი მაღლა მან ასწია, დათას სიბრაზე დაეტყო,
— რაჟა წადი შენსა გზასა, სანამ ცუდი რამე გიყო.

მორდეხამ სარჩიმელიას ყველა ვაზნა მიაწოდა,
— დათამ გითხრა, ადექ, წადი, სიტყვა ღიმილით გაწოდა!
რაჟა აბრაგს რაღა ექნა, თანაც სირცხვილით იწოდა,
იარაღი მან აისხა და საჩქაროდ კარს იღწოდა.

მორდეხის შვილიშვილი ისაკ მაშინვე ქოხს შემოვიდა,
აქვე ტაბლა მან გაშალა, თან მწვადის სუნი მოვიდა,
ბევრი რამე გაიხსენეს, თანაც კარგი დრო გავიდა,
იმ დროს ვეღარ დაიბრუნებ, დიდი ხანია წავიდა.

მარტო ვერ გაბედავს რაჟა ნაკაშიებთან მივიდეს,
შეიძლება ჩაუსაფრდეს, ისე მოკლას და წავიდეს,
ისაკ, წადი, ნახე ბუდუ, რაც აქ ითქვა, არ გაეიწყდეს,
ყველაფერი აუხსენი, სიმართლე არ დაგავიწყდეს.

ნაკაშიების მოძებნა ისაკას ძნელი გაუხდა,
თუთაშხიას თქმული სიტყვები მორდეხას აქვე აუხდა,
ბუდუ ადგილზე მოუკლავს და ლუკა კი გაქცეულა,
შუაკაცის დახმარებით რაჟა აგენტად წასულა.

ერთ თვის თავზე თუთაშხიამ მორდეხის კარი შეაღო,
სტუმარმა სალამი მისცა და ხელი ჯორკოს შეახო,
მორდეხა ყველაფერს მიხვდა და შეკითხვა აღარ ახლო,
დათამ ცოტა მიიწია და დაუჯდა შორიახლო.



– მორდეხ ბატონო, დღესვე მინდა ათი ათასი მანეთი,
თუ ცოცხალი ვერ ჩამოველ, არ დამწყევლო სავანეთი,
შენ ცოცხალი თუ ვერ განახე, ისაკა მყავს ამ მხარეთი,
და თუ ორთავემ ვიცოცხლეთ, არ დაგეკარგება მანეთი.

აქ უსინათლო მორდეხას ერთი ხმა არ გაუღია,
იქნება გულში ფიქრობდა, ფული ეშმაკს წაუღია,
კაცს უჭირს და მიტომ მთხოვა, მას ხომ ვალად აუღია,
ცოტა ხანში ის ფულები დათას ჯიბეს ჩაუდვია.

## ირაკლი ხურციძე

წინ ღამით ნაქეიფარი ვიჯექი ჩემს კაბინეტში,
მე ჩემი თანამშრომლები კარგად ვაწყვე ერთმანეთში,
უცოლშეილო კაცი ვიყავ, ნამყოფი ვარ ბევრ მხარეში,
ქალები, კარტის თამაში და ქეიფი ყოველ დღეში.

გახლდით ერთი შნოიანი ახალგაზრდა ადვოკატი,
კარი ყველგან ღია მქონდა და არ ვიყავ ძან ამაყი,
კლიენტები ბლომად მყავდა, არც ჩემგან აკლდათ ამაგი,
ვერ ვიტანდი, ვინც კი იყო კუდაბზიკა, თანაც შმაგი.

ფიქრებში ვიყავ გართული, მსახური რომ შემოვიდა:
გეახლათ არზნევ მუსკია, თურქეთიდან ჩამოვიდა...
ორი წუთი არ გასულა, ორივენი აქ მოვიდა,
თურქი მეგონა ვაჟკაცი, მაგრამ ლაზი გამოვიდა.

– მე ელიზბარ ქოჩაკიძემ აქეთ, თქვენთან მომასწავლა,
სახელი მე აღარ ვიცი, რისი ყიდვაც დამავალა,
ყოველიდღე მეც ის მინდა, რაც თქვენთვის არის ცისმარე,
ფულებს მე თვითონვე ჩავდებ, მოიფიქრეთ, გამახარეთ.

წამიყვანეთ მეც იმ ხალხში, ვისთანაც თქვენ დროს ატარებთ,
არ შეგარცხვენთ არაფერში, მე, პირიქით, გაგახარებთ,
ჩემში დარწმუნებული ვარ, ვიცი ცუდს არ შემადარებთ,
და თუ თქვენ მოგეწონებით, ყოველდღე თქვენთან მატარეთ.

როდის გეახლო, თავადო? – ხვალ, ოთხზე, ბატონო არზნევ,
– მე ერთი სათხოვარი მაქვს, ეს ახლავე მიეიხაზრე,
ჩვენ გარიგების საბუთი დაგვჭირდება, გავიაზრე,
ჩემთვის საჭირო არაა, მაგრამ თქვენთვის მოიხაზრეთ.

ტკბილად დავშორდით ერთმანეთს და ზრდილობით გავაცილე,
მივუჯექი ჩემს მაგიდას, სხვა ფიქრები ავიცილე,
რა ზრდილი, რა ტანადია, სიტყვა-პასუხს ვერ ვეცილე,
დავფიქრდი და ჩემთვისა ვთქვი, ხომ არაფერს შევეცილე.

ყოველდღე მის ჩემთან ყოფნა ხარჯში არაფერს მიცვლიდა,
დროს სატარებლად მოსული ის ყოველდღე მოიცლიდა,
სამშობლოს დედაქალაქში, ალბათ, ყანწს ყანწზე დაცლიდა
და დანახარჯის გადახდას, ვგონებ, მე არ დამაცლიდა.

ავიღე საწერ-კალამი და საბუთი შევადგინე,
ორი ცალი რომ დავწერე, ჩემთვის ასე დავადგინე,
ერთ ცალს მუსკიას გადავცემ, მერე თავში აღვიდგინე,
სტუმრის ფულის დაბრუნება მაშინვე წარმოვიდგინე.

მეორე დღეს დანიშნულ დროს, არზნევ მუსკია მეწვია,
ევროპულად ჩაცმულიყო, ის ცარიელა პეწია.
მან საბუთი წაიკითხა – ფულის ადგილს რა ეწია?
რამდენია შესატანი ან რამდენმა მომიწია?

– მანეთსაც არ ავიღებდი, თქვენს ნებას კი ვერ გადავალ...
– ოცდაათი ათასიდან ოცი ათას მანეთს ჩავალ,
ათი ათასს დავიტოვებ, თქვენგან აწ მე აღარ წავალ.
ასე ვფიქრობ, რომ დღეიდან, სათურქოში მე არ გავალ.

ჩვენ საბუთი გავაფორმეთ, თანაც შამპანური შევსვით.
– საიდუმლო თუ არ არის, არზნევ, მითხარ, სად შეჩერდით?
– ვეტცელის სასტუმროში ვარ, პირველ სართულზე გავჩერდი,
დრო ყველაფრის მკურნალია და ჩემს ბედსა მე დავეჯერდი.

ჩვენ ოცი დღე დავრჩით ერთად, მუსკია თვალს მიეფარა,
უკვე მოხუცი კაცი ვარ, მეხსიერება ჯერ კმარა,
მაგრამ დღიურს მაინც ვწერდი, ის სიზუსტეს დამეხმარა,
ცოდვა არის ყველა კაცი, ბედს რომ აწევს წარამარა.

## თეთრი რვეული

ვიჯექი და მე ვფიქრობდი, რა მექნა და რა მეღონა,
ჩემი სტუმრის გასართობად რა უნდა გამომეგონა,
მსახურმა კარი გააღო და ჩუმად ასე მაგონა:
სადარბაზო ბარათი მაქვს...ეს სტუმარმაც გაიგონა.

— ირაკლი ბატონო, ხომ არა გსურთ ამ საღამოს სადმე წასვლა,
და თუ სადმე თქვენ მიდიხართ, არ მაწყენდა თქვენთან გავლა...
ღმერთო, ალბათ, ჩემს გულს იჯექ, აღარ მინდა მე დამალვა,
ზუსტად ახლა მეც ვფიქრობდი, აჯობებდა ჩვენი გავლა.

მე ზარი დავაწკარუნე და მსახური შემოვიდა:
— მიპასუხეთ, რა ხნისაა ქალბატონი, რომ მოვიდა?
— მგონი ოცდათხუთმეტისა, — ეს მითხრა და ის წავიდა.
ვიფიქრე მე ცოტახანი და ჩემამდე არ დავიდა.

მე ერთი დავთარი მქონდა, შიგნით გვარები მეწერა,
ამოვიღე, ბევრი ვფურცლე, რომ ის გვარი მომეძებნა,
შირერი-თავყელიშვილი, კიდევ დავიწყე იქ ძებნა,
თავყელიშვილ-შირერისა, აქ გავჩერდი, ვიგრძენ შველა.

ის სადარბაზო ბარათი მე მუსკიას გავუწოდე,
აიღეთ და წაიკითხეთ, ჩემო ლაზო, მე ვუწოდე,
ლაზი ბარათს კითხულობდა, როგორ ვუსმენდი, იცოდე,
ეს კაცი რუსი მეგონა, მაინც ვიტყვი, რომ ვიწვოდე.

ვინ არის ეს ქალიშვილი? — შემეკითხა მე მუსკია,
— როგორ გითხრა, ლამაზია, სწავლულია, თან პუწკია,
ჩვენ ერთად გავიზარდენით, თანაც ის ჩემი ტოლია,
ქმარმა განათლება მისცა, ეს ყველაფერი სწორია.

ზაქათალას მისმა ქმარმა მამულები შეისყიდა,
მუხის და კაკლის კორომის მერქანს და ნაყოფსაც ყიდდა,
იქ მან სახლი აიშენა, თან სოლოლაკშიც იყიდა,
მდიდრულად მორთო, მოაწყო, ეს მაგათ აღარ უჭირდა.

— კარგი, აბა, მე წავედი, — მან ბარათი მომაწოდა,
მივესალმე, მომესალმა, ქრუანტელმა დამიარა,
ჩვენ ბავშვობა მოვიგონეთ, მარტო ბავშვობა კი არა,
ქმარი, ოჯახი, სხვა საქმე ყველამ კარგად ჩაიარა.

— რამ გაწუხათ, ქალბატონო, შეგეკითხოთ შეიძლება?
— იმედი მაქვს საიდუმლო ჩვენ ორს შორის აქ დარჩება.
— აქ ლაზი მეგობარი მყავს, ჩვენი სიტყვა აქა რჩება,
ახლავ კარებს მე დავხურავ, ნება თქვენი თუ იქნება.

— აღარ უნდა კარს დაკეტვა, მე თამამად ასე გეტყვით,
მე რომ წავალ, სულერთია, თქვენ მეგობარს მაინც ეტყვით.
უცბად მე იმ ოთახიდან რაღაც ჩახანი მომესმა,
— არზნევ, შენ მანდ ჩუმად იყავ, ჩემი ხმა ხომ შემოგესმა.

— რა იყო, შე კაი კაცო, თოფი ხომ არ დამიცლია,
მე ძირს დანა დამივარდა, ახალებად მომიცლია,
თქვენს ლაპარაკს მამაკაცი შემოუსწრებს, არ ძნელია,
ჩემი სიტყვა გამართლდება, იცოდეთ, უეჭველია.

— ზაქათალა პატარაა, თან სამაზრო ქალაქია,
გვარად არის იქ ვეტროვი, პოლიციის სალდათია,
ცუდ რამეებს ჩმახავს ჩემზე, სასაცილო რომ არია,
მოთმინება აღარ მყოფნის, ქალი ისე გადამრია.

თითქოს ორი ოფიცერი მე საყვარელი მყოლია,
აბა, ასეთი ტყუილი ხალხში რა მოსაყოლია,
მე გავბრაზდი, ის მიმიხვდა, სიტყვას აღარ გაყოლია,
— ქალბატონო, მაპატიეთ, არ ვარ სიტყვის ამყოლია.

— აღსარებას ორი მღვდელი უსმენდეს, არ გამიგია,
პეტროვის ყურმისაწვდომზე ზურგი არვის დამიდვია,
თავისუფალი ქალი ვარ, მე ეს თქვენთვის გამინდვია,
ამას თუ სადმე გაამხელთ, თქვენს ნამუსზე მომინდვია.

ამ დროს უკანა ოთახში ხანგრძლივი ხველა გაისმა,
სიგარას ხშირად ეწევა, წვიმა იცის მაისმა,
— სიგარა აქ რა შუაშია, რაღაცით გული იჯერა,
გამიგონეთ რომ სტუმარმა ნათქვამი არ დაიჯერა.

— თავისუფალი რომ ბრძანდებით, მე ეს აღარ დავიჯერე,
ამიტომაც მე ჩვენებით ეგ ჩემი გული ვიჯერე,
გულახდილად აღიარეთ, თავისუფლება რით იჯერეთ,
და თუ სინამდვილეს იტყვით, მე ნამდვილად დაგიჯერებთ.

ნანო დაფიქრდა კარგა ხანს, მერე ასე უპასუხა:
არაფერზე და არასდროს არ მიგრძვნია თავი სუსტად,
ყველაფერ იმას ვაკეთებ, რაც მე მომინდება ზუსტად,
ესაა ჩემი პასუხი, არ ვგრძნობ თავს მე უსუსურად.

— ვხვდები, ნანო, გაგიგრძელეთ აწ ნათქვამი შესავალი,
გეტყვით, მხოლოდ მაცოდინა, რას მიქადის მომავალი.
ცუდი არ მიკეთებია, ვარ და ვიყავ აღმავალი.
სამუდამოდ აქა ვრჩები, სხვაგან არ ვარ წამავალი.

მე ვატყობდი, რომ პეტროვი უდიერად იქცეოდა,
ვხედავდი მას სხვა ქალებში, თან უტიფრად იცინოდა.
ვფიქრობდი, დონ ჟუანია, ყველა ქალს რომ შესცინოდა,
მაგრამ ბოლოს, როგორც ვარკვევ, მას სხვა რამეზე სციოდა.

ვახშმობისას ერთ ოჯახში ქალალდი ამოუვარდა,
ისე მოხდა, ის ქაღალდი ჩემს სიახლოვეს დავარდა,
ის ქაღალდი მე აქა მაქვს, სადაც რვა ქალი სწერია,
მითხარით, ჩემო ირაკლი, მე რა ბედი მიწერია.

– მაგ შენს სახლში იმ ხანებში უცხო ვინმე ხომ არ ნახე?
– ციხიდან გამოქცეული ორი კაცი შევინახე,
რაც სჭიროდათ, მათ მივეცი, გასაქცევი გზაც ვანახე,
და ეს ჩემი საიდუმლო შენ და შენს სტუმარს გავანდე.

ზღურბლზე აქ მუსკია იდგა, იგი ნანოს შეჰყურებდა:
– მაპატიეთ, მე მომწყინდა მარტო კარადის ყურება,
მაინც მესმის ყველაფერი, რა აზრი აქვს მარტო ყოფნას,
თუ არ მიწყენთ, ვისურვებდი მე აქ ახლო თქვენთან ჯდომას.

არზნევ მუსკია გახლავართ, – წარუდგინა ნანოს თავი,
ნანომ თვალი შეაგება, მაგრამ თვალი არა ავი,
არზნევ მოხდენილად იდგა, როგორც წყალში ნაზი წავი,
ყველაფერი სიმართლეა, არ გეგონოთ თქვენ იგავი.

– მე თქვენ სადღაც მინახიხართ! – ჩაილაპარაკა ნანომ,
ის დაფიქრდა დიდხანს, ჩუმად, ალბათ, უღალატა ალღომ.
– მომაგონდა, მაგრამ თქვენი გვარი ხომ სულ სხვა გვარია,
მართალს გეტყვით, ვისაც ვიცნობ, ის კაცი კი აბრაგია.

– აბრაგებსაც იცნობ? – ვკითხე, – ჩემო ნანო, ქალბატონო?
– საკმარისად! გეტყვით, ვიცნობ, ჩემო მუსკია ბატონო.
შიშის გრძნობა დავძლიეო, ან თქვენ რისი შიში გქონდათ.
დაფიქრდით და მოგვიყევით, თუკი რამე მოგაგონდათ.

– რადგან თქვენი სურვილია, ერთ შემთხვევას მოგიყვებით.
საქართველოს რომ დავბრუნდით, ოჩამჩირეს ვისვენებდით,
ზღვისპირას ქოლგა გავშალეთ, ვბანაობდით, ვკითხულობდით.
და, იცით, რა მოგახსენოთ, თავსაც მშვენივრადა ვგრძნობდით.

ერთ საღამოს მასპინძელმა ჩვენ ცხენები შეგვთავაზა:
– შორს ნუ წახვალთ, ახლომახლო ახლა საამოა გაელა,
შარაგზაზე ჩვენ გავედით, კარგი „ამორძალა“ მეცვა,
ახევე ქმარს ძალიან კოხტად, თანაც მოხდენილად ეცვა.





დღე და ღამე გაიყარა, მე კი სეირნობა მსურდა,
ქმარმა მითხრა: აწ დავბრუნდეთ, ცხენებს მოსვენება უნდა.
ეს იმიტომ შემომკადრა, გზებზე ძარცვა-გლეჯა იყო,
ყაჩაღები თარეშობდნენ, ყველგან ხოცვა-ჟლეტა იყო.

ცხენები წინ მიდიოდნენ, ჩვენი გზა კი ტყეზე იდო,
გზის პირს კაცი დავინახეთ, წინ ხურჯინი მას დაედო,
ის ვეფხვივით წამოვარდა, ხელებს მაუზერი ედო,
წყნარად გვითხრა: დაქვეითდით, ფეხით გავისეირნოთო.

ტყიდან მეორე ყაჩაღი თოფით ჩვენ თავზე დაგვადგა,
ცხენები მან ჩამოგვართვა და ტყისაკენ გზას დაადგა,
ჩვენც გვიბრძანა: გაყევითო, უკვე სხვა გზა არა იყო,
უნებლიედ მიგვიყვანეს, სადაც ხალხი შეყრილიყო.

ორმოცამდე კაცი, ქალი, იჯდა საცვლების ამარა,
აქვე იდო გატენილი რამოდენიმე ტომარა,
ყველაფერი რომ წაგვართვეს: — გაიხადეთ, აბა, ჩქარა!
ჩემმა ქმარმა ყბაში თხლიშა, გადაუშვა ყირიმალა.

ხურჯინით რომ გზაზე იდგა, ყოფილა სარჩიმელია,
იმას იყო, ყბაში მოხვდა, ის საზიზღარი მელია.
ამ დროს მეორე ყაჩაღმა ჩემს ქმარს კონდახი ჩაარტყა,
მივიჭერი, გულ-მკერდს ვეცი და ჭიდაობა გაჩაღდა.

რაჟა აწ გონს მოსულიყო და მან ხანჯლიანს უბრძანა:
— დაწყნარდი, საქმეს მიხედე, რას დადიხარ განდაგანა...
მან მე თავი გამანება, ლანძღვა-გინებით გამშორდა.
სარჩიმელია წამოდგა, იქ ვეფხვივით თარეშობდა.

შირერი აწ ზეზე იდგა და თანაც ტანზე იხდიდა.
— ქალბატონო, რომ იცოდეთ, თქვენი გახდა უფრო მინდა...
გავიხადე, მაგრამ შიში არ მქონია, დამიჯერეთ.
გართულებას მოვერიდე. მე სიმართლე დამიჯერეთ.

აბრაგი მომიახლოვდა, თვალიერება დამიწყო,
კარგა ხანს მათვალიერა, მერე ასე წამოიწყო:
— ჭიდაობა კი გცოდნია, უკეთესს ვერ ნახავს კაცი,
ჩემს კაცს ისე შეეჭიდეთ, როგორც მგელს გულადი ვაცი.

ახლა ამ ხალხს მე გავუშვებ, თქვენ კი აქავე წაგიყვანთ,
სანამ ქმარი ფულს მოიტანს, ვიჭიდავებთ ჩვენ ხანდისხან...
ეს სიტყვები მომახალა, იხარხარა არ დამრიდად,
აინუშში არ ჩამაგდო, ისევ გზას გუდგა მშვიდად.

ამ დროს ქმარმა დრო იხელთა და ყურში წამიჩურჩულა;
— დავბრუნდეთ — თქვა, რომ გითხარი, არ გესმა, ჩემო ბუნჩულა,
ჯიუტი ხარ, რომ იცოდე, ახლა გზას დამაყენებენ,
სანამ მე ფულს ჩამოვიტან, შენ აქ გამოგიყენებენ...

მაგრამ აქვე, ცოტა ხანში სასწაული დატრიალდა,
ჯერ მოდით, ჩვენ ის გავსინჯოთ, საქმე როგორ შეტრიალდა,
გულში იტყვით, ყაჩაღებმა მიგიტყუეს ხაფანგითო,
უიარაღონი მათ წინაშე აბა, რას გახდებოდითო.

— მიპასუხეთ, ქალბატონო, რას უნდა გამხდარიყავით,
— ჩვენ სიკვდილი ხომ შეგვეძლო, მარტოც რომ ვყოფილიყავით.
მწამს, რომ მსხვერპლი იქნებოდა, სხვა გზა ჩვენ არა გვრჩებოდა,
მაგრამ ხომ ძალადობიდან ბევრი რაღაც დარჩებოდა.

ღონიერთან ქედის მოხრა ხომ სიკვდილის შიში არის,
— მართალს ბრძანებთ, ქალბატონო, ეს კარგი დამთხვევა არის,
— სრული ჭეშმარიტებაა, — კვერი დაურტყა ქალმა აქ ლაზს.
ჩვენ ორთავე შევცქეროდით, გულით მოსაუბრე ლამაზს.

იქ ხომ ხალხმა ყბაში გარტყმა, ყირას გადავლება ნახეს,
გულში ფიქრობთ, ალბათ, სჯობდა მჯდომარესთვის ერტყა სახეს,
არ იფიქროთ, ის დაიბნა და ტომრებთან გონს მოეგო,
ეს იმისთვის გააკეთა, სხვები სირცხვილში ჩაეგდო.



ნახეთ, როგორ ღონიერი, კეთილი და მოწყალე ვარ,
თქვენზე ლამაზი ცოლი მყავს, თანაც ძაან, მდიდარი ვარ.
ყველაფერი გაეთვალა შირერს ამ ხალხის წინაშე,
მარტო კაცთან ის სულ სხვაა, ეს მე ბევრჯერ დავინახე.

იცოდა, რომ ყაჩაღები სროლას აღარ დაიწყებდნენ.
სროლა სახიფათო იყო, თავბედს იქ დაიწყევლიდნენ,
შირერზე ჯავრი ეყარა, ჩემი დამძევლება სურდა:
— ხელის დარტყმის ცუდ მაგალითს მე გაჩვენებ, როგორ უნდა.

რატომ ცუდი მაგალითი? მგონი, სწორედ დროზე იყო.
წინააღმდეგობის გაწევა სწორედ აქ საჭირო იყო.
— ბოლომდე რომ გაეწია, — ასე უთხრა ჩვენმა ლაზმა, —
გულკეთილმა სჯობს გიყვაროს, ვინემ ბოროტმა ლამაზმა.

ეს სიტყვები რომ თქვა ლაზმა, მას დარდი ამოაყოლა,
მივხვდი, ჩემს ახალ მეგობარს არ სურდა ყველაფრის მოყოლა.
გამიელვა, რომ მუსკია რაღაც ჭირს რომ განიცდიდა,
მას გულს დიდი დარდი აწვა, მიტომაც სხვა დროს უცდიდა.

— ნანო, ქაღალდი მაჩვენეთ, აქვე მაქვსო, რომ მითხარი...
მან ქაღალდი მომაწოდა, ქალების გვარით შემდგარი,
სახელებს წერტილი ესვა, მაგრამ არა თანატოლი,
ზოგან ორი, ზოგან ხუთი, ნანოსა კი ერთის ტოლი.

ავიღე მე ის ქაღალდი და მუსკიას მივაწოდე.
— წერტილები სხვადასხვაა, შენ, ირაკლი, რომ იცოდე,
ეს რაღას უნდა ნიშნავდეს, რაღაც არის დამალული,
პეტროვმა ეს უკეთ იცის, მაგის გულში დაფარული.

— წინადადება შემომაქვს, — ახლა სუფრა დაგვამშვენებს, —
ერთად წავიდეთ, ვისამხროთ, ნანო თუ გვერდს დაგვიმშვენებს.
თავსატეხსაც ამოგიხსნით და სხვასაც თუ კი რამე გაქვთ.
სად და ვისთან აწ მითხარით, წამომსვლელი ვარ და ვიყავ.

გოგიასთან, მე მსმენია, თუმცა მე იქ არ ვყოფილვარ,
ხალხურ სიმღერებს მღერიან, ალბათ, თქვენ ხშირად ყოფილხართ.
— იქ გოგიას სტილი გახლავს და მუშტარიც სხვანაირი.
— გოგიასთან სხვა დროს იყოს, ჩაცმული ვარ არნაირი.

დღეს ქალაქგარეთ ვისამხროთ, იქ საცაა ხალვათობა,
ამინდი მშვენიერია, არ იქნება ავდარობა.
— ასე მგონია, ირაკლი, სხვა ხალხი დღეს ჩვენ არ გვინდა,
იქა სხვა დროსაც კი მოვასწრებთ, თქვა ეს ლაზმა, თუ მოგვინდა.

— ეგრე იყოს, აბა, ეტლი, — მოვასწარი დაძახება.
— აღარ გინდათ, ჩემი აქ დგას, ახლა სხვისი შეწუხება...
ეტლში როცა ჩვენ ვსხდებოდით, მუსკიამ ნანოსა ჰკითხა:
— რა გაქვთ თქვენ დამთავრებული, ხომ არ გეწყინათ შეკითხვა.

— ფილოლოგიური, მაგრამ, რაც ვთქვი, იქ არ მისწავლია.
ბევრი მქონდა საფიქრალი, მაგრამ მე არ მიწვალია...
ნანოს ქერა ულაყები ორთაჭალას გვაჭენებდა,
მხოლოდ ლაზი იმ ქაღალდში საიდუმლოს დაეძებდა.

— ვეტროემა რამდენჯერ გნახათ, ეს თუ გახსოვთ? ჰკითხა ლაზმა.
გავიხსენე, ხუთჯერ მნახა, ასე უთხრა მას ლამაზმა.
რადგან პირველი წერტილი სახელების ბოლოშია,
ერთად გნახათ ხუთივენი, მან თავის სამყოფელშია.

— არზნევ, მე ასე მგონია, თითქოს დიდი ხანი გიცნობთ,
ჩემი სურვილი იქნება, ერთმანეთი შენობით ვცნოთ.
— არზნევ ან ლაზო მითხარი, შენობითა ჩემო, ნანო.
აწი ჩემთან მეგობრობა არ მსურს შენ რომ დაინანო.

ნანო, მითხარ, ვეტროვი რაზე გელაპარაკებოდა,
ან თუ იცით, სხვა ქალებთან იგი რას ლაპარაკობდა.
— ზაქათალას მიდამოში ყაჩაღია, მამედ ჰქვია.
ლაგოდეხში ერთ ოჯახში აკვნის ბავშვი დაუჩხრეია.



მეორეჯერ მე ვეტროემა სულ სხვა ყაჩაღი მიხსენა,
ამბრიკოა, ინგილოა, კრული იყოს მის მოხსენა.
ტყეში პატარა გოგოებს ნამუსსა ხდისო, მიხსენა.
თუ ვინმე ყაჩაღი იყო, მგონი, ყველა გაიხსენა.

— ყველაფერი, ჩემო ნანო, პოლიციელთა ჭორია,
ყველას ერთი ქულაბა აქვთ და ეს, იცოდე, სწორია.
მათ სურთ შენ და სხვა ქალები აგენტად გამოგიყენონ.
მოუნდებათ, დაგიძახონ, თუ არა და გადაგაყენონ.

ძარცვის ამბავი მითხარი, როდის უნდა დაამთავრო, —
ლაზს თვალებში მან შეხედა, „უპასუხა", აგერ ვარო.
მწამს მე შენი, მეწამება, სხვა ნაბიჯი არ გადადგა,..
ეტლი ალაყაფებს გასცდა და დუქნის კარებთან დადგა.

# ცისფერი რვეული

ათმა დღემ გაიარა და სულ ერთად ვიყავით სამნი.
დღე და ღამე დროს ტარება და ავაწყვეთ ჩვენი ხმანი.
გოგიას დუქანში წასვლას არცერთი არ იეიწყებდა,
იმ დღესაც მაშინ მივედით, ქორო სიმღერას იწყებდა.

გოგიას დუქანი ჰქონდა, მზარეულიც კარგი ჰყავდა.
მას ბევრი მუშტარი ჰყავდა, მეც სტუმრები მანდ მიმყავდა.
ყველა შინაურად გრძნობდა, ეს გოგიას მადლი იყო,
მუშტრების კარგად მოქცევა გოგისთვის ალალი იყო.

მეკარედ არჩილა ჰყავდა, ის ჩინებული მოკრივე.
გარდერობში კი ერვანდა, ორი ცხენის ძალს მორივნე.
პატიოსანი, კეთილი, თან სანდომიანნი იყვნენ,
თავის ჭიას ახარებდნენ და უმადური არ იყვნენ.

დუქანში შესვლისთანავე გოგი არ შემომეგება,
მზადყოფნაში იყო მუდამ, რაც კი მაგას ეხებოდა,
ცალი ფეხი მას მუხლს ქვევით თუმცა ხელოვნური ჰქონდა,
მაგრამ ეს მას არ უშლიდა, მძიმე ტვირთიც გადაჰქონდა.

ახლა გოგიას დუქანში ახალი ხალხი მომყავდა,
გოგი არ შემომეგება, მე გული გადამიქანდა.
ერთ კუთხეში კარიჭაშვილს და კარიძეს მოვკარ თვალი,
მაგათ შათილურიც ახლდა, მომეკიდა სახეს ალი.

აქ ელიზბარი წამოდგა, ხელების ქნევა დაგვიწყო,
— მობრძანდით თქვენ ჩვენს სუფრასთან, — მაგრამ ეს ასე დაიწყო,
— ჩემი დეიდაშვილიაო, — გვითხრა ნანომ ის ლამაზი,
— ელიზბარ კარიჭაშვილი? — შეეკითხა ჩუმად ლაზი.

— რა ხანია თბილისში ხართ? — ნანო არზნევს შეეკითხა.
— ახლა ერთი თვე სრულდება, მეხუთედ მოსვლა შემემთხვა.
ამ კოჭლ გოგიასაც ვიცნობ, ექვსი წელი აქ მოვდივარ,
ის კარგი ვაჟკაცი გახლავს, მიტომაც მასთან დავდივარ.

— რა კარგი ხალხი გვეწვია, — იყვირა კარიჭაშვილმა. —
სანდრო, ვახტანგ, გაიცანით, გული დამწვა მის ჩივილმა.
ჩემი დეიდაშვილი ნანო, ძმაკაცი არზნევ მუსკია,
ჩამოსხედით, ძვირფასებო, ვაკვრევინოთ ჩვენც მუსიკა...

ჩვენ უარი დავაპირეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა,
მსახურთ სუფრა განაახლეს, ძან ლამაზი გამოვიდა.
— რადგანაც მოგიპატიჟეთ, მოვილხენ და ვიქეიფებ,
მოდით, ყველამ ვითამადოთ, უკეთ გამოვიდეს იქნებ.

პირველ სადღეგრძელოს ვიტყვი და ერთმანეთსაც გაგაცნობთ,
მერე მივდგეთ სათითაოდ, რაცა გვსურს, ვილაპარაკოთ,
ნანო სუფრას დაგვიმშვენებს, მალე გოგიც გვეახლება.
პური ვჭამოთ, ვიქეიფოთ, სიმღერა არ მოგვაკლდება.

სადღეგრძელო რომ დამთავრდა, ჩვენ საუბარში ჩავერთეთ,
ქორომ სიმღერა დაიწყო, მართლაც რომ კარგად გავერთეთ.
ჩვენი სუფრის ეს სიჩუმე შალითურმა დაარღვია,
ისე შეეკითხა ნანოს, თითქოს კედელი არღვია:

— ნანო, მე ამ რაიონში თქვენთვის არ მომიკრავს თვალი.
ალბათ, თქვენ თბილისში ცხოვრობთ, ან სხვაგანა ხართ მავალი.
მე სამხედრო კომენდანტის ადიუტანტი გახლავართ,
აქ ყველანი მაფასებენ, მიტომ ელიზბარს ვახლავარ...

ნანომ აქ ვაშლი აიღო, გაფცქვნა ველარ მოახერხა,
— ლაზო, გამომართვი ვაშლი, გათლა მინდა, არა ხერხვა.
— მე მომეცით და გაგიფცქვნით, — შალითურმა ხელი ახლო, —
— თქვენ არ მინდა შეგაწუხოთ, აგერ მიზის ლაზი ახლოს.

— ქალის საქმე ასეთია, მოქარგული ენა გქონდეს,
გინდ ხელებდასვრილი იყავ, ვაშლს მაინც გაგაფრცქვნევინებს, —
ასე უტიფრად წარმოსთქვა ეს სიტყვები შალითურმა,
ლაზს კრინტიც აღარ დაუძრავს, კარიჭაშვილმა გაახურა.

— გამარჯობათ, ძვირფასებო, — აქ გოგიას ხმა გაისმა, —
ხალხო, თქვენს სუფრასთან მოვალ, — ლაზათიანად გაისმა.
ნანომ აქ შემოსწრებულ კაცს შეხედა, თავი დაუკრა.
— ღმერთო, მითხარ სიზმარია, — თანაც თვალი ლაზს ჩაუკრა.

გოგია განცვიფრებული ნანოს გვერდით შეჰყურებდა.
შევამჩნიე, ასევ ლაზი ნანოს ჩუმად უყურებდა,
თეფშზე ცოცხალს ჩააცქერდა და პაუზა მოიხელთა.
ფიქრი იყო აქ საჭირო, ამისათვის დრო იხელთა.

აქ გოგია გონს მოეგო და მან ლაზსა გადახედა,
ერთი კაცი მეორეს ჰკლავს, მიზეზი აქვს, ალბათ, ზედა.
მძარცველი ქონებისათვის უწყალოდ კლავს ყველას, ყველას
მას ასეთი სურვილი აქვს, არ თხოულობს ღმერთის შველას.

კარგ გუნებაზე დაგა ქალბატონი, ჩვენი ნანო.
— მომაწოდეთ მე ეს თასი და თანაც დამისხით ღვინო.
— მე შეგივსებთ და მოგართმევთ, ასეთია თქვენი ნება.
თქვენს სურვილს ხელად ვასრულებ, რადგანაც ღმერთმა ინება.

ჩვენმა ლაზმა სავსე თასი ნანოს კოხტად მიაწოდა.
შალითურმა კარიჭაშვილს ყურში ჩუმად ჩააწოდა.
პროფესიონალურად დაასხა, ალბათ, ოფიციანტია,
— რასა ბრძანებთ, შალითურო, მარტოდმარტო ტალანტია.

შალითურო, ერთი მითხარ, ასე მწარედ რამ დაგბოლმა?
— მას ჩინი დაუგვიანეს, ის სწორედ ამან დაბოლმა...
ვგრძნობდი რაღაც მოხდებოდა, ამიტომ თასი ავწიე.
თან სიმღერა მთავრდებოდა, ნანოსაკენ მივიწიე.

სიყვარულის სადღეგრძელო ნანომ უნდა დაასრულოს,
ერთი მანდილოსანი გვყავს, სიყვარული აღასრულოს.
მოლხენა-წყენის საკითხზე პასუხმგებელი გახლავარ.
ვინც მე აღარ დამიჯერებთ, ადგებით და კარში გახვალთ.

— ასე არ არის, ირაკლი, — სადღეგრძელო ლაზმა იწყო,
კაცი უცებ გაბოროტდა და ინტრიგობა დაიწყო,
ვერ შევძელი მისი სიტყვა სადღაც ხუმრობად მიმელო,
მაგრამ პატიება შევძელ, მაგიერი არ მიმეზღო.

— ვთქვათ, არ გეპატიებიათ, მაშინ, ნეტავ, რას მიზამდი,
— გააჩნია, შალითურო, რას მეტყოდით ხანდაზმამდი.
— დუელი რომ დამენიშნა? — თან სიცილი დააყარა.
— არ ვილებდი გამოწვევას, სასაცილოდ ესეც კმარა.

— ვითომ რათა? — ღვარძლიანად ეკითხება შალითური.
— ნანო, თქვენთან ბოდიშს ვიხდი და მოედო ლაზს ალმური, —
— შალითურო, გამიგონეთ, მაქვს ერთი უპირატესობა.
და დუელში თქვენთან გასვლა იქნება უსინდისობა.

— მსურს დავრწმუნდე, დავინახო ეგ თქვენი უპირატესობა,
ამ სიტყვიდან უკვე ვხედავ — აქ იწყება ჩვენი მტრობა, —
შალითურმა სავსე ჭიქა აიღო და ლაზს შეასხა,
ლაზი გვერდზე გადიხარა და იატაკზე დაასხა.

– უნდა მოახვედრო, თორემ შენ ჭერი გაგიფუჭდება,
ჩემ იარაღით ისროლე, ის არასდროს გამტყუნდება, –
ლაზმა ხელი ჯიბეს იღო, იარაღი ამოაცურა,
და თავისი იარაღი გოგის ხელში ჩაუცურა.

იარაღი რომ აიღო, გოგი მაგიდას მოსცილდა,
მხოლოდ იმას უყურებდა, ლაზი როდის მოიცლიდა
ლაზმა იღო ერთი ჯამი და ჰაერში გააქროლა,
ჰაერიდან კოხტა ჯამი ძირს დაფშვნილი ჩამოქროდა.

გოგიმ იარაღს ჩაბერა და ლულას ტუჩზე აკოცა,
– სად შოულობს ამ იარაღს, მე ამ კაცმა გამაოცა!..
– შენი იყოს, – უთხრა ლაზმა, – მე საჩუქრად მომიცია,
– ყველაფერი, რაც კარგია, ღმერთსა შენთვის მოუცია.

– ბატონებო, გთხოვთ სიჩუმეს და ახლა მე მომისმინოთ,
რასაც ვიტყვი, სიმართლეა, გულით მინდა თქვენ ისმინოთ,
ამბის პირველი ნაწილი ლაზს და ირაკლის ეუამბე,
როგორ გვძარცვეს აფხაზეთში, ორმოცი კაცი ფეხამდე.

ოპერაციას მთლიანად ოთხი კაცი აკეთებდა.
ალბათ, ყველას გაგიგიათ, ძარცვა თუ როგორ ხერხდება,
სარჩიმელიას დამქაშთან გზიდან ხალხი აქ მოჰყავდა,
ნაძარცვს ტომარაში ყრიდნენ, ერთი კაცი თავზე გვადგა.

პერანგის ამარა ვიყავით, ცალკე ქალი, ცალკე კაცი,
– თქვენი ცოლია? – შირერს ეკითხება ფეხმოჭრილი მამაკაცი,
– დიახ! – უთხრა ჩემმა ქმარმა, – მაგრამ რაზე შემეკითხეთ,
– რასაც გეტყვით, თქვენს ენაზე თქვენს მეუღლეს წაუკითხეთ.

ყაჩაღების წესი არის, რომ ქალს ტყვიას არ ესვრიან.
და ქალებს კი ქალის სიტყვა უფრო კარგადა ესმიან,
ერთად მოყვნენ, ყველამ ერთხმად წივილ-კივილი დაიწყონ,
იქნებ, ხალხმა გაიგონოს, მოვიდნენ და მიგვეშველონ.

ყველაფერი გავიგონე, საქმეც ჭკუაში დამიჯდა,
მაგრამ ხერხი გაკეთების დიდი ხანი გამიჭირდა,
როცა გუშაგი გაგვშორდა, კაცებისკენ ილო გეზი,
ქალებს ვუთხარ, ჩვენ ვიკივლოთ, გაიხსნება ჩვენი გზები.

გამიელვა, საჭიროა აქ მაგალითის მიცემა,
მე დავიწყებ ნელა კივილს, ამყვებიან ნელა-ნელა,
მხარი არავინ ამიბა, მე ხმას უფრო ავუწიე.
ვხედავ, არავინ არ ამყვა, ახლა კივილი დავიწყე.

უკვე რ[illegible]ლებში შევედი, დაშოშმანება არ იქნა,
ის ყაჩაღი მე მომადგა, ახლავე გეტყვით რა მიქნა.
მან მიყურა მე ცოტა ხანს, ასე მითხრა: ქალაჩუნა!
არც აცია, არც აცხელა და თავში ჩამითხლაშუნა.

შირერმა გადიხარხარა, არ მეწყინა, ძლიერ შემრცხვა,
ჭარხალივით მე გავწითლდი, სახეს ცივი ოფლი მესხა.
თვალი მამაკაცს ვაპარე, დამცინავი ღიმი ჰქონდა.
ფეხკვეთილი კაცი იჯდა, ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა.

ამასობას აქ აბრაგმა ხუთი კაცი მოიყვანა,
და ხუთივე მოყვანილი ფეხებამდე დაიყვანა,
ამ მომენტში ჩვენი მხრიდან ტყეს ორი კაცი გამოჩნდა,
ერთი წელსზევით ტიტველი, მეორე ჩაცმული მოჩანდა.

პირველს პერანგის ხელებში ფეხი ჰქონდა გაყოფილი,
მეორე კოხტად ჩაცმული ცხენზედ იჯდა კმაყოფილი,
ხელში მაუზერი ჰქონდა, ფეხზე იყო ის შემდგარი,
მე ვიფიქრე, საქმე წახდა, ვაი დედა, ჩემი ბრალი.

ცხენიანი მაუზერით მამაკაცებთან მივიდა,
სარჩიმელიას შევხედე, ის ადგილზე გაირინდა,
ცალფეხამ აქ ქვა აიღო, იგი გუშაგს მიეპარა,
ისე ჩასცხო ქვა კეფაში, იქვე სული გააპარა.

გუშაგი იქვე წაიქცა და, იცით, უცბად რა მოხდა,
ამ გუშაგის იარაღი ცალფეხას ხელში აღმოჩნდა,
ისევ ქვევით გაიშოტა, სწრაფად თოფი მოიმარჯვა,
მაუზერით ცხენზე მჯდომმა საბოლოოდ გაიმარჯვა.

მაშინ ვიღაცამ იყვირა: „ეს დათაა თუთაშხია,
თქვენ ყველდანი დაინახავთ, რა მოხდება ამ წამშია!"
დათა აქ სარჩიმელიას და მის ამხანაგს მიადგა:
„აქ დაყარეთ იარაღი, თორემ შავი დღე დაგადგათ!"

სარჩიმელიამ იცოდა, თოფის სამიზნეზე იჯდა,
მეორე ყაჩაღს თუთაშხიას მაუზერი კბილებს აჯდა,
ადვილი არცერთი იყო, ჩხუბი, იარაღის სროლა,
ამ მომენტში ფეხკვეთილმა თავის თოფი გაისროლა.

ასწიეთ მაღლა ხელები, თუთაშხიამ აქ იყვირა,
მათ ბრძანება შეასრულეს, სარჩიმელიამ გაიკვირვა.
— მობრძანდით აქ რომელიმე! — დათამ მამაკაცებს უხმო,
შირერმა ყველას დაასწრო, პირველობა არვის დაუთმო.

ყაჩაღების იარაღი ერთ ადგილზე დაალაგა,
თავით ბოლომდე გაჩხრიკა, ამოუღო, რაც ელაგა.
პროცედურა დაამთავრა, სარჩიმელიას ყბაში თხლიშა.
შემდეგ მეორე ამხანაგს და მიწაზე დაათხლიშა.

ადგა ფეხმოკვეთილი კაცი, ნელა ნაძარცვთან მივიდა,
მოძებნა თავის პროტეზი, ვატყობ, კარგად მოუვიდა.
ნახა ჩემი „ამორძალა" და საჩქაროდ მომიტანა,
მაპატიეთ, ჩემი ბრალი იყო, ყაჩაღმა ხელი გატანა.

მე ასეთ ვითარებაში ბატონი გოგი გავიცანი,
ჩვენთან როგორც შემოვიდა, მე მაშინვე შევიცანი,
დღესღაც შევხვდით ჩვენ ერთმანეთს, აღვადგინე მე წარსული,
გოგიმ ნანოს ხელს აკოცა, მან იცოდა დასასრული.

როცა სუ ყველა დამშვიდდა, დათამ გაძარცულებს უთხრა:
— ამოარჩიეთ თქვენ თქვენი ძვირფასი თუ ხარა-ხურა.
სარჩიმელია არც კი ჩანდა, იმან ტყიდან დაიძახა:
— დათა, შენ ვის ესარჩლები, რას გიზამენ მალე, ნახავ.

შირერმა თავის ბაჯაღლოს სათუთუნე აქ მონახა,
არც აცია, არც აცხელა, ადგა და დათას მიართვა,
მან მადლობა გადუხადა, მაგრამ აღარ გამოართვა.
— ეს თქვენს ქმარს გამოადგება, — აიღო და მე მომართვა.

ვატყობ, გამიგრძელდა, მაგრამ მოსაწყენი არა მითქვამს,
ვინც სიკეთესა სთესავდეს, ვადღეგრძელებ ყველა იმ ხალხს,
ვისხედით ჩვენ გაძარცვულნი, თან ძან შეურაცხყოფილნი,
იმ ორი კაცის სიკეთით ყველა დავრჩით კმაყოფილი.

ნანომ თასი მოიმარჯვა და ნახევარი დალია,
ისე გახდა ჩვენი ნანო, როგორც წითელი ალია,
მეორე თასი ითხოვა, ასხით ღვინო წამალია,
ამ თასით კი უნდა გითხრათ, რაც ჩემს გულში მაბადია.

ამავე თასით მე მინდა თუთაშხიას სადღეგრძელო ვთქვა,
უბოროტო, უდრეკელი, ძლიერი, ვით სალი კლდის ქვა.
თუ ამ ორ კაცს დავჭირდები, ყველაფერში ხელს გავუწვდი,
და თუ აღარ შევასრულო, მაშინვე ცეცხლში დავიწვი.

ახლა მეორე ჯამით მე თქვენ სუყველას გადღეგრძელებთ,
ლხინისთვის დიდი მადლობა, თქვენ კი სუფრა გააგრძელეთ,
ამ სამ დღეში რვა საათზე, ყველას გთხოვთ ჩემთან მობრძანდეთ,
ჩემს სახლში სუფრას გაგიშლით, მაგიდასთან კოხტად დასხდეთ.

ირაკლი, სტუმართ მოყვანა მე ეს შენთვის მომინდვია,
საიდუმლო სახლს გითხარით, შენ და ლაზზე გამინდვია,
რომ ვუთხარით, ჩვენ წავალთო, აზრი ვერ შეგვაცვლევინეს.
მაგიერად მე და ლაზსა ორ-ორი დაგვალევინეს.

— შენ ელიზბარს საიდან იცნობ, ლაზსა ეკითხება ნანო,
— აგერ გოგიამ გამაცნო, მოწმე ხომ არ მოგიყვანო,
— იქნებ ისიც გამიმხილო, ბატონ გოგი ვინ გაგაცნო?
— ცოტა ხანი დამაცალე, ამას მომავალში გაცნობ.

როცა ეტლით მივდიოდით, ლაზმა ჩუმად ჰკითხა ნანოს:
— რად იჩქარეთ, ქალბატონო, დღევანდელ დღეს ხომ არ ნანობ,
— შენთან, ირაკლისთან ყოფნა მე არასდროს მომწყინდება,
მზად ვარ ყველგან გემსახუროთ, როდესაც თქვენ მოგინდებათ.

კარგა ხანს სიჩუმე იყო, ეტლი კი გზას აგრძელებდა,
— ლაზო, უნდა გითხრათ რაღაც, რაც დღეს თავში ტრიალებდა,
მე ვიცი თქვენ ვინც ბრძანდებით, გეფიცებით, ნამდვილ ვიცი,
— მე ვინა ვარ, დედოფალო, თქვენ კი არა, მე არ ვიცი.

# ვარდისფერი რვეული

სამივესი ერთად ყოფნა ძალიან მსიამოვნებდა,
იმათთან მე დროსტარება სიტკბოებას მანიჭებდა,
ვფიქრობდი, ვინ არის ნანო, ვინ არის არზნევ მუსკია,
ან რა ხდება ამ ორს შორის, ჩემთვის კითხვა დამისვია.

მართლაც, მალე დრო მოვიდა, აეხადა ყველას ფარდა,
ყველაფერი ცხადი გახდა და გულიც მე დამიწყნარდა,
ხალხში ყოფნა და ტრიალი უკვე სამივეს მოგვბეზრდა,
ელიზბარ და გოგის მეტი არვინ გვაინტერესებდა.

ერთ საღამოს ჩვენ შევთანხმდით, ჩემთან გაგვეშალა სუფრა,
ელარჯთან, ლულა-ქაბაბთან გვექნებოდა სხვა ულუფა,
ლულა-ქაბაბს ელიზბარი, ელარჯს ლაზი დაამზადებდა,
და ასეთი პურის ჭამას ღმერთიც არ დაიზარებდა.

ელიზბარმა და გოგიამ ლაზი დროზე მოიყვანა,
არ გასულა ცოტა ხანი, თან ნანო შემოიყვანა,
მსახურმა ქვევით ეზოში, მაყალის ხურებას ჰყო ხელი,
ხორცის დაჭრას შევუდექი, სუფრის გაშლას მალე ველს.

ამ დროს ჩემი სადარბაზოს ზარის წკრიალი მომესმა.
ნანო, კარები გაუღე, ზარის ხმა ხომ შენცა გესმა,
და თუ ვინმე კლიენტია, უთხარ, დღეს ველარ მივიღებ,
ხვალ მოვიდეს კანტორაში, მე მაგისთვის დროს გავიღებ.

არ გასულა ცოტა ხანი, ნანო ჩემთან შემოვიდა,
— თქვა, კლიენტი აღარა ვარ, თავის სიტყვა არ დაჰრიდა,
სტუმარი ვარ, გადაეცი, მე თავადის ნახვა მინდა,
მე მას აქ დაველოდები, თქვენ ეს გინდათ თუ არ გინდათ.

სასტუმროსკენ რომ გავსწიე, გოგიმ მოდიო, მანიშნა,
ახლოს იცნობ შენ იმ კაცკაცს, ვინც სტუმრობა დაგინიშნა,
ჟანდარმერიის უფროსი, ეს ხომ გრაფი სეგედია,
— საერთო არაფერი მაქვს, არც არასდროს შემხვედრია.

გოგიმ მკლავს ხელი ჩამავლო და ჩურჩულით ასე მითხრა:
მითხარ, სამზარეულოდან ჩასასვლელი არს თუ არა?
— არის, — ვუთხარ, — მეორე კიბით, მაგრამ მითხარ, რისთვის გინდა?
— იქნებ გაართო ცოტა ხანს, ანდა მოიშორე გინდა.

— სასტუმრო ოთახს გავედი, უცბად გრაფი ფეხს წამოდგა.
ცოტა ხანი რომ მიყურა, ნაბიჯი ჩემსკენ გადმოდგა.
მაღალი, წარმოსადეგი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა.
მკრთალი, ნაზი პირის კანი, მის კარგ ცხოვრებას მოწმობდა.

მე დიდი მოხარული ვარ თქვენი აქ მობრძანებისა.
გაიცანით ქალბატონი, თავყელიშვილ-შირერისა.
სრულიად მალე იქნება ღმერთის საქადრისი საჭმელი.
მივუსხდეთ ყველანი სუფრას და იქვე ვთქვათ ჩვენ სათქმელი.

— ნუ შეწუხდებით, თავადო, მე მხოლოდ გრაფი გახლავართ,
თან იცოდეთ, მასპინძელო, უნგრელთ შთამომავალი ვარ.
უნგრეთში ხუთ მოსახლეზე, იცით, თითო გრაფი მოდის.
ასეთია ეს ცხოვრება, ხან ჩადის და ხან ამოდის.

— გეტყვით, რომ საქართველოში ორში ერთი თავადია,
გრაფ, ხომ ხედავთ, ჩვენ გჯობივართ, მე ასე მომიმართია.
— თავადო, რაც შემთავაზეთ, სწორედ მისთვის გეახელით,
თუ ჩემი მოსვლა გეწყინათ, ბოლიშს გიხდით ორთავ ხელით.

გრაფი ღიმილით შეუძღვა, იმ ჩვენს სასტუმრო ოთახში.
— მენდეთ, სასიკეთოდ მოველ, არ მსურს ცეცხლთან მე თამაში,
— რა თქმა უნდა, რასა ბრძანებთ, ეს სიტყვა რა სათქმელია,
მალე სუფრა გამზადდება, თან ვსვათ კარგი სასმელია.

და ჩვენ ყველამ ასე დავთქვით, ცოტა ხანი გაგვეყვანა,
გრაფი —ცოტა ხანს გაგვერთო, ნანომ აზრი წამოაყენა:
— მსმენია, თქვენო ბრწყინვალებავ, კარგად უკრავთ როიალზე,
ბევრი ქალი დაატყვევეთ, თანაც თქვენს ტკბილ სიმღერაზე.

— გატყობთ, ქალბატონო ნანო, რომ ჩემსავით თქვენცა ღელავთ,
დაგჭირდებათ, გაიცინებთ, თუ გსურთ ვარსკვლავივით ელავთ.
აქ სამშვიდობოდ მოვედი, გთხოვთ ამაში დამეხმაროთ,
მიმიღოთ მე თქვენს მეგობრად, სიტყვას გაძლევთ არ დაგზაროთ.

ნანოს და გრაფს მოვუბოდიშე, სამზარეულოში შევედი,
სამივენი ჩუმად იდგნენ, ვიფიქრე ცუდ დროს მოვედი,
— იქნებ, თქვენ რამე იცოდეთ, გრაფი აქ რატომ გვეახლა;
— ჩვენ სამთავე ამას ვფიქრობთ, რა ხანია, თანაც ახლა.

— ეგ არაფერი არ არის, — თქვა ლაზმა, დრო რომ გავიდა,
— გაიგო ელარჯი გვქონდა და მის საჭმელად მოვიდა.
ეზოს გასასვლელი კარი რისთვის იკითხე გოგია?
— მისთვის ვიკითხე, რისთვისაც გრაფი მოსული მგონია.

— არზნევ, ისე მოიქეცი, როგორც შენს საქმეს სჯობია,
— გეფიცები, ძმაო ირაკლი, ყველგან არს მჯობის მჯობია.
მე წამსვლელი არსად არ ვარ, თვალები შემომანათა.
თქვენ ახლა სუფრას მიხედეთ, ჩვენ გავიდეთ სტუმართანა.

გრაფი მაშინვე წამოდგა, ყველას შემოგვავლო თვალი,
იგი ჩვენს ლაზს მიაცქერდა, რაც მართალია მართალი.
— მე ასე დიდი მსგავსება მხოლოდ ტყუპთა თუ მინახავს.
მაგრამ დღეს რაც დავინახე, არასოდეს დამინახავს.

— გვითხარით, ბატონო გრაფო, აქ ვინ ვისა მიამსგავსეთ?
— ჩემი მუშნი ზარანდია მე თუთაშხიას ვამსგავსე.
მუშნი თანამშრომელია, დათა კი ბიძაშვილია.
დათა აგერ გვიდგას მხარში, მუსკიად მონათლულია.

— მართალია, — დაარღვია თუთაშხიამ აქ სიჩუმე,
— მამაჩემი, მუშნის დედა, ტყუპებია, ეს ვიცი მე,
და რომ არა პატაშიძე, ჩემს მაგივრად მას იჭერდნენ,
ისე ვგავართ ერთმანეთსა, ყველანი დაიჯერებდნენ.

— მე დღეს თქვენი სტუმარი ვარ, გაიგონე, მასპინძელო,
მსურს სუყველა ერთიანად სუფთა გულით გადღეგრძელოთ,
რასაც ვიტყვი საიდუმლოდ, ყველაფერი აქ დარჩება,
თუთაშხია ჩვენთანაა, იგი ხიფათს გადარჩება.

ახლა კი მსურს ბატონ დათას ერთი შეკითხვით მივმართო:
ერთმა მაინც ხომ გირჩიათ თქვენ სხვა გზაზე გაემართოთ,
სამზარეულოდან არის გასასვლელი ეზო — კარი.
შეგეძლოთ წასულიყავით, დაგეტოვეთ პირგამშრალი.

— ირაკლისთან ვარ კავშირში, მე — კლიენტი, ის — ვექილი,
ელიზბარმა არა იცის, ის კაცია გულკეთილი,
ნანომ, გოგიმ კი იციან, რომ ვარ დათა თუთაშხია,
რისი უნდა მეშინოდეს, ესენი მყავს მე გვერდშია.



უკვე თითქმის ერთი თვეა ჩვენ ხუთივე ერთად ვხვდებით.
საწინააღმდეგო კანონის, არ გვიქნია, თქვენ მიხვდებით,
თქვენ დაზვერვამ კარგად იცის, მე რომ თბილისს ვიმყოფები,
კანონი ჩემს მხარეზეა, მაქვს მე ამის იმედები.

აქედან რომ წავსულიყავ, თქვენ ამ ხალხს ხელს ჩაავლებდით,
არა, არ მოასვენებდით, მათ დაკძთხვით აწამებდით,
ეს ცოდვად ჩამეთვლებოდა, ამ ხალხს ტყვილა შარს გავხვევდი,
მე სიძარღლემ დამარჩინა, ამას ნამდვილს გეუბნებით.

— როდის იყო დიდი ხალხი, კაცს დასაჭერად დასდევდნენ?
არც გულს გამიკარებია, თქვენ დამცველები მოგდევდნენ,
— თუ წასვლას დავაპირებდი, ათიდან შვიდი ჩემი იყო,
ჩემი დარჩენით დავამტკიცე, დარჩენილიც ჩემი იყო.

ყველაფერი მზად არისო, აქ მე მსახურმა მანიშნა,
სტუმრებს ვთხოვე, წამობრძანდით, სასადილო ოთახს შინა,
ჩვენ სუფრას შემოვუსხედით, უკვე მოსამხრული იყო,
შუსტაკოვის კონიაკით სუფრა გამზადებულიყო.

კედლის საათმა ჩამოკრა, ნანო თითქოს მას ელოდა,
— გრაფ, მესამე ჭიქის შემდეგ გვეტყვით იმას, რაც გინდოდათ?
— ვხედავ თქვენი სურვილები ჩემს სურვილებს რომ ემთხვევა,
გულწრფელად რომ მოგახსენოთ, ახლა მაქვს ამის შემთხვევა.

კავკასიის მეფისნაცვალმა რადგანაც უფლება მოგვცა,
პატიების რაპორტი ეწეროთ, ვისაცა სურს კარგად ქცევა,
მოვალე ვარ, რომ ვიცოდე, ვისი ენა ვის ყბაშია,
სისხლსამართლის დამნაშავე თუა დათა თუთაშხია.

მე იმისთვის გეახელით, პირადად გამეცნო დათა,
ვესაუბრო გულახდილად და არა ვთქვა ალთა-ბალთა,
მინდა ქაღალდი დავწერო, დათა არ არის ხიზანი,
ქალბატონო ნანო, გეტყვით, ეს არის მოსვლის მიზანი.

უკვე ხუთი თვე შესრულდა, რაც შევწყვიტეთ დათას ძებნა,
ის კანდიდატად ვიგულეთ, რომ მიგვეცა შეწყნარება,
გვინდოდა მხოლოდ გვენახა და კონტაქტი დაგვემყარა,
მაგრამ ვერსად მივაკვლიეთ, ის სადღაც შორს გაგვეყარა.

აქ ყველა ყაჩაღთა შორის ბევრი გამონაკლისია,
მათ თავისი ადგილი აქვთ, დათას აქვს სხვა მისია,
კონტრდაზვერვამ ორ კვირაში, ცნო მუსკია თუთაშხიად,
მიტომაც არ დავიჭირეთ, ხელთ გვქონდა ამნისტია.

— იქნებ მითხრათ, რომ ახლა გვაქვს მის დაჭერის კარგი შანსი,
— რომ იცოდეთ, ეს იქნება პოლიტიკის ცრუ ბალანსი,
ადრეც გვქონდა უკეთესი დათას დაჭერის შემთხვევა,
მაგრამ ეს იგივე იყო, რაც დღევანდელ დღეს ემთხვევა.

ჩვენ უკეთესი დრო გვქონდა, თუთაშხია აგვეყვანა,
ამნისტირებული იყო, სადღა უნდა წაგვეყვანა?
შეიძლება შემოვირიგოთ, ააყვავოს მისი ხანა,
და თვითონ თუ მოისურვებს, იქეიფოს მან ჩვენთანა.

უფლებამოსილი პირი, გაძლევთ კაცის კაცურ სიტყვას,
დადებით პასუხს მივიღებ, ავცდებით ყველა გაკიცხვას,
დათას ჩავაბარებ გუჯარს, ის ამნისტირებულია,
და უარყოფით პასუხზე, კვირით გარანტირებულია.

ერთ ეპიზოდს მოგახსენებთ ბატონ დათას წარსულიდან,
ჩვენ განვსაჯოთ, შევაფასოთ, ვთქვათ პასუხი ჩვენ გულიდან,
მომავალში რა იქნება, „საშიში" თუ „არსაშიში",
აწი თქვენგან პასუხს ველი, მე არა მაქვს მაგის შიში.

ამაზე კარგი შემთხვევას სად ნახავდა სხვაგან კაცი,
დაჭერა და ბორკილისგან თავს იხსნიდა ეს ვაჟკაცი,
დათას ბედის გადაწყვეტა, ჩვენს ხელთ იყო, არა მისი,
უმრავლესობას უნდა ეთქვა, არ იქნება ის საშიში.

ბატონებო, საჭიროა ყველამ ვთქვათ სიტყვა ჩვენ-ჩვენი.
სასამართლო უკვე შეწყდა, ჩვენ დავწეროთ განაჩენი,
მე პირადად თანახმა ვარ, დასტურ გვითხრა აქვე ნანომ,
მე და ელიზბარი თქვენთან, ღმერთმა ყველა გაგახაროთ.

— ბატონებო, დათას ვკითხოთ; თუ რა პასუხს გვაძლევს ისა,
გვაძლევს თუ არა უფლებას, როლი გვქონდეს მსაჯულისა,
არის თუ არა თანახმა, რომ გრაფის სიტყვა ასრულდეს,
დათამ უთხრა: — თანახმა ვარ, თქვენი სურვილი შესრულდეს.

გრაფმა ბოდიში მოგვიხადა, სადარბაზოსკენ წავიდა,
კიბეები ჩაიარა, თავის აგენტთან მივიდა,
ეტლში მჯდომ კაცს რაღაც უთხრა და უმალ ჩვენთან მობრუნდა,
ისე ჰგავდა მუშნი დათას, როგორც თოვლის გუნდა გუნდას.

— ბატონებო, ზემოთა ვთქვი მაქვს საქმე ერთ შემთხვევასთან,
ერთ საღამოს თუთაშხია იყო ვინმე ზარნავასთან,
ზარნავამ წინდაწინ იცოდა, დათა უნდა მოსულიყო,
მაგრამ როდის მოვიდოდა, ეს ცნობილი აღარ იყო.

თუთაშხიას მოსვლის შემდეგ ოცი წუთიც არ გავიდა,
ზარნავასთან უცაბედად სამი კაცი შემოვიდა,
იმათ თან ჰქონდათ ფუთები, ქაღალდები და მანქანა,
ეს ნივთები დაალაგეს, შეჰყვნენ მასპინძელს რიგთანა.

მასპინძელმა მოსულ სტუმრებს უცბად სუფრა გაუშალა,
შემოსულებმა ზარნავას თავის გული გადუშალა,
დათას გასაგონად მათ თქვეს, უკვე წასვლა საჭიროა,
და პირდაპირ ყაჩაღს უთხრეს, უკვე შენი წასვლის დროა.

— მე აქ ისე შემოვედი, არავის შევუმჩნევივარ,
თუ ჩასაფრებულები იყვნენ, არ იციან, მე აქ რომ ვარ,
მე თუ წასვლა დავაპირე, ისე წავალ, ვერვინ მნახავს,
თქვენზე პოლიციამ იცის, მოდიოდით სახლს ზარნავას.

დავუშვათ, ადრე წავედი, მერე ხიფათი შეგემთხვათ,
ვინ იცოდა თქვენი ყოფნა, რა თქმა უნდა, ვინც დაგიხვდათ.
რატომ უნდა ვათქმევინო, დათას ხელი ურევია,
ჩემი საქმე უკეთ ვიცი, თქვენ თქვენი გზა გირჩევნიათ.

სტუმრებმა ფუთა აიღეს, ნახვამდის თქვეს და წავიდნენ,
წუთიც არ იყო გასული, ტყვიის ჯერნი წამოცვინდნენ,
სროლამ კარგა ხანს გასტანა, ბოლოს მიწყნარდა, დამშვიდნენ.
ზარნავამ თქვა: დაიხოცნენ ანდა მშვიდობით გავიდნენ.

დათამ კითხა, თუ იცოდა სტუმრები რომ მოვიდოდა,
მე სიმართლეს მოგახსენებთ, ზარნავამ ეს არ იცოდა,
დათამ თოფი აიღო და იქაურობას გაშორდა,
ამის შემდეგ თუთაშხია იმ მხარეს არ დადიოდა.

ჩვენ გავიგეთ სროლის შემდეგ, იმ სამიდან ორი მოკლეს,
პოლიციამ იმ სახლიდან, გადამალული წაიღეს,
ზარნავა ციხეს გაუშვეს, საჭი თვე იქ აყურყუტეს,
რაც ვთქვი, ყველა თუ სწორია, თუთაშხია დამიმტკიცებს.

— რაც ბრძანა ბატონმა გრაფმა, ეს ყველაფერი სწორია,
აწი რასაც მოგახსენებთ, თანაფარდობის ტოლია,
პოლიციამ იმ სამ კაცზე, არაფერი არ იცოდა,
იმ საღამოს ხალხის ხოცვა, ეს არის ზარნავას ცოდა[1].

ზარნავას მე შევუთვალე, ამ კვირას შენთან ვიქნები,
დროზე ადრე იქ ჩიჩუამ, მოიყვანა მთიბავები,
ისინი თივას თიბავდნენ, მე მათ მთიდან დავყურებდი,
ყველანი ჩაფრები იყვნენ, ვერ დამაჭრეს მე ყურები.

ზარნავა სამზადში შემყვა, თვითონ გარეთ გამოვიდა,
და მეზობელს გადასძახა, — საქმე სხვაფრივ წამივიდა,
ხვალ მე ტყეში ვერ წამოვალ, სტუმრები ჩამომივიდა,
ეს რომ მეზობელს გასძახა, თვითონ ოთახს შემოვიდა.

---

1. ცოდა — ცოდვა.

ის მეზობელი სასწრაფოდ უკვე ჩაფრებთან გარბოდა,
ზარნავასთან დათა არის, ეს საასწრაფოდ მათ აცნობა,
ტყეთ მიმავალ ხალხი ნახეს, აუტხეს მაგათ სროლა,
მათ ეგონათ დათა მოკლეს და ამით დამთავრდა ბრძოლა.

— მე მსურს დათა თუთაშხია, შენი სადღეგრძელო შევსვა,
და ნამდვილად მოგახსენებ, შენზე ბევრი კარგი მესმა,
ნეტავი პეტერბურგელი, უფროსები აქ რომ ისხდნენ,
შენთვის მიღებულ საყვედურს, ყველას ერთად მომიხსნიდნენ.

ამის შემდეგ ხელში ჭიქით, ბატონ ირაკლი წამოდგა,
გთხოვთ მისმინოთ ბატონებო, ეს სიტყვები მან წარმოთქვა,
დათას მომავალი ბედი, ხედავთ ამ სუფრაზე წყდება,
და სიმართლე, რომ არა ვსთქვა, ნამდვილად გული დამწყდება.

თოფის წართმევის მომენტში, დათას წინ გამცემი იდგა,
კაცი რომელმაც ფულისთვის, დევნილი კაცი გაჰყიდა,
და იმ ჭუჭყიანი ფულით, ცოლშვილს საჭმელს შეაჭმევდა,
დათას ადგილზე სხვა კაცი, ტყვიას შუბლში მიართმევდა.

ირაკლიმ სასმისი შესვა და კარიჭაშვილს გადულოცა,
ელიზბარი სწრაფად ადგა და იმან დათა დალოცა,
თუმცა ერთი თვეა ვიცნობ, „ლაზი" — ახლა თუთაშხია,
რაც გააჩნდა ღმერთს კარგობა, ყველა მისთვის მიუცია.

როგორც ხედავთ, ბატონ დათას ყველგან კარგი უთესია,
კანონის საწინააღმდეგო თესლი არ დაუთესია,
ყველა ერთად თანახმა ვართ, დათას მიეცეს ქაღალდი,
ჩვენთან ერთად ლაღად იჯდეს, არა ქონდეს არა დარდი.

ამის შემდეგ გოგი ადგა, სუფრას ასე მოახსენა,
— კეთილ გულმა, მის წარსულმა ყველაფერი გამახსენა,
კანონი საშინელი გვაქვს, არ მინდა მისი მოსმენა,
მართალი კაცს ციხეში სვამით, მან წაიღო ყურთასმენა.

ყველამ თქვა თავის სათქმელი, ჯერი აქ დათას მიადგა,
დათამ ჭიქა ღვინით შეავსო, კულტურულად ზეზე ადგა,
– ყველამ აქ სიტყვა წარმოსთქვა, ქალბატონი ნინოს გარდა,
მოგიყვებით მე ერთ ამბავს, რადგან ჩემზე ჯერი დადგა.

– ქედმაღლობამ, ამაყობამ, მე ცუდ გზაზე დამაყენა,
ერთმა უფროს მეგობარმა, შეურაცხყოფა მომაყენა,
მან დუელი დამინიშნა, მისი მოკვლა მე არ მსურდა,
ტყვია მიზანს ავაცდინე და შორს ჰაერში გაცურდა.

მან აცდენა ვეღარ შეძლო, აიღო და მკლავს მახვედრა,
ლულა თვალში დაუმიზნე, არ მინდოდა მე მოხვედრა,
მან სიკვდილის მოკვლა იგრძნო, ტყვიას სხვა მხრით გაუარა,
დაჭრილ ხელმა ძალა კარგა, ტყვიამ ღვიძლში გაუარა.

რამდენიმე დღე იცოცხლა ბოლოს მაინც გარდიცვალა,
ამან მე დაღი დამასვა, ხასიათი შემიცვალა,
სუყველას თავს ვარიდებდი, არავისთან მსურდა გავლა,
ამის შემდეგ გადავწყვიტე, ტყეში მე აბრაგად წასვლა.

ერთიდან მეორის დაჩაგვრას, ბავშვობიდან ვერ ვიტანდი,
გასაჭირში ჩავარდნილ კაცს, უეჭველად გავიტანდი,
უკვე ასაკმა მიმატა, დამავიწყდა ჩემი თავი,
ღარიბ-ღატაკს ხელს ვუწყობდი, ცუდი არავისთან ვიყავი.

ცუდი არ მიკეთებია და მქონდა კარგი სახელი,
ყველაფერს დასასრული აქვს, დამრიეს ბოროტი ხელი,
ვისაც კარგი გაუკეთე, დავაყენე მე სწორ ხაზზე,
სწორედ მაგათ გამიკეთეს, დამდგარვიყავი მრუდ გზაზე.

ვიცი ყველას გაინტერესებთ რისთვის ვარ და რას ვეძებ,
არც მგლის მოდგმის გახლავარ, მშიერი საჭმელს დაეძებს,
მე ერის შვილი ვარ და ჩემს ერზე შემტკივა გული,
სიმართლისათვის ვიბრძოლებ, სანამ მიდგას ყელში სული.

მე არ ვიცი იმ თქვენს ქაღალდს მომცემთ თუ არა, არ მომცემთ,
ამაზე მე შემიძლია კონკრეტული პასუხი მოგცეთ,
ერთი წელი აწ მის მერე მე როგორ გზას დავადგები,
უშრომველად არ ვიქნები, ან მომკლავენ ან მოვკვდები.

ახლა ნანოს ჯერი დადგა, ბოლო სიტყვა მას რომ ეთქვა;
— აქ ისეთი რამ ვისმინე, მინდოდა თვით გამომეთქვა,
მსურს ბატონ გრაფს შევეკითხო, ვიმედოვნებ, პასუხს გამცემთ,
მე ვხედავ მის სულგრძელობას, შეკითხვაზე ხომ არა „მცემთ".

აბა, თქვენო ბრწყინვალებავ, შეხედეთ კეთილი თვალით,
თუ სადმე თქვენ შეგხვედრიათ დათასთანა კაცი გავლით,
პატიოსანი, კეთილი, კაცის არა მოღალატე,
რაც რომ დათამ მოგახსენათ, მე მის ცოდვით დავიდაგე.

ხომ ეყო დათას ამ წლებში, რაც ტანჯვა გამოიარა,
და ჩვიდმეტი წლის მანძილზე მარტოდმარტომ ტყედ იარა,
დაუბრუნდეს ის თბილ ლოგინს, თავის სოფელს, თავის კერას,
— აქ ნანოს ცრემლები წასკდა, ვერ გაუძელ მაგის ცქერას.

გრაფმა უთხრა: ქალბატონო, ცრემლის მიზეზი გახლავართ,
მაპატიეთ, რომ სიხარულს უსიამოვნება თან ახლავს,
არ მეგონა თქვენ ცრემლები თუ ასე მოგიხდებოდათ,
მე მეგონა, რომ სიცილი თითქოს უფრო გიხდებოდათ.

ღვინო! — დაიძახა გრაფმა და შევსებას მიყო ხელი,
— ნანოს ცრემლებს გაუმარჯოს, ნანო არის ჩვენი მხსნელი!
ყველა ნანოს მივაჩერდით, ჩვენ წინ ქალთა ღმერთი იდგა,
ყველამ შევსვით სადღეგრძელო და ჩვენი ნანოც დამშვიდდა.

— დამიდგა დრო, ბატონებო, მოსვლის მიზეზი რომ გითხრათ,
მე ახლა ქაღალდს გადმოგცემთ და ირაკლი წაგიკითხავთ,
ერთ ქაღალდზე ხელს მომიწერთ, ის ხომ ჩემი საბუთია,
მეორე დათას მიეცით, დათა ჩემი ნაკურთხია.

ვიცი, დათა, ცხოვრებაში ბევრი რამე რომ გინახავს,
რამდენი წელი გავიდა, რაც მუშნი არ დაგინახავს?
– მეთექვსმეტე წელი გადის, რაც მე მუშნი არ მინახავს,
მის ძმური სიყვარული მე ჩემს გულში შემინახავს.

# ყვითელი რვეული

ცხრამეტი წელი გავიდა ნანო, დათა არ მინახავს,
მათ ორივეს პაკეტები ჩემს სეიფში შემინახავს,
და რომ ეხსნიდი მათ პაკეტებს, ძალიან გული ამეწვა,
რადგან დროს გადაეცილეს, ნება მქონდა რომ დამეწვა.

ყველა წავიდა ჩემგან შორს და სადღაც თვალს მიეფარა,
შალითური პორტარტურში ყუმბარამ მიწას ჩააფარა,
სანდრო კარიძემ მონასტერს თავი ბერად აღიკვეცა,
გოგის ციხე მიუსაჯეს. არ მოსულა, იქ დაეცა.

ხანდახან მარტო დათასი ცხოვრების ექო მწვდებოდა,
ცხარე ცრემლით ვილვრებოდი, გული ცეცხლივით მეწვოდა,
ხელთ ავიღე პაკეტები და სათითაოდ დავწერე,
აწ მკითხველი წაიკითხავს, რაც იქიდან გადავწერე.

„ლაზო", გუშინდელ განცდებმა მომაგონა პირველი დღენი,
ოჩამჩირის ტყეში გნახე, – აღასრულე განაჩენი,
ყაჩაღებს თავის უძღვენი, ნაძარცვი ხალხს დაუბრუნე,
თუთაშხია დედამ გშობა, დათა, ალბათ, საუკუნემ.

წუხელ დიდხანს ვერ ვიძინე, განვლილ დღეებზე ვფიქრობდი,
თვალწინ მედგა შენი სახე, ხშირად შოკში ვვარდებოდი,
გუშინ დრო ვერ გამოვნახე, რაღაც შენზე უნდა მეთქვა,
ყველაფერი ეს შენ იცი, მსურდა აზრი გამომეთქვა.

ორთაჭალის ბაღში გნახე, ისე ლაღად დადიოდი,
საბუთი ჯიბეში გედო, შენ თავს ისე უჩიოდი,
ხომ შეეძლო ნაძირალას, მიპარვით ზურგში ესროლა,
დღეს ხომ აღარ იქნებოდი, რა რიგადაც არ ებრძოლა.

აქაურობას განშორდი, წახველ შენთვის, ინავარდე,
იქნებ, ოდეს მოგაგონდე, იქნებ ცოტაც შეგიყვარდე,
მე გიგზავნი ამ ჩემს ბეჭედს, ჩემ სახელზე რომ ატარო,
და აწ დარჩენილი წლები სიხარულში გაატარო,
ამეთვისტო ჩემი თვალია, წადი, ლაზო!

ჩემს ცხოვრებაში პირველად, მეღირსა წერილის წაკითხვა,
რისთვის როგორ ანდა რატომ, არ უნდა მას გამოკითხვა,
უცოლშვილოს, უსახლკაროს დღედაღამ ტყეში მეძინა,
მე წერილს სად მივიღებდი, არსად მქონდა სხვაგან ბინა.

დღეს ყველაზე ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი,
გინდა სუყველამ ჩათვალოს, თითქოს ვიყო მე ძან ავი.
სიხარულით ცას ავწვდები, სიყვარულის ალში ვცურავ,
ტონა ტვირთი რომ ამკიდონ, თავისუფლად ზღვას გავცურავ.

რა ვიცოდი, თუ ოდესმე, მე ბედი ხელს გამიწვდიდა,
ჩემ გულში კი დღისით, ღამით კიდეც თოვდა, კიდეც წვიმდა,
შენ გაცნობამ, ჩემო ნანო, გამინათა გზა და კვალი,
და სიმართლე უნდა გითხრა, ამეხილა ორთავ თვალი.

რისთვისა ვარ და სადა ვარ, ეს ძან გრძელი საწერია,
ნუ იფიქრებთ, ცუდი მელის, ეს ბედი არ მაწერია,
არ იფიქროთ მთლად შემთხვევას მინდობილი კაცი ვიყო,
ჩემი წინაგრძნობის მჯერა, ტყეში, გინდ ქალაქად, ვიყო.

წინათგრძნობა საათივით აწყობილი მძლვნა ბუნებამ,
ათასჯერ მაქვს გამოცდილი, მიკარნახა მე გუნებამ.
და ნურც იმას გაიფიქრებთ, თავკერძობით მე ვცხოვრობდე,
ჩემს იქით არ მესაქმებოდეს, მომავლისთვის არ ვფიქრობდე.

მეგობარი თუ გყავს კარგად, მაშინ შენც მშვენივრად ხარ,
მოყვარე მოყვრულად იცან, და მტერი მტრად, თუ კაცი ხარ,
გჯეროდეს, რომ ასე ვარ და ასე ვიყავ მე წინათი,
მე თუ ვინმე გვერდით მახლავს, არ ელოდება ხიფათი.

ძალიან მეუხერხულა საჩუქრებს ხელის დადება,
პირიქით მე სულ ვფიქრობდი, ახლაც თვალწინ მელანდება,
როგორც დედოფლის მიძღვნილსა, ვიღებ თქვენი კეთილმდომი.
ვარ და ყოველთვის ვიქნები, ნანო, თქვენი ქვეშემდომი.

ახლა მე აქ წერასა ვწყვეტ და გიგზავნით თქვენ ამ ბარათს,
რადგანაც პირველად ვწერ წერილს, ვერ ვენდობი მე ჩემს მარაგს,
მერწმუნეთ და თანაცა გთხოვთ, არ მომაკლოთ თქვენი ხელი,
ვიცი პასუხს დამიბრუნებთ, და აწ ბარათს თქვენგან ველი.
მარად თქვენი თაყვანისმცემელი — დ.თ.

ძან შეწუხებული ვიყავი, ჩემგან ნაწყენი წახვედით,
ჩუმად გამომემშვიდობე და საჩქაროდ შინ შეხვედით,
სასტუმროსკენ ფეხით წავედ, შენი ეშხით აწ დამწვარი,
ოთახის კარს მივადექი, დაღლილი, თან გულდამწვარი.

მთელი ღამე მოვანდომე მე ამ წერილის დაწერას,
თითქოს ვატყობ მთელი ღამე ავყოლილვარ ბედის წერას,
თუ ეს წერილი დაბრუნდა, უკითხავი აწ კი შენი,
შენი ხელით დანა ჩამეც და გააპე გული ჩემი.

თქვენ გეჭირათ მკლავი ჩემი, როდესაც დარბაზს შევედით,
მთელი ხალხი მოგვაჩერდა, ჩვენც ცოტა ხანი შევჩერდით,
მიგვიწვიეს, ერთად დაგვსხეს, გაგვირიეს სტუმართ წრეში,
ათ წუთში ყველამ იცოდა, პირველად რომ არ მახლდი გვერდში.

აქ ირაკლიმ მე გადმომცა, ერთ ქალს სურს ჩემი გაცნობა,
ელისო წერეთელია, თვითონ ირაკლიმ მაცნობა,
ძალიან აინტერესებს, როგორ ცხოვრობენ ლაზები,
ნუთუ ყველა კარგებია, ყველა ასე ლამაზები.

მერე ნახეთ თუ რა მოხდა, რად იყვნენ დარდიანები,
ყველანი შემოგვეხვივნენ, ბაგრატიონ, დადიანები,
მაგათ ერთი აზრი ჰქონდათ გამჯდარი ძვალსა და რბილში,
რომელი გაიმარჯვებდა, გავიდოდა პირველ რიგში.

6. კ. ტყებუჩავა

ჩვენი გრძნობის დასაფარად წერეთლის ქალთან დავჯექი,
იმათ ჭორებს არ ვუსმინე, მე ჩემ გრძნობას დავადექი,
ხომ გესმოდა, რომ იყვირეს: „ქალი მიყავთ ლაზისტანში!“
ეს სიტყვები მე რომ მესმა, ოფლმა დამასხა მთელ ტანში.

თქვენი დამსახურებაა, ამ საღამოს რომ ვართ თქვენთან,
სადაც მეტყვი, იქ წამოვალ, მიბრძანე და მხოლოდ შენთან,
მაპატიოს დედოფალმა, სიყვარული მაქვს გულისა,
თქვენგან დასჯილი მონა ვარ, ყველგან თქვენი სურვილისა.

დ.თ.

— „ლაზო“, ეს იმის ბრალია, მე ქალი ვარ და შენ კაცი,
გვერდით მახლდი მე რაინდი და უძლეველი ვაჟკაცი,
სიამაყის გრძნობით ვიჯექ, გიცქეროდი აღმა-დაღმა,
გულს სიამე მევსებოდა, რომ ვიყავ ყველაზე მაღლა.

ჩემი ღირსების და სახელის დასახსნელად აღიძარი,
ელისოს გვერდით დაჯექი, ჩემი საქმე წინ დასძარი,
ვგრძნობდი, რომ მის გვერდით ჯდომა სამძიმილი იყო შენი,
მტერს მდუღარე გადაასხი მალე სიყვარული ჩვენი.

საყვედური, ჩემგან თქმული, ეს აღელვების ბრალია,
მაპატიეთ მე, რაინდო, იცოდეთ ჩემი ვალია,
შენ არა ხარ, რომ იცოდე, არაფერში დამნაშავე,
ბოდიშს გიხდი, ჩემო კარგო, თუკი რამე დაგიშავე.

შურით ვინც გიყურებს, ფიქრობს, აბა, შეხედეთ თქვენ ამას,
რა მშვენიერი ქალის ჰყავს, უბრალო ამ ღვთისა გლახას,
დამეთანხმეთ, რომ „ღვთის გლახას“, თქვენ გვერდით სურს მოლხინება
სხვის ჭორებს მე არ ავყვები, მაქვს მე დიდი მოთმინება.

წუხელ გოგისთან რაც მოხდა, ცოტა თავხედობას გავდა,
შალითურისებრ კაცებთან სხვაფრივ მოქცევა არ ვარგა,
თუ დროზე შენ არ ივარგე, ჩუმად გაგითხრის სამარეს,
მალულად გესვრის ზურგს უკან, ადგება, დ..კასამარებს.

ეტლში რომ მითხარით, ლაზო, მე ვიცოდი ვინ ხარო,
ირაკლი აქ გაფაციცდა, ვერა ხედავთ, აგერ ვარო,
და თუ მიხვდა ის ყველაფერს, ადვილად ვერ დაიჯერებს,
ხომ არა სჯობს ჩვენვე ვუთხრათ, ის თავის გულს გააჯერებს.

მე ჩემს მოსაზრებას გეტყვი, ჯობია რომ არ იცოდეს,
მე პოლიციაში მოეხვედე, მას ნამუსი სუფთა ჰქონდეს.
მონაწილედ არ ყოფილა, ბრალს ვერაფერში დასდებენ,
და თუ ეჭვი მიიტანეს, ორ დღეში გამოუშვებენ.

თექვსმეტი წლისა ვიყავი, ჩემით ცხოვრებას მივყევი,
ჩვიდმეტისას ჩამივარდა გულში მარცვალი ურყევი,
თვრამეტ წლიდან ასე ვფიქრობ, ქალი ყველა იჩაგრება,
კაცი ქალთან ხშირად ტყუის, ქალს პრესტიჟი ეკარგება.

ქალი ფიქრობს, ვაითუ, ქმარმა შემიძულოს და გამცვალოს,
ვაითუ სხვა ქალი შეირთოს, მასზე ფიქრი შემეცვალოს,
სხვასთან ბავშვი ეყოლება, ჩემი შვილი დაიჩაგროს,
ასეთ ბედით შეიძლება მთელი ცხოვრება იდარდოს.

ამ ფიქრებმა გამიძნელა ქალთან სიახლოვეს ყოფნა,
იქნებ, მასთან ვეღარ შევძლო მე სიყვარულის გაყოფა,
თუ ვერ გავუგეთ ერთმანეთს, სიყვარული გაიყოფა,
ამიტომ ღმერთმა ინება, ამდენ ხანს მარტო მამყოფა.

ახალ ბედმა, სიყვარულმა ნანო შენთან მომიყვანა,
უშენოდ მე არსად წავალ, ტყვიამ თუ არ წამიყვანა,
შენთან ყოფნამ, სიყვარულმა უკვე ცაში ამიყვანა,
თუ ოდესმე გიღალატო, ღმერთმა ქვესკნელს ჩამიყვანა.

სიყვარულმა თუ ინდომა, წყლის მორევში გადაგიშვებს,
შეგიკრავს ხელებს და ფეხებს და სხვა მხარეს არ გაგიშვებს,
მხოლოდ ბედი სულ სხვა არის, ტრფიალი მას არ ამშვენებს,
ანგარებით და თან შიშით ის თავის გზას დაამშვენებს.

ნუ ყოყმანობ, სიყვარულო, ადექ და გულს გამოჰყევი,
არ იფიქრო სად მიგიყვანს, სადაც წავალ, გამომყევი,
შენ მხდალის ბედს ნუ ირგუნებ, სიხარულს შიშზე ნუ გაცვლი,
მიენდევი ჩემს სიყვარულს, სხვა ვინმეზე ნუღარ გამცვლი.
მარად თქვენი დ.თ.

ყოფილ აბრაგს და ახლა „ლაზს" გიწერს შენი თანატოლი,
ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ასეთი გრძნობის ამყოლი,
ოღონდ, რაინდო, მიბრძანე, სადაც გინდა, ვარ წამყოლი,
შენი სიყვარულის მჯერა, ვარ სიყვარულის დამყოლი.

საბაბი მე არ მომიცია, სიყვარულში შიში გეგრძნო,
პირველივე დღეს მინდოდა შენი სიახლოვე მეგრძნო,
მე დღეს ძან ბედნიერი ვარ, თუ გინდა სიკვდილი ვიგრძნო,
სპეტაკ სიყვარულს მოგაწვდი, ალბათ ამას შენ შეიგრძნობ.

თუკი რამე მაბადია, განუყოფლად ის შენია,
ჩემი გული შენ გეკუთვნის, მითხარი, ხომ არ გწყენია,
მსურს, რომ გვერდში ამოგიდგე, ეს ერთი გზა დამრჩენია,
ტკბილად ვიყოთ, ერთად ვიყოთ, რაც სიცოცხლე დაგვრჩენია.
შენი ნ.

— ვხედავ, ქალბატონო ნანო, გაგვირთულდა ყველაფერი,
ამის გარეშეც არ ვარგა,დაედება სხვა ელფერი,
დაბრკოლება დაუხვედრა ჩემმა ფიქრმა შენს სიყვარულს,
ვფიქრობ, მხოლოდ შენ აღმიდგენ, წარსულში ჩემგან დაკარგულს.

მამაკაცმა, ვინც არ იყოს, ქალს რომ თავი შესთავაზოს,
უნდა იყოს მისი ტოლი, თანაგრძნობა უთავაზოს,
თქვენ მაღლა ხართ, მე კი დაბლა, მე სისწორესა გთავაზობთ,
მე მგონია აწ წარსულის თქვენ მადლობასა მთავაზობთ.

ლოცვას არავის დავამადლი, ვალის ნაცვალს არ ავიღებ,
რაც მე სიკეთე მაკლია, ამას შენგან გადავიღებ,
ისეთი არ მინდა ვიყვე, იმ შირერს რომ ცოლს შეუცდენს,
სიყვარულით ქალს წაართმევს და ღალატში გადაუცდენს.

მესმის ასეთების ფიქრი, ჩემთვის ნამდვილად მეტია,
ვიცი სინდისი დამქეჯნის, სასჯელად მეტისმეტია,
მაგრამ იმდენად მიყვარხარ, გულის სიღრმეს არ მეტია,
სადაც მეტყვით, იქ შეგხვდებით, ლაპარაკი ზედმეტია.

გვამბორებით დ.თ.

# ნიკანდრო ქილია

მუშნისა და დათას ამბავს მე ახლავე მოგიყვებით,
ნათესავები ყოფილან, ეს გავიგე ქაღალდებით,
მუშნი ძან ეშმაკი გახლდათ, მაგრამ იყო გულკეთილი,
რაც მე მუშნიმ გამიკეთა, ჩემთვის იყო გაკეთილი.

მე ქაღალდი მომივიდა, მუშნის საქმე მომეკვლია,
ყველა საქმე შევამოწმე, რაც უნდა გამომეკვლია,
საქმოსნები დაიჭირა, მექრთამენი მიაყოლა,
კანონით მართალი იყო, აღარ უნდა მას მოყოლა.

ბრილიანტების საყურე მუშნის მეუღლეს მიართვეს:
„– გთხოვთ მიიღოთ, ქალბატონო, მუშნის პატივცემა გვმართებს!"
ცალყბით უფროსებს ვუთხარი, მე საყვედური მომართყეს,
მარტო ამას არ დაჯერდნენ, მაგარი სილაც გამართყეს.

ერთ დღეს მუშნი ზარანდიამ მე თბილისში დამიბარა,
– ვინ დადიან შენს სოფელში თხის ქურდები წარამარა.
გვარები ჩამოვუწერე, ბოლოს იყო მატარია,
– მეტი არ მინდა, გეყოფა, ეს გვარებიც საკმარია.

შენ გაგზავნე მატარია, დათას შავი ხბო მოპაროს,
ტომარაში ჩასვას იგი, მერე შენთან მოიყვანოს,
და თუ მან ხბო მოგიყვანა, შინ გაუშვი მატარია,
ის ციხეში მალე მოვა, ეს არ არის ზღაპარია.

როცა შენ ხბოს მოგიყვანენ, დაამწყვდიე ის თავლაში,
კაცი სოფელში გაგზავნე, ვერ დაეწიონ მას გზაში,
მან სოფელს შეატყობინოს, ხბო ჰყავს ნიკანდროს თავლაში,
მგონი, დათა გეახლება, ფრთხილად, არ მოხვდე მის ყბაში.

დათა თავლაში შეუშვი, დაუკეტე სწრაფად კარი,
შენთვის ამის გაკეთება, მერწმუნე, იოლი არი.
მაშინ მე ფოთში ვიქნები, აფრინე ფოთს სწრაფმავალი,
ღამე შენს ოთახში გყავდეს, დანარჩენი ჩვენზე არი!

ორ დღეში ჩამომიყვანა შავი ხბო მე ნაქურდალი,
ისე ჩუმად მოუპარავს, ვერ იპოვეს მაგის კვალი,
ფოთში კაცი გავაგზავნე, თოხარიკზე სწრაფმავალი,
ვუთხარ: სწორი გზით იარე, არ ნახო გზა გამავალი.

## ბეგლარ გვალია

ჭკუა თუ გაქვს, აბრაგობა ეშმაკობას შეგასწავლის,
ყველა მდევარი ბოთეა, ისინი მე რას მასწავლის,
სულელები იყვნენ ყველა, მათი ხრიკები ვისწავლე,
ჭკვიანი ერთი გამოჩნდა, მის მერე ბევრი ვიწვალე.

ჩემი გაფუჭება სწორედ იმ ერთისაგან იქნება,
მე არ ვიცი რომელია, მაგრამ ღმერთმა თუ ინება,
აღთქმა მაქვს დადებული, რომ მე ის ყველგან ვაშუქო,
რომ მივართვა კარგი ძღვენი და კარგი ცხენი ვაჩუქო.

ჩვენი ჯოგი ყველამ იცის, რუსეთიდან ბათუმამდე,
ფერით ყველა შავი იყო, თეთრი ვაშლით ცალ ფერდამდე,
კვარაცხელიას ხარები ვერ წვდებოდნენ ნახევრამდე,
რქები ძან დიდები ჰქონდათ, მოგწვდებოდათ თვით მკერდამდე.

მამა როცა დაგვიტორეს და დაგვიგლიჯეს დათვებმა,
გაგებამდე დრო გავიდა, ჯოგი ქურდეს აბრაგებმა,
ბიძაჩემი მთას წავიდა, მოაგროვა ჯოგი ნელა,
სამას ორმოცი სულიდან დარჩა სამასი სუყველა.

მამაჩემმა ძროხის ჯოგი იმ შავდიებს ჩააბარა,
მოუარეთ, არ დახოცოთ, ბიძამ ასე დაიბარა,
ჩვენ პატარები ვიყავით, ვიზრდებოდით თანდათანა,
ორთავესა ბიძია გვზრდიდა, მან გვასწავლა ანაბანა.

მე რომ ჩვიდმეტისა გავხდი, ჩემი ჯოგი ჩავიბარე,
მოვუარე, გავამრავლე, ბიძა ძლიერ გავახარე,
მომიწია აბრაგობა, ჯოგი დარჩა ცის ამარე,
ოთხი წელი რომ არ ვიყავ, ჯოგს გაუთხარეს სამარე.

რომ ჩამოველ, ელეს ყავდა ერთი ბულა, ერთი ძროხა,
მეჯოგეები მოვიდნენ და დაიწყეს ჩემთან ოხვრა,
ზოგი ჭირმა გაგვიწყვიტა, დაგვედო მაგარი ცოდვა,
მკვდარი ხომ არ გაცოცხლდება, აღარ უნდა მაგას ცოდნა.

პატიების ქალალდთან ერთად უკვე ჰქონდა გულს საგულე,
ერთი თვის თავზე ელეს ძროხამ ხბო მოიგო, თან საფურე,
ელე მარტვილში წავიდა, წირვა გამოაყვანინა,
ათი თუმანი შესწირა, ხბო სულ ხელით მაყვანინა.

უკაცო ოჯახი იცით, მივყევ სამუშაოს ხელი,
აქ სახნავი, საბარავი, ბაღი, ჭიშკარ, ვენახები,
მარტო ვიყავ, მაგრამ შრომამ მომიმრავლა ყველაფერი,
ცხოვრება კარგად მიმყავდა, ოჯახს დაედო ელფერი.

— დათა მუდამ სახლში იყო, გარეთ არსად გადიოდა,
ქორწილებში, ნათლობებში არავისთან მიდიოდა,
მას ესმოდა ჭირ-ვარამი, ხიფათს არ ერიდებოდა,
ამიტომაც ხალხს უყვარდა და დათას მზეს ფიცულობდა.

მაგრამ ერთ დღეს ჩვენმა დათამ ზურგი ყველას შეაქცია,
კი, მაგრამ ამდენი ხალხი ბოროტებად ვინ აქცია,
დღე და ღამე სულ ბრაზობდა, ყველა საქმეს ეჩრებოდა,
მტრებიც ბევრი გაიჩინა, ხშირად სულ მარტო რჩებოდა.

მთავრობასთან რომ შერიგდა, ის ძალიან შეიცვალა,
სხვას არაფერს უშავებდა, ხასიათი ძან იცვალა,
მის გვერდით წმინდანისათვის თავი ვინმეს წაეცალა,
თითსაც აღარ გაანძრევდა, გინდა ტყვია დაგეხალა.

როცა ხალხმა ნახა დათამ ყველა ფეხზე დაიკიდა,
ყველამ ზურგი შეაქცია: „მაგან ცოდვა აიკიდა!“
დაუყარეს ბევრი ჭორი, ბევრი ცოდვაც მას აბრალეს,
სხვისი გაკეთებულები ყველა დათას დააბრალეს.

— რაც მთავრობას შეეურიგდი, თითქმის რვა თვე გამოვიდა,
დაბრუნდა სახლში ნახირი, ბოჩოლა კი არ მოვიდა,
ჩემმა დამ ტირილი იწყო, წუნარება არ გამივიდა,
მე ვერაფრით ვაშოშმინე, თავის ოთახში შევიდა.

წმინდა გიორგის ხატის წინ დილამდე მუხლებზე იდგა,
მე სიმართლეს მოგახსენებ, ძალზე ცუდი დღე დამიდგა.
— ღორონთ, მა სი ქოგუგალე, ქიმემხვარი, ჩქიმ დათაშა,
ქოგურინე სქან ტიბინი, გინომტე გაჭირვებაშა[1].

— დილით მე ტანზე ჩავიცვი გუდას ჩაედევი საგზალი,
ელეს ხელები მოვხვიე, ძელივს დავაწყნარე საწყალი.
წავალ ბოჩოლას მოგიყვან, შორი გზა მაქვს გასავალი,
სულ დავიელი ტყეს და ველებს, იქნებ ვნახო მისი კვალი.

მთელი დღე კლდე-ღრე ვიარე, ვერა ვპოვე მისი კვალი,
დაღლილი და დაქანცული სახლში მოველ გულდამწვარი,
ელე თვის ოთახს ტიროდა, მე ფიქრით გამისკდა თავი,
ბედკრულ იყოს მის სახელი, ვინც გამიკეთა მე ავი.

შეიდი თვის იყო ბოჩოლა, მგელი ზურგს ვერ მოიგდებდა,
რაც შეეძლო, მას შესჭამდა, დანარჩენს იქ მიაგდებდა,
რკინის გული, ორი თავი ვის ჰქონდა, რომ აკეთებდა,
ვინ იყო ასე უხამსი, ანდა როგორ გამიბედა.

---

1. ღმერთო, შენ შემოგევლე, დაეხმარე ჩემს დათას, იხსენი გაჭირვებიდან.

სოფლის თავში ერთ ადგილას პატარა საყანე მქონდა,
იქ კარგი ღომი იცოდა, თანაც ბევრი მოდიოდა,
სოფელში მიმავალი გზა ჩვენ ყანაზე გადიოდა,
ფიჩხით ქალნი მოდიოდნენ, ფეხამდე ოფლი სდიოდა.

დილამშვიდობა გვისურვეს, ჩვენც მათ მშვიდობა ვუბოძეთ,
სოფელში ხბო დაკარგულა, ბოქაული პატრონს ეძებს,
ვილაც ქურდებს ხბო მიჰყავდათ, პოლიციას აურთვია,
პატრონს ვეძებთ, ჩამოვიდეს, ხბო მაგისთვის მიგვირთვია.

შინ მიმავალი ვფიქრობდი: რა შუაშია პოლიცია,
ვინ აკეთა, ვის უნდოდა ასეთი მახინაცია?
ელეს ცოდვას ვინ ჩავარდა, ოჯახი ვინ დამიქცია,
მთელი დღე ამას ვფიქრობდი, პასუხი ვერ გამიცია.

შინ მივედით, ახლა ელე, სახლში აღარ მომასვენა.
თეძოზე წამოწოლილხარ, გულმა როგორ დაგასვენა,
წადი, პოლიციას ჩადი, მომიყვანე ბოჩოლია,
ჩქარა წადი, ჩემო დათა, აღარ გინდა ჩოჩქოლია.

წავიჩხუბეთ იმ საღამოს, გავებუტეთ ჩვენ ერთმანეთს,
პოლიციას მე არ წავალ და საერთოდ არც იმ მხარეს,
ბოჩოლიას სხვას გიყიდი, რომ არ იყოს არემარეს,
თუ სიტყვა მე გაგიმტყუნო, ჩამასვენე შავ სამარეს!

დილით ადრე მივაკითხე, ელე სახლში აღარ იყო,
როგორც მითხრეს მეზობლებმა, პოლიციას წასულიყო,
ცხენი შევკაზმე, შევაჯექ, ელეს გზაში დავეწიე,
ხვეწნა-ხვეწნით სახლს ვაბრუნე, მე პოლიციას გავწიე.

მე ცხენი ხეზე მივაბი და შევედი დიდ ეზოში,
პოლიციაც ისეთი გვაქვს, რომ ეკუთვნის ამ ჩვენს დროში,
მე აივანთან მივედი და მთელი ხმით დავიძახე:
ნიკანდრო ქილია, გამოდი, შენთან საქმე მაქვს, შევძახე.

ნიკანდრო მოაჯირს მოადგა და ზევიდან გადმოსძახა:
— გამარჯობა დათა შენი, — დააფჩინა იმან ხახა,
— ამ სიშორეს მომაკითხე, ხომ არავინ არ დაგჩაგრა,
ან რა საქმე გაქვს ისეთი, რომ მიყვირი ასე მაგრა.

— მე გადმომცეს, რომ შენა გყავს ბოჩოლია დამწყვდეული,
ელემ დაკარგა თავის ხბო, ჭკუას არის გადასული,
იქნებ ჩვენი ჯოგი იყოს, ნიშანი აქვს მიჩნეული,
თუ არადა, სახლში წავალ, სხვის არ მინდა მოძლეული.

— კარგი, ჩქიმი პატონ[1] დათა, შედი თავლის კუთხეშია!
თავლას შეველ, გულმა მითხრა, შენს თავს იგდებ მახეშია,
უცბად კარები მოკეტეს, ვხედავ მოვხვდი ცუდ დღეშია.
მივხვდი, მაგრამ გვიან იყო, რომ გამაბეს მახეშია.

— გააღე ახლავ, ცინგლიანო, სახუმროდ არ ვარ მოსული!
— შენ არავინ გეხუმრება, მახეში ხარ თვით გაბმული,
ის ქალალდი არ გიშველის და არც მუშნი ზარანდია,
უკვე დაკავებული ხარ და იქ სადმე დაბრძანდია.

— ნამუსი ბაბას არ ქონდა, შენ ვილა მოგაშავებდა,
მამაშენი ცხრაჯერ მეტად ძალიან ხშირად აშავებდა,
ტუტუცი და თაღლითი ხარ, კარგ სახელს ვინ გაშავებდა,
თქვენისთანა სისხლის მსმელნი, ვაჰ, როდის გადაშავდება.

— რვა ცხენი რომ მოიპარე, ორი იქ ხომ ჩემი იყო,
შენ რჯულის ხალხს ცხენს პარავდი, ეს ვისი ნამუსი იყო?
— ცხენები მე არ მომიპარავს, ის თითმერიამ მაჩუქა,
გაყიდვით კი მე გავყიდე, ტკბილი ფული აქვს ნაჩუქარს.

ცოტა ხანში რვანი ერთად აქ თავლაში შემოვიდა,
ხელები მაღლა ასწიე, ქილია ყვირილს გადავიდა,
— ხელს კი არა, ფეხს აგიწევ, შე უბედურო ქილია,
ჩქარა ბორკილი დამადეთ, შენ სადა გაქვს სირცხვილია.

---

1. ჩქიმი პატრონი — ჩემი ბატონი

ღამემდე საჯინიბოს ვიყავ, დაღამდა, გამომიყვანეს,
ბორკილდადებული კაცი ქილიასთან შემიყვანეს,
აქ ბოჩოლიას მოპარვას სხვანაირი ხრიკი ახლდა,
მაგრამ ავტორი არ ვიცი, თუ ვინ იყო ერთის გარდა.

გულმა მიგრძნო, რომ აქედან დაძვრომას მოვახერხებდი,
თუ როგორ წამოველ იქიდან, ვიცი, ამას გაიგებდი,
ბოჩოლაც წამოვიყვანე, თან სახლისკენ წამოვედი,
მაგრამ დღემდის აღარ ვიცი, ვის ერგო მოპარვის ბედი.

## ნიკანდრო ქილია

უკვე საღამო დრო იყო პოლკოვნიკი რომ მოვიდა,
ახლა უკვე კარგი დრო გვაქვს, თუ რამე გამოგვივიდა,
მოამზადე თუთაშხია, ისე, როგორც საქმეს უნდა,
თავის დროზე მე გამოვალ, თუ საქმე არ გადაბრუნდა.

პოლკოვნიკმა ასე ბრძანა, თხუთმეტი როზგი დაარტყით,
გაიყვანე ხუთი კაცი, თითომ სამ-სამი დაარტყით,
თუთაშხიამ თითო წიხლი კამფეტივით დაურიგა,
ხუთივე ადგილს გაქვავდა, თითქოს ვინმემ დაარიგა.

დათამ ხელკეტებს შეხედა, იატაკს დაწვა გულაღმა,
აქ ჩემ ბიჭებს მე ვუბრძანე, ურტყით ჯოხი აღმა-დაღმა,
პოლკოვნიკი შემოვიდა, მან იყვირა აქ ხმამაღლა:
ჯალათობას ხელი უშვით, აბა, ეს ვინ დაგავალა.

აქ პოლკოვნიკის ბრძანებით დათას ბორკილი აყარეს,
ისევ მაგისი ბრძანებით იგი ოთახს შეიყვანეს:
ეს შენ როგორ გაგიბედეს, როზგები რომ დაგაყარეს,
კაცს პატივი ხომ უნდა სცენ, შენისთანა თავმოყვარეს.

პოლკოვნიკი შეჩერდა და დათას ჩუმად ეკითხება:
ჭანტურიებს სიდან იცნობ, ან აქ შენ რა გეკითხება?
— ჭანტურიებს მე არ ვიცნობ, არც არავინ მეკითხება,
არა გჯერათ, თვითონ ჰკითხეთ და თვითონვე მოგიყვებათ.

პოლკოვნიკი ძან გაბრაზდა, როზგებიო, კვლავ იყვირა,
დათას ურტყეს მათ როზგები, ერთიც აღარ დაიყვირა,
პოლკოვნიკმაც დათას ურტყა, ის თვითონვე დაიღალა,
ერთი კრინტი არ დაუძრავს, ერთიც აღარ დაიბღავლა.

თუთაშხია, ჩვენ ვიცით, რომ ბევრი ცოდვა გიდევნია,
თოდუა, გამელაგდიას მკვლელობა ჩაგიდენია,
ოთხი ქალიშვილის ცოდვა კისერზე დაგიწვენია,
ამის გარდა უამრავი ქურდობაც ჩაგიდენია.

— ესენი გაგონილი მაქვს, არც ერთი მიკეთებია,
თავად ღმერთი იმათ განსჯის, ვისაც ეს უკეთებია,
კაცის ცუდი ან სიკვდილი არასოდეს მდომებია,
არვის შური, არც ღალატი, არასოდეს მქონებია.

— თუთაშხია, შენ ხომ გინდა სახრჩობელას აგაცდინო,
შენი დღენი მომავალი ტკბილი ცხოვრებით აცილო.
ჭანტურიებს შეეკარი, ჩვენამდის რომ მოაცილო,
ციხე-ბორკილი გაცდინო, თანაც ტყვიაც აგაცილო.

— ცოტა ხანი დამაცადეთ, ამას მოფიქრება უნდა,
იცით, გზა მაშინ გამოჩნდა, როს ურემი გადაბრუნდა,
მე ყველაფერი ვიფიქრე, რა უნდა და როგორ უნდა.
მაგრამ, იცოდეთ, ამ საქმეს ცოტა კარგა ხანი უნდა.

— ორი კვირა მომიცია, ამ საქმისთვის თუთაშხია,
— ორი კვირა ცოტა არის, ისინი განა სახლშია,
— გაფორმება უნდა ამას, კალამი ხომ ჩემ ხელშია,
ამის შემდეგ მოგეშვებით, ინავარდე კლდე-ღრეშია.



პოლკოვნიკმა მაშინათვე, სწერა პირობის წერილი,
ადგა, დათას წინ დაუდო, მისი ხელით დაწერილი,
დათამ უთხრა, დრო ცოტაა, ხელახლაა დასაწერი,
თვენახევარი სჭირდება, ასე არი იქ საწერი.

არ ეყოფა, კი ეყოფა, ასეთია ბედისწერა,
დათას ჯიუტობა ეყო — მან ხელახლა გადაწერა,
დათამ კარგა ხანს იკითხა, მერე ხელი მოაწერა,
და პირველი შეხვედრის დრო ერთი კვირა მან ჩაწერა.

ჩვენ მას ხბო გამოუყვანეთ, დათა თვითონ ცხენზე შეჯდა,
ცხენმაც ისე დაუყვავა, თითქოს ზურგზე ღმერთი ეჯდა,
ბოჩოლა მას უკან გაყვა, ცუდ თვალით არ სანახია,
ამის შემდეგ თუთაშხია მე არსად დამინახია.

აქ უკვე დრომ მოაღწია, კვირის თავზე შეხვედრისა,
ახლოს მე რას მივიდოდი, მეშინია სიკვდილისა,
ჩემი კაცი გავაგზავნე, სამყოფ მისი ადგილისა,
მე ძორიდან ვუყურებდი, თანაც ჩაცუცქული დღისა.

იქ არავინ აღარ იყო, გარდა ერთი რვა წლის ბიჭისა,
მას გვერდით ხურჯინი ედო, თითქოს რაღაცა უჭირსა,
ჩემი კაცი შეეკითხა: ვინ ხარ შენა, ან რა გჭირსა?
— თუთაშხიამ გამომგზავნა, ვიღაც კაცის დარდი სჭირსა.

ხურჯინი გამომატანა, ეს ქილიას მიართვიო,
და თუ თქვენ ხართ მაშინ, ძია, ხურჯინი გამომართვიო,
ქათამი და ინდოური ძღვნად მე დათამ მომართვაო,
ამის მეტი აღარ ღირდა, რაც დათამ ხალხს წაართვაო.

გადიოდა დრო და ხანი, უკვე ერთი თვე გავიდა,
ქუთაისის პოლიციის მოადგილე ჩამოვიდა.
თან ახლდა მას ოფიცერი, საქმე ჩემი განს გავიდა.
საქმეები ჩავაბარე, პოლიცმეისტერობაც წავიდა.

ცოტა ხანი რომ გავიდა, ზარანდიას მე ვეახლე,
გაცეცხლდა და მიღრიალა: პატიმარი რად გალახე?
კაცს დამწყვდეულს როზგებს ურტყამ, ხომ არ არის ის მოახლე?
ასეთ საქმით ის კი არა, შენი თავი გაილახე.

გაბრაზებულმა ვუთხარი: მუშნი, თენა მუშენ ბლოლი[1],
ებრაელების საყურეს ხომ ატარებს შენი ცოლი...
მან ქაღალდი გამოიღო, გადმომიგდო როგორც ღორი:
— მისთანას რომ ვაკეთებდე, ვიქნებოდი შენი ტოლი.

ქაღალდი რომ წავიკითხე, მე გული გადამიბრუნდა,
ებრაელებს ის საყურე უკვე უკან დაუბრუნდა,
შვილების უბედურებას არ შეგარჩენ, ზარანდია,
ჩემი მოხსნა რომ გინდოდა, ამას ვატყობ რა ხანია.

ვიღაც კაცი შემოვიდა, მან დიდხანს ილაპარაკა,
ის წავიდა, მერე მუშნიც ადგა, გადმომილაპარაკა,
— ხომ დამშვიდდი, შენ, ქილია, მან სხვა ქაღალდები მომცა
ადექი და გადაწერე, — ორი ფურცელიც გადმომცა.

ქაღალდი რომ წავიკითხე, იცით, იქ თქვენ რა ეწერა?
ჩემი აღდგენის ბრძანება, თვითონ მუშნის დაეწერა.
სულ ორ თვეში აღმადგინეს, მუშნიმ გამიმართა ხელი,
ამის შემდეგ ზარანდიას მხოლოდ ვაქებ, არა ვწყევლი.

---

1. მუშნი, თენა მუშენ ბლოლი — მუშნი, ეს რატომ გამიკეთე.

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

# ᲑᲠᲐᲨᲘ ᲡᲔᲒᲔᲓᲘ

იმ დროისთვის, როცა დათა ხელმეორედ გააბრაგდა,
ბევრი ჩვენ შემოვირიგეთ, ბევრი სხვაგან გადაბარგდა,
მფარველების ბევრი მომხრე ჩვენი ხენით დააკადდა,
მათ ხელწერილები მოგვცეს, თქვენ გვერდით ვართ ჩვენ თავადა.

დათას გადმობირების ცდა ჩვენ სახონოვს განზე დარჩა,
„კილიკიას" კურატორად მაინც სახანოვი დარჩა,
ჩვენ მას პაკეტებს ვაწვდიდით, კარგ მასალებს, თანაც ჩქარა,
მისგანაც ჩვენ ვლებულობდით, რამაც საქმე დააჩქარა.

სახონოვი ბევრ წერილებს ადგილზე თვითონ ადგენდა,
მერე კონვერტში ჩადებდა და თავის შეფს წარუდგენდა,
მე და მუშნის სამსახურში იგი სახელს გვიფუჭებდა,
ეს მე პეტერბურგში მითხრეს, აწი რა გამიფუჭდება.

ეს ამბავი სათითაოდ მუშნის ყველა მოვუყევი,
მიპასუხა: კარგად ვიცი, მე მას უჩუმრად მივყვები,
ჩუმად ვხედავ, რაც კეთდება, სანამდის აქ ვიმყოფები,
სახონოვი ორმოს მითხრის, მანამდის არ ჩავვარდები.

თქვენ რომ ბრძანეთ, მასზე ფიქრი კვლავაც საჭიროა, მგონი,
ჩანაფიქრი სწორია და მართალიც არის, მე მგონი,
შეიძლება ჩვენ წინაალმდეგ მას საიდუმლო აბარონ,
წისქვილების ან საროსკიპოს მას შეფობაც ჩააბარონ.

ზარანდიამ ამის შემდეგ თავი დამიკრა, გავიდა,
ფიქრებში ვიყავ გართული: მუშნი მალე რად გავიდა?
და თუ ჩემზე ის ცუდს ფიქრობს, დამიწეროს მან პატაკი,
რაც არ უნდა მე მომიხდეს, არ ვიქნები მე ლატაკი!

ამის განსჯას და ანალიზს დიდხანს არ მოვცილებივარ,
არ მქონია არვის შიში, საქმეში არ ვცილებივარ,
ჩემი ხელშეუხებლობა იყო სინდისი, და გარანტია,
მე ძალიან მდიდარი ვიყავ, ეს მეორე ვარიანტია.

ნუთუ მე მუშნის წინაშე ცოდნითაც უძლური გავხდი?
რომ დამჭირდეს ყველა საქმეს სათითაოდ მე თავს ავხდი.
მე მაგ კაცს დიდ პატივს ვსცემდი და ძალიან ვაფასებდი,
მაგრამ მაინც არასოდეს თავს მე არ დავიმცირებდი.

## ტოჩი მიქაშავრია

ბევრი ძველი აბრაგები მთავრობასთან რიგდებოდნენ,
ორი ძმა ჭანტურიები არაფრით ურიგდებოდნენ.
მეჩვიდმეტეში ვიყავი, მე ძალზე მეფერებოდნენ,
ვინმეს ცუდი ეთქვა ჩემზე, არაფრით არ დაინდობდნენ.

მეორედ რომ გააბრაგდა დათა, ამოვიდა მთაში,
ბიძაშვილ ჭანტურიებთან საუბრობდა დაბალ ხმაში,
მე პატარა ბიჭი ვიყავ, გამაგზავნეს სადღაც გზაში,
მოველ, დათა აღარ დამხვდა, წასულიყო სხვაგან ბარში.

გააბრაგება მეორედ კარგა ხნის შემდეგ გავიგე,
ხომ ხედავთ, ჭანტურიებო, მე თავზე ხელი ავიღე,
არ მინდა ვიცოდე სად ხართ, ბინა სად გაქვთ, რას აკეთებთ,
ჩემზე აღარ გაიფიქროთ, ცუდს არაფერს გაგიკეთებთ.

მუხურის ტყე და ველები მთებთან ერთად ძან დიდია,
ას აბრაგმა ათ წელიწადს ვერ ნახოს ერთი ხიდია,
წასვლას სხვაგან არ ვჩქარობდი, არც თუთაშხია წასულა,
მაგრამ იმ ერთი დღის შემდეგ დათა ჩვენსას არ მოსულა.

უსაქმურობა, ხომ იცით, კაცის ძან მომქანცველია,
ის სიფრთხილეს გაკარგვინებს, ძალ-ღონეც დაუცველია,
ამიტომაც ხშირად ხდება, რომ გაებმები მახეში,
ბიძაშვილნი დიდნი იყვნენ, მე კი ვიყავ მძიმე დღეში.

ძალიან ცელქი ვიყავი, ადგილს რა გამაჩერებდა,
დავდიოდი ხან სად, საით, ტყვიაც ვერ შემაჩერებდა,
თანაც ზეპირად ვიცოდი, ყველა ხე და ყველა ხევი,
ლოდი და გამოქვაბული არა მქონდა ახარევი.

იქ ადგილი იყო ერთი, ბუხუს ნასახლარს ეძახდნენ,
გორაკები ერტყა ირგვლივ, მაღალი ხეები ახლდნენ
გადმოცემით ასე იყო: ბუხუს ძმა შემოჰკვდომია,
სასჯელიდან დაბრუნებულს მარტოობა უნდომია.

წყალი არ ყოფილა ახლოს, იქ ბუხუს ჭა გაუთხრია,
კარი არ ქონდა მას, თორემ ჯიხური კარგი უქნია,
წყალი ძალზე კარგი იყო, ჭა კი მეტად ღრმა უთხრია,
ჭას ჩემი სახელი ერქვას, ბუხუს ასე დაურქვია.

ერთხელ მიველ ბუხუს ჭასთან და სათოფემდე გავჩერდი,
თუკი ვინმე მოდიოდა, მას შორიდან შევამჩნევდი,
შორით არავინ მოსჩანდა, მე ჭასთან ახლოს მიველდი,
კაკლის ძირში ვნახე კაცი თოფით ხელში, ჩემი ბედი.

ვიცანი და დავუძახე: გამარჯობა, ძია დათა!
— გაგიმარჯოს, — დამიძახა, — მოდი, არ აგიტყდეს ხათა.
მიველდი და ახლოს დავჯექ, ვილაპარაკეთ ხმადაბლა,
ჩვენები ყველა იკითხა, მერე მითხრა მან ძან დაბლა.

სამი დღეა გელოდები, მიტომ დაგიძახე ხათა,
შენ ჯიხურში შესვლა გიყვარს და თან ჩაყვირება ჭათა,
იქ შესვლა არ შეიძლება, დაგიმტკიცებ ამას ახლა,
წამოდიო, მითხრა დათამ და ჩემთან ჯიხურს ეახლა.

შემოუარა ჭის ჯიხურს თუთაშხიამ ზურგიდანა,
მან გადასწია ყავრები, შევიდა და შევყევ თანა,
აგერ, ყორეში, ხომ ხედავ, ის მაუზერის ტარია,
ამ ზღურბლზე ფეხს გადაადგამ და კაციც უკვე მკვდარია.

7. კ. ტყებუჩავა

ტორი, ახლა მომისმინე, აგერ იმ ბაწარს ხომ ხედავ,
გადაჭრი მას მჭრელი დანით, სხვაგან აღარ მიიხედავ.
მერე თუ გავარდა ტყვია, საშიში არაფერია,
ყორეს დაშლი, შიშს ასცდები და მაუზერიც შენია.

— დათა ბიძია, მითხარი, ვისთვისაა დაგებული,
— შენთვის, ალბათ, აქ არ შევლენ აბრაგები გაგებული,
ვინც ეს ხაფანგი აკეთა, იცის, დადიხარ აქ ხშირად,
ჭაში ჩახედვა რომ გიყვარს და შედიხარ შიგ უშიშრად.

ტორი, არ ხარ დამნაშავე, თუ შემოგკრა ვინმემ ყბაზე,
შენ სატყვა არ დაუბრუნო, იგი წავა თავის გზაზე,
ის ინანებს თვის საქციელს, არ იქნება იგი შტერი,
და თუ ხელი დაუბრუნე, გახდება ის შენი მტერი.

მან მე ხელი ჩამომართვა და წავიდა ქვევით ჯიქით,
თურმე ორი ამხანაგი ელოდება გორაკს იქით,
ჩემ ბიძაშვილ ჭანტურიებს ყველაფერი უნახია,
მის შემდეგ ხანი გავიდა, დათა არ დაგვინახია.

— საით მიხვალ, დათა ბიძა, — გულუბრყვილობამ მაძახა,
— ბოსტანი მაქვს გასამარგლი, — დათამ ასე დამიძახა.
— ამ დროს მარგვლა რა დროხია, აწი უკვე გვიანია,
— მე რომ ბოსტან-ყანა მერგო, მარგვლას არ უგვიანია.

— ვისი ნახელავი არის? — მე შორიდან მივაძახე,
— სარჩიმელიას ან ყაჭავას, ორივეს აქვს სისაძაგლე,
პლატონს ან მაქსიმეს უთხარ, ყველაფერი მათ იციან,
ვირთაგვებია ორთავე, დრო მოვა, თავს წააცლიან.

ამის შემდეგ ვუდარაჯეთ რაჟა სარჩიმელიას გზაზე,
მაქსიმე და პლატონი ბუჩქებს იყვნენ სწორად ხზაზზე,
მე წინ ტომარა დავიდე, ჩაყრილი მქონდა სიმინდი,
სარჩიმელია გამოჩნდა, უკვე იყო ღამის ბინდი.

ავაწევინეთ ხელები და ავყარეთ იარაღი,
ცხენიდან ქვევით ჩამოვხსნით, დავხვით როგორც ბაირაღი.
— ბუხუს ნასახლარზე ჭაში, მაუზერი რომ მოაწყვე,
წამოდი და ამოიღე, თან ნაწილებად დააწყვე.

წყლის გარეშე ჩვენი საქმე, კარგად იცი, არ ივარგებს,
აღარ ვიცით მისი დაშლა, წყალი ხომ უნდა აბრაგებს?
მან სასტიკად იუარა, მერწმუნეთ მე ის არ მიქნია,
ჩვენ საიმედოთ შევბოჭეთ, გავიგდეთ, როგორც ფინია.

ვატარეთ ჩვენ დღე და ღამე, მიველთ ბუხუს ნასახლარზე,
აქ მაქსიმემ რაჟას უთხრა, შედი შენით ნახელავზე,
ჩაგვივარდა ის მუხლებში, რა არ ჰქნა, რას არ შეგვპირდა,
ჩემმა ტყვიამ იგრიალა, თავის ქალა გადუწმინდა.

ჭის ამბავი აქ დამთავრდა, უნდა გვენახა ყაჭავა,
მას ჩვენ ყველგან დავეძებდით, სანამდის მზე აღარ ჩავა,
ჩვენ ბედმა არ გაგვიღიმა, მოგველუშა სახე-ბაგე,
გავიგეთ, რომ მოუკლიათ ორი კვირით ჩვენზე ადრე.

# გრაფი სეგედი

სახონოვის ქაღალდები ჩვენ ტუაფსედან მივიღეთ;
ჩემს წერილებს და ბრძანებებს სხვანაირად რატომ იგებთ,
აბრაგი უნდა მოგვესპოთ, თქვენ კი შერიგება ილეთ,
ამის შემდეგ თავს აბრალეთ, თუკი რამე მოგივიდეთ.

კაპიტანი ნარეიკო მივლინებით ჩამოვიდა,
ცოტა ხანში საიდუმლოდ იგი ჩვენთან შემოვიდა,
სახონჩვმა მინისტრს და შეფს თქვენზე ცუდი დაუწერა,
თუთაშხიას ხელს უწყობენ, ვაი მათი ბედისწერა.

ერთ დღეს ჩვენ ლუქი ავხადეთ სახონოვის მორიგ პაკეტს,
რომ ვიკითხეთ მის ნაწერი, ფიქრებმა შორს გაგვიტაცეს
ზარანდიამ დაგიმონა, გაგხადა ნახედნი კვიცი,
შენ ღრმა ტალახში ჩაეფლე, აწი რა ჰქნა აღარ იცი.

ამიტომაც თუთაშხია, ხედავ, დღემდი ცოცხალია,
ზომებს არაფერს ღებულობ, ეს ყველა შენი ბრალია,
მუშნი ფარავს თვის ნათესავს, სხვა საქმეს ანება ხელი ,
ორივე უნდა მოიხსნას, მათგან კარგს არაფერს ველი.

პოლკოვნიკი ძან ჩქარობდა, და არჩეულ ტემპს არღვევდა,
მუშნის სხვა საქმენი ჰქონდა, სახონოვს არად აგდებდა,
სახონოვი ვფიქრობ: მიხვდა, რომ ვიცოდით მისი ხრიკი,
მან ტყუილების დაწერით ცოდვა იდო თავზე დიდი.

მინისტრსა და შეფს მე ცალ-ცალკე დეპეშები გავუგზავნე,
უარს ვაცხადებ ზარანდიას სამსახურით დათხოვნაზე,
„კილიკიას“ ჩამოვიშორებ გადვიყვან კონტრდაზვერვაზე,
თანაც ბრძანება გავეცი, მის უფროსად დანიშვნაზე.

ჩვენ საუბარი შევწყვიტეთ და ზარანდია წავიდა,
რაღაც გრძნობა დამეუფლა, თითქოს დიდი დრო გავიდა,
აღვიდგინე ჩემი ფიქრი, მაშინ მე რომ დამავიწყდა,
მუშნიზე რაც უნდა მეთქვა, სრულიად გადამავიწყდა.

## ბექარა ჯეირანაშვილი

მე კახეთსა და ქიზიყში უკვე არ მედგომებოდა,
ჭორი ბევრი დამიყარეს, კაცს თვალი დაუდგებოდა,
ავდექ ქალაღდი ვიშოვნე, ვითომ მე ქისტი ვიყავი,
მაგარი ცხენი ვიყიდე, თავი ქართლში ამოვყავი.

შპალის მორებს ამზადებდნენ, მუშაობა იქ დავიწყე,
ფულიც ბლომად მოვაგროვე, თან ჩემი საქმე ავიწყვე.
სად გუთანი, სად ბექარა, ან სად საშპალე მორები,
თორმეტ წელი ყაჩაღი ვარ, შევძარი მთა და გორები.

მანდ გული მე ვერ დავუდე, სამეგრელოში ჩაველი,
მანამ ერთ შემთხვევას გეტყვი: სანამ იქიდან წაველი,
იმ ადგილას ამილახვრებს დიდი მამულები ჰქონდათ,
შალიბაშვილი ნიკანდროს საურავი გამოჰქონდა.

თურმე, ეს შალიბაშვილი ერთ ოსის ქალს ჰყვარებია,
ნიკანდროსაც ოსის ქალი გომურს დაუბარებია,
ისინი იქ რას შვრებოდნენ მე თვალით არ მინახია,
მხოლოდ ვიცი, ვიღაც სამი მათ ყაჩაღი შევარდნია.

შალიბაშვილი შებოჭეს და დედაბოძზე მიაბეს,
ეს ქალი კი წააქციეს, მას თვალწინვე გაუბახეს,
თავის საქმეს კოხტად მორჩნენ, მერე ასე დაუყვავეს,
დათა ვარო, თუთაშხია, მათ მასპინძელს დაუბარეს.

იმ დროს აბრაგის სახელი დიდ-პატარას პირს ეკერა,
ხალხის ჭორი იოლია, ვით პირჯვარის გადაწერა,
მე იმას ხომ არ ვიტყოდი, დათა ჩემი ნაფიცია,
ის მაგის მქნელი არ არის, მე ხატზე დამიფიცია.

ეს რომ მოხდა, გავიფიქრე, უკვე დროა, რომ გავრბოდე,
მაგრამ კითხვას დამიწყებენ, ტყულად რად უნდა ვდარდობდე,
ალბათ, ეს მონაწილეა ოსის ქალის ცუდ ამბავში,
მე ხომ ვიცი, მართალი ვარ, ვით აკვანში მყოფი ბავშვი.

გორიდან და ხაშურიდან აქ ამოვიდნენ ჩაფრები,
პოლიცმეისტერ-ბოქაულები, ძაღლებზე უფრო მძაფრები.
ჩვენ ყველა მუშა დაგვაწყვეს იმ ოსის ქალის დასწრებით,
მერე სუყველა დაგვშალეს, ერთმანეთზე გადასწრებით.

ორი კვირა ვიცოდვილე, მერე ხაშურში ჩაველი,
ჩემი ცხენი იქ გავყიდე და აბანოში წაველი.
ახალი ჩოხა ჩავიცვი, კარგი იორღაც ვიყიდე,
მიზანი უნდა ვასრულო და სამეგრელოს ჩავიდე.



ლიხის მთა გადავიარე და სამურზაყანოს მივედი,
დათქმულ ადგილს კაცი დამხვდა, მომახარა: დათას ველი!
ხუთ დღეში დათა მოვიდა, შებერებული მეჩვენა,
სხვაფრივ იგივ დათა იყო, ცოტა სუსტად მომეჩვენა.

შენ ხომ გინდა, ჩემო ბექარ, ჩემი მთა-ბარი განახო,
ადექი ჩემთან წამოდი, მე ისინი დაგანახო, —
ათი დღე თუ ორი კვირა ვიაროთ და ვიქეიფოთ, —
მხოლოდ ⁽ითხარ, ჩემო ბექარ, სადაც გინდა იქ წავიდეთ.

შალიბაშვილის ამბავი, დრო მოვიდა, უნდა მეთქვა.
— ბექარ ჩემო, ეს ამბავი, აქამდინაც უნდა გეთქვა.
ორი დღე ჩვენ ამ ამბავზე სულ არაფერი გვითქვია
— მოძალადის ეს სახელი, ხედავ, რა შორს გამითქვია.

შენ წამომყევ, ჩემო ძმაო, ის შალიბაშვილი ვნახოთ,
— მე მოგყვები, ჩემო ძმაო, სადაც გინდა, გამოვნახოთ,
იმერეთი გავიარეთ, და ჩვენ ქვიშხეთში ჩავედით,
დათას ძმაკაც გუდაძესთან ჩვენ ორი კვირა გავჩერდით.

ცხენები და იარაღი გუდაძესთან შევინახეთ,
იმავე დღეს გუდაძესთან ჩვენ ცელები გამოვნახეთ,
მუშის ყაიდაზე გვეცვა და ხაშურისკენ გავწიეთ,
ას-ასი ვაზნა და ნაგანი გულის ჯიბეში ჩავიდეთ.

ძმადნაფიცობის რიგი, წესი უწინ, აი, ასე ჟღერდა:
სასაკლაოს გავყვებოდი, თუკი შენ გული გიძგერდა,
უეჭველად შენსა ტყვიას ის გულმკერდსა მიუშვერდა,
შენ გულისთვის მოკვდებოდა, და შენ კი გადაგარჩენდა!

— ჩემო ბექარ, შენ ხომ ხედავ, რა ჭორები გაგვივრცელეს,
ბლომად თავსლაფი დაგვასხეს და ბალახივით მოგვცელეს,
ყველა მთავრობიდან მოდის, იგი ბრძანებას ავრცელებს,
და მერე ბოროტი ხალხი ერთს სამმაგად გააერცელებს.

კარგად იცი, ჩემო ძმაო, ბევრ რაშეზე გაგვიძლია,
ბოროტება ღრმაა, მოვსპოთ, ეს ჩვენ აღარ შეგვიძლია,
უსამართლობის ატანა, იცი, მე არ შემიძლია,
ბოროტებას ხელი ვაჭრათ, ეს კი ნამდვილ შეგვიძლია.

ხაშურში ერთ წუნკალს ვიცნობ, კოსტა ქეია დასტურიძე,
მას კისერზე ცოდვა ადევს და კაცი ზის მაგის გულზე,
ის აქაური კაცია, ყველას იცნობს ამ მთა-ველზე,
ჯერ იმას ველაპარაკოთ, მერე წავიდეთ საქმეზე.

გზაში გეგმა შევადგინეთ, მივადექით მას ადგილზე,
მას რესტორანი ჰქონია ხაშურ რკინიგზის სადგურზე,
ორმოცისა ჩანდა იგი, ბოლოქანქალასა ჰგავდა,
ახლა უკვე თვალწინ მიდგას, ნამდვილ ბოროტს წააგავდა.

დასტურიძე საქმეს მორჩა, ხორცებიან ჯამს ჩახედა,
ცოტა ხანი რომ გავიდა, მე ფანჯრისკენ შემომხედა,
თვალში აღარ მოვეწონე, ისევ ჯამებს გადახედა:
ხაშლამის წვენი მიეცით! — და თავის საქმეს მიხედა.

მზარეულმა სავსე ჯამი, ფანჯრის რაფას შემომიდგა,
პური, კოვზი მომიტანა და ისიც გვერდით დამიდგა,
— იქით ჭამე, იქ დაჯექი, — დათასკენ იშვირა ხელი,
მე ცდუნებას ვერ გავუძელ, ადგილს ველარ დავიძერი.

გადადება არვარგოდა... ვუთხარ ჟუჩკამ გამომგზავნა...
ერთი წარბი შეუტოკდა: რა თქვი, კაცო, ვინ მოგგზავნა?
— რავი, ის შენ კარგად გიცნობს, მან ეს ასე მოგითვალა,
და სურამელ აკოფამაც მოკითხვა შემოგითვალა.

მაგიდები, ხის სკამები იმ ადგილას ბლომად იდგა,
მე ერთ სკამზე ჩამოვჯექი, მოვიდა, გვერდით დამიდგა.
— კაცო, რას გადამეკიდე, ან მითხარ ჩემგან რა გინდა,
თვალს ხომ არ გეპატარავები, შენ ვინა ხარ, მე რად მინდა.

ამ საუბარში ვიყავით, დათა თავზე წამოგვადგა,
— კოსტა, გამარჯობა შენი, — დათამ ხელი მხარს დაადგა,
დასტურიძეს უკვე ენა ყანყრატოში ჩაუვარდა,
იმან დათას რომ შეხედა, ხელები ჩამოუვარდა.

დათამ ცელი ჩამოუშვა, კოსტას თვალი გაუყარა,
მე შევატყვე დასტურიძეს, ჟრუანტელმა დაუარა,
იხტიბარი არ იტეხა, სიტყვას განზე აუარა,
დათას ცუდად შემოხედვამ, მას მთელ ტანში გაუარა.

ერთხანს კიდევ მან იცქირა და მერე მე შემომხედა:
მგონი, ერთად არიანო, — მერე დათას გადახედა.
მე არასდროს არ ვენახე, მიტომ ცერად გამომხედა,
ცელებს ფხაც კი გაუსინჯა, მერე მზისკენ აიხედა.

ყურს არ მიგდებს მე ეს კაცი, ვითომ ჩემთვის რაღაც მინდა,
მას ჰგონია ვითომ ჩემთვის, რამე მაგისგან მომინდა,
სიტყვა მასთან დამაბარეს, კარგი ხანიც კი გავიდა,
თავი ისე დაიგლახა, ვითომ ჭკუას გადავიდა.

დათამ მითხრა: აბა, მოყევ, რა ამბავმა შეგაწუხა,
ამ სიშორით ჩამოსულხარ, მითხარ, ამან ვინ აწუხა,
ვითომ სიგიჟეს დაადგა, გული ამან შემიწუხა,
ჩქარა უთხარ მას სათქმელი, სანამ მეტი არ გაწუხა.

— ოთხი წლის წინ მან და ჟუჩკამ რუსეთს მონასტერი ძარცვეს,
მღვდლებმა კვალი აუღეს, მათ სხვა გზები აუარეს,
ცხრა კილომდი ოქრო იყო, ამათ ფუთებში ჩაჰყარეს,
და სამკაულ-ბრილიანტი მათ ხატებსაც კი აყარეს.

ხაშურში რომ ჩავიდნენ, მათ ნაქურდალი გაიყვეს,
კოსტამ ჟუჩოკა დატოვა, უნდა სურამში წავიდეს,
მყიდველს უკვე მოვურიგდი, რვაას-რვასს თუმანს გვაძლევს,
ჟუჩოკამ კი რა იცოდა, თურმე ოთხჯერ მეტსაც აძლევს.

ორი დიდი ბრილიანტი მან მაშინვე გადამალა,
ორი ათასი თუმანიც ჩუმად ჯიბეს ჩაილალა,
ქუჩოკამ ეს სასტიკად ცემა, მას ხელები დაეღალა,
ადგა თავის გზას წავიდა, დასტურიძეს გაეცალა.

ცარიცინის ციხეს ვიჯექ, ქუჩოკა იქ ჩემთან იჯდა,
ვატყობ, კოსტა, შენი გაცნობა ძალიან ძვირი დაუჯდა,
ახლა წახვალ, მიდი, ნახე, დასტურიძე ხაშურშია,
თორემ როცა დავინახავ, მისი სული ჩემ ხელშია.

ასორმოცდაათი თუმანი ამ მისამართზე გაგზავნე,
ამის შემდეგ რომ იცოდე, ცარიცინს უნდა ჩაბრძანდე,
გამომძიებელი მოქრთამე, მას ბევრი ფული ჩაუდე,
ის ქუჩოკას გამოუშვებს, ბრილიანტი ხელს დაუდე.

— ბრილიანტის მე რა ვიცი ვერც ვერაფერი გავიგე,
მე ნამდვილად მოგახსენებ, შენ სიმართლე მე გამიგე.
თქვენ გინდათ, რომ როგორც თევზი, წყალში ანკესზე გავიდე,
ანდა თავი ყულფში გავყო და სახრჩობელას გავიდე.

მე არც ქუჩოკა არ ვიცი, არც სურამელი აკოფა,
ღმერთმა ხელი მოუმართოთ და თან კარგადაც ამყოფა,
სალაპარაკოდ არ ვარგა ამ ადგილზე ჩვენი ყოფა,
წასაღებად რომ მოხვედით, საფიქრად ისიც მეყოფა.

მან რესტორანს შეგვიყვანა, თანაც სუფრა გაგვიშალა,
— ახლა მითხარით რაც გნებავთ, — ლაპარაკი არ გვიშალა,
ფონს გასვლა მან დააპირა, სალერღელი მომიშალა,
სამჯერ ყბაში ვუთავაზე და ბრინჯივით დაიშალა.

— ტყუილი და ორჭოფობა გაფრთხილებ, რომ არ მანახო,
თუ არ გინდა შენი სისხლი ამ წუთებში დაგანახო,
შალიბაშვილს შეუვარდნენ, ის ამბავი კარგად იცი,
დაწვრილებით მომიყევი, საბნის ქურდო, კოსტა ბიძი.

– მე თქვენ პირობა მომეცით, ჩემს სახელს რომ არ ახსენებთ,
რაც რომ მოხდა, ვინ აკეთა, მე ყველაფერს მოგახსენებთ,
გვარად ყანდაური გახლავთ, ეფისკოპოს – მოძღვარია,
ყანდაური უწინ იყო, ახლა ალექსის გვარია.

მამა ალექსი იცოდეთ, ის ექზარქოსის კაცია,
ეგზარქოს – მეფისნაცვალი ასეთია მახანაცია,
ყანდაურს ხელით უპყრია მოსამართლე, პოლიცია,
საბაჟო, საგადასახადო, ყველა მისთვის მიუცია.

აქ რაც მაზრაში მოხდება, ყველა მის ხელიდან მოდის,
მას არავის ეშინია და რაც უნდა ის გამოსდის,
შალიბაშვილი ფულს არ აძლევს, მიტომ უგზავნა კაცები,
თუ ფული არ გაუგზავნე, შენ ცუდ საქმეს ვერ აცდები.

ჩემგან ის ათ თუმანს იღებს, ციხეში ერთად ვიყავით,
ამიტომ პატივი დამდო და ფულებიც გავიყავით,
უწინ ბაზრის ქურდი იყო, ტილიანი დადიოდა,
საცოლეს კაბა მოპარა, ქურდობა არ გამოდიოდა.

– სადა ცხოვრობს, კარგად იცი, ყანდურია თუ დანდური,
თანაც, მითხარ რას აკეთებს, ჩონგურია თუ ფანდური?
ყომარბაზობს, თან ქეიფობს, ქალები ახლავს მრავალი,
მაგას თავის წრის ხალხი ჰყავს და თან კარგი მოძავალი.

-- ციხეში ვინ პატრონობდა და ანდა როგორ ცხოვრობდა?
– ციხეში ფაფას ეძახდნენ, კუჭის გაძღომას ფიქრობდა,
დაუვლიდა ყველას ჯამებს, აგროვებდა ნარჩენ ფაფას,
დაჯდებოდა ერთ კუთხეში და იწყებდა ფაფის თქლაფვას.

შალიბაშვილის მოძებნას, მითხარ, როგორ შესძლებს კაცი,
– ცოტა არის გასასვლელი, არ არის ცუდი ვაჟკაცი,
– ეხლა ადექ, გამომყევი, მომაძებნიეთ ის კაცი,
შენგან კრინტი არ გავიგო, თორემ გკოლავ, როგორც ვაცი.

– რა გინდა შალიბაშვილთან, იქნება, მე კარგად ვიცი,
– ქალის საქმე დათას აბრალა, ეს ამბავი შენ არ იცი,
თავისი ნამოქმედარი მან ჩვენ დათას დააბრალა,
ახლა ადექ, წამოგვყევი! – მან ყურები ჩამოყარა.

## ბრაში სეგედი

კავკასიის საიდუმლო პოლიცია არსებობდა,
ძირგამომთხრელი საქმენი სულთანის ხელით ხდებოდა,
ამ საქმეს ოქრო სჭიროდა, უფულოდ რას გახდებოდა,
ოქროს შემოტანა თურქებს სხვადასხვა გზით უხდებოდა.

დაღესტანელი ტომები თურქ-ირანს ეხმარებოდა,
თურქულ ოქროს ზანდუკები ქართველებს უვარდებოდა,
ქართველების ამ კარგ ილეთს თან ჩვენი ემატებოდა,
მათი მოტანილი ოქრო ყველა ჩვენს ხელს ვარდებოდა.

მაგრამ როცა ის სახონოვი „კილიკიას" ავტორობდა,
თურქებმა სხვა გზა გამონახეს, სახონოვი არ დარდობდა,
ჩვენი აგენტების ცნობით, ოქრო ადგილზე აღწევდა,
რომ არ ყოფილიყო მუშნი, ამ გზაზე ვინ მიაღწევდა.

სულთანის ოქროს პრობლემას მან პირველობა ანიჭა,
აქ დიდი დრო გადიოდა, მან გზა ჯერ ვერ მომანიჭა,
და რომ ვკითხე ამ საკითხზე, მუშნიმ მე ასე მანიშნა,
გზას მე მალე მოგიძებნით, თქვენ ასე რამ შეგაშინა.

ჩვენ ხელთ ვიგდეთ შიკრიკები, რომლებსაც ფული მიჰქონდათ,
და ისიც კარგად ვიცოდით, ფული საიდან გაჰქონდათ
ხახვი კისერს ვერ ვაჭერით, პასუხი მათ ერთი ჰქონდა,
მავან კაცის ფული გვმართებს, ფულიც იმასთან მიგვქონდა.

ამ საქმის გამოკვლევაზე მუშნიმ დიდი შრომა ნახა,
ბევრი ხალხი გაიჩინა და გზის კვანძი გამონახა.
ავსტრიას დაუკავშირდა, კარგი აგენტი მონახა,
ბოლო ჯამში მათი სია მე ხელდახელ დამანახა.

პოლკოვნიკი გლებიჩია ქუსი შუ-ლის ძმა გახლავს,
ბანქოს დიდი მოყვარული, თან ქალებიც ბევრი ახლავს,
სტარინ-კოვალსკ პორუჩიკი გლებიჩს ადიუტანტად ახლავს,
ძან მქირდავი ცინიკოსი, ბევრი ხალხი მშრალზე გაყავს.

პეტრე მიხეილის ძე კულგინი სამოც წელს გადასულია,
სამხედრო ტაძრის მოხალისე, უშვილო სიტყვაძუნწია,
ჰაჯი სეიდ-რასულოვი, ეს თბილისელი სპარსია,
პირველად მექისე იყო, ახლა მდიდარი კაცია.

ისკანდერ-ეფენდ ინუს ოღლიუ, ჰაჯი სეიდის მდივანია,
თანაც მისი მოლარეა, მას ახლავს დიდი ხანია,
ნაქართველარი თურქია, რაც დიდად ლასანანია,
უძიროა, სხვა ხარჯეზი, აქა რა მოსატანია.

მადმაზელ ჟანეტ დე მალიე ოცდაცამეტის ქალია,
მან თავისი სილამაზით ბევრი ხალხი გადარია,
წარმოშობით ის ფრანგია, მან ხელები ყველგან რია,
ტან-ფეხით, და მიხვრა-მოხვრით თვით დედოფლის სადარია.

მუშნის უკუ აწ შეეძლო სხვა დოსიეს გამონახვა,
თავისი გამოძიებით ბევრი საქმე გამონახა,
დიდ ხალხს მან ფარდა ახადა და მზის შუქზე დაგვანახა,
ამას მიტომ ვლაპარაკობ, გზის მსვლელობა მეც მანახა.

# ბექარა ჯეირანაშვილი

დასტურიძე წავიყვანეთ და ჩვენ ცხრა მუხას წავედით,
სამხრობა გასული იყო, როცა ადგილზე ავედით,
დასტურიძემ უძახა ნიკას: შენ სანახავად მოვედით...
შალიბაშვილმა კარი გაგვიღო და სამივე შიგ შევედით.

ჯაჭვზე მას ქოფაკი ჰყავდა, ყურებმოჭრილ-მოზვრის ტოლა,
ისეთი ღალვი ატეხა, ჩვენ ერთმანეთს დაგვატოლა,
მასპინძელი წინ გაგვიძღვა მარნის კარში მიგვაყოლა,
რადგან ის ჩვენ არ გვიცნობდა, ასი თვალი გაგვაყოლა.

– დედაკაცო, სტუმრები გვყავს, უძახა ცოლს მასპინძელმა,
ისეთ ხმაზე დაიძახა, იჭრიალა ქვედა ძელმა,
დოში, ბეჭი, გულის ყელი ჩამოიტანე სწრაფად ქვედა,
ახლა კი ჩვენ სამივენი, დავდგეთ თავდაყირა ზედა.

ახლა ეს აბაზიანი მაღლა ტრიალით ააგდე,
რომელიც ქვევრი შენ მოგწონს, იმ ქვევრის თავზე დააგდე,
ჩვენ რომ ახლა დავინახეთ, ჟურნალია, აწ კინოა,
ახლა ეს ქვევრი მოხადეთ, იცოდეთ, თავი ღვინოა.

დედაკაცი შემოვიდა, ხონჩით საჭმელი მოიტანა,
მასპინძელმა თავის მზერა ხონჩაზე გადაიტანა,
ყველაფერი ტაბლას ეწყო, რაც კი მან ჩამოიტანა,
ცარიელი ხონჩა აიღო და თვითონვე წარიტანა.

ვიჯექი და თან ვფიქრობდი: წელს რა ცუდი წელი დარჩა,
მე კარგ სტუმარს ვერ ველირსე, ქვევრი მოუხდელი დამრჩა,
თქვენ გაიხარეთ, სტუმრებო, საფიქრელი აწ რა დამრჩა,
ქვევრის მოხდას ვნატრობდი და მოუხდელი არ გადარჩა.

ნიკამ ყანწები შეავსო, თითო-თითო მოგვაწოდა,
ფეხზე წამოდგა თვითონ და ღმერთის მადლობა მიაწოდა:
– შენ რომ არა, ჩემო ღმერთო, ჩვენს ქვევით მიწა იწოდა,
გავხდებოდით ნაცარტუტად, ქვეყანა გადაიწვოდა.

ჩვენ ყანწები გამოვცალეთ და ადგილებზე დავსხედით,
– ახლა ახალ სასმისს შევსვამ და გთხოვთ ფეხზე ნუ ადგებით,
– ჩემო ნიკა, ის ქოფაკი, შენ რომ ნასახლარს გყოლოდა,
მაშინ ის ტაბისონაშვილი შენთან ვერ შემოვიდოდა.

– ტაბისონაშვილი იყო, მხოლოდ მითხარ, შენ ვინ გითხრა,
– მე დასტურიძე ვანახე და ვუთხარი: ამან მითხრა,
დასტურიძემ იუარა და იძახა: „არ მითქვია!"
– კოსტა, ნელა იყავ, თორემ, ყველას [illegible], რაც გითქვია.

ქურდ ყანდაურმა მომიგზავნა მე ის ტაბისონაშვილი,
ანაფორით, გრძელი წვერით დადის ახლა ვირისშვილი,
როცა გორში ვიყავ, მაშინ მან მომპარა ორი ტიკი,
ორი რუმბიც გააყოლა, ამას თავის ღროზე ვიტყვი.

– რომ ქნეს უნამუსო საქმე, რა თქვა ტაბისონაშვილმა,
– სიტყვა მიგდო უნამუსოდ, მამაძაღლმა ძაღლისშვილმა,
ჩვენ მოვდივართ, რომ იცოდე, მე დათა ვარ, თუთაშხია,
ერთი სიტყვა სადმე გითქვამს, შენი სული დამიხშეია.

ყანდაური ხაშურს გდია, ტაბისონაშვილი მოასწრა,
რაც ვიცოდი, მე გითხარით, მგონი თქვენთვის ხიახლეა,
მე ბევრი გელაპარაკეთ, ახლა ქეიფი ვაგრძელოთ,
დები, ძმები, მამა, პაპა და მშობლები ვადღეგრძელოთ.

სადღეგრძელომ მოაღწია, ჩვენ წასვლისთვის მოვემზადეთ,
მან ჯიხვები გადმოიღო: გეხვეწებით, არ დამზარდეთ...
ჩვენგან უარი რომ მიიღო, მან სამი ყანწი დასცალა,
და დასტურიძეს უარზე ჯიხვი კისერს ჩაასცალა.

ჩვენ იქიდან წამოვედით, დასტურიძეს ძან ციოდა,
გზაში სულ ღელა იგინა, რა ექნა აღარ იცოდა,
შალიბაშვილს ისდა უნდა, ყანდაური რომ ჩავარდეს,
იგი ავმეხსიერია, თავის ტიკებს არ შეარჩენს.

ახლა, კოსტა, გამოგყევი, რომ ტაბისონაშვილი ვნახოთ,
სახლში იყოს, აღარ იყოს, სადაც არის, გამოვნახოთ...
ვითათბირეთ და შევთანხმდით, თანაც ეზოს კარი ვნახეთ,
კარი დაკეტილი იყო, შესასვლელი სხვა მოვნახეთ.

მარანი ისეთი იყო, მე თვალები დამიბნელდა,
სათვალითვალოდან ვუცქერდი, აქ თვალები ამიჭრელდა,
ბუხარში ცეცხლი დაენთოთ, მუხის შეშა იწვებოდა.
თითქმის იმოდენა იყო, აქლემი შეიწურებოდა.

რბილ საკარძლიანი მაგიდა, ის სამოც კაცს დაიტევდა,
შუა ჭერს ჭაღი ეკიდა, ის ხუთასს სანთელს იტევდა,
მეფის სურათი ეკიდა, თითქოს ჰქონდა დიდი ხევდა,
დიდ თონეს კი საკვარცხალო ოქროსფერი ქოლგა ძევდა.

კედლები თეძმის ქვისა იყო, მარმარილოდ ასახული,
ტიტველა დედაკაცები, გოგო-ბიჭით დახატული,
ქრისტე ჩვენი, ჯვარცმული ქრისტე, სილამაზით არ ნახული,
ფარშევანგი თუ არწივი, ლამაზ თვალით დანახული.

ბუხრის წინ კი ტაბლა იდგა, ვერცხლის ჭურჭლით გაწყობილი,
ცალმხრით ორი მღვდელი ეჯდა, უანაფროდ მოწყობილი,
იქვე იდვა ლომის ტყავი, ვეფხვის ტყავით გაწყობილი,
ზედ გრძელწვერა კაცი იწვა, ხალათში გამოწყობილი.

ყანდაურია ის გრძელწვერა, რომელიც აქედანა ჩანს,
ტაბისონიაშვილი, ვხედავ, შიგ მარანში აღარ მოსჩანს,
სახლს ირგვლივ შემოვუარეთ, აივანზე ის მელა ჩანს,
ის თამბაქოს ეწეოდა, ხელში მაუზრები უჩანს.

მე ცხეირი დავაცემინე, იმან ჩემსკენ მოიხედა,
მერე ტაში შემოკკარი, ადგა, ბალკონს გადიხედა,
იგი ჩემსკენ მოდიოდა, დათა ჩუმად უკან მოსდევდა,
ცოტა ხანში მის კეფაზე დათას იარაღი ადევდა.

დაყარე ეს იარაღი! — დათამ ჩურჩულით მიმართა,
ნეტავ, გენახათ საზიზღარს იმ წუთას რა დაემართა,
იარაღი რომ დაყარა და ცოტაზე გაიმართა,
— ცუდ კატობას არა სჯობდა კაცზე ხელი მოგემართა.

მაუზერები აკრიფე, მერე გაჩხრეკა დავუწყე,
ხანჯლის მეტი არა ჰქონდა, მე დათას ასე ვაუწყე,
სახლიდან შორს გავიყვანე და ლაპარაკი ავუწყე,
ისე ტკბილად მოვიქეცი, თითქოს და სუფრა გავუწყე.

შალიბაშვილს შევუვარდით, კაცი ხის ბოძზე გავკოჭეთ,
სამივე ქალს მივუვარდით და სამარცხვინოდ გაბოჭეთ,
დათა ვარო, თუთაშხია, წამოსვლისას მათ უბოძეთ,
საიდან იყო ეს სიტყვები, თუ ღმერთი გწამს, ჩვენც გვიბოძეთ.

— თუ არ მომკლავთ, მაშინ ვიტყვი, თუ მომკალით, როგორ გეტყვით,
ყანდაურმა მითხრა, თქვით და თუ გინდათ პირში ვეტყვი...
დასტურიძემ ხელი სწია, ამ სიტყვებზე მე რას მეტყვი,
ბეჭდები თუ უკეთია, ბრილიანტის თან უსეტყვი.

— უკეთია უკეთია, ერთი კი არა და ორი,
— კოსტიამ ტაში შემოკრა, აღრუტუნდა როგორც ღორი,
ერთი ტაშიც ყბას შემოვკარ, მივაწვინე როგორც მძორი,
— კოსტა, სიტყვა აღარ დაძრა, თორემ გაგხლეჩ, როგორც მორი.

— თოკი თუ გაქვს სადმე ახლოს, — ტაბისონაშვილსა ვკითხე,
— თოკი ეგერ მსხლის ძირშია, მითხარ, რატომ შემეკითხე?
მე თოკები მოვიტანე, ოთხზე დაღექ, წაუკითხე...
მე იმას რას უკეთებდი, თვით იცოდა, არცა ვკითხე.

უკვე დაოთხილი კაცი წინ გავიგდეთ, ჩვენც მივყევით,
შეაღო დერეფნის კარი, ის შევიდა, ჩვენც შევყევით,
ახლა მარნის კარი აღო, შევიდა და ჩვენც შევედით,
მარნის შუაგულში დადგა, ჩვენ გვერდებს ამოვუდექით.

ასე ვიდექით მარანში და ერთმანეთს ვუყურებდით,
დასტურიძე არსად ჩანდა, მას დავკიდებ მე ყურებით,
ამ დროს ვიღაცამ იყვირა: ჩქარა, კაცო, თვალე ფული!
თუთიყუში ყოფილიყო, კინაღამ გამისკდა გული.

— გაეთრიეთ თქვენ აქედან, — ერთმა მღვდელმა დაიყვირა,
პოლიციას დაუძახეთ, — მეორე მღვდელმა იყვირა,
ორივე მღვდელი გავჩხრიკე, ვერაფერი ვერ ვუნახე,
ყანდაურს ბებუთი ვართვი, ჩემს ჯიბეში შევინახე.

მაგას ორივე ხელებზე დიდი ბეჭდები ეკეთა,
მე მაშინათვე მინდოდა ორთავ თითი მოვეკვეთა,
ჩემსა გვერდით თონის ახლოს, ტომრები დაწყობილი იყო,
დანით გავჭერ, დავინახე, ბრინჯი, ქერი ყოფილიყო.

ამ ამბავში რომ ვიყავით, კოსტა მარანს შემოვიდა,
სად არის ჩემი ბეჭდები, ვინ წაიღო, სად წავიდა,
არ დაიძრა ადგილიდან და დათა მასთან მივიდა,
ამ სავსე ტომრებში სუფევს, კოსტა, შენ რა მოგივიდა.

დათა ტაბლას მიუჯდა, მაუზერი ტაბლას დაჰკრა,
— ყველა საჩქაროდ დასხედით, თუ არა და ყბაში გაგკრავთ,
ტაბისონაშვილო მითხარ, ყანდაურმა შენ რა გაბარა,
უნდა მეთქვა, მე დათა ვარ, ამან ასე დამაბარა.

— ყანდაურო, მართალი სთქვი, რატომ გააკეთე ასე?
— შენი ყველას ეშინია, მიტომ მოვიფიქრე მასე,
სხვა მიზეზი მათხარ ჩქარა, თორემ ახლავ გაგათავე,
— რაც ვიცოდი, მოგახსენე, ჩემი სიტყვა მოვათავე.

ყანდაურს დათამ უბრძანა, იგი მაშინათვე ადგა,
იგი თონესთან მივიდა და დათასკენ ზურგით დადგა,
ის ისევ უარს იძახდა, აქ რევოლვერი გავარდა,
მან კეფას ხელი იტაცა და თონეში გადავარდა.

დათამ მანდ ბუხრის თაროდან სახარება გადმოიღო,
მღვდელს უთხრა: ეს წაიკითხე, თავი ზევით არ აიღო...
ახლა მეორეს აკითხა, წიგნი თვის ადგილზე დადო,
— დამარხეთ ქრისტესი მონა, — მაუზერი უბეს ჩადო.

დათამ აქვე მღვდლებს უბრძანა: მაგათ ბურდული აყარეთ,
მოკიდეთ ხელი მაგ ტომრებს და თონეში ჩააყარეთ...
დასტურიძემაც ისკუპა და თონეში გადავარდა,
ბურდულს ხრაშა-ხრუში მოყვა, მოზვერივით აღრიალდა.

მღვდლებმა ტომრები დასცალეს, ჩვენ ქვიშხეთისკენ წავედით,
ცოტა ხანი გზას ვიარეთ და ჩვენ ადგილზე მოვედით,
მეწვინა ბრილიანტები ყანდაურის თითზე დარჩა,
იმას მაინც წაართმევენ, ის თუ ცოცხალი გადარჩა.

# ბრაში სეგედი

ზარანდიას მკრეძიტებლად თურქის კანტორა მიაჩნდა,
მაგრამ მტკიცების საბუთი არაფერი არ გაჩნდა,
ჩვენ საეჭვო პიროვნება ოსკარ ეფენდი მიგვაჩნდა,
ზარანდიამ სხვა გზა ილო, რასაც შედეგი დაჩნდა.

მუშნიმ ისკანდერ ეფენდის ცოტა ხანი უთვალთვალა,
საჩაიეს მარტო ნახა, მისვლა საჭიროდ ჩათვალა,
— სალამი, ისკანდერ ეფენდ! — პასუხი არ დააცალა,
— აბა, მითხარ, მე თუ მიცნობ, — აწ პასუხი მას აცალა.

— მგონი, პრავიზორი ბრძანდებით თქვენ ხოლოლაკის ქუჩაზე,
და თუ სწორი ვერ გითხარით, ბოდიშს ვიხდი მე ამაზე,
მან ბარათი გაუწოდა, რა სწერია ამ ქაღალდზე,
— მე დაზვერვის უფროსი ვარ, ის სწერია ამ ბარათზე.

საბოროტოდ არ მოვსულვარ, გთხოვთ ყურადღებით მისმინო,
რასაც გეტყვი დაიხსომო, სხვაგან არსად დაასმინო,
თურქთა პრეზიდენტად გთვლიან, რომ გაიგო, თან ისმინო,
მსურს ეს ეჭვი გავუფანტო ყველას ერთად საქმისთვინო.

სამსახური და მოწოდება, მე მგონი, თქვენი ვალია,
ჰაჯი — სეიდის ერთგულება, მგონი, შენ არ გავალია,
ერთგულება ჩვენი გმართებს, ეს შენთვის დამივალია,
თუ არა და შენი საქმე ძაან ცუდად მავალია.

აი, ახლა წაიკითხე, — უბით ილო ხელწერილი,
— ჩემი არის ჩანაფიქრი, თან ჩემ ხელით დაწერილი,
რაც ჩვენა გვსურს, რომ იცოდე, ზუსტად არის აღწერილი,
თუ არა და შენთვის ციხედ მზად არის უკვე წერილი.



ხელწერილი ჩუმად იკითხა, რაღაც ჩაილაპარაკა,
„დეკლერნაირ გაუდგა გზას“ — ასე დაილაპარაკა,
ეს ყურანის სურიდან გახლავს, მე ასე მელაპარაკა,
ბეითერ, დამასკო, ათენი ქალაქებზე ილაპარაკა.

აქვე მუშნიმ ჩვენს ისკანდერს ხელწერილზე მიუთითა,
— ამას ხელი მოაწერეთ, — გეუბნებით ჩემ თავითა,
— ხელწერილი არც ერთ ქალაქს მე არასდროს დამიდვია,
არც აქ დავდებ, მხოლოდ გეტყვით, თუ რამე ცოდვა მიდვია.

— ჰაჯი-სეიდ ანგარიშს ხსნის, ის ქალაქი რომელია?
— სტამბოლში სტინესის ბანკი, ნომერ ათასთოთხმეტია.
სასწრაფოდ თქვა ისკანდერმა: ნამდვილ სიმართლე მითქვია,
აქაც და ამის შემდეგაც მას ტყუილი არ უთქვია.

ისკანდერმა დაგვიდგინა, ფულის შემტან კაცის გვარი,
ჩოყესო-ბეი სტამბოლს ცხოვრობს, თანაც არის ანტიკვარი,
ჰაჯი-სეიდს ანგარიშზე ოთხჯერ შეაქვს ბევრი ლირა,
სათითაოდ შეტანილი რუსულზე ორი ათასი ღირდა.

ბანკი არსებული წესით ორდერს ჰაჯის უგზავნიდა,
ისკანდერმა ველარ გვითხრა, ჰაჯი ვისთან აგზავნიდა,
ლითონის ჭურჭლის მყიდველი, ვიღაც კაცი გვისახელა,
დაღესტანს მცხოვრები კაცი, ყარა-ისმაილ დაგვისახელა.

ორას ოქროს თუმნიანი სამ თვეში ერთხელ გამოჰქონდა,
და საქონლის შესასყიდად სხვა ანგარიშ ქვეშ გაჰქონდა.
აწ მისი კვალის მეშვეობით, უნდა მოგვეძებნა სხვები,
სხვებთან ერთად ჩვენ გვინდოდა, იქ მყოფი რეზიდენტები.

ზარანდიას სამსახურმა ჩემს თვალისწინ გაიარა,
ვიცი ყველა შემთხვევაში თავის პრინციპით იარა,
თავის პრინციპს ზარანდიამ არც დაღესტანს აუარა,
ყველა გზები შეისწავლა, ყველას თვითონ დაუარა.

მან დაღესტნის პოლიციას ბევრი ცნობა აკრეფინა,
ყარა-ისმაილ ვინ იყო, რით სუნთქავდა შეაკრეფინა,
ექვსიდან ოთხი რეზიდენტია, ეს სიტყვა თქვა, არა ბრუნდა,
ზუსტი გეგმა მანდ დატოვა, და ის თბილისში დაბრუნდა.

დრომ აღწია ყარა-ისმაილ, დაღესტნიდან თბილისს მოვიდა,
ჰაჯი სეითის მითითებით ოქროები ჯიბეს ჩაიდვა,
ჩვენ ერთ საათში ვიცოდით, მაგრამ ცოდნა რაღად გინდა,
ხელსაწვდომი არა გვქონდა და სიმართლე ვერ დადგინდა.

დამნაშავეთა ძებნაში ჩვენ ძან დიდი დრო გავლიეთ,
მაგრამ ხელშემწყობთა რიცხვი ვერაფრით ვერ დავადგინეთ,
ამას მუშნიმ მიაღწია, გამხელა არ უნდ ყოფილიყო,
ისმაილის მიღებული ოქრო თურმე ყალბი ყოფილიყო.

— გრაფ, მირჩიეთ როგორა ვქნა, მე მამასთან უნდა ვიყო,
თუთაშხიას უნდა შევხვდე და მისი აზრი გავიყო,
პაემანი დამინიშნა, ტყუილს ვერ იტანს, რა გიყო,
ის მამასთან მელოდება, არ იქნება, რომ არ ვიყო.

დათა ტყუილებს ვერ იტანს, არ იქნება, რომ ვატყუო,
ქვესკნელს ჩავძვრე მირჩევნია, ვინემ მაგი მოვატყუო,
სიცრუე რა საჭიროა, გულახდილად უნდა ვიყო,
ცდა ბედის მონახევრეა, ესეც ხომ უნდა გამიგო.

მე ბაქოში გავემგზავრე, ის სამეგრელოს წავიდა,
ინახულა თვის ოჯახი და დაღესტანს გადავიდა,
რაც მინდოდა, გავაკეთე, ჩემი საქმე ყველა ახდა,
მე თბილისში ჩამოვედი, ზარანდია აღარ დამხვდა.

# დიმიტრი კოდაშვილი

უწმინდეს სიდონის წარგზავნით, ვიწყე ღმერთის მსახურება,
ღვთის არაფერი იცოდნენ, არც ღმერთის დამსახურება,
მეჯოგეები ცხოვრობდნენ, დადიოდნენ თავის ნება,
იმძლავრა აქ ეშმაკობამ, სატანამ ასე ინება.

პირველ წელსვე იმ სოფელში, ძან დიდი ცოდვა იხილეს,
ოთხი ძმა და მათი დედა ერთ საღამოს ამოჟლიტეს.
გადარჩა ოჯახის მამა, ბატონ დოროტე თოდუა,
მთაში ძროხებს აძოვებდა, იმ ხერს უდესი კარდუა[1].

სოფელ ლუწში, სადაც ვიყავ, მომივიდა ერთი ცნობა,
თუთაშხიამ ხოცა ხალხი, მე ბოქაულმა მაცნობა,
მე ეს სიტყვა დავიჯერე და მრევლს სიმართლე ვაჩვენე,
აბრაგი სასტიკად დავწყევლე და სულ მკაცრად შევაჩვენე.

ლუწის ზემოთ საძოვრები და მეჯოგის კარვებია,
მეჯოგეებს, თურმე, დათა ძან ძლიერად ყვარებია,
ყოველ ზაფხულს თუთაშხია, ამ კარვებში ადიოდა,
იქ ასვლამდი სოფელ ლუწში ძმაკაცებთან დადიოდა.

სოფლის თავკაცმა ქარჩავამ, დათას ასე გადაუწყვიტა:
— რადგან შენ ცოდვად გედება თოდუების ამოწყვეტა,
სოფელშიც ნუ შემოივლი, თუ არ გინდა თავის წყვეტა.
ხალხის სურვილს მე მივყვები, ასეთია სოფლის ნება.

ყველაფერი ეს სიტყვები დათამ მშვიდად მოისმინა,
— მაგის მკეთებელი არ ვარ, მითხარი ვინ ჩაგასმინა,
ბევრნი ზურგს უკან მ..ცხავდნენ, იქნებ ტყვილი აწამეო,
ბოქაულს რა დაეჯერება, მეტი ვინ გყავს მოწამეო.

1. იმ ხერს უდესი კარდუა იმ საღამოს სახლში არ იყო.

ერთი თხა მყავდა მეწველი, თავის ნებაზე დახტოდა,
სახლს არ მოვიდა საღამოს, სრულებით აღარ მაწყობდა,
დილით წაველ მის საძებრად, მე თხა უნდა მომენახა,
იმ დღეს რაც მე დავინახე, ნეტავ თვალს არ დაენახა.

ხევის გაღმა ბილიკიდან, სამი მგზავრი დავინახე,
იქვე ბუჩქებს ჩავიჩოქე, თავი მე აღარ ვანახე,
ერთი მანდ თოდუა იყო, ზურგზე გუდა აეკიდა,
დათა ცხენით წინ უძღოდა, დოროთეს ცოდვა ეკიდა.

ბილიკი მარჯვნივ უხვევდა და მეც იმ გზასა ავყევი,
აქ ძან დიდი რცხილა იდგა, იმ რცხილაზე მე ავედი,
ქვევით დიდი ხრამი იყო, მორი იყო გადებული,
ხრამს გაღმა გზა იწყებოდა, ცოტათი ამაღლებული.

პირველად ლაფშა მოვიდა და ხრამის ძირთან გაჩერდა,
თავით უკან მოიხედა, თავის პატრონს მიაჩერდა,
დათა დინჯად მოდიოდა, მას თოდუა მიყვებოდა,
მესამე ვეღარ ვიცანი, დოროს რაცხას უქვებოდა.

თუთაშხია მორს მოადგა, თანამგზავრებს დაელოდა,
აბა, რა ვიცოდი მაშინ, თოდუას აქ რა ელოდა,
თოდუამ გუდა მოიხსნა, თუთაშხიას მიაწოდა,
გაღმა გადამიტანეო, ასე აბრაგს მოუწოდა.

მან მორი გადმოიარა და ის გუდა მიწას აკრა,
მერე ჩიბუხი გატენა და თან კვეს-აბედი გაკრა,
ამასობაში მოხუცმა ცალი ფეხი მორზე შედგა,
მაგრამ შიშმა აიტანა და მაშინათვე შეჩერდა.

უცნობ ახალგაზრდამ მყისვე მოხუცს ხელი გაუწოდა,
დოროთე, ხელი მომკიდე, — ასე მაგას მოუწოდა,
— მოხუცმა ხელი არ მისცა, კომბალი არ დაიშურა,
ნელა შედგა იგი მორზე, ნაპირისკენ გაეშურა.



უცნობმა მოხუცს კომბალი შუა მორზე გამოგლიჯა,
ხეკუნდში მკერდში ჩაარტყა, იგი ხევში ჩაიგლიჯა,
თუთაშხია სწრაფ წამოდგა, მან სიღრმეში ჩაიხედა,
ყმაწვილმა თვალი აცეცა და გუდისკენ გაიხედა.

ფაცი-ფუცით გუდას დასწვდა, სასწრაფოდ ბაწარი ახსნა,
გათასმული ქისა ნახა და წვალებით იგი გახსნა.
მასში ბევრი ფული იყო, იგი სასტიკად ქშინავდა,
თუთაშხიას ხმა ალმოხდა, მე ვერ მივხვდი რას ნიშნავდა...

უცნობი ფულებს სინჯავდა, ჰმუჰნიდა და ისევ შლიდა,
შემთხვევით დათას შეხედა, მას ძალიან შეეშინდა,
აბრაგს თვალი აარიდა, ფულის გაყოფას მიჰყო ხელი,
მარცხნივ, მარჯვნივ დაალაგა, ქისა დარჩა ცარიელი.

— შენ დათა ხარ, თუთაშხია, ეს ნახევარი შენია,
დათა რომ ხარ, მიტომ გაძლევ, მე არავის მეშინია...
აბრაგი მას შეეკითხა: სიდან იცი, მე ვინ ვარო?
— დათა არის საცოდავი, გზაზე მოხუცმა მითხრაო.

ფულთან ერთად ყველა ნივთი მალე გუდას ჩაატანე,
ახლა წადი და სასწრაფოდ ცხედარი ამოიტანე,
ხოლუა სწრაფად მიტრიალდა, ხრამისაკენ გზას დაადგა,
აბრაგმა იარაღი იშიშვლა, უკან მიყვა, თავზე ადგა.

ხიდან ჩამოველ, ამბავი კოკოჩიას ბიჭს ვუამბე,
მაშინვე უკან მოვბრუნდი და ბუჩქებთან გავინაბე,
ხოლუამ თოდუას გვამი ზედ ზურგით ამოასვენა,
და მან აბრაგის ნიშანზე ის მიწაზე დაასვენა.

ქისა კბილით დაიჭირე, გუდა კისერს დაიკიდე,
ახლა მოდი და ცხედარი, შენით ზურგზე აიკიდე,
— მაგას ვეღარ გავაკეთებ, მე მკვდრებისა მეშინია,
აიღე და შენ წაიღე, გუდაც და ფულიც შენია.

ორი ტყვია მან ისროლა, ერთმა ყურთან გამიარა,
მეორე ტყვიამ ცხვირ-პირში მე მიწა შემომაყარა,
თან ვფიქრობდი: მე ამდენ ხანს აქ რა ცოდვამ დამარჩინა,
ღმერთს მადლობა მე შევწირე, რადგანაც გადამარჩინა.

წელში მოხრილი ხოლუა მძიმე-მძიმედ მიდიოდა,
გუდა, კისერს დაკიდული, მუხლებში ებლანდებოდა,
კბილებში გაჩრილ ქისიდან მას სუნთქვა უძნელდებოდა,
ყოველ წუთს სიკვდილს ელოდა, თვალებშიც ელანდებოდა.

ხოლუამ მთვრალი კაცივით მე ბარბაცით ჩამიარა,
თუთაშხიაც რომ გამცილდა, მაშინ შიშმა გამიარა,
— სანამდე უნდა ვატარო, მითხარი ბატონო დათა,
— სანამდე სული გედგმება. ასეთია შენი ხათა.

ხევი უცბად გავირბინე, რომ მენახა წინმავალი,
სანამ ზევით მივაღწიე, არ შემრჩა ქუდი, შარვალი,
ოთხივე მეჯოგე ვნახე, იქვე ახლოს ჩასაფრული,
თოფები გზას მიეშვირათ და ელოდნენ გულმოსულნი.

მათ ყველაფერი ვუამბე, რაც ბუჩქებიდან გამოჩნდა,
ამ დროს ცხედარაკიდული აღმართს ხოლუა აღმოჩნდა,
თავგამეტებით გარბოდა, უკვე აღარ ბარბაცებდა,
თუთაშხია ცხენზე იჯდა და კვალდაკვალ მას მოსდევდა.

ჩვენი მხრიდან ბუჩქებიდან ვიღაცას თოფი გავარდა,
ხოლუამ ხელი გულს იტაცა და გზაზე პირქვე დავარდა,
ქარჩავამ აქ ჯინჯოლიას თოფის კონდახი ჩაარტყა,
თუთაშხიამ კვამლს ესროლა, კინაღამ გულში მომარტყა.

— არ გვესროლო, ჩემო დათა, თუ ხარ დედის წარმოშვილი,
შენ ჯინჯოლიამ გესროლა, აგერ გდია ძაღლისშვილი,
— ეს ქარჩავამ დაუძახა, უმალ ზეზე წამოვარდა,
ის გაიქცა ბუჩქებიდან, ხვეწნით დათასთან მივარდა.

გამოდით ყველანი გზაზე, — დათა უკან არ იხევდა,
ხმამაღლა თქვა თუთაშხიამ, თანაც ჭრილობას იხვევდა,
რად მესროლე, ჯინჯოლია, მე რომ სისხლი გაპატიო,
ხოლუას გული გაუსინჯე! — ის ადგილზე მომკვდარიყო.

კაცის ცოდვა მე არ მადევს, მაგრამ ამათ მიგაყოლებ!
— გავბრიყვდი, დათა ბატონო, გთხოვ შვილებს ნუ დამიობლებ,
— ჩემს მოსაკლავად ხომ იცით, პოლიციამ ფული გაიღო,
ის ხუთი ათასი ოქრო, მთავრობამ უკან წაიღო.

ჩემი ხელით ჯინჯოლია, შენი მოკვლა არ იქნება,
იტყვიან ტყვია ესროლა, დათამ მიტომ გაიმეტა,
მისთვისა ხარ მოსაკლავი, კაცს რომ ფულზე ყიდი მხოლოდ,
მე მივდივარ, ცოცხალს გტოვებ, სიხარბე მოგიღებს ბოლოს.

# გრაფი სეგედი

მე თბილისში ჩამოვედი და სამსახურში გავწიე,
ტელეფონმა იწკრიალა, სწრაფად ყურმილი ავწიე,
გამოცდილი დეტექტივი უცბად მიღებასა მთხოვდა,
საქმის კურსში არ ვიყავი, რა უნდოდა, რას ითხოვდა.

იმ მარდ და ფიცხელ უსახოვს შემპარავი ტონი ჰქონდა,
ფაცა-ფუცით შემოვიდა, მას დაჯდომაც არ უნდოდა,
თვალით კირკიტი დამიწყო, ნეტავ მაშინ რას ფიქრობდა.
სხვა ფიქრში ვიყავ გართული, მზერა მისკენ გადამქონდა.

მან ლაპარაკი დაიწყო, რაღაც ხალიჩა მიხსენა,
და ამ ხალიჩის პატრონი ვიღაც მოღული ახსენა,
მიხვდა ვიყავ ამ საქმისა სრულიად გაუგებარი,
მაგრამ სიტყვა ჩამომართვა და დამიწყო საუბარი.

ამ ხალიჩას ბრწყინვალებით ბევრი გზა გამოუვლია,
ინდოეთი, საქართველო, ერევანი მოუვლია,
ნადირ შაჰსა ის პირველად ერეკლესთვის უჩუქნია,
და ხალიჩას აქ თბილისში, მეტეხი ბინად უქნია.

თბილისის აღების შემდეგ აღა-მაჰმად ხანს აუღია,
და ხალიჩა მელიქ მეჯნუნს ერევანში წაუღია,
შთამომავლებს რელიკვიად დიდი ხანი უტანიათ,
კარგა ხანი რომ გავიდა, თბილისს ჩამოუტანიათ.

ხალიჩის პატრონს ათასებში ოცდაათი შესთავაზეს,
შემდეგ წლებში მყიდველებმა მაგას ხუთი წაუმატეს,
ვერ მორიგდნენ მყიდველებთან, ბევრი სხვა რამეს უნდობდა,
პატრონი კი ხალიჩაში ორმოცდაათს თხოულობდა.

ერთ დღეს ეს ძვირფასი ნივთი ვიღაცეებმა მოიპარეს,
მის პატრონმა ხალხთან ერთად ამოსუნთქვა არ გვაცალეს,
გვარწმუნებდნენ, რომ ხალიჩა თბილისს ან ბაქოს იქნება,
სამ კვირაში ჩვენ ვიპოვეთ იყო დიდი საოცრება.

ის ხალიჩა რომ ვიპოვეთ, მისი ქურდიც ავიყვანეთ,
ცნობილი ქურდი, ყომარბაზი, ხალიჩითურთ მოვიყვანეთ,
ზედმეტ სახელად შულერსა ეცით სპარაპეტა ჰქვია,
მსხვილმან საქმეზე მუშაობს, წვრილმანები რას მიქვია.

დაკითხვას რომ ვაპირებდი, ზარანდია შემოვიდა,
ხალიჩით და ქურდიანად ის მაშინათვე გავიდა,
მე არ ვიცი, რა ხდებოდა, ან მუშნი რას ჩადიოდა,
მხოლოდ ვიცი, ხალიჩისთვის ჩემთან არავინ მოდიოდა.

სპარაპეტამ ის ხალიჩა თორმეტ ათასად გაყიდა,
და თვითონ კი საიდუმლოდ თბილისიდან შორს წავიდა,
შემიძლია ჰაჯი-სეიდს რომ ავართვა ნაქურდალი,
მაგრამ, მგონი, ზარანდიას აქვს რაღაცა ნაფიქრალი.

მივხვდი ზარანდიას ჰქონდა ეს ქურდობა მოწყობილი,
აქ ვიღაცას უმიზნებდა, საქმე ჰქონდა აწყობილი,
თორმეტი ათასი ზარანდიამ მომიტანა შესანახად,
მოლარემ ასე მაუწყა და წავიდა თავისთავად.

ყველაფერი რომ ავწონე, მე ჩემ თავში შევიცანი,
მერე ყველა ჩანაფიქრი აქ უსტინოვს გავაცანი,
— წაბრძანდით ახლა კაბინეტს, სხვაგან სიტყვა აღარ აღძრა,
ზარანდიას ჩამოსვლამდე ერთი სიტყვა აღარ დაძრა.

თუკი ვინმემ მოიფიქრა აწი ხალიჩის წაღება,
მილიარდი რომ მოგართვან, არ იფიქრო მის აღება,
თუ ვინმე გამოგესარჩლა, მისი სიტყვა განზე აგდე,
ქურდი ხალიჩასთან ერთად ჩვენთან ციხეში ჩააგდე.

ხალიჩის მქნელ ვითარებამ უსიამოვნება მიჩინა,
ჩემთვის არ შეუთანხმებიათ, საფიქრალი გამიჩინა,
მუშნის გამართლება ჰქონდა, მე წავედი, ის აქ დარჩა,
ხალიჩის საქმეს იძიებდა, მიტომ ასე გაიქაჩა.

# ქალბატონი თიკო ო-ნი

მე დანაშაული მქონდა, პოლიცია ხშირად მიძახდა,
არ ვიცი ეს მერამდენედ, ჩანაფიქრი მაინც ახდა,
თუ არ გინდა გასახლება, პენზაში ან კასტრომაზე,
იმ სოფელში უნდა წახვიდე, რომელსაც გეტყვით სხდომაზე.

მუშაობას შეუთვისებთ, რა დავალებას ჩვენ მოგცემთ,
გუნებაში ვთქვი, დაგთანხმდები, სხვანაირად არ მომექცნენ,
ვგრძნობდი, რასაც მთავაზობდნენ — საიდუმლო აგენტობას,
დავეთანხმდები, ოღონდ მერე აღარ შევასრულებ თხოვნას.

იმ სოფელში მე ჩემ ბინად ბეჩუნის სახლი ვარჩიე,
სოფელი ძან დიდი იყო, ხალხიც კარგი შევამჩნიე,
ქვრივი რომ იყო ბეჩუნი, მე ეს ადრედაც ვიცოდი,
დრო და ჟამის შესაფერად მე მას კარგად გავიცნობდი.





ბავშვების სწავლას შევუდექ, სუყველას ჰქონდა სურვილი,
მანცვიფრებდა მათი ნიჭი და სწავლისადმი წყურვილი,
თავს მე ბედნიერად ვთვლიდი კოლხეთის ძვირფას კუთხეში,
ისე ლაღად დავდიოდი, როგორც კაცი სამოთხეში.

დედა მე მეგრელი მყავდა, მეგრული კარგად ვიცოდი,
საიდუმლოდ ვინახავდი და არავის ვენდობოდი,
კვირას სახლში ვბრუნდებოდი, ბარდღუნია დამთვრალიყო,
ფილთა თოფი ხელთ ეჭირა და სამიზნედ დამდგარიყო.

ეს ჭაბუკი ოცი წლისა მეწისქვილის შვილი გახლდათ,
სიმთვრალეში ამ ყმაწვილსა ძან ცუდი ჩვევები ახლდა,
გამოიტანდა ფილთა თოფს, მეზობლის ცხოველებს დასდევდა,
თოფი მას მოშლილი ჰქონდა, და თოფიეით გრიალებდა.

ჩემ ჭიშკართან რომ მიველი, ბარდღუნიამ დამინახა,
ბეჩუნის ინდაური მოდის და ის ჩემსკენ გამოქანდა,
ის მე გზაზე გადამიდგა და აქ სასწაული მოხდა,
ბეჩუნის მაგარი ხელი ბარდღუნიას ლოყაში მოხვდა.

სახეში სისხლმა აასხა და კბილებიდან გამოცრა,
— მე მისი არ მეშინია, — მან სხაპასხუპით გადმოსცა,
— გეშინია, — მშვიდად უთხრა და ციტატაც მოიყვანა,
მე ბეჩუნი მკლავში დამწვდა და ეზოში შემიყვანა.

საღამო ჟამს ორი ქალი ჩვენ ეზოში შემოვიდა,
ისინი კაკლის ძირს დასხდნენ და იცით რა გამოვიდა?
— ბარდღუნიას საქციელზე ჩვენ ბოდიშს გიხდით, ბეჩუნი,
— ბოდიში მასწავლებელს უხადეთ, ათაშ უჯგუ, მა მიჩქუნი.[1]

ვითომ სათვალთვალოდ მგზავნეს მე დათა თუთაშხიაზე,
მე კი არარა ვიცოდი მისი ცხოვრება — პიროვნებაზე,
დიდი ლოდინი მომინდა მე აბრაგის შეხვედრაზე,
გაცნობიდან ყველა ფიქრი შემეცვალა მაგ ვაჟკაცზე.

---

1. ათაშ უჯგუ, მა მიჩქუნი — ასე სჯობია, მე ვიცი.

ბერუნიმ მერე და მერე გამიმხილა ყველაფერი,
როგორ შეხვდა მაგი დათას და ეცვალა მას ელფერი,
— დათა ძალიან კარგია, ის არ არის კაცის მკვლელი,
სხვა აკეთებს, აბრალებენ, გაუტეხეს მას სახელი.

შუა ღამე გასულიყო, როცა ჭრიალი გავიგე,
ფანჯრის წინ ლანდმა გაიარა და მე კი ხმა ვერ გავიღე,
მათ ფანჯარას ყური ვუგდე, ვერაფერი ვერ გავიგე,
უნამუსობას ჩავედივარ, მათი ცოდვა რათ დავიდე?

აქ აგენტად გამომგზავნეს, გავიელვე მე ჩემს გულში,
სისხლი თავში ამივარდა და ბოღმა საკუთარ სულში,
წავიდე, ახლავ ვაცნობო, შიში ჩამიჯდა სხეულში,
სინდისმა ნება არ მომცა, უფროსისთვის მეთქვა ყურში.

— რადგან გინდა არ გაიგოს გუდუნიამ თავის მამა,
გეფიცები, აღარ ვეტყვი, საყვარელო ჩემო დათა...
ფანჯარას უცბად მოვშორდი, არ ამიტყდეს მე აქ ხათა,
უცბად ოთახში შევედი, ლოგინს დავემხე პირდაღმა.

მეორე ღამით ბერუნი ჩემს ოთახში შემოვიდა,
— ხომ გაიგე, რომ წუხელის დათა ჩემთანა მოვიდა?
— კი გავიგე, რომ იცოდე, მე შემოსვლა მომერიდა...
ცოტა ხანი ვისაუბრეთ, მერე ბერუნი წავიდა.

ბერუნის სარკმელს ვიღაცამ, გავიგე, კენჭი ესროლა,
მართალია, ღამე იყო, კარგად მესმა ფეხით რბოლა,
კარის ჭრიალმა აწია და ყველაფერი მიჩუმდა,
მივხვდი, ვინც იყო მოსული, მთელი სხეული მიდუმდა.

მალე ჩემი სახლის ირგვლივ ატყდა ჩოჩქოლი, ხმაური,
მე ფანჯარას მივადექი და დავუგდე მაგას ყური,
აქა-იქ ლანდი შევნიშნე, მივხვდი, ალყა იყო რტყმული,
უცბად დავინახე დათა ჩემ ოთახში შემოსული.

ჩოხა-ახალუხში იყო სულ მთლად იარაღში მჯდარი,
სხვა დროს არავინ მენახა ასე იარაღჩამჯდარი,
მას მძლავრი ფეხები ჰქონდა, თავზე კი ფაფუ ეხურა,
უცბად სკამი კარს მიადგა და თანაც კარი დახურა.

თავს წამადგა მისი სუნთქვა, საკინძეში ჩამდიოდა,
მკერდგაღეღილს მიყურებდა, მის სახეს ოფლი სდიოდა,
— ბეჩუნია, კახპა ქალო, გამოაგდე შენი კურო,
თუ არ გინდა სახლი დაეწვა და შენი თვალით უყურო.

— ქათმის ქურდო, შე ქილია, ვის უდარებ თავს ტოლობას,
ბარდღუნის საყვარლობა სჯობს შენისთანა ქმარის ყოლას,
შენ რომ ბატი გიზის სახლში, მას ჰკითხე, გეტყვის სიმართლეს,
ვინ გატყუა, რომ დათა მყავს, ის ცოდვას ვერ მოინანებს.

დათა ჩემ საწოლთან იდგა და ფანჯარას გაჰყურებდა,
ასე დინჯად მისი ქცევა მე ძალიან მაკვირვებდა,
მას გაშლილი გულმკერდი და შოლტივით მკლავები ჰქონდა.
მისი სითბო მიზიდავდა, გულში ჩავკვროდი მინდოდა.

— ქალბატონო, არ გიყურებთ — მითხრა აბრაგმა ხმადაბლა,
— შეგცივდებათ, თავს მიხედეთ და ჩაცვით რამე ჩქარა...
ელდა მეცა, ღმერთო ჩემო, თურმე არც კი მიყურებდა,
მე კი სულ მაგას ვფიქრობდი, ის ჩემ გულმკერდს ჩაყურებდა.

ამ დროს უცბად კაზაკები ჩემ ოთახის კარს მოაწვნენ,
მე მაშინვე მივირბინე, კარს საწინააღმდეგოდ მივაწექ,
— რას ჩადიხართ; ტუტუცებო, ვერა ხედავთ, აქ მარტო ვარ,
მამასახლისთან გიჩივლებ, ქილია თუ ჯანდაბა ხარ.

მე აქ აბრაგს შევყურებდი, მინდოდა გულში ჩამეკრა,
ალბათ მიმიხვდა ჩანაფიქრს და ტუჩებით ტუჩს დამეკრა,
მე არ ვიცი მერამდენედ მის გულმკერდში მიხუტებდა,
მისი ხვევნას და ალერსსა მე ვინ გადამავიწყებდა.

მე კარგა ხანი ვიყავი დათას მკერდზე მირინდული,
და რომ მოწყდა იგი ტუჩებს, სასტიკად დამწყდა მე გული,
– მადლობას გიხდით, თინიკო, ვარ თქვენგან დავალებული,
მივდივარ, კარგად იყავით, თქვენგან გულმკერდ დათუთქული.

ასე მჯერა, ქალბატონო, თქვენ მოგზავნილი მგონიხართ,
არ გეწყინოთ ჩემი სიტყვა, ისე კი გულკეთილი ხართ...
მეორე დღეს მე სხვა ბინა ვიგულე და გადავედი,
გუდუნა იდგა, ლამობდა, გაეგო რატომ წავედი.

# გრაფი სემედი

დაღესტნიდან ზარანდიამ ბევრი ხალხი მოიყვანა,
სხვებთან ერთად მან პატიმრად ისმაილიც ჩამოიყვანა,
ზარანდიამ თავის გეგმა აქ პირნათლად შეასრულა,
ისმაილმაც ყველა საქმე ჩვენს საკანში დაასრულა.

მეშნის ბრძანებით ისმაილს ტანთ ყველაფერი გახადეს,
საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი ნახეს,
მას სპილენძის სურა ჰქონდა, განბანვისთვის განკუთვნილი,
მიზეზს სურაში ეძებდნენ, თუ რამ იყო დარჩენილი.

მეშნიმ ისმაილს მიმართა: გახსენით ეგ თქვენი სურა,
ისმაილმა იუარა, თანაც ამ სურას უყურა,
მას ორმაგი ფსკერი ქონდა, ქვევით რაღაცა დებული,
ცხვის ანაბეჭდ ქაღალდი სურას იყო ჩადებული.

ზარანდიამ სალამოთი მის კაბინეტს მოსვლა მთხოვა,
მას იქ ყველა მოეყვანა, ყური არავის ათხოვა,
ჰაჯი-სეითს, ისკანდერ-ეფენდს, ყარა-ისმაილი მოყვა,
და აქ ეხლა იწყებოდა შეკითხვები, თან გათოკვა.



ზარანდიას ყველა სიტყვას აქ თარგმნიდა თარჯიმანი,
აქვე მაგიდას ეყარა მათი ყალბი თუმნიანი,
ჰაჯი-სეიდის სახელზე შეტანილი თანხის ნუსხა,
აგრეთვე სხვა საბუთები, ყალიბიას მან აუხსნა:

თქვენ გაიგეთ, ღორები ხართ, და ყველას ვირის ჭკუა გაქვთ,
მაგრამ იმდენს კი მიხვდებით, ლმობიერი კანონი გვაქვს,
ვინც სიმართლეს დაადგებით, მათ შეწყალება ექნებათ,
თუ არა და ტყუილის მთქმელს, ციმბირისკენ გზა ექნება.

პატიმრები გაიყვანეს, მუშნი ეფენდის ეკვეთა,
ისეთი დღე დააყარა, ჯალათად გამომეკვეთა:
ნება მომეცით ისკანდერს პატიმრობა დაუწესო,
საბუთიები ხელთ მიჰყრია ციმბირისკენ გავაწესო.

ამის უფლებას ჯერჯერობით ზარანდიას ვერ მივცემდი,
საჭირო იყო ამისთვის დამატებით საბუთები,
აქ ზარანდიამ ეფენდის ყველაფერი აუწერა,
და სახლში პატიმრობაზე ორდერი გამოუწერა.

იმ საღამოს ზარანდიას ჰაჯი დილამდე ჰყოლია,
მე მეორე დღეს გავიგე, მას შედეგი მოჰყოლია,
სწორედ ჰაჯიმ დაგვირეკა იუნიოს-ოღლისთან მისულა,
მაგრამ თავისი ხელბარგით იუნიოს-ოღლი გაპარულა.

# შალვა ზარანდია

მე ზარანდია არა ვარ, გოგინაშვილი ვარ გვარად,
ზარანდიებმა გამზარდეს, თანაც შეძლებისდაგვარად,
მამა ყაჩაღი მყოლია, ხუთი წლის ვიყავ, მოუკლავთ,
დედაც მალე გარდამცვლია, დავრჩენილვარ მარტო ობლად.

ბატონი დათა და მამაჩემი ყოფილან ძმადნაფიცები,
დათამ სახლში წამიყვანა, მე მამაჩემს გეფიცები,
დათას ბიძას, როგორც შვილი, ჩემი თავი აღუზრდია,
ამის შემდეგ ჩემი გვარი უკვე გახლავთ ზარანდია.

ღვიძლი შვილისგან გარჩევა იქ დიდი სირცხვილი გახლდათ,
თუ ვინმე გააკეთებდა, მეზობელი დაზრახავდა,
მასწავლიდნენ სათნოებას, რაც ჩემსას არ მიმიღია,
ამიტომაც აღვიზარდე სპეტაკი და თან გულღია.

მუშნი მაშინ თბილისს იყო, სახლს იშვიათად მოდიოდა,
წელიწადში მხოლოდ ღამით დათა ორჯერ დადიოდა,
ელეს შვილივით კუყვარდი, იგი თავზე მევლებოდა,
როგორც მუშნი, ისე დათა მე საჩუქრებს მიტოვებდა.

მაგალი ზარანდია უბრალო დიაკვანი გახლდა,
ის ბევრი ნაკითხი იყო, მას სიკეთე სულ თან ახლდა,
აკადემიის სწავლება, გეუბნებით, მაგას აკლდა,
მაგრამ წინასწარ ნაფიქრი, ყველაფერი დროზე ახლდა.

გიმნაზიაში სწავლა დივიწყე, ჩიტის რძე არ მოუკლიათ,
მაგალის თხოვნა ავუსრულე, სწავლა სხვისთვის არ მიკლია,
მუშნიმ პეტერბურგს მომაწყო, სწავლა მე არ დამიკლია,
იურიდიულზე ვსწავლობდი, რამაც მე გზა გამიკვლია.

მეოთხე კურსზე ვიყავი, მე რომ სახლში ჩამოვედი,
ზაფხულის არდადეგებზე პეტერბურგში ვერ გავჩერდი,
პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა, მუშნი იმ წელს გარდიცვალა,
მოხუცებთან დავრჩი, მერე ვეღარ გავაგრძელე სწავლა.

მე ცოტა რომ მოგიყევი და სათქმელი კიდევ დამრჩა,
ახლა კი მსურს თქვენ გიამბოთ, დათა ციხეს რატომ ჩაჯდა.
ეს თეითონ მუშნის აწყობდა, დათა ციხეს ჩამჯდარიყო,
თვის ოჯახს დაბრუნებოდა, ცუდი რამ არ მომხდარიყო.

ერთ საღამოს კონსტანტინეს ხობელი კაცი ეახლა,
მერე, როგორც მე გავიგე, დუჩა აბრამია გახლდათ,
-- შენი ძმა ლებარდეში წევს, სასიკვდილოდ დაუჭრიათ,
დათას ცოცხალს ჩაუსწარი, სხვას კი ჭირი წაუღია.

ქალებს წასვლას უმალავდით, ბაბამ გეგმა შეაყენა,
დაჟინებით წასვლა ვთხოვე, მეც იმ გზაზე გამიყენა,
ვითომ სათიბს მივდიოდით, ზვინები უნდა გვენახა,
თქვენ საგზალი გაგვიმზადეთ, მან ქალებს ასე უბრძანა.

ლებარდეს გზას გავუდექით, დათას სამყოფელს მივედით,
მასპინძელმა ანდრომ გვითხრა, კარგი ჰქენით, რომ მოხვედით,
სუსტად არის, წასვლა უნდა მას ამელამ დაჟინებით,
ცოტა ხანი დარჩეს, თხოვეთ, თქვენ, მაგალი, დაჟინებით.

— მითხარ, დათა, როგორ დაგჭრეს, ანდა ტყვია ვინ გესროლა?
— ალბათ, ჩემზე მარდი იყო, ვინაც იგი მე მესროლა.
— მწევარივით კაცი იყავ, ყველას ასწრებდი გასროლას,
უკვე თვალი აღარ გიჭრის, მორჩი აწი აბრაგობას.

ოთხი წლის წინ ჩვენი დათა ანჩაბაძესთან სტუმრობდა,
მესამე სართულზე ვახშმობდნენ, იცინოდა, თან ხუმრობდა,
ხითარიშვილს ეს გაეგო, ვინც რომ დათას დარაჯობდა,
უნდოდა დათა მოეკლა, სხვა არაფერს არ დარდობდა.

ხითარიშვილი როგორღაც იმათ ბალკონზე ავიდა,
ასვლა თუ არა მაშინვე შეტევაზე გადავიდა,
— ხელები მაღლა ასწიე! — მან ხმამაღლა დაიყვირა,
ორი ცალი მაუზერი დათას გულმკერდს მიუშვირა.

თვალი ვერავინ შეასწრო, დათა მოაჯირს გადეშვა,
კაკლის ტოტს ჩამოეკიდა, ტოტიდან ტოტზე დაეშვა,
ხითარიშვილი ესროდა, ვერცერთი ვერ მოახვედრა,
დათა მიწაზე დაეშვა და ქვევიდან მას ესროლა.

— მასპინძელს რომ არა ვკადრებ და იმიტომაც არა გკლავ,
თორემ, როგორც მოღალატეს, ძაღლის შვილო, ხელად მოგკლავ, —
ერთი ტყვია გაისროლა, თავზე ფაფახი მოხადა,
იგი ლობეს გადაახტა და სასწრაფოდ სადღაც გაქრა.

— დათა ხომ ასეთ ფოკუსებს ხუთი წლის წინ ახერხებდა,
თუ არა და სეკუნდებში მის მტერს ტყვიას აძგერებდა,
კაცის მოკვლას განიცდიდა, მიტომ ტყვიას იშურებდა,
განსაცდელში მყოფნისათვის თავსაც არ დაიშურებდა.

ხუთი წლის შემდეგ იცოდეთ, მას სიბერე მოაკითხავს,
ის ძალ-ღონე არ ექნება, თვის თავს თვითონ განიკითხავს,
ვიღაც ტყედ ჩაუსაფრდება, არც კი მისცემს მას შეკითხვას,
ლაჩრულად ტყვიას დაახლის, ვერც მოასწრებს გვარის კითხვას.

— ვის-გამოგყვა შენ ასეთი შეპარული ლაპარაკი, —
ასე უთხრა კონსტანტინეს აქ ბაბაია მაგალიმ, —
გახსოვს მაგან იარაღი დაყარა, თოფი აიღო,
კარგად იცი მის კეთებამ რა სიკეთე გამოიღო.

— მაღლივ ღმერთმა თავის ხვედრი, კოსტა, სუყველას არგუნა,
ჩვენი დათა თვის ბედს მიყვა, მან ის წელში არ გაღუნა,
ყველამ ვიცით როგორ ვცხოვრობთ, მომავალშიც რა მოხდება,
მაგრამ აწ დათას გარდაქმნა, იცოდეთ, არ მოხერხდება.

კონსტანტინემ ბაბას უთხრა, ასე რად უნდა ჩათვალო,
არ უნდა იყვე ხელეჩო, ხე რომ მარტო შენსკენ თალო,
საყვედურად არ ვიძახი, მას ასაკი დაუთვალო,
თერამეტი წელია აბრაგობს, ყველა წლები რომ უთვალო.

თქვენ და დედას რა ხანია ცრემლი არ გშრობიათ თვალზე,
ელე დედაბერს ემსგავსა, გაქრა მისი სილამაზე,
თბილისსა და პეტერბურგში ეჭვს აყრიან მუშნის თავზე,
მამიდაშვილს მფარველობსო, ამას ამბობენ დაიაზე.

დათას ჭირი ჩვენ სუყველას ერთად გვიზიარებია,
და მისი ხელის შეწყობა არასდროს დაგვზარებია.
საყვედური და შეწყრომა არასდროს გვიკადრებია,
აწი დროა სახლს მიხედოს და ვინც მაგას ჰყვარებია.

დათამ ყველაფერს უსმინა, რაც იქ ითქვა ამბებია,
ყველას ტკბილად მოუსმინა, იყო კარგი ამბებია,
— კოსტა, მასზე ფიქრის მეტი სხვა არა მიკეთებია,
კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც ღმერთისგან მას რგებია.

ამ საგანზე ამის მეტი ლაპარაკი არ ყოფილა,
მასპინძელმა მოგვასვენა, გვიმასპინძლა კმაყოფილმა.
დილით ავდექით, წამოვედით, ჩვენ სუყველა შინისკენა,
მე სათქმელი კიდევ დამრჩა, ვინახავ მომავლისკენა.

## გრაფი სეგედი

ჰაჯი-სეიდმა დე-ლამიეს ერთად ყოფნა აღიარა,
მათმა ინფორმაციებმა თითქოს ყველასთან იარა,
თუ ამას ჩვენ გავამხელდით, ვიცოდით, რაც მოყვებოდა,
იმათ ლახვრეტა ელოდა, და საქმეც დამთავრდებოდა.

ბოლო ხანებს ჰაჯი-სეიდს ჩვენ აქცია ჩაუტარეთ,
ეს არავის გაუგია, ყველა მშრალზე გავატარეთ,
თუ აქციის რამე ფორმა დე-ლამიეს მისწვდებოდა,
მაშინათვე ქალბატონი ჩვენს ხელიდან გასხლტებოდა.

მუშნის აზრით დე-ლამიეს პატიმრობა არ გვაწყობ და,
აგენტად იყო გზავნილი და სხვა რამეს გააწყობდა,
სხვა გზა უნდა მოგვენახა, რომელიც კვალს აგვიწყობდა,
და სულ მალე ჩვენს საქმეებს ნორმალურად დააწყობდა.

მეორე დღეს ჩვენთან სტუმრად სახონოვი ჩამობრძანდა,
ვახშამზე სპეც განზრახვით მის გვერდით ლე-ლამიე დაბრძანდა,
ოთხ საათის არშიყობა ცბიერებით ჩაატარა,
თავის სახლს აცილებია და მშრალი გამოატარა.

სახონოვს პირობისამებრ ხალიჩა უნდა ენახა,
ჰაჯი-სეიდმა ამისი ძან კარგი დრო გამონახა.
სახონოვი მას ეწვია, მადმაზელიც გვერდში ჰყავდა,
პოლკოვნიკი ქალის გვერდით, თითქოს ვაჟკაცს წააგავდა.

მცირე მუსაიფის შემდეგ მოლულის ხალიჩა გაშალეს,
ეფექტმა მოლოდინს აჭარბა, სადღერღელი აუშალეს,
სპარაპეტას მოპარული ოცდაათათასად შეაფასეს,
კარგა ხანი მათ ივაჭრეს, ოცდახუთად შეითანხმეს.

სახონოვს ფული არ ჰქონდა, ლე-ლამიეს დაესესხა,
პოლკოვნიკმა გარმანულად მას საბუთი დაუწერა,
სახონოვი ცას სწვდებოდა, თითქოს ხალიჩა მიჰქონდა,
რა იცოდა მის ნაწერი ზარანდიას ხელში ჰქონდა.

ზარანდიამ ხელწერილი მომიტანა, მე მაკითხა,
თვალებს რომ არ დაუჯერე, ხელმეორედ წამაკითხა,
ეს საბუთი მე პირადად ჰაჯი-სეიდმა გადმომცა,
სახონოვის მოქმედებაშ მე საშინლად გამაოცა.

ყველაფერი ჩვენს ხელთაა, ხალიჩა პატრონს ჩაბარდება,
სახონოვი პეტერბურგს ჩავა, ალგილიდან გადადგება,
საზღვარგარეთ მყოფ ჯაშუშებს ყველა გზები შეეკვრება,
მერე სხვა საქმეს მივხედავ, თუ ეს ღმერთმა დამანება.

# ქალბატონი სალომე ბაზიერაშვილი
# ოდიშარიასი
# ბატონი შალვა ზარანდია

ეფემია წინამძღვარი მამას უფროსი და გახლავთ,
ბაზიერაშვილის ქალი იყო, დედა თუთაშხია ჰყავდა,
ის მხოლოდ მოგვარე იყო, არა მათი ნათესავი,
დათასთან ძან მეგობრობდა, როგორც კეთილის [illegible]ესავი.

თოთხმეტი წლისა ვიყავი, სიყვარული რომ მეწვია,
მშობლებმა მას გამარიდეს, მონასტერს წასვლა მიწია,
მამიდამ მე წვრთნა დამიწყო, შემატყო, რომ ნიჭი მქონდა,
ფრანგულ, რუსულ, ინგლისური ყველა თავში გადამქონდა.

ერთ საღამოს ეფემიას კარს ვიღაცამ მიაკაკუნა,
კარი ძან ჩუმად გაუღო, ჭრიალებაც არ არგუნა,
ცოტა ხანში ეფემია ჩემს ოთახში შემოვიდა:
— შენ ადექი, წამომყევი, ჩვენი წასვლის დრო მოვიდა.

ავდექი, თბილად ჩავიცვი, ღამე არ შემ[illegible]ოდა,
მონასტრის ჭიშკარსა იქით ჩვენ შალვა [illegible]ოდა,
მას ფარანი ხელში ქონდა, ჩვენ გავყევით ნელა-ნელა,
ალბათ, საათი გავიდა, რომ ვიყავით ადგილს ყველა.

ჩვენი წამოსვლის მიზეზი ოთახს შევედით, გავიგე,
იქ ლამაზი კაცი ენახე, თვალი მისგან ვერ ავიღე,
მამიდაჩემმა ღამხდურ ვაჟკაცს თავის ხელი გაუწოდა,
იგი ხელზე ეამბორა, სწრაფად სკამი მიაწოდა.

მაშინ ჩვენთან მარხვა იყო, ეს მაგიდას ეტყობოდა,
მე სულ დათას ვუცქეროდი, ვცდილობდი არ შემტყობოდა,
მამაკაცებზე შეხედვის უფლება მე არა მქონდა,
მამიდაჩემს ეფემიას ეს დადგენილ წესად ქონდა.

მოვალეობას პირნათლად მე ყოველთვის ვასრულებდი,
ეფემია ხელს აწევდა, მე ლოცვას აღვასრულებდი,
ხანდისხან ტყუილს ვურევდი, ვიცოდი ვერ გამიგებდა,
ცოტა ყურთა სმენა აკლდა, თორემ ანდერძს ამიგებდა.

ეფემიამ დათას უთხრა: ბევრი ცოდო გაქვს დენილი,
რომელი ერთი მოგითხრო, შენ ბოროტად ჩადენილი,
ყურუა თუ დასტურიძე, ქაცარია თუ ყანდური,
მათი ცოდვა კისერს გაწევს, ამიტომ ხარ უბედური.

ნიჭიერი ხარ შენ დათა, ახლა უნდა დამიჯერო,
ამ საქმეს მე გაგიკეთებ, თუ გინდა გული იჯერო,
რუსეთის ერთ მონასტერში, შენ სხვა გვარით მიგიღებენ,
შენ ბერად აღიკვეცები, ჟველანი გულს გაგიღებენ.

უცბად სიჩუმე ჩამოდგა, თამარმა წინამძღვარს შეხედა,
შალვამ შეშინებულ თვალით თუთაშხიას გადახედა,
მაგალიმ მომღიმარ თვალით უცბად მისკენ მოიხედა,
დათა წყვდიადივით დუმდა, მერე მან სუფრას დახედა.

— შენ საკუთარი ერის და მამულის მტრად გადიქეცი,
მაგრამ შენ საკუთარ სურვილს ვერაფრით ვერ გაექეცი,
შენს თავში უნდა შეიჭრას მონასტერი, ლოცვა, ფიცი,
მეტი გზა არა გაქვს, დათა, გამიგონე, სხვა არ ვიცი.

დათამ ღიმილით შეხედა აქ ეფემია წინამძღვარს,
— კაი, დედავ, გეფიცები, მოვიფიქრებ მე მაგ ამბავს...
ამის შემდეგ ლაპარაკი ამ თემაზე უკვე შეწყდა,
მე მჯეროდა, დათა ბერად წასვლას აღარ გადაწყვეტდა.

წელიწადი რომ გავიდა, მე წინამძღვარს შევეკითხე:
აღიკვეცა დათა ბერად? მაინტერესებს, მიტომ გკითხე,
— ბერად არასოდეს წავა, ეს ვიცოდი თავიდანვე,
მეშინია აღარ მოკლან, ჩემი ვალი მოვიხადე.

გათენებას ცოტა აკლდა, მე რომ ფარანი ავანთე,
ეფემია წინამძღვარი და სალომე მონასტერში მივიყვანე,
მთელი ღამე სულ ფიქრებში დათა მოღუშული იყო,
ალბათ, სულ იმას ფიქრობდა, ბერად როგორ წასულ იყო.

## გრაფი სეგედი

დილით საათის თერთმეტზე მე სამსახურში მივედი,
რაღაც გრძნობა დამეუფლა, სადღაც ფიქრებში წავედი,
ამ დროს კაცი შემოვიდა, რომელიც მე დიდად მძაგდა,
იგი სახონოვი გახლდათ, შემოსვლა და სკამზე დაჯდა.

უბიდან ქაღალდი იღო და ჩემსკენ გადმოისროლა,
უცბად გულში გავიფიქრე, ხომ არ უნდა ორთაბრძოლა,
ვატყობდი, მიზეზს ეძებდა, იგი უცბად გაუქარწყლე,
სწრაფად ყურმილი ავიღე და კნიაზევს დავუძახე.

კნიაზევმა უყოყმანოდ ქაღალდები მომაწოდა,
ქვევით რად ეყარა იგი, კნიაზევმა რა იცოდა,
ქაღალდები მე გავშალე, და სახონოვს შევეკითხე:
— რა არის ეს, მიპასუხე, ვერაფერი წავიკითხე,

— თქვენი გამოცდილებისა და მუშაობის შედეგი, —
ეს ისე რიხით იყვირა, კინაღამ ყალყზე დავდექი,
მარტო ეს მან არ იკმარა, სართულებიც მიაყოლა:
ჰკიდევ კარგი რომ გადავრჩი, მომაკალი არ მეყოლა!

სახონოვი ზღურბლთან შედგა, კვლავინდებურ ტონით მითხრა;
— დაიხსომეთ რაც გითხარით, ახლა კიდევ რაცა გითხრა,
აქ რაც მოხდა, მე ყველაფერს შევალ, მინისტრს მოვახსენებ,
მერე რაც მოგივა, გრაფო, მე შენ კარგად გაგახსენებ.

სახონოვი და კნიაზევი კაბინეტიდან გავიდნენ,
— გადაეცი ზარანდიას, იგი ჩემთან შემოვიდეს...
ზარანდიამ მომახსენა მე ყველაფერი აქცია,
როგორ მოხვდა სახონოვთან ქალალდის პროკლამაცია.

იმ საღამოს სახონოვმა დე-მალიე წაიყვანა,
დიდი ხვეწნა მას დასჭირდა და სასტუმროს შეიყვანა,
სახონოვი შხაპს იღებდა, ქალი ხმას აღარ იღებდა,
და მის ფოტო-აპარატით ყველა საბუთებს იღებდა.

დე-მალიემ სასტუმროში ჩუმად სახონოვს აცნობა:
თოთხმეტში ფოთს უნდა ვიყო, მიმიღია სწრაფი ცნობა...
სახონოვს ეს გაეხარდა, ღამე თითქმის არ იძინა,
მეორე დღეს ორის ნაცვლად სამი ბილეთი შეიძინა.

დე-ლამიეს წინათგრძნობა დილით მას ადრე აუხდა,
თავის კარები შეაღო, ზარანდია იქ დაუხვდა,
შეკივლება დააპირა, დამხდურმა კი არ აცალა:
— მოდი, მითხარ, იქ რა ქენი...მან სიტყვის თქმა დააცალა.

ზარანდიამ დე-ლამიეს ფირები ამჟღავნებინა,
როცა ფირფიტები გაშრა, სურათი დააბეჭდვინა,
მუშნიმ ეს ნეგატივები თავის ჯიბეს შეინახა,
თანაც თხოვა ამ საღამოს კოვალსკისთან რომ ენახა.

საღამოთი ჩვენ ყველანი დანიშნულ ადგილს ვიყავით,
და ვის როგორ ეკუთვნოდა, სავარძლები გავიყავით,
იქნა ოქმების დაწერა და მათზე ხელის მოწერა,
დაპირისპირება რომ მორჩა, ჩვენ წავედით სახლისკენა.

სახონოვის ადიუტანთან ხალიჩა სადგურში წაიღეს,
რამდენიმე საათში კი იგი უკან წამოიღეს,
უსატოვმა ეს ხალიჩა თავის პატრონს დაუბრუნა,
ახლა კი მთავარი იყო მადმაზელ დე-ლამიეს ძებნა.

სახონოვმა ზარანდია დღის ბოლოსთვის მასთან იხმო,
ზარანდიამ დამირეკა, დამრთეთ ნება თქვენთან ვიყო.
რომ მოვიდა, სეიფიდან პაკეტები გამოიღო,
ერთი სახონოვის კაცს მისცა: სასწრაფოდ უნდა წაიღო.

მოახსენეთ თვით პოლკოვნიკს, ეს პაკეტი წაიკითხოს,
თუ საუბარს არ ისურვებს, პასუხითვე მომიკითხოს,
რაც მე იმას გავუგზავნე, იგივე ამ პაკეტს მდებია,
დედანთან ორივე ერთად შემოწმებული ასლებია.

მუშნი სახონოვს ბრალს დებდა, იცოდეთ, მრავალ საქმეში,
გარყვნილობა, გულგრილობა, აღვირახსნილ მრუშობებში,
ნაქურდალ საქონლის ყიდვა, ხელმძღვანელთა ინტრიგებში,
ჯაშუშ ჟანეტ დე-მალიეს გაქცევის ორგანიზაციებში.

მეორე დღეს პოლკოვნიკმა ადიუტანტები მომიგზავნა,
მისი ხელით გადადგომის ხელმოწერა თან აგზავნა,
იგი მიხვდა დანაშაულს ვეღარსად წაუვიდოდა,
და იგი ხელებმოცარული პეტერბურგში წავიდოდა.

# შალვა ზარანდია

ზამთარში ღამის თერთმეტზე დათა ჩვენ სახლში მოვიდა,
მუშნიმ მე აქ დამიბარა, თუ რამე გამოუვიდა,
თამარმა რომ შვილი ნახა, ცრემლები წამოუვიდა,
მერე დათას მოეხვია, მას ალმური აუვიდა.

ცოტა ხანი რომ გავიდა, ცხენის ჭიხვინი მოგვესმა,
– გახედე, მუშნი იქნება, – მაგალის ხმა მე მომესმა,
გავედი და დავინახე, ჭიშკარს მოადგა მხედარი,
ვნახე მართლა მუშნი იყო, ლამაზად ცხენზე შემჯდარი.

ჩამოხტა, გადამეხვია, არ მანება ცხენი სვლაში,
თვითონ ლაგამს ხელი ჰკიდა და დააბა ის თავლაში,
მანვე აბყარა ალვირი და ასევე უნაგირი,
— წადი, წყალი მომიტანე, დამაბანიე ხელ-პირი.

— ამ უკუნისი ღამეში მარტო მოსვლა რით გაბედე,
ყაჩაღებმა სულ აილეს სოფელი და გზა და ხიდე,
— ყაჩაღი ის კი არ არის, ვინც გზად ქალებს ხურჯინს ართმევს,
ყაჩაღი ის ვაჟკაცია, ვინც ყველაფერს თავს გაართმევს.

მან დაბანა დაამთავრა და ჩვენ ოთახში შევედით,
დედა-მამა გადაკოცნა, თან უნახავი შედეგით,
დათა მუშნი ერთად იდგნენ ათი წამი გვერდი გვერდით.
ერთმანეთი გადაკოცნეს, უნახავმა დიდი ხნებით.

იდგნენ ასე ცოტა ხანი ორივენი განაბული.
მუშნის თვალებზე შევხედე, ცრემლით ჰქონდა დანამული,
ამ სურათის მნახველ დედას ცოდვით ევსებოდა გული,
ორთავე შვილს შესცქეროდა, დამწვარი და დადაგული.

— შენ იყავი კარგად, მუშნი და დათაც მას დაატანა, —
და თვალზე მომდგარი ცრემლსა ღვინის ყლუპმი ჩაატანა,
ამასობაში დედიკომ საჭმელებიც მოიტანა,
ბაბამ ის სუფრა აკურთხა, ერთი ლუკმაც წაატანა.

— პაემანზე სვლის ნაცად ხერხს გადუხვიე, ჩემო დათა,
თუ გულწრფელად მე გამიგებთ, მადლობის მეტი რაღა ვთქვა,
— დანიშნულ დროს აქ არ მოსვლა ძმობაში ეჭვს შეიტანდა,
ძმის დანახვას შევნატროდი, სიხარული ცას მიტანდა.

— ჩემი სახელით იქნებ ვინმეს შენთვის ხაფანგი მოეწყო,
მაშინ შენ რაღას იზამდი, რომ იქნებოდი უმწეო,
— ელემ მითხრა ნაბარები, უცხო არვინ გაიგებდა,
დასტურიც მას გავატანე, ხაფანგს ვინლა დამიგებდა?

მუშნი წამოდგა, ოთახის ყველა კუთხე მოიარა,
— დათა, მითხარი ნამდვილად, იარაღი გაქვს თუ არა.
— იარაღით დაგხვედროდი მაშინ, შენ რას იფიქრებდი,
ერთი ნაგანი მაქვს ჯიბეს, მეტი რაღას ჩავიდებდი?

ნაგანი მუშნიმ აიღო, ჩვენს დასანახად აბრუნა,
მარტო ერთი ვაზნა იყო, ისევ დათას დაუბრუნა,
— გულჩვილობა შეგპარვია, ასე რამ დაგაძაბუნა,
ეშმაკი ხომ არ შეგიჩნდა და უკუღმა დაგაბრუნა?

შენი მარტოდ მასე სიკვდილი არ იქნება, ჩემო დათა,
მუშნიმ უნდა იცოდეს, ამის მეტი მე რაღა ვთქვა,
ეს სირცხვილით ამოწყვეტას ოჯახისას უფრო ნიშნავს,
ნუთუ ეს არის მიზეზი პაემანი დაგინიშნავს.

მუშნი მიხვდა დედის სიტყვას, მას ვერა რა გაუბედა,
მერე გამოძებნა სიტყვა, რომელსაც ღელვით ეძებდა,
დედას ეჭვი შეპარვია, იქნებ, ყველას არ უბნობდეს,
ჩემისთანა შვილის ყოლას, იქნებ თავის მოკვლა სჯობდეს.

— თუკი ხელმეორედ მუშნიმ შენ თუ სადმე დაგიბარა,
იარაღით მიდი, შვილო, შენ თუ ეჭვი შეგეპარა,
შენ იარაღი გექნება, დააღწიე ხაფანგს თავი,
ხელობა შენი ეგ არის, აიცილე თავზე ავი,

და თუ მუშნიმ შენ გიმუხთლა, ქენი მაშინ შენ საქნელი,
მე ვიცი, რომ ჩემო შვილო, ეს არ არის შენთვის ძნელი,
მაგრამ ისე გააკეთე, სხვამ არ გაიგოს საქმენი,
ოჯახი შემელახება, მეტყვიან მაგალ, რა ქენი.

ოჯახში თუ ერთი შვილი ხოროტია, ცუდის მქნელი,
მეორეს არ აქვს უფლება, ოჯახს უტეხოს სახელი,
ასე გასწავლეთ ორთავეს, ჩაგძახოდით ამას ყურში,
ამას გეუბნები, დათა, შენც გიჩება, შვილო მუშნი.

— ძმასთან საჭურველით მოვიდე, მე ხომ მაგას შევლახავდი,
ანდა იქვე სხვამ გამთოკოს, მე ძმას ხომ არ გავლახავდი,
ძმამ ძმა ისტუმრა კატორღას, აღარ იქნა მისი ნდობა,
ასეთ ამბავში მითხარი, ხომ სჯობს ადამიანობა.

— ადამიანობას ურჩევნმია, რომ გაგიკოჭონ ფეხები,
სახრჩობელას მიყვანამდე შენ არწმუნო მნახველები,
ძმა არაფერ შუაშია, აქ არიან მლიქვნელები,
ამას აკეთებენ მხოლოდ ჩემი ძმის მტრების ხელები.

აქ ბევრი ილაპარაკეს ხან მუშნიზე, ხან დათაზე,
მუშნი პეტერბურგს გადაყავეთ, უფროსის თანამდებობაზე,
დათას უთხრეს: აიღე ხელი აწი შენ აბრაგობაზე,
დაუბრუნდი შენ შენს ოჯახს და იფიქრე მომავალზე.

— რაზედ მოველ, ძმაო დათა აწი უნდა გაგიმხილო,
შენით მიხვიდე ციხეში და ჭკუა გაიმახვილო,
ჩვენ იქ შენ გაგასამართლებთ, მოგისჯიან ხუთ წელიწადს,
სასჯელს იოლად მოიხდი, გადაკოცნი დას და დედას.

საქმის მოფიქრებისათვის დათა ექვსი თვე წინა გაქვს,
თუ არა და ის ვიქნებით, რაც ვიყავით და ახლაც ვართ..
დაგვემშვიდობა სუყველას, დათა კარის ზღურბლს გავიდა,
მუშნი მაგრად გადაკოცნა, ტანთ ჩაიცვა და წავიდა.

## გრაფი სეგედი

გადადგომის პატაკი დავწერე და იგი მინისტრს მივართვი,
მე პასუხსა დაველოდე, ჩემი თავი ვერ გავართვი,
ვფიქრობდი კაცი მენახა, ვისთან საუბარს შევძლებდი,
მე კარიძე მომაგონდა თ..კ..ლისას რომ ვიჯექით.

მერე ვიხმე თანაშემწე: მე გამიგეთ მისამართი,
თან დოსიე მომიტანეთ, თუ იყო ის უკუღმართი...
მე გავიგე, რომ კარიძე დიდ მონასტერს გადიხვეწა,
და შიო მღვიმის ტაძარში, იგი ბერად აღიკვეცა.

გავიგე მეგრელი კაცი კარიძესთან დადიოდა,
ჩუმი საუბარი ჰქონდათ, ხმა კი არსად გადიოდა,
ველარ მივხვდი თუ ვინ იყო, ზარანდია ანდა დათა,
რადგანაც ტყუპისცალივით, ერთმანეთს ძალიან ჰგავდა.

ზარანდია დავიბარე, ჩანაფიქრი მას ვუხსენი,
მე კარიძის ნახვა მინდა, გვარი იმიტომ გახსენი,
კარიძეს რომ შევუთვალოთ, იგი პაემანს გამოვა.
მაშინ დიდებულო გრაფო, თქვენთან ერთად მეც წამოვალ.

ჩვენი პირობის თანახმად მამასახლისთან მივედით,
მამასახლისმა მიგვიღო, პანტის ძირას ჩამოვსხედით,
კარიძემ რომ დაგვინახა, შევატყვე ნირი ეცვალა,
თავი უხერხულად იგრძნო, თანაც ფერი შეეცვალა.

ამ ტყეში ნადირი თუ ცხოვრობს? მე კარიძეს შევეკითხე,
— მათზე ხშირად ნადირობენ, არავინ არის გამკითხე,
ზარანდიამ ტყეს შეხედა, ისე, როგორც ბადრი მთავრეს:
— ალბათ, დათა ხის წვერზე ზის და იქიდან გვითვალთვალებს.

— თუ სერიოზულად ესა თქვით, მაშინ ეს მკრეხელობაა,
თუ იხუმრეთ, ბატონო მუშნი, უადგილო ხუმრობაა,
დათა ძალიან კეთილია, გამჭრიახი, თან ფხიზელი,
იგი თქვენ აღარ გენდობათ, გეუბნებით მასპინძელი.

— გთხოვთ, კარიძე, მიპასუხოთ, პირდაპირ და არდამრიდად,
თქვენ დათასი სულგრძელობა ხომ არ თვალეთ ანაქრონიზმად,
— მიპასუხეთ თუ ნოეს დროს ჰქონდა ბოთლი და საცობი,
ვფიქრობ, ასეთი შემთხვევა, არ იქნება გამოუცნობი.

ნოემ როცა კიდობანში ყველა ცხოველები ჩასხა,
დათა დააპატარავა, ადგა და ის ბოთლში ჩასვა.
ბოთლს საცობი მან დაუცო, აიღო წყალში ჩააგდო,
წყალი სადმე შენ გაგრიყავს, მსურს რომ ლაღად ინავარდო.

ნოეს ნათქვამი ღმერთებმა მოისმინეს და გაიგეს,
თხოვნა ნოეს შეუსრულეს, და ეს ბოთლი წყალს გარიყეს,
დათა თქვენ ვერ მოიხელთეთ, თავი ანებეთ მის დევნას,
განგება მას გადაარჩენს, როგორც კვეთს და შაწვენის დედას.

## რობერტ პავლეს ძე ხაპლინი

ჩვენი შტოდან ვიღაც ერთი ყაფლანიანცი ყოფილა,
მაგათი შთამომავალნი სულ სხვაგვარად გაყოფილან,
ვინაიდან დედით, პაპით სუფთა სისხლის ქართველი ვარ,
მე ეს გვარი შევარჩიე და დავრჩი ყაფლანიშვილად.

ამ გრძელი გვარის გამოთქმა რუსებს ძალიან უჭირდა,
და იქ უცხო გარემოში ჩემი გვარი აღარ ჭრიდა,
კაპლანის ტყვიის სროლამდე ვიყავი როგორც კაპლანი,
მერე გვარი გადვიკეთე ასე გავხდი მე ხაპლანი.

მამას სახელოსნო ჰქონდა თბილისს პუშკინის ქუჩაზე,
ხელოსნები კარგი ჰყავდა და კერავდნენ ყაიდაზე,
სამხედროს სწავლამ მიწია, მამამ სხვა გზა ამირჩია,
დროებით საიდუმლო აგენტად ჟანდარმერიაში მირჩია.

მართლაც, ჩემი სამსახური აქ დროებითი აღმოჩნდა,
რვა თვესაც არ გაუვლია სასწავლებლის გზა გამოჩნდა,
სამხედროსი არა ვიცი, ახლა ჰელმინტოლოგი ვარ,
მე რაცა მსურს, მას ვაკეთებ, ხან ვმუშაობ, ხან დავდივარ.

მალე მომცეს დავალება და წაველ სამტრედიაში,
წასვლის წინ კი მე აქავე წამიკითხეს ინსტრუქტაჟი,
მატარებლით ერთი კაცი თბილისს უნდა მოსულიყო,
მერე მე როგორც გავიგე, თუთაშხია ყოფილიყო.

თვალყური უნდა მედევნა მატარებელში თუ სადგურზე,
ვის ეტყოდა, რას ეტყოდა შინაურზე, გარეულზე,
თბილისში ძმა დახვდებოდა ჩემზე ცოტათი უმცროსი,
და თუ ერთად წავიდოდნენ, უნდა მენახა უფროსი.

სამტრედიას ბიძა მყავდა, ერთი ღამეც იქ მატარეს,
მეორე დღეს წამოველი, კალათაც გამომატანეს,
ჩანთას ხორაგი ჩამიდეს, გზაში ჭამე დამატანეს,
ამიტომაც იქით წასვლა, საგანგებოდ დამავალეს.

მე სადგურში გამოველდი, დათქმულ ადგილას დავდექი,
მხედველობა კარგი მქონდა, თვალებს ყველგან ეაცეცებდი,
ჩემ უფროსმა მე ის კაცი, აქვე თბილისში მანახა,
მე უეჭველად ვიცნობდი, რადგან წყლის წვეთივით გავდა.

როგორც სადგურს შემოვიდა, ვიცანი რომ იყო დათა,
დავუშვათ რომ აღარ მეცნო, აგენტი ხომ გვერდით მყავდა,
მოვიდა საცნობი მითხრა, აწი შენ ჩაიბარეო,
თბილისში უფროსსა ეტყვი, მე რაც შენ დაგაბარეო.

ის რესტორანში შევიდა, სადგურის უფროსს ვეახელი,
ჩემი საბუთი ვანახე, ყველაფერი ავუხსენი,
ერთი ბილეთი რომ მომცეს, თავის თვალით დაინახა,
მოპირდაპირე ადგილი მან დათასთვის შეინახა.

კარგა ხანი რომ გავიდა, დათა სალაროს მოადგა,
შენახული ბილეთი მისცეს, აიღო და ზალას დაჯდა,
ცოტა ხანიც რომ გავიდა, მატარებელი ჩამოდგა,
ჩვენ ადგილი დავიკავეთ, ვისაც რა ნომერი ჰქონდა.

მატარებელი დაიძრა, ხალხმა იწყო ლაპარაკი,
დათას სიტყვაც კი არ უთქვამს, არა ჰქონდა ჩვენი დარდი,
ისეთი ლამაზი იყო, გეგონებოდათ ხოხობი,
არყის სმაში თავი გვამცნო: ჩილაჩავა ვარ, პროკოფი...

ზესტაფონს რომ გამოვცილდით, ჩვენ სუყველამ დავიძინეთ,
თბილისს ისე ჩამოვსულვართ, ვერაფერი ვერ გავიგეთ,
დათას ბიძაშვილი დახვდა, მე ჩემი მცველი აგენტი,
იგი დათას გავაცანი, ბიძა არის ჩემი-მეთქი.

ამ დროს იყო ვიღაც ორი პოლიციელი მოგვადგა,
ბრძანებით წამოსვლა გვითხრა, ბოდიშიც არ მოიხადა,
ჩვენ ორივე გავექეცით, მეორე მხარეს წავედით,
დაცლილი ვაგონი ვნახეთ, ორივენი იქ ავედით.

ჩვენი ვაგონი დაიძრა, გალავნის ბაზარს აღმოვჩნდით,
მატარებელი გაჩერდა, ჩვენც ვაგონიდან ჩამოვხტით,
– ახლა საითკენ ბიძია, გააგნებთ თუ მე გ[illegible]?
– მე ქალაქისკენ მივდივარ და თუ გინდა, [illegible] გამომყევ.

ჩვენ ერთ კედელს მივადექით და იქიდანა გადავხტით,
ბლომად ხალხი შეყრილიყო, მაგათ თავი ვერ გავართვით,
სუყველა გაიძახოდა: მეფე უნდა ჩამოვაგდოთ,
ზედ მთავრობაც მივაყოლოთ და ისინიც გადავაგდოთ!

ჩვენც ხალხის ტალღას მივყევით, გალავნის გამზირს გავედით,
ერთ ადგილას რომ გავჩერდით, გოგო-ბიჭი გვედგა გვერდით,
შავრაზმელები მიადგნენ, დაუწყეს პირდაპირ ცემა,
გოგოს გული წაუვიდა, და ვაჟის მკერდს მიესვენა.

ბიჭმა გოგოს ხელი სტაცა, სადარბაზოს მიაშურა,
კაზაკებიც დაედევნენ, ტყვია აღარ დაიშურა.
– წამოდი, აქ რაღას უცდი, ქალ-ვაჟს უნდა ახლა შველა.
ისინი მაგათ მოკლავენ, თუ ვინმე არ წაეშველა.

10. კ. ტყებუჩავა

სადარბაზოს შევდიოდით, ვიღაცამ იყვირა: დათა!
— ბიძა, ვიღაცა გიძახის, მიხედე არ გინდა ხათა,
— მე ვინ უნდა დამიძახოს, აქ არავინ მე არ მიცნობს...
მან თავის გზა გააგრძელა, დაეძებდა ქალ-ვაჟს უცნობს.

რომ დავცილდით სადარბაზოს, იქ სანაგვე ყუთი იდვა,
და ორივე ხიშტიანი იმ ყუთს გაშმაგებით შლიდა,
შეჩერდითო, დაუძახა, სიტყვის თქმა აღარ აცალა,
და კაზაკებს მან საჩქაროდ თითო ტყვია დაახალა.

ორივე შავრაზმელები დავინახე ძირს ეყარა,
დათა კიბეს ჩადიოდა, მიმავალი ძალზე ჩქარა,
პირველ სართულზე ჩასულმა ჩავიხედე ნაგვის ყუთში,
ქალ-ვაჟი მკვდარი იყო, ორივეს ჰქონდა ხიშტი ყურში.

ამ საშინელ სურათს მოვწყდი და ჩავედი მე ეზოში,
კაზაკები იქ ეყარა, გაფატრული როგორც დოში,
ერთი ფეხთ იყო დაჭრილი და მეორე კი დუნდულში,
— რომელს გინდა მანდ სიცოცხლე, წამოდექით ამავ წუთში!

ფეხში დაჭრილს აზროვნება ჰქონდა უკვე დაკარგული,
ვერც ენით თქვა, ვერცა თვალით, ისე იყო გალახული,
მეორე გადმოტრიალდა, დათას ფეხებს მოეხვია,
ხელები მაგრა ჩასჭიდა და თან ფეხებზე ემთხვია.

დათას ყვირილზე კაზაკი სწრაფად ფეხზე წამობობღდა
მიბრძანეთ და შევასრულებ, დათას ასე უამბობდა,
თუთაშხიამ მერე ფეხით მეორეს ბეჭი აჩვენა:
— ხიშტი ამ ადგილს ჩაარტყი, თუ გინდა შენ გადარჩენა!

მან თვალები აფახულა, დათამ სიტყვა არ აცალა
და სასწრაფოდ მან ფეხებთან წყვილი ტყვია დაახალა,
ბრძანება უმალ შესრულდა, ხიშტი ვადამდე გავიდა,
— ახლა წადი — კაზაკს უთხრ[illegible] ადგილს მოწყდა და წავიდა.

ორი ნაბიჯი გადადგა, მკვლელი უკან მოტრიალდა,
წამით ორივეს მოგვხედა და მაშინვე გატრიალდა,
მაგრამ იმ წუთს კაზაკს ტყვიამ თავის ქალა გადახადა,
გავიფიქრე: ალბათ, ღმერთმა, რაც აკეთა, გადუხადა!

აივნიდან დავინახე კოჭლი, ვინც დათას ეძებდა,
მაღალი გიმნაზიელი ჯიბეს იარაღს იღებდა,
რევოლვერი შეინახა, დათამ ნაგვის ყუთს ჩახედა,
ვიღაცა წაასვენებსო, თქვა და ღერეფანს შეჩერდა.

მათ ერთმანეთის შემოხედვს, სალამი არ მიუცია,
ასეთი განწყობილება, ალბათ, ღმერთს არ მოუცია,
ამღენი სისხლი ილვრება, ცოცხალი უნდა გაგეშვა,
იმას ღმერთი დატანჯავდა, თითქოს დათას გულს მოეშვა.

ღერეფანი გავიარეთ და კიბეებს შევუდექით,
— გადაწყვიტე? — ჰკითხა დათას, კიბეებზე რომ ჩავედით,
— გადავწყვიტე, — უთხრა დათამ, მოაჯირზე რომ გავჩერდით,
მათ ლაპარაკს კარგად მივხვდი და ოთხივენი წავედით.

დათამ რევოლვერ-ვაზნები ხისფეხიან კაცს გადასცა,
გიმნაზიელს ასე უთხრა: გააკეთეთ, რაც ჩვენ დაგვრჩა!
წავიდეთ, რობერტ, ძამიკო, ერთი გზა გვაქვს გასავლელი,
მე ვიცოდი შენ ვინ იყავ, მე ჩემით ვარ იქ მიმსვლელი.

კარისკაცთან რომ მივიდა, ეტყობა, ვიღაცა ჰყავდა,
მალე კაცი ჩამოვიდა, მას რომ წყლის წვეთივით გავდა.
მაგან მკლავი გაუყარა, უკეთესსა რას ნახავდა,
წავიდნენ და მეც წავედი ჩემ უფროსის სანახავად.

ჩემს უფროსთან რომ შევედი, იმან მითხრა: სახლში წადი,
დილით არ დააგვიანო, ათ საათზე გამოცხადდი...
მეორე დილით უფროსმა სხვა უფროსთან წამიყვანა,
მაშინ მივხვდი, რომ ის [illegible]უშნი ზარ[illegible] გახლდა.

ყველაფერი მოვუყევი, ბოლოს ვუთხარ: სწავლა მინდა...
ეს ძალიან მომეწონა: აბა, მითხარ, შენ სად გინდა,
როგორც მაშინ დამარიგა, იგი დღესაც მაგონდება,
კვირის თავზე კი მატარებელი მოსკოვში მიმაქროლებდა.

კარი მეოთხე

# ალექსი სნეგირი

მეტეხიდან მე და დათა ორთაჭალას წაგვიყვანეს,
იქ ხალხი უნდა გვენახა, რომლებიც არ გვიღალატებს,
თომა ჭკვიანი კაცია, ბრძნულად ქცევას ის განაგებს,
და თუ ვინმეს გაუჭირდა, მის მაგივრად თავს ის დადებს.

ბრატსკში ციხეს ბორკილები გადახერხა, გამოიქცა,
კვირის თავზე საყარს მიყვა, და იმათ კი ვერ გაექცა,
ბორკილები კვლავ დაადეს, უკვე ფეხებს ძლივს ადგამდა,
ორი სალდათის თანხლებით ერთ სოფელში დაალამდა.

სოფელში ოთახი მისცეს, მოსვენებას აქ რა სჯობდა,
სალდათიდან ერთს ეძინა, მეორე თომას დარაჯობდა,
სალდათს მაგრა ჩაეძინა, თომა ფანჯარას მიაწვა,
მან ფანჯარა გამოაღო და თვითონ საწოლქვეშ დაწვა.

სალდათმა გამოიღვიძა, მან ღია ფანჯარა ნახა,
თან ლოგინიც ცარიელი პატიმარი ვერ მონახა,
მის საძებრად სოფლის ხალხი ხელად ტყე-ველს შეესია,
თომა საწოლის ქვეშ იწვა, მას ჰქონდა თავის მისია.

თომამ მამასახლისის სახლში სადღაც ქლიბები იპოვა,
ბორკილი და ტანსაცმელი მის მაგიდაზე დატოვა,
მან მისივე ტანსაცმელი სულ თავისუფლად ჩაიცვა,
და იქიდან სულ სხვა გზებით თბილისისკენ გამოიქცა.

სუფთა პასპორტი მიიღო, მაინც ვერ გამართა წელი
და ისევე „სხვა საქმეზე" მიუსაჯეს მას რვა წელი,
ჩვენ გაგვჩხრიკეს, გვასუფთავეს, აღარ გვისვეს თავზე ხელი,
და ბადრაგებს ჩაგვაბარეს როგორც ცხვრისჭამია მგელი.

გზაზე ერთი შეგვემატა, სახელად ერქვა პოქტია,
ისეთი ყმაწვილი ჩანდა, როგორც ობოლი ჭოტია,
რაც მას თომა შეეკითხა, ყველა სიტყვა ბანზე აგდო,
ცუდი თვალით შემოგვხედა, ჩვენ არაფრად არ ჩაგვაგდო.

კამერაში შეგვიყვანეს, ხალხის ტევა აღარ იყო,
— საწოლ ადგილს ვეღარ მოგცემთ, აბა მითხარ მე რა გიყო,
— ეს სტაროსტამ მოგვახსენა, იგი სასწრაფოდ მოგვცილდა,
მაგრამ რამდენიმე წუთში თომასთან ვიღაც მოვიდა.

— მაპატიეთ, მაგრამ მითხარ, შენ თომა კომადოვი ხარ?
თომამ ახალგაზრდას უთხრა: ნამდვილად კომადოვი ვარ...
— გთხოვთ აქეთკენ წამობრძანდეთ, მე შალვა ვარ, თუხარელი,
თქვენზე ძვირფასს, კარგო კაცო, მე აქ არავის არ ველი.

მეორე სართულზე ვიღაცა შარვალზე ღილს აკერებდა,
იმას გვერდით კაცი უჯდა, მას ჭაღარა ამშვენებდა,
მე ის მაშინვე შევიცან, მაგრამ თვალი მოვარიდე,
რაღაც ფიქრმა მიტრიალა და იმ ადგილს განვერიდე.

ღილის დამკერებელ ბიძას ჩვენი პოქტია მიადგა.
— ჩამოდი, „ბიძავ", ახლავე, თორემ ცუდი დღე დაგადგა!
„ბიძამ" აქ მუხლი გაშალა, ჩექმის წვერი ცხვირში ხლართა,
პოქტიას უმალ სისხლი წასკდა და იატაკს გაიშხლართა.

— ხარჩოჯან ეგრე გამეტება, იცოდე, არ შეიძლება,
შემოგაკვდეს, მაშინა თქვი, ხარჩის რაღა ეშველება,
ხარჩო მამათმავალი იყო და ყვავილებით ვაჭრობდა.
ამიტომაც ორთაჭალას იგი ხშირად დადიოდა.

ერთი-ორჯერ გაეიარე, მერე ჩვენებს შევუერთდი,
— მითხარი ის კაცი ვინაა, ახლა რომ ზის ხარჩის გვერდით?
— ის კაცი თუ გაგიგია, დათა არის, თუთაშხია,
ოთხი წელი აქვს მისჯილი, არ ვიცი რა შუაშია.

პოქტიას კი ახლა ხარჩომ ხელმეორედ დაუძახა,
იგი ადგა, მას მიადგა, რა გინდაო,'ეს უძახა,
— ზემოთ ამო, აქ დაჯექი, — შერიგების ტონით უთხრა.
აეიდა, მის გვერდით დაჯდა, გუნებაში შეცხურთხა.

ხარშო უცბად ძირს ჩამოხტა და.პოქტიას ფეხებს ეცა,
ისე მაგრად გაისროლა, ბარაშკასთან ის დაეცა,
ხარჩო ადგილს დაუბრუნდა,,დათამ ბეჭი კედელს მიადო.
ორივე ფეხი ხარჩის ჩასცხო და ბურთივით გადააგდო.

იქ დომინოს თამაშობდნენ, ხარშო მაგათ ზედ დაეცა,
ის მაგიდა უცბად გატყდა, ჩვენი „ბიძა“ ქვეშ მოექცა,
ხარჩოს ხალხი დაესია, ურტყეს მაგას მის ხვედრია.
ალბათ, იმდენი დაარტყეს, ბარაბანს არ მოხვედრია.

სკამზე იჯდა ერთი ქურდი, სახელად ტამბია ერქვა,
იგი ხალხს აშოშმინებდა, თვით არ იცოდა რა ეთქვა,
ხალხი გასწი-გამოსწია, ის რაღაცას დაეძებდა,
მერე როგორც დავინახეთ, ის მაგიდის ფეხს ეძებდა.

დათას საწოლს გაუარა,'ცოტა ხანიც რომ გავიდა,
ფეხი ზევით ამოაგდო და თვითონაც ამოვიდა.
ჩვენ ვიფიქრეთ: სხვას დაარტყამს! — მაგრამ უცებ სხვა რამ მოხდა,
მაღლა აქნეული ფეხი დათას უცებ ბეჭში მოხვდა.





სეკუნდებში მუხის ფეხი დათას უკვე ხელში ჰქონდა,
ტამბიამ გაქცევა სცადა, მაგრამ თავი აღარ ჰქონდა,
დათას მოქნეულმა კეტმა ჩვარივით ტახტზე დააგდო,
ცოტა ხანში ინერციით ის იატაკს გადააგდო.

„– ქურდებს სცემენ, ქურდებს სცემენ!" – აქ ქურდობა აღრიალდა,
ვისა სცემენ, ან ვინ სცემა, სპარაპეტამაც იგრიალა,
დათამ ოთხი, ხუთი ქურდი მწყობრიდან გამოიყვანა,
სხვები შედრკნენ და შეშინდნენ, სპარაპეტაც აიყვანა.

– ეგ კეტი მე გადმომეცი, – უთხრა იმ სპარაპეტამ დათას.
– მოდი, ბიძიკო, წაიღე, მე არ მინდა შენი ხათა,
წაიღეთ თქვენი ტამბია, წადით, ბავშვებო მშვიდობით,
თქვენზე მე არ დავირტყია, თქვენ დამარტყით პირველობით.

დათამ იგრძნო, რომ ქურდები სულით გატეხილი იყვნენ,
თვითონ ეკვეთა ქურდთა ბრბოს, პანტასავით გადაცვივდნენ,
ვიღაც უკან მიეპარა, მას საბანი დაახურა,
ქურდებმა ის წააქციეს, ახლა იძახოდნენ: „ურა!"

ისინი მას ოცნი სცემდნენ, დათა კი მარტო იბრძოდა,
მაგის ძალა, მოხერხება მე არ ვიცი სიდან ჰქონდა.
გამშველებლად მე ვიყავი, დარტყმის ნება მე არ მქონდა,
ამ დროს „სადილი!" იყვირეს, მათ ბალანდა შემოჰქონდათ.

დათა ადგა, მოწესრიგდა და თავ-პირი შეიწმინდა,
უცბად შემომხედა, მიცნო, მე ლაპარაკი მომინდა,
ჩვენ ვისხედით, ესაუბრობდით, თითქოს არც კი მოხვედროდა,
ვატყობდი, რომ ნაცემარი ადგილები მას სტკიოდა.

ამ დროს ხარჩო შეხვეული თავის ადგილზე მივიდა,
დათამ ბარგი გადუყარა: აქ ამოსვლა აღარ გინდა!
მამათმავალმა ადგილი იქ მონახე, სად წესია,
ეს ადგილი არ გეკუთვნის, მე სხვისთვის დამიწესია.

პოქტიასა დაუძახა: მოდი ბიძი აქ დაწექი,
როცა გინდა, მოისვენე, როცა გინდა, წამოდექი,
ნაბადი ისე გაშალე, ჩვენ ორივე დავეტიოთ,
ქურდობაზე თავს ნუ იდებ, შენ კანში უნდა ეტიო.

პოლიტპატიმარ კვიმსაძეს ამანათზე დაუძახეს,
— ჩვენი წილი დაიხსოვე, — ქურდებმა მას ამოსძახეს.
ჯერ ორმოცისა არ იყო, თვრამეტი ციხეში იჯდა,
იგი ცარიზმს ვერ იტანდა და სასტიკი ჯინი ჭირდა.

კლასიონამ ამანათში თორმეტი ლედალი დათვალა,
ყველაფერი ხიით იყო და იმათ ძლივს მიითვალა,
ხორაგი ძლივს მოათრია, აილო, სუფრა გაშალა,
დათას ტკბილად დაუძახა, თავის გული გადუშალა.

ცოტ-ცოტა ყველას არგუნა: — ეგი აქ რა საკითხია,
ქურდებს არ გეგონოთ წილი, უბრალო მოსაკითხია,
თქვენისთანა ტილიანებს სანამ წილი არ ვუგზავნო,
მანამ თავი არ გეტკინოთ, სადაც უნდა გამაგზავნონ.

ჩემმა დამა ზუსტად იცის ასეთ ხაჭაპურის ცხობა,
რამდენი ხანი აქა ვარ, ვერ მნახა, რა გაუწყობა
არ ვიცი, რა მოუვიდა, საფიქრალმა ამიტანა,
ამანათი ორჯერ რომ ვთქვი, ჩემმა რძალმა მომიტანა.

პოლიტპატიმრებს და ქურდებს საერთო რამ არა ჰქონდათ,
ქურდებს არ ჰქონდათ უფლება მათ საქმეში ჩარეოდათ,
„პოლიტიკებს" აქა მხოლოდ გამშველებლის როლი ჰქონდათ,
დათას მიტომ ვერ ვუშველეთ, მიდი-მოდი რომ გაჰქონდათ.

თუხარელმა კლასიონს ჰკითხა: ქერა ზანგი თუ გინახავს?
— მეფის და სატრაპის ხელში, მართალია, არ მინახავს,
აქ უცბად ხარხარი ატყდა, კლასიონს შერცხვა რა ხანია
დათას ჰკითხა: რა გაცინებს, რომ გადარია. გიხარია?

— მაგრად მირტყეს, — სიცილით თქვა, — აბა, არა მომივიდოდა,
ბევრი იყვნენ ის ოხრები, მარტო რა გამივიდოდა,
— შენი ხასიათის პატრონს, უფრო მეტი გეკუთვნოდა,
მე სიმართლეს გეუბნები, — კლასიონა ასე უნობდა.

ბაიყუში რომ შეგარქვეს, ხასიათი გაქვს ისეთი,
მარტო ზიხარ შენთვის, ფიქრობ, არ გაგვიკარე არც ერთი,
კოშადოვი აქ პირველად ბატონ დათას შეესიტყვა,
ექვსივე რომ ერთად ვიყოთ, ვეღარავინ გაგვცემს სიტყვას.

ნამეტანი „ძლიერნი" ვართ, — სიტყვა იდო კლასიონმა.
ძლიერები რომ არა ვართ, გაიგო ყველა ამფსონმა,
აი, ერთად ვინ არიან, — ქურდებისკენ იშვირა ხელი,
— ჩვენ მეფე ვერ ჩამოვაგდეთ, არ დაადგა მას საშველი.

ქურდების და ჩვენს ყოფაში არის, იცოდეთ, სხვა ხათა,
მაგათ მუქთა ცხოვრება სურთ — ამბობს აქ ბატონი დათა,
— სხვისი კარგად ყოფნისათვის ერთობა სულ სხვა რამეა,
ამას ჯერ შესწავლა უნდა, დამიჯერეთ ეს ასეა.

რევოლუციას ვინც აწყობს, ბევრი უცოდინარია,
ის ერთობა ფუყე არის, მიტომ ვერ გაუმარჯვია,
საჭიროა მცოდნე კაცი, ყველაფერი შეისწავლო,
რომ ერთობას კარგად გაყვე და სხვებივით არ იწვალო.

— შენ ამდენი თუ იცოდი, მაშინ სულ მარტო რად ზიხარ,
ჩვენ არ გველაპარაკები, ხან დაჯდები, ხან დადიხარ,
ერთობა რომ გყვარებოდა, ასე აღარ დაგჯეჯგვავდნენ,
— კლასიონას სიტყვა გაუწყდა, დათას თვალები ბეგვავდნენ.

კლასიონას ამ ლაქლაქმა ჩვენ სუყველა გაგვაბრაზა,
დათამ კი თქმული სიტყვები ჩუმად გულში ჩაირაზა,
— მაპატიე, ბატონო დათა, გულს არაფერი ჩაიდოთ,
ოხუნჯობით მომივიდა და ძალიან გთხოვთ, გამიგოთ.

— ეფიცავ ნამუსს, არ მწყენია, — კლასიონას უთხრა დათამ,
— ამ თემას თავი ვანებოთ, ვისაუბროთ ახლა სხვა რამ...
დათამ ყველი, ხორცი, პურსა, ორი კვერცხი დაატანა,
აქ ვიღაცას დაუძახა, პოქტიასთან გაატანა.

საკნის კარი გაიღო და ციხის უფროსი გვეახლა,
ისეთ გუნებაზე იყო, კინაღამ ყველა გაგვლახა,
მერე ზარჩი, პოქტია და ყველა ქურდი გაიძახა,
გარეთ გადითო, უბრძანა, მერე დათას დაუძახა.

გაყვანილი სამ-სამი დღით კარცერისთვის გაამზადა,
დათა უკან შემოვიდა და თავის ადგილს დაბრძანდა,
კიდევ ათი დღე ვიყავით, კარანტინი დაიშალა,
ჩვენ-ჩვენ საკანს მივაშურეთ, ყველაფერი წაიშალა.

## ბრაში სეგედი

ადრე გამცნეთ, რომ ქაღალდი გადადგომისა ავიღე,
ლოდინი დიდხანს მომინდა, მე თანხმობა ვერ მივიღე,
მე სიმართლეს მოგახსენებთ, მუშაობა უკვე მძულდა,
თან ძალიან დავიღალე, დასვენება უფრო მსურდა.

მე დირექტივა მივიღე, ციხეს ამბოხი ხდებოდა,
თან გზა უნდა შემესწავლა, მას როგორ მიუხდებოდა,
მეტად რთული საქმე იყო, თავად მოვკიდე მე ხელი,
და საბუთები ვამზადე, სანამ საქმე იყო ცხელი.

სამუშაო მზადა მქონდა, მოხსენებაც დაწერილი,
მე მაშინღა მომივიდა ჩემი თანხმობის წერილი,
ამბოხება მერე მოხდა, სამი წელი რომ გავიდა,
მე გადამდგარი ვიყავი, მხოლოდ ცნობა მომივიდა.

ამბოხების მიმართ უკვე მე ინტერესს არ ვიჩენდი,
აქ მოთავე დათა იყო, იმიტომ დავინტერესდი,
სამუშაო საკითხებში მე არავის ვერეოდი,
აქ უბრალო როლი მქონდა, მეთვალყურედ ვითვლებოდი.

რუსეთის თვითმპყრობელობა ხალხს ბევრი რამეს შეჰპირდა:
„დემოკრატია! თავისუფლება! მანიფესტის გამოშვება!"
მათ არც ერთი შეასრულეს, ხალხმა კვლავ იგრძნო შველა,
ამიტომაც ციხის ხალხი ახლა აჯანყებას შეება.

მაშინ ორთაჭალის ციხეს ოთხიათასშვიდასი კაცი იჯდა,
ამბოხებას ბევრი მისდევდა, ბევრი მისგან გაიმიჯნა,
ქურდი, კაჭარი, ყასაბი მათ თავიდან განერიდა,
ბევრი ამათ შეუერთდა და ამბოხს თავი არიდა.

ქურდებს ახლდათ კიდევ სხვები, ზედმეტი სახელად „შობლა",
კარგი შესახედავი იყვნენ, კარგი დედისგან ყოფილა.
ქურდებს თავის კანონი აქვთ, ეს იყო დაუწერელი,
ეს კანონი კანონობდა და იყო აუწერელი.

ციხის უფროსი ქურდებთან ძან შორს იყო გალეგილი,
საერთო ენის მონახვა იყო ცოდვათ ჩადენილი,
პოლიტპატიმარი და ქურდი ერთმანეთში არ დაობდნენ,
და ვინც ამას დაარღვევდა, მაშინათვე აგორებდნენ.

ქურდებთან ერთად, რომ გახსოვთ, მე თვითონ „შობლა" ვახსენე,
ეს ისეთი ხალხი იყო, მოგახსენებთ, რომ ვახსენე,
ყველა „შობლა" სულ ფიქრობდა, რომ ის ქურდად დამჯდარიყო,
მილიმეტრიც კი ყოფნილა, ის რომ ქურდად გამხდარიყო

ამბოხელებს, მე აწ ვგრძნობდი, ბევრი მხარს არ დაუჭერდა,
ეს ჩემს წერილში დავსწერე და ბევრიც არ გაუგებდა,
ბევრი გავარკვიე მაგრად, მერე შევსვი ღვინო თასით,
ოთხიათას შვიდასიდან მხოლოდ რჩებოდა ათასი.

ციხის უფროსმა ბატონმა კოცმა სასტიკი ბრძანება დასწერა,
ზედამხედველთ უფლება მისცა, ძნელია მისი აღწერა,
დღე და ღამე სულ უბრალოდ კოცი ხალხს კარცერში სვამდა,
და თუ ისურვებდა კოცი, მაგათ სისხლასაც კი შესვამდა.

## შალვა თუხარელი

ამბოხების კომიტეტში თავიდან შვიდნი შევედით,
დათა აღარ შემოსულა, მაგრამ ჩვენ ერთად ვიწექით,
ამ საქმეში დათა მარტო მოზიარე კი არ გახლდათ,
განმსაჯელად მოდიოდა, მას ისეთი აზრი ახლდა.

შეკედლებული პოქტია დათამ აღარ მოიცილა,
საკანში ამოიყვანა, თავის გვერდით დააწვინა,
მას სამხედრო პროკურორის მტრედები მოუპარია,
ის კარგი ბიჭი აღმოჩნდა, თან კარგი მოუბარია.

ამბოხების დაწყებამდე გეგმა უნდა შეგვედგინა,
გარემოება გვესწავლა, ყველაფერი დაგვედგინა,
გასაღები თუ ხელთ ვიგდეთ, გაგვიღიმებს ბედი ჩვენა,
ეს სიტყვები მსჯელობის დროს ანდრიაშჩუკმა მოგვახსენა:

— კოცის ჩანაფიქრი ვიცი, მოგახსენებ, ჩემო შალვა,
გიმნაზიელებს მოუწევს ალბათ ცუდი გზების გავლა,
სარდაფში კარცერებია, მათ პირდაპირ საკანია,
სადაც მამათმავლები სხედან აწი უკვე რა ხანია.

კარგად გახსოვს, შენ — დოლლია, როდოლფ, დადრაკა და დარჩო,
იქვე გვერდით უზით ამათ აქ ნაჯდომი კაჭარ ხარჩო,
კარცერებში სულ ცალ-ცალკე კოცს ყავს გიმნაზიელები,
და თუ კარგად დაფიქრდები, აწი ყველაფერს მიხვდები.

ღამე დადრაკს გამოუშვებს, კიკალაშვილთან შეუშვებს,
დადრაკას კარგი შანსი აქვს, მას ხელიდან არ გაუშვებს,
მაგას ხომ კოცის წელი აქვს, მიადგება, ძალას იხმარს,
იმ ერთ ციცქნა კიკალაშვილს სურვილისამებრ მოიხმარს.

ეს ამბავი აქ მთელ ციხეს ელვასავით მოედება,
კარგი საბაბი გვექნება, რომ დავიწყოთ ამბოხება.
ამ მომენტით ვისარგებლოთ, კოცს დაუწყოთ ახირება,
ჩვენ გვექნება დიდი ძალა და ეს ციხეც დაინგრევა.

დათა მხარ-თეძოზე იწვა, ლაპარაკზე ის წამოდგა:
— ხომ ხედავთ, ეს კლასიონი რა ორატორი გამოდგა,
გამარჯვების დროშა ასწი, ძაფი იშოვე და ქარგე,
კიკალაშვილი, დადრაკა ოქროს ძაფით ამოქარგე.

კლასიონა ადუღლუნდა, ხმა არავის გაუღია,
დაიამ ქაღალდი აიღო, ბარათი წერა გულღია,
იგი პოქტიას გადასცა, უთხრა ვისვის შეეტანა,
— პირადად გოგიას მიართვი, არ გინდა სხვასთან გატანა.

მერე იქ, ეზოში გეტყვით, ახლა აქა რაცა მოხდა,
ვიღაცამ ბარათი ისროლა, ის სპარაპეტასთან მოხვდა,
სპარაპეტამ წაიკითხა, ადგა და ჯიბეს ჩაიდვა:
— ჩემი ბარათი არ არის, რაღად მინდა სხვისის კითხვა.

ვითი? დათასი აღმოჩნდა, სპარაპეტამ მას მიართვა,
„ბაიყუშმა“ წაიკითხა, მერე თომამ გამოართვა:
— იალქანიძის ხელია, ძმაკაცია, ფერშალია,
ახლა პასუხს ელოდება, მისი ყელი გამშრალია.

— მე ახლავე მოგახსენებთ იმ ბარათში რა ეწერა,
კოცმა უფლება მიიღო, ყველაფერს არ უნდა წერა,
მამათმავლებს გამოიყენებს დააშინოს ბევრი ხალხი,
ეს „ცუგოს“ ცვლაში მოხდება, ხვალ ღამეა ის ჩათლახი.

სეირნობის შემდეგ დათა საავადმყოფოსკენ წავიდა,
ცოტა ხანი რომ გავიდა, დათა საკანს შემოვიდა,
მან გადმომცა: რომ იცოდეთ, დამხმარედ გვყავს კარგი ძალა,
საავადმყოფოს ექიმია, შჩელკუნოვი არის გვარად.

გამოცდილების სიმწირე ჩვენ არცერთსა არა გვქონდა,
მაგრამ დათა თუთაშხია აქ სუყველას ჩვენა გვჯობდა,
იგი განდეგილი იჯდა და თავისთვის რაცხას ბჭობდა,
დადგებოდა ის მომენტი, მაგი თვის სიტყვას იტყოდა.

ჩვენგან დასტური მიიღო, დათა ადგა გაგვეცალა,
მერე თომას დაუძახა, თან ადგილი შეიცვალა,
კარგა ხანს ილაპარაკეს და მეც მიხმეს თავისთანა.
ამ დროს ქურდი სპარაპეტა ახლოს მოვიდა ჩვენთანა.

— ბოდიშს გიხდით, ცოტა ხანი დაიხსომეთ, არ ვაგრძელებ,
ავდგები და მე რომ წავალ, თქვენი ბჭობა გააგრძელეთ,
თქვენი საქმე ყველაფერი მე ძალიან კარგად ვიცი,
მაგრამ, ჩვენ ქურდები ვართ და არაფერი ჩვენ „არ ვიცით“.

დათას ხელი მან წაავლო: — ამას ჰყავს მამიდაშვილი,
იმისთანა ბრძენი კაცი, მე არ მინახავს გავლილი,
მუშაობა კარგად ესმის, მის ადგილზე მაგრადა დგას,
თავი კი არა, კისერზე მას ეჩმიაძინი ადგას.

ახლა ის პეტერბურგშია, მის ხელში ვარ გამოვლილი,
თანაც ამას მეუბნება, ვიცი, რომ ხარ გამოცდილი,
შენ რომ ქურდობ ფულისათვის, ის ხომ ციხეში მიგიყვანს,
ფულის შოვნის სხვა გზა არის, ის ციხეში არ შეგიყვანს.

ბევრი ფული, რომ იცოდე, ლომის უკანა ნალშია,
— ლომი, ლომი, ჰო, ჰო, ვიცი, მაგრამ ლომი რა შუაშია,
ლომი იცი, მაგრამ, მითხარ, იმ ფულს შენ როგორ აიღებ?
— მივეპარები, მონეხვავს, გამოაყოლებს, წავიღებ.

— სპარაპეტა გეუბნები, ასე არ არის ჩვენ დროში,
ლომის ხახას ხელი ჩადე და გადი იმის ბოლოში,
ის ფულები ამოიღე, ხარჯე, ხარჯე როგორც გინდა,
მერე დაჯდები, შენ იტყვი, ხელმრუდობა აღარ მინდა.

იმიტომ კი არ მოველი, მამიდაშვილი შევაქო,
ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი, მე მეტი აღარა მაქვსო,
ეს კაცი ნაღდი კაცია, ლომს წინიდან მხსვლა უნდა,
ახლა მე ავდექ, წავედი, გააგრძელეთ რაც თქვენ გინდათ.

როგორც მერე გამოირკვა, დათას, თურმე, ასე სურდა,
თომამ აქვე დათას უთხრა: ჩანაფიქრი აგისრულდა,
კარგად აწონე, დაწონე, გძალუძს შენ ამის კეთება?
— ვიცი, რომ ძნელი საქმეა, შემიძლია გაკეთება.

— ამოდენას რომ კისრულობ, რისთვის, მაინც, მითხარ დათა?
თომა შენს გვერდით დავდგები, როგორიც არ იყოს ხათა,
— ჩემი ჩანაფიქრი გითხარ, ის ტყვეია უნდა ვასრულო,
რაც შეგპირდი, გავაკეთებ, გინდ სიცოცხლე დავასრულო, —

დათა ამბობს, ჩაგვაბარებს ყველა საკნის გასაღებებს,
ამას როგორ გააკეთებს, მაგი ამას ჩვენ არ გვიმხელს:
— თომა, მეც თქვენთან ვიქნები, არ მინდა გეგმის გაცნობა,
დათა რომ სიტყვის კაცია, არ უნდა ამას გამოცნობა.

— რას აპირებ, ანდა როგორ, ჩვენ რატომ არ უნდა გვითხრა?
— კლასიონამ დათას უთხრა და იმის წინ გაიქინდრა,
— თქვენ ჭკვიანი კაცები ხართ, რჩევა-დარიგება გიყვართ,
მე პირადად პასუხს გეტყვით, ყოველივეს არდამრიდად.

მე რაც უნდა გავაკეთო, მას ერთი კაცი ჭირდება,
მერე თქვენი სჯა-ბაასი მეც ჭკუაში დამიჯდება,
თქვენმა აზრმა შეიძლება მე ცოტა შემაყოყმანოს,
ყოყმანი ცუდი მეკვლეა, იქნებ ხიდს ვერ გამიყვანოს.

— კაცო შენ რაცხა გინდა ქნა, ჩვენცა გვკითხე, — უთხრა ჰამბომ, —
იქნებ ჩვენთვის ზიანია, მაშინ მას შენ თვითონ დაგმობ.
— ჰამბო, მეფე ნიკოლოზმა დაგიშავა რამე, — გახსოვს?
მაგაზე მეტს მე არ ვიზამ, ამას მე პირნათლად ვამბობ.

ციხის წესი აქ ხუყველამ ჩემზე კარგად ხომ თქვენ იცით,
რას ვაპირებ და რა მინდა, ეს მე თქვენზე უკეთ ვიცი,
ჩანაფიქრი თუ გამოდგა, კარგად იცი, რა აკეთო,
გამოიყენებთ თუ არა თქვენ, მე ჩემი უნდა ვაკეთო.

თუთაშხიამ ისაუზმა, ნარდს მიუჯდა, ითამაშა,
ის სპარაპეტას მიადგა, ეშაყირა, ეთამაშა,
საკანში მხატვარი გვყავდა, გვარად იყო ის ლოლაძე,
ახლა მას ელაპარაკა, უკვე იყო ის დაღლაზე.

პოქტიამ მოახერხა ორჯერ საკანიდან გასვლა,
ტყვილად ის არ გადიოდა, მან რაღაცეები გაცვალა,
დათამ პური გაატანა, შიგ ბებუთი მოათავსა.
იქიდან რომ შემოვიდა, დათას რაღაც შეუთავსა.

ლოლაძემ ჩამოიარა, ფანქრის ფერები აგროვა,
ცოტა ხანი რომ გავიდა, ბევრი ფერი მოაგროვა.
მერე დაჯდა თავის ადგილს, საღებავები ამზადა,
შემოტანილი თმებიდან მან პარიკი დაამზადა.

ცუგომ ცვლა რომ ჩაიბარა, კომენდანტიც გვერდით იყო,
კორპუსის გასაღებები კომენდანტის ხელში იყო,
საღამოს რვა იქნებოდა, დათამ, მოდიო, მანიშნა,
ჩემი როლი თუ რა იყო, მხოლოდ მაშინღა აღნიშნა.

საღამოს ტუალეტის დროს მე და დათა დავიმალეთ,
პატიმრები რომ დაბრუნდნენ, ჩვენ იქ კარებს ავეფარეთ,
ურდულის ბრახუნი გვესმა, კლიტემაც გაიჩხაკუნა,
— საკანი დაკეტილია! — აქ დათამ თავი ჩაღუნა.

ხუთი წუთი რომ გავიდა, ურდული კარს მიეხეთქა,
დათამ მითხრა – „ნიშანია!“ გოგიმ მისი გააკეთა,
დარაჯი აყვანილია, გასაღები მის ხელშია,
გოგი გასაღებს მოიტანს, საკეთებელი ბევრია.

გოგიაც მალე გამოჩნდა, გასაღები დათას უძღვნა,
მერე გოგი წამოვიდა, საპირფარეშოს შეგვიძღვა,
ზედამხედველი აქ იდგა, თვალი ჰქონდა ახვეული,
საცვლების ამარა იყო, თან ბაწარშემოხვეული.

დათამ დემბინს მიანიშნა, ტანსაცმელი რომ ჩაეცვა,
დემბინი ჩაცმას შეუდგა, გაიხადა, რაც მას ეცვა,
მახსოვს, ჩექმა ვერ ჩაიცვა, მაგას დათა მიეშველა,
ტანსაცმელი გაუსწორეს, „ზედამხედველსაც“ ეშველა.

მან დათა საკანს შეუშვა, ის შეუდგა თავის საქმეს,
კომენდატსა დარაჯობდა, რას იზამდა ის ამ ღამეს,
კარების ჩხაკუნზე მივხვდით კომენდატი მოდიოდა,
იგი სართულს შემოვიდა, ეს ჩვენ კარგადაც გვესმოდა.

კომენდატი შემოვიდა, თან საკნებში შეიხედა,
ჩვენთან შუქი რომ არ იყო, აქეთკენ გამოიხედა,
ტუალეტში შემოვიდა, გამომრთველს ხელი დაადო,
მაგრამ უკვე გვიან იყო: გოგიმ მას დანა დაადო.

კომენდატის ტანსაცმელი უკვე მქონდა მე ჩაცმული,
გოგიმ მას ხელად აართვა გასაღებები ასხმული,
მხატვარმა შემალამაზა, მითხრა ნახე შენი სახე,
აბა, ნახე, როგორ ზუსტად შენ კომენდატს დაემსგავსე.

საკნის კარები გავაღეთ, მსურველნი გამოვიყვანეთ,
და სხვადასხვა საკნებიდან ბევრი ხალხი წავიყვანეთ,
ახლა მხოლოდ ერთი დაგვრჩა: კოცი და ცუგო გვენახა,
და ჩვენი გეგმის მიხედვით, საკნები გამოგვენახა.

11. კ. ტყებუჩავა

იქ, ხარდაფში კოცი იყო, ცუგო მასთან ერთად იჯდა,
მაგრამ ღამე კოცს და ცუგოს ძალიან ძვირი დაუჯდათ,
უცბად თავზე დავადექით და ცხვირპირი გავუშავეთ,
დათამ კლიტენი აართვა და კოციც, „დავამუშავეთ“.

დათამ კარცერებს უარა, ყველა გარეთ გამოყარა,
კომადოვმა დადრაკასთან ორი კაცი კარცერს ყარა,
კლასიონა დათას ეახლა, კოცზე რაღაც რვა აჩვენა,
დათამ უცბად ველარ მიხვდა, კლასიონმაც დაიმშვენა.

კლასიონამ უკანალზე ხელები მიიტყაპუნა,
დათას სიცილი აუტყდა, და თავში ჩაუტყაპუნა,
ეს კამერა თქვენ ხომ იცით, მამათმავლებისთვის იყო,
მაგრამ ახლა უნებლიედ ის კოცისათვის გაიღო.

– გაუხსენით ხელი, თვალი, – აქ თომამ ბრძანება გასცა,
ალისკარამ კოცი იცნო და მას უცებ ტანში გასცრა,
ხარჩომ ციხის უფროსზე თქვა: ვა, ჩემმა მზემ, რა კაცია! –
მერე საწოლს დაუბრუნდა, არც აცხელა, არც აცია.

ეს კარები ჩაიკეტა და ჩაბალამ თომას უთხრა:
– აქ პატრონია საჭირო, თუ გინდა სიმართლე გითხრა,
შენ გასაღებები მომეცი, და ამ საქმეს მე მოვუვლი,
თუკი ვინმემ დააშავა, მას ტანკივით გადავუვლი.

კოცის აქ, ამ კამერაში ყოფნა ხომ არ შეიძლება,
ის ცუგოს კამერას ჩავსვათ, ასეთია ჩემი ნება,
რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, ჩვენი საქმე ჩვენვე ვწიეთ,
ჩაბალას სიტყვა დავუბარეთ, გასასვლელისკენ გავწიეთ.

# გრაფი სეგედი

პატიმრებმა ციხე მოსრეს, აგური ერთად დაყარეს,
კარ-ფანჯრები ჩაამტვრიეს, იატაკებიც აყარეს,
ყოველი შემთხვევისათვის, იმათ ორმო ამოთხარეს,
ტუალეტის მყრალი სითხე ალაყაფის კართან ასხეს.

სამ დღე-ღამის ულუფა მაგათ ჩირაძემ გადასცა,
ამ პროდუქტების მიღება შალვა თუხარელს არ ასცდა,
შალვა დღესაც ცოცხალია და ის სკოლაში გამგეა,
ამ ჩანაწერების ნაწილში ის დიდი მოამაგეა.

ჯარისკაცებმა ფანჯარა გადაწმინდეს, გადარეცხეს,
მერე ფანჯარასთან მისვლა გუბარიძესთანა სთხოვეს,
— გამარჯობათ, პატიმრებო! — პოლკოვნიკმა დაიძახა,
— მისალმებაზე პასუხი მას არავინ არ ასძახა.

პოლკოვნიკმა რამდენჯერმე ტკბილად პატიმრებს მიმართა,
პასუხი აღარ მიიღო, მაშინ მან ხმა აღიმაღლა:
— მიპასუხეთ, თქვენ რა გიჭირთ, რა გაწუხებთ, რა გაკლიათ,
ანდა რატომ თქვენ მოაწყვეთ ეს სამარცხვინო აქცია?

პატიმრებმა საბოლოოდ პოლკოვნიკს ასე მიმართეს:
— რომ იძახით, რა გვაკლია, გვითხარი, მათ რა მოგვართვეს?
ხორცი, ზეთი და მარილი, ყველაფერი თვითონ მიაქვთ,
აბანო ჩვენთვის არ არის, საკნებიც დაკეტილი გვაქვს.

პოლკოვნიკი ყველა თხოვნას უბის წიგნაკში იწერდა,
და ყველაფრის შესრულებას ის თავის თავზე იღებდა:
— გეუბნებით, ყველას დავსჯი, რომლებიც ასე გექცევათ,
ახლა ყველა დაშოშმინდით, არ დააპიროთ გაქცევა.

ცოტა ხანი მან იყურა, ერთ პატიმარს დაუძახა,
პატიმარმა ბიჯი გადგა, რა გნებავთო, მიაძახა,
— ინტელიგენტის იერი გაქვთ, რა გვარი ხართ თქვენ, გეთაყვა,
— კვიმსაძე ვარ, კლასიონი, ტელეგრაფისტი გახლავართ.

პოლკოვნიკმა კლასიონს უთხრა: თხოვნა მაქვს და შემისრულე,
კოცი და ზედამხედველი, ორთავე გაათავისუფლე.
— ამდენი თხოვნა რად გინდა, ასეთ სიტყვას რატომ უშვებ,
სასწრაფოდ კოცი დანებდეს, მაშინათვე გამოვუშვებ.

აქ დადრაკა და რუდოლფი ავ სცენაზე გამოვიდნენ:
— პოლკოვნიკო, არ დაგვჯაბნონ, საცემრად არ წამოვიდნენ,
პატიმრები გააჩერე, მთელ სიმართლეს მოგახსენებ,
ვინც ეს საქმე გააკეთა, იმის სახელსაც გახსენებ.

კოცი რაღაც საქმისათვის პატიმარს კარცერში სვამდა,
ღამე ვიღაც მამათმავალს მაგას გვერდით მიუსვამდა,
პატიმარი იმავ ღამეს დედოფალი გახდებოდა,
მეორე დღეს ციხის უფროსს ჩანაფიქრი უსდებოდა.

პოლკოვნიკი ახლა მიხვდა დანებება რას ნიშნავდა,
მამათმავლების სახელებს ის ბლოკნოტში ინიშნავდა,
კლასიონა ბარბაროსო, ვატყობ, საქმე გაგიშავდა,
აწი შენ თავს დააბრალე თუკი რამე დაგიშავდა.

აქ პოლკოვნიკის ბრძანებით ციხის კარი გაალეს,
ფარებით და ხელკეტებით ბარიკადი გადალახეს,
ტუმბოები ამუშავდა, მათ ბინძური წყალი ასხეს,
სალდათებმა ვერ გაუძლეს, ხელკეტები გადაყარეს.

კვლავ იყვირა პოლკოვნიკმა: სალდათებო, წინ იარეთ!
აქ კლასიონას ჭავლებმა კვლავ ბინძური წყალი ასხეს,
პოლკოვნიკი ძირს დაწვა და თვისი ფარი დაიფარა,
კლასიონმაც, რაც შეეძლო, ის „სუნამო" წყალი ღვარა.

გუბასარიძე მიხვდა, რომ საქმე ძაან ცუდად იყო,
ადგა და მან იმ ფარიდან ცოტათი თავი გამოჰყო,
მაგრამ უცბად აქ ვიღაცამ თავზე კასრი დაახურა,
უცბად კასრი მოიხადა და სირბილი გააჩქარა.

სამ-ოთხ დღეში ფანჯარაზე ვიღაც უფროსი გადმოდგა,
როგორც ჩვენ მერე გავიგეთ, ის პროკურორი გამოდგა,
მან აქ პატიმრებს მოგვმართა: სალაპარაკო მაქვს თქვენთან,
და ვინც თქვენი უფროსია, ვინმე მოვიდეს ახლოს ჩემთან...

ამბოხებულებს მაშინათვე ორი კაცი გამოეყო,
ერთი მწერალი დებინი და გოგი წულაძე იყო,
იმათ პროკურორს მიმართეს, რომ საქმე კარგად წასულიყო,
ჩვენი სამწუხროდ ექიმი მას ადგილს დაბრუნებულიყო.

პროკურორმა იმათ უთხრა: არ გამიგია მე სწრაფად,
და რამდენ ხანს უნდა ჰყავდეთ ორი კაცი პატიმრებად.
ზედამხედველს, ციხის უფროსს, თქვენ რამდენი მიუსაჯეთ,
იცით რა დააშავეს, ასე მწარედ რომ დასაჯეთ?

მათ ცუდი საქმე აკეთეს, პატიმრები შეგვილახეს,
და ჰომოსექსუალიზმში თავიანთი ცხვირი ჩაჰყვეს,
მათ მთავრობის უკანონო მითითება აღასრულეს,
ამიტომაც მათ სასჯელი კამერაში დაასრულეს.

ბადრაგები შეიცვალა, მათ სალდათები გვაახლეს,
კამერები არ ჩაკეტეს, ბარაშები შეგვიცვალეს,
მათ აკრძალული ზონები ას მეტრამდე გაგვიზარდეს,
და ბალანდის შემოტანა უნებლიედ არ დაგვიზარდეს.

## შალვა თუხარელი

მშვენიერ დღეს მე და დათა კიბეზე ჩავდიოდით,
ვიღაც კაცმა ჩაგვიარა, ჩვენ რომ ქვის მივდიოდით,
ძალიან ფრთხილად მიდიოდა, თითქოს მიიპარებოდა,
დათას ეს დაუნახია, როგორ გამოეპარებოდა.

შენ, თუ გახსოვს, მე განახე, თოკაძეა მისი გვარი,
ანონიმკების დაწერით შეაჯერა მთა და ბარი,
მეფის სასარგებლოდ წერდა, არ იტეხა იხტიბარი,
მე არ ვიცი, რისთვისა ზის ერ[illegible]ქულის მ[illegible]არი.

ათი წუთი არ გასულა, სადარბაზოს მივადექით,
ბლომად ხალხი შეყრილიყო, ჩვენ უკანა მიუდექით,
თოკაძე იდგა, ლაყბობდა, ჩვენ ცალი ყურით ვუსმენდით,
მისი ტყუილების როშვას მე და დათა ვერ ვითმენდით.

– თოკაძე, რატომ ტრაბახობ, ვითომ სართულზე იდექი,
დაგავიწყდა სადღაც კუნჭულს საპირფარეშოს იწექი?..
თოკაძემ ყურები ცქვიტა, თვალი გარდიგარდმოავლო,
შილაკაძე დაინახა და თვალები მას ჩაავლო.

გაუპატიურებაზე ზის, ძერე, ხალხო, იცით ვისი?
ჯერ ცოლიხდა არ დაინდო, მიაყოლა დედამისი...
თოკაძემ სიტყვა ისროლა; ალბათ, იყო ბედი მისი!"
საავადმყოფოს გზას გაუდგა, ვითომ სახლი იყო მისი.

შილაკაძეს, მართალს ვიტყვი, არ ჰქონდა ეს ჩადენილი,
მას ჩადენილი კი არა, არცა ჰქონდა გაგონილი,
შავი ფიცით დავიფიცავ, ყველა იყო მოგონილი,
მას ორივე შევსცქეროდით, ვითომ იყო განდეგილი.

აქ კლასიონა კეიძსაძემ იმ შალიკაძეს მიმართა:
– დამნაშავე, ვიცი, არ ხარ, ნუტავი, რა დაგემართა,
მე და შენ ციმბირში წავალთ, და იქ სული ამოგვძვრება.
თოკაძესთანა მლიქვნელი, იცოდე, ყველგან გაძვრება.

იმ საღამოს დათას ვკითხე: შენ ცოლშვილი თუ გყოლია,
ან ვინმე შეყვარებული, გვერდით თუ გამოგყოლია?
– მახსოვს იყო ერთი ქალი, თითქოს, მე იგი მიყვარდა,
აწ დიდი ხანი გავიდა, გულიდან ამომივარდა.

იმ დღეებში თუთაშხიამ ელეს სიკვდილი გაიგო,
ოთხი დღე ისე გავიდა, იმან სიტყვა არ გაიღო,
არცა სვამდა, არცა ჭამდა, სრულად მოწყენილი იყო,
ბოლთას სცემდა, დადიოდა, მისი გული შუა გაიყო.

ციხის უფროსად ახალი, კოპალკოვი დაგვინიშნეს,
მისი კეთილი კაცობა ჩვენ მაშინათვე გვანიშნეს,
ჩვენთან ხშირად დადიოდა, ანონიმკა ვერ აშინებს,
და თუ ვინმე ამას დაწერს, მაშინათვე შეაშინებს.

ფრთხილ საგზალაძემ დალაქს სამართებელი მოპარა,
ჩაქუჩ-ლურსმანი იშოვა და კარცერში შეიპარა,
თავისი ხათესლე პარკი ტახტის ფიცარს მიაჭედა,
მის ასოს დაჭრას შეუდგა, მაგრამ ცუდად გაეჭედა.

უფროსი კარცერს შევარდა, სამართებელი წაართვა,
უცბად გაზი მოიტანა, ფიცარს ლურსმანი აართვა,
საგზალაძის მოქმედება პარლამენტმა დაგმო ცუდად,
კოპლიაკოვი გაამართლა და სცნო იგი ვაჟკაცურად.

მეორედ კი კოპლიაკოვმა ასეთი რამ გააკეთა,
ქათმის ქურდი ჩობოძოხი, ჩვენ წინაშე გამოკვეთა,
თქვენ გაიგეთ, ამ „შობლას“ ჯარისკაცებმა ესროლეს,
მერე ისეც არ აკმარეს, ციხის გარეთ გადისროლეს.

კარგად იცით, ის ნაქურდალს.მერე ქურდებს მიართმევდა,
ანდა თვითონ მოხარშავდა და მერე მაგათ აჭმევდა.
სანამ ქათამს ის დაკლავდა, მანამ გააუპატიურებდა,
ამის შემდეგ მიდიოდა და ქურდებს დაურიგებდა.

ეს ამბავი ძან გაგრძელდა, მე კი მოკლედ მოგიყვებით,
ცხოვრებამ თვისი აკეთა და სხვადასხვა გზებს გავყევით,
იომა ოდესაში მოკლეს, ხელგათიანი თბილისში,
ანდრიევსკი ომში მოკლეს და თანაც — ისიც ველისში.

დათა ციხიდან გაიქცა, ჭონის არაფერი ვიცი,
კლაისონა შიგვე მოკვდა, ვაჟიშვილი დარჩა, ვიცი,
პოქტია შუა აზიას იყო კომბინატის დირექტორად,
ოცდაჩვიტმეტში პოქტიას დარჩა ყველაფერი ოხრად.

აქ ის ალექსი სნეგურსაც იგივე ბედი ეწვია,
მე ბელგიის საელოში სამსახური მომიწია,
იქ თოკაძესა ვხედავდი, ტაქსის მძღოლად მუშაობდა,
ერთმანეთს რომ შევხვდებოდით, ციხის ამბავს მიყვებოდა.

## ვანო ნათოფრიშვილი

დილით ორი პატიმარი სალდათებმა მოიყვანეს,
სალდათები კაზარმაში, ალბათ, ძილის ნებას დაყვნენ,
ჩემი თვალით დავინახე, ერთი, მეორესა სდევდა,
წინ სპარაპეტა გარბოდა, უკან მეგრელი მისდევდა.

თოფი მაგათთვის მესროლა, ვიცი, აღარ ივარგებდა,
იცით, მაგათი სიკვდილი მე არაფერში მარგებდა,
ავდექი და ორი ტყვია მე ჰაერში გავისროლე,
ჩემი თავი კარგად მომაქვს, რომ პატიმრებს არ ვესროლე.

ჩემი თოფის გასროლაზე სალდათები გამოცვივდნენ,
სანამ ესენი გარბოდნენ, პატიმრები შუამტკვარს იყვნენ,
თოფის სროლა აუტეხეს, ახლა იმათაც ჩაყვინთეს,
სალდათები გასცქეროდნენ, იქნებ, სადმე ამოყვინთეს.

ცოტა ხანი რომ გავიდა, სპარაპეტამ თავი ამოყო,
და სალდათებს დაუძახა: მეტი სუნთქვა აღარ მყო,
არ მესროლოთ, მე ვბრუნდები... ნაპირისკენ წამოვიდა,
მეგრელზე კი გავიფიქრე: ტყვია მოხვდა, ძირს ჩავიდა...

დათა მაშინ დავინახე, როცა ნაპირს მოყვებოდა,
იდგა დოინჯშემოყრილი და მაღლა მზეს უყურებდა,
მან უბეში ხელი ჩაჰყო, მერე ქუდი ამოიღო.
დაიხურა და წავიდა, სალდათებმა ხმა ვერ იღო.

ვირს რომ ზურგი აქავდება, მეწისქვილეს მიადგება,
ამ ყოფაში, გეუბნებით, მე არავინ არ მადგება,
არამკითხე მოამბეო, მიბერტყე და მიაგდეო,
ჩემზედ ზედ გამოჭრილია, რაც მე ახლა გიამბეო.

# გრაფი სეგედი

აწ გადამდგარი გენერალი მარტო ვიჯექი ვილაში,
სტუმრის მოსვლა იმ წუთებში არ მქონდა მხედველობაში,
ეტლი კარებთან გაჩერდა, ალბათ, ჰქონდა გარანტია,
მე მსახურმა მომახსენა იმ ეტლში ზის ზარანდია.

მე ძალიან გამიხარდა, ჩემს ვილაში მისი მოსვლა,
ჭადრაკულად მოგახსენებთ, არა ჰქონდა მუშნის სხვა სვლა,
ჩემთან მოსვლა მას ერჩია, ვიდრე საკურორტოდ წასვლა,
საერთო ენით ორთავეს გვირჩევნოდა აზრთა გაცვლა.

მუსაიფი ჩვენ ორ შორის გვიან ღამემდე გაგრძელდა,
იმ საღამოს ჩემთან დარჩა, დაწოლის წინ გამიბედა:
   ვინ დაიჭერს თუთაშხიას, ჩემთვის მაგი სულერთია,
მისთვის ცუდი მე არ მინდა, ამის მოწამე ღმერთია!..

შევატყვე, რომ მუშნი დიდას რაღაც სხვა ხაფანგს უგებდა,
ამას ისე აკეთებდა, ვერავინ ვერ გაუგებდა,
მეხსიერებამ უეცრად მომაწოდა ერთი ცნობა,
მხოლოდ ის ვერ მოვიგონე, ეს დეტალი ვინ მაცნობა.

ბერნენი პერტიამ თავის შვილს მასწავლებელი მიუჩინა,
მასწავლებელმა გუდუნას ბევრი ფიქრი გაუჩინა,
გუდუს ბიჭებმა უძახეს „თუთაშხიას ნაბიჭვარი“,
გუდუმ მასწავლებელს ჰკითხა, მითხარი, მე ვინა ვარო.

ბიქტორ სამუშია იყო გუდუნას მასწავლებელი,
გაფუჭებული ვაჟკაცი, თანაც კაცის გამყიდველი,
ზარანდიას დავალებით კნიაზევმა გადიბირა,
შვილს მამა უნდა მოეკლა, ბევრი ფული დაუპირა.

ბიქტორმა უთხრა გუდუნას: შენგან დასმენას არ ველი,
თუთაშხია აბრაგია და ასევე კაცის მკვლელი,
მაგას დედაშენი უყვარს, დაძუნძულებს, როგორც მგელი,
დედაშენს კი ეჯავრება, როგორც შხამიანი გველი.

მუშაობის პერიოდში ძან მქონდა ერთი წყურვილი,
მუშნის გეგმა ჩამეშალა, ეს იყო ჩემი სურვილი,
ჩემი გაზრდილი ლეკვი ხარ და მე უნდა მოგიარო,
იცოდე სრულებით არა მსურს შენ შენი გზებით იარო.

ლაპარაკი მე მინდოდა სხვა თემაზე შემეცვალა,
და ურთიერთსაუბარში ჩვენ აზრები გაგვეცვალა,
მუშნის ვკითხე: შენ თუ უფრო მაღალ ჩინზე გიფიქრია,
თუ ამაზე დაჯერდები, მეტი გადაგიფიქრია.

— იმპერიის პირობებში ჩემთვის ეს უმაღლესია,
ჩემი წარმოშობისათვის უფრო მეტი ზედმეტია,
ერთგულება, მე უკვე მრწამს, დაბრკოლებას გადალახავს,
და თუ ორგული გამოხვალ, ყველა ადგება, გაგლახავს.

მეორე დღეს ზარანდია ფრიად ტკბილად გავისტუმრე,
კარიძეს კი შევუთვალე: „ადექ, სასწრაფოდ მესტუმრე“,
მსახურს გზაში შეხვედრია, მოდიოდა ჩემთან, თურმე,
ის სიცილით შემოვიდა, მეც სანდროსა გავეხუმრე.

სანდროს ვუთხარ: ჩემთან იყო გუშინ მუშნი ზარანდია,
დღეს მე იგი გავაცილე, აწ უკვე კარგი ხანია,
დათა უნდა ნახო, სანდრო, იცოდე,. შენი ვალია,
გვიანობა არ იქნება, საქმე ცუდად მავალია.

გადავწყვიტე, რომ კარიძე სამეგრელოს წასულიყო,
დათა გაგვეფრთხილებია, თორემ საქმე უკან იყო,
მე თბილისში ჩავიდოდი და თბილისს გადავხედავდი,
მერე ჩუმად მივდიოდი, მუშნის გეგმას ჩავხედავდი.

# ვანო გოდერძიშვილი

ძობას ხასიათი ჰქონდა, ჩანაფიქრს გააკეთებდა,
ის იტყოდა: ჩემი სახლი დამირბიეს ყაჩაღებმა,
ხატვის ნიჭი კარგი მქონდა, სასწავლებლად წავიდოდი,
მე სწავლას დავამთავრებდი, მხატვარი გამოვიდოდი...

ის თავის თვალით ხედავდა ჩემს სახლში თუ რა ხდებოდა,
ორი სიტყვა ეთქვა დათას, არაფერი მოხდებოდა,
მამას აღარ მომიკლავდნენ, რაც ტყეში არ მოკვდებოდა,
თანაც, ჩემი ჩანაფიქრი ნამდვილად ამიხდებოდა.

რომ შემახვედრა, უნდა მოვკლა, არ გავუშვებ მე ცოცხალი,
მაგრამ სად გინდა ეძიო, ვიცი რომ ტყის კაცი არი,
დღე და ღამე მას იძახდა, ნეტავ, სადმე შემახვედრა,
შეიძლება მან დამასწროს, სიკვდილი არ მენაღვლება.

ბაქოს ეკატარინკები ვჭერით და ამიტომ დაგვიჭირეს,
ძობა სულ გაიძახოდა: მითხარით რად დამიჭირეთ,
სალებავები ვიშოვნე და მარტო ის შევაზავე...
მას ეს აღარ დაუჯერეს და ციმბირში გაგვაგზავნეს.

კაცისა და ბატკნის მოკვლა მას ერთნაირად მიაჩნდა,
მე ვატყობდი, რომ გულმოსულს არაფრის გრძნობა გააჩნდა,
ჩვენთან ერთად ასტრახანში განჯელი კაცი მოჰყავდათ,
გზაში რაღაც მაწყენინა, ისიც პატიმარი გახლდათ.

ნავსადგურში ხომალდიდან მათ ბაგირი გადააგდეს,
უფროსმა ბრძანება გასცა: ნაპირს უნდა გადალაგდეთ!
ძობამ ბაგირზე გასვლისას განჯელი წყალში გადუშვა,
დახრჩობა ხახვივით შერჩა, მან მომენტი არ გაუშვა.

კატორღაში კლდეს ვანგრევდით, ერთი ზეინკალი გვყავდა,
ისიც კატორღელი იყო, ძობა მუშად მას დაჰყავდა,
სალესი ჩარხი გაუფუჭდა, რაღაც იყო შესაცვლელი,
ძობას უთხრა: დამელოდე, მოვიტანო მის შემცვლელი...

ძობამ სალესს უჩხიკინა, არაფერი გაუვიდა,
ზეინკალი რომ მოვიდა, მაგას გული მოუვიდა:
   ჩარხი რა შენი საქმეა, მაგას გული მოუვიდა:
ძობამ არ დააყოვნა, აიღო და თავში თხლიშა.

ზეინკალი ფეხზე მოკვდა და ის მერეღა წაიქცა,
ამ დროს განგაში ატეხეს, ძობა სამალავს გაიქცა,
აქ ყველაფერი აფეთქდა, ზეინკალი ლოდებს მოყვა,
ესეც მას ხახვივით შერჩა, მის შემდეგაც ბევრი მოხდა.

მე და ძობა ერთ საღამოს ერთ-ერთ დუქანში ვისხედით,
პურსა ვჭამდით, ღვინოს ვსვამდით, და ცოტა დროს ვატარებდით,
კარებში კაცი გამოჩნდა, ტანსაცმელიც ტანზე აჯდა,
მერე ჩვენსკენ წამოვიდა, ცარიელ სუფრასთან დაჯდა.

ძობამ შემოსულს შეხედა, თვალები არ მოაცილა,
ერთხელაც მან შემოგვხედა, მაგრამ თვალი აგვაცილა,
მერე მსახურს დაუძახა, მოდი აქ და მომხედეო,
ძობას ვუთხარ: რას უყურებ? შენც სხვაგან გაიხედეო.

ძობა მიკიტანს ეახლა, მე არ ვიცი რა უნდოდა,
წამოვიდა, ისევ დაჯდა, აი, ახლა რას უნობდა,
მიკიტანს მე შევეკითხე, ვინ კაცია, იქ რომ ხედავ,
მიკიტანმა მიპასუხა: მას მე პირველადა ვხედავ.

გაწამაწიას ვიყავით, როს ახვრები შემოვიდნენ,
დასაჯდომი ვერა ნახეს, ერთ კუთხეში იქვე იდგნენ,
მათ ტაშიკოლა ეახლა, სათხოვნი ხელი უწოდა,
აქ მათხოვარ ტაშიკოლას, იმან რაღაც ჩააწოდა.

ტაშიკოლას გაუხარდა, მას ეგონა ფული მისცეს,
ხელი მაგრა მოუჭირა, ხელზე არავინ არ მეცეს,
მაგრამ ხელი რომ გაშალა, იგი ადგილზევე ახტა,
მის ხელში ბაყაყი იყო, იგი ხელიდან გადახტა.

ერთმა კაპიკი აწუქა და მეორემ სიგარეტი,
სიგარეტი კარგი იყო, იწვოდა ვით აბელი,
იგი ახვრებს გაეცალა, დათასთან დგას ვით ავაზა,
დათომ სკამი მიაწოდა, პურ-მარილიც შესთავაზა.

მაშინ ახვრების უფროსმა შალიკო მსახური იხმო,
სამმანეთიანი მისცა, ყურში უთხრა რაღაც უხმოდ,
ტაშიკოლას პაპიროსი დათამ ცხვირთან მიიტანა,
მან ნახევარი ჩააქრო, თავის ჯიბეს ჩაიტენა.

შალვა მსახური მივიდა და ძობას კაცს ასე უთხრა:
ახლა სტუმრები გვეახლნენ, მაგათ ადგილები უნდათ,
სამმანეთიანს გაძლევენ ჩემგან ნუკი გეწყინებათ,
და ამ ადგილს თუ დაუთმობთ, აღარც იმათ ეწყინებათ.

წადი, ცოტა ხანში მოდი, მეგობარს შევეკითხები,
თუ დამთანხმდა, კარგი არის, თუ არა და შენც მიხვდები...
ტაშიკოლა ჭამას მორჩა, დათამ თუთუნი მიართვა,
მათხოვარმა ის აიღო, თან საჩქაროდ გამოართვა.

ცქერით ვიყავი გართული, კარპოვიჩი შემოვიდა,
ყალბ პასპორტების მცხობელი და კიდევ შენ რაცა გინდა,
იმან ხელი გაიშვირა და თავისთან ვიღაც იხმო,
ქვრივი ქალი მარო გახლდათ, ჩემი საყვარელი იყო.

მაროს რაღაც ჩასჩურჩულა, ადგა, დუქნიდან გავიდა,
მე აქ ძობას შევყურებდი, სიბრაზე არ გადუვიდა,
ცოტა ხანი რომ გავიდა, მარო დათასთან მივიდა,
მას ყურში რაღაცა უთხრ[illegible] უცაბედა[illegible] [illegible]ადა.

დათამ მსახურს დაუძახა, ისიც სასწრაფოდ მოვიდა,
ის სამ მანეთი მომე, ჩქარა, რაღა მოგივიდა,
დათამ აიღო ეს ფული და ტაშიკოლას აჩუქა,
ნახარჯი გადაიხადა და ცოტა ხანი გაჩუმდა.

დათა ჯერ არ ამდგარიყო, ახვრები რომ თავს დაადგნენ,
ფული რატომ არ აიღე, ჩვენ არაფრად არ ჩაგვაგდე...
ის ფული ხომ ჩემი იყო, როგორც მსურდა მოვიხმარე,
მერე თან დინჯად წამოდგა და წავიდა კარის მხარეს.

ერთ ახვარმა შეიგინა, დათას უკან გაეკიდა,
უცბად მეორე წამოდგა, მესამემ ხელი ჩაკიდა,
– მიდიხარ, შენ საით მიდიხარ? – იმან საკბილო იშოვა,
– აყალმაყალი არ გინდა, დაჰქოთაქებს, უკან მოვა.

ძობამ თვალი ჩამიქნია, წამოვდექით, ჩვენც მივყევით,
ახვარმა დათას შეხძახა: თქვენ გეძახით, შემიჩერდით!
მიბრძანეთ, თუ რამე გნებავთ, ან რა საქმე გაქვთ სარჩევი...
ახვარმა სილა გააწნა: ამის მეტი არაფერი!

– მეტი ხომ არაფერია, თქვა და წავიდა, გაშორდა,
მე და ძობა აქ ვიდექით, ვუყურებდით შორი-შორა.
ორი წუთიც არ გასულა, ის ხელახლა აეკიდა,
გულში ვიფიქრე: ახვარი ახლა შარს გადაეკიდა.

უკვე ზედ იყო მისული, ძობას კაცი მოტრიალდა,
თანაც წამში რევოლვერი ახვარს მუცელზე მიადვა,
რა გინდა, ჩემო ბიძიკო, ჯერ იყიდი ყველას ფულად,
მე მინდა რომ შენ გაიგო, მიმართა მან კულტურულად, –

ჯერ იქ დუქანში გამლანძღე და აქაც სილა გამარტყი,
გაპატიე, მოგითმინე, მაგიერი არ დაგარტყი,
ვიფიქრე, გამოფხიზლდება, მიხვდება, ნამუსი დასჯის,
მეჩქარება, დრო არა მაქვს [illegible] ახლავე [illegible] განსჯის.

კაცმა თუკი გაპატია, არ იფიქრო ის სუსტია,
ხომ ხედავ, მოკუნტული ხარ, როგორც დამხრჩვალი კნუტია,
მინდა, გლანძღავ, მინდა გლახავ, მომინდება, მოგკლავ კიდეც,
თუ მომინდა, შენისთანებს სულ ფეხებზე დავიკიდებ.

საწყალ კაცზე რომ გეცინა, სიგარეტი ხომ მიეცი,
ნახევარი შეგინახე, ახლა უკან გამომეცი,
ამას შენ მოგაწევინებ, იფეთქებს თოფის წამალი,
ჩვენ ყველანი გავიცინებთ, მერე მე ვარ წასავალი.

თუკი ცუდი მოვისურვე, შენ გაგაძვრენ ძველის ხვრელში,
იმიტომ, ჩემო ბიძიკო, ძალა არის ამ ჩემს ხელში,
წადი, მიპატიებია, რაც გითხარ, არ დაივიწყო,
თუკი კიდევ გაწყენინა, პატიება არ ივიწყო.

ძოჩამ კბილი აკრაჭუნა, მომიბრუნდა, ასე მითხრა:
 - ახლა კარპოვიჩთან წავა, დაიხსომე, რაცა გითხრა,
შორიახლო უთვალთვალე, დააცადე სახლს შევიდეს,
დამელოდე, მალე მოვალ, ნახავ, მას რაც მოუვიდეს.

ძობას კაცი მიდიოდა, უკან ნელა მე მივდევდი,
ისეთი სიჩუმე იყო, ბუზის ფრენას გაიგებდი,
ძალზე ფრთხილად მიდიოდა, შორით მე ვუთვალთვალებდი,
უცბად სადღაც დამეკარგა, ვერ შევასწარი თვალები.

კაცი რომ ვერ დავინახე, უნებურად წინ წავედი,
სული კბილებით მეჭირა, სანამ იმ სახლს მივაღწევდი,
მაგრამ ნახეთ საოცრება, იგი უკან მომყვებოდა,
უკვე ვგრძნობდი უნებურად, სახლში რომ შემომყვებოდა.

უკან არ მომიხედია, კარპოვიჩის სახლს მივადექი,
ფანჯრიდან შუქი მოჩანდა, კარის კაკუნს დავადექი,
ოთახში სინათლე ჩაქრა, თან კარპოვიჩიც გაქვავდა,
რადგანაც ჩემი კაკუნი მაგის პაროლს არა გავდა.

– კარპოვიჩ, კარი გამიღე, რამეს გეტყვი, მალე წავალ...
ვერ გაგიღებ, „ახობა“ მყავს, მერე იგი სადღა წავა?
– შენ კარი თუ არ გამიღე, გატეხვას ვერ გადურჩები,
მაგ „ახობათი“ დავიწყებ და კარპოვიჩით მოვრჩები.

მე ყანჯარას წიხლი ვკარი, ლაწალუწით ჩამოვიღე,
მეტი არ გინდა, ვასოჯან, კარი მე უკვე გაგიღე,
მე მატყუებდი მეგონა, ახლახანს დუქანს იჯექი,
ვიფიქრე, ვიღაც მატყუებს, მიტომ ჯინზე დაგიდექი.

– კარპოვიჩ, ახლა მითხარი, კაცის გვარი და სახელი,
მაროს შენ რომ დააბარე და დუქნიდან წამოხველი,.
ის ტიპი აქ აღარ მოვა, თავი არ გამალახვინო,
თორემ ისეთ დღეს დაგაყრი, სულ თავბედს აწყევლინო.

კარპოვიჩმა კაცის გვარი და სახელი მე არ მითხრა,
ვინ კაცია, მე არ ვიცი, აბა, შენ როგორა გითხრა,
ის ერთ წუთში გავატიტველე, დედიშობილა გავხადე,
ხელისკეტი მაგას ვურტყი, თითქმის სული ამოვხადე.

კარპოვიჩს რომ ჯოხს ვურტყამდი, დათა თავზე წამომადგა,
თქვენ გენახათ ჩემი ყოფა, იმ წუთს მე რა დღე დამადგა,
გავშრი, თან სუნთქვა შემეკრა, კარპოვიჩი სწრაფად ადგა,
სიხარულისგან კარპოვიჩს თვალზე ცრემლები მოადგა.

– ვინა ხარ და რად გჭირდება ჩემი სახელი და გვარი?
ხომ ხედავ, რომ აღარ მიცნობს, არ დავუჯერო უარი,
ჯოხის ცემით კაცი მოკალ, ჩაუნგრიე გულის ფარი,
ვინაობა რომ ცოდნოდა, რა ჰქონდა მას დასაფარი.

კატორღაში თუ ყოფილხარ და გცოდნია სამართალი,
არაფერი დამიმალო, ყველაფერი თქვი მართალი,
საწყალ კაცს რომ მიადექი, დაუმტვრიე რბილი, ძვალი,
ასეთი გზით შენ ვე[illegible]ლი, აგე[illegible] გზა და კვალი,

— ყალბი ფულების მოჭრაზე კატორღაში გამამწესეს,
ფეხთ ბორკილები დამადეს, ალბათ, ასე დააწესეს,
ამ საღამოს სათვალთვალოდ მე თქვენთანა მომამწესეს,
არ მსურს სისხლი დაიღვაროს, ნუ გამიშვებთ თანამწესეს.

ძობა ძიგუა დაგეძებთ, ლუქანში რომ გვერდით მახლდა,
ის იარაღზე გაიქცა, იარაღი თან არ ახლდა,
მე სიმართლეს მოგახსენებთ, ჩემი სიტყვა დასტურ გახლდა,
მსურს ორთავე ცოცხალი დარჩეთ, თქვენ იმდენი რამ გადაგხდათ.

დათამ თავის საქმისათვის კარპოვიჩს ფული აწოდა,
კარპოვიჩმა ფულს დახედა და უკანვე გაუწოდა,
— ოცი თუმანი აკლია, — თანაც ალმურით იწვოდა, —
ჩემ ჯიბიდან ვეღარ დავდებ, მუშოთ გოკო ჩქიმი ცოდა[1].

დათამ უთხრა: ახლა წავალ და უკანვე მოვბრუნდები,
„ვინმემ გზაში თუ არ მომკლა", მე ცოცხალი დავბრუნდები,
ძობას უთხარ, რომ მოვიდეს, არ გადადგას არსად ფეხი,
ალბათ, აქვე გადაწყდება თქვენ ორიდან ერთის ბედი.

დათა სულ მალე დაბრუნდა, კარპოვიჩს ფული აწოდა,
კარპოვიჩმაც აიღო და მას პასპორტი გაუწოდა,
მე პასპორტში ჩავიხედე, ის დათამ გამომიწოდა,
ნახელავი კარგი იყო, მტერიც ცეცხლში დაიწოდა.

გაჭრაჭუნება მოისმა, ვიცოდი ვინ უნდა მენახა,
დათამ პასპორტი აიღო და ჯიბეში შეინახა,
გავიფიქრე: გარეთ გავალ და თუ ძობა დავინახე,
ყველაფერს ზუსტად გადავცემ, რაც ჩემ თვალით დავინახე.

ძობას ყველაფერი ვუთხარ, არაფერი მომიკლია,
იგი გულდასმით მისმენდა, სიტყვა აღარ დაუკლია:
— იმდენი ხნის ჩანაფიქრი არ ვასრულო, გულს მაკლია,
და და მამა აღარა მყავს, ყაჩაღები ცოცხალია.

1. მუშოთ გოკო ჩქიმი ცოდა — რაც გინდა ჩემი ცოდვა.

ამ ლაპარაკში ვიყავით, დათა გარეთ გამოვიდა,
ძობას იმის დანახვაზე გულიც აღარ მოუკვიდა,
ორი ტყვია ჰაერშივე მან ზედიზედ გაისროლა,
ის უცბად შემოტრიალდა და განაგრძო ფეხით რბოლა.

სამი, ოთხი თვე გავიდა, ერთ ადგილას ჭერს ვხატავდით,
ძობა მღეროდა, ვუსმენდი, თანაც ხარაჩოს ვმართავდით,
მე ავდექი, ძობას ვკითხე: რატომ დათა არ მოკალი?
  კარგი კაცი არ უნდა კლა, გინდა ახლა მე მომკალი.

## ბრაში სეგედი

გუჯეჯიანებთან დათამ სამი დღე-ღამე ატარა,
მეოთხე დღეს თავის ლურჯა ბალყარეთს გადაატარა,
ძმადნაფიცი ბალალ-ზანქში თუთაშხიას უნდა ენახა,
მის საძებრად მან მეგზურად ბიძაშვილი გამონახა.

აბრაგებმა ერთმანეთი რომ ნახეს, ძან გაიხარეს,
სათქმელი ილაპარაკეს, ბევრი რამეც გამონახეს,
ბალალმა აქ თვის ბიძაშვილს რაღაც საქმე დააბარა,
ბიძაშვილმა გუტუს ლურჯა სამ დღეში დათას მოჰპარა.

ლურჯას მშვენება სახელი დათას ჰქონდა გაგონილი,
მაგრამ ის ასე ფიქრობდა, ჭორით იყო მოგონილი,
როცა ლურჯამ თვალი მოჭრა, უმალ ზურგზე გადაეშვა,
და სანამდის არ დაღალა, ამ მშვენებას არ მოეშვა.

მაგ საოცრების შემყურე ბალალს ცრემლი თვალზე ადგას:
  ამ ლურჯაზე, თუ არა შენ, სხვამ ფეხი არ უნდა შედგას,
ვისთანაც ცხენი შენ მიგყავს, იცოდე, შენი მტერია,
ალაჰს ვფიცავ, მართალს ვამბობ, არც მეტი, არც ნაკლებია.

ის კაცი მტერი არ არის, მხოლოდ ბოროტებას სჩადის,
ყველა გზა ჩემი ისწავლა, როგორც უნდა ისე დადის,
ბევრი კაცი მოისყიდა, ბევრსაც მათი სული ადის,
ვერ იტყვის უნდობლობას და ვხედავ, რომ ზღვარს გადადის.

ცხენის ამბავი იმ კაცმა სამი წლის წინათ იცოდა,
ისეთ ადგილას ვახსენე, ვინც მაგას კარგად იცნობდა,
ისიც იცის, ვის ცხენია და ცხენი ვინ მოიპარა,
საქართველოში რა გზებით შეიძლება მის ჩაყვანა.

ახლა ხედავ, რომ ერთი გზა მაგას თვითონ მე ვანახე,
დაკეტული ჩაფანგები მე სუყველა გადავლახე,
მიხვდება, რომ ვეღარ მჯობნის ან სიკვდილს ვის უნახავს,
ხალხი თვითონ დაარწმუნებს, რაც უნახავს, ვეღარ ნახავს.

ახლა, ბალალ, მომისმინე, დათა ერთ სიტყვას გიტოვებს,
ცხენის ამბავი მან იცის, ნაპარავს არ დაიტოვებს,
მაისს გზები გაიხსნება, მზე სხივს მოფენს მთა და ქედს,
გუტუ პოლიციის ხელით ჩაიბარებს თავის ლურჯას.

ბალალამ ბიძაშვილებთან დილით დათა გააცილა,
ორი დღე გზაში იარეს, უღელტეხილს მიაცილა,
– დიდ საფიქრალს მიჩენ, დათა, ნამდვილ ძმობას გეფიცები,
ყველგან მეგობრად მიგულე, და არც ჭირში გაგექცევი.

დათამ გუჯეჯიანებთან ოქტომბრის ბოლომდე დაჰყო,
ოჯახიდან მაგის წასვლამ მასპინძლის გული გაჰყო,
მაგრამ აბრაგს საქმე ჰქონდა და ხარლანისკენ დაეშვა,
იქ კაცი უნდა ენახა, ლურჯა თავის გზას გაეშვა.

ხარლანში იალქანიძეს იჯარით დუქანი ჰქონდა,
მას მუშტარი ბევრი ჰყავდა, თავი იოლად გაჰქონდა,
რვა თუ ცხრა სახელმწიფოში ხშირად საპყრობილეს იჯდა,
„უწესო“ ხალხს ვერ იტანდა, [illegible] რა სულ დინჯად.

ბიკენტი იალქანიძემ დათა ციხეში გაიცნო,
ხასიათები დაემთხვა, მიტომ კაცურ კაცად იცნო,
იქნებ, გავიდე აქედან, დაგიტოვებ მე ჩემს ცნობებს,
კოსტა ჯიმუხაძესთან მიხვალ და სამყოფელს ის გაცნობებს.

ბიკენტის გზაჯვარედინზე ხარლანში დუქანი ედგა,
გამვლელსა თუ „ადგილობრივს“ ის კარგ კერძებს მიართმევდა,
დათა ადგილს რომ ჩავიდა, საღამომაც მოაღწია,
ცხენები ხევში დააბა და დუქნისაკენ გასწია.

ვიღაც გადამთვრალი კაცი ბიკენტის დედას „უქებდა“,
„თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი“ და თან ხელებსაც იქნევდა,
მალაქია, წადი სახლში, მოთმინებას ნუ გამიყვან,
თორემ თქვენ სამივეს ნეკნებს მე მწყობრიდან გამოვიყვან.

ბიკენტი, რაღაცას გეტყვი და შენც კარგად გაიგონე,
ასთიონას გულისათვის დუქნიდან რად დაითხოვე,
ენა მის ამხანაგებმა მას ციხეში ამოგლიჯეს,
გაუჭებული კაცია, შენ საქმეს ცუდად დაგიჯენს.

გთხოვთ, ბატონო მალაქია, წამით ჩემი რომ ისმინო,
რისთვის ამოგლიჯეს ენა, მინდა თქვენგან მოვისმინო,
კროპოტკინში ვაჭრის ოჯახი ყაჩაღებმა ამოწყვიტეს,
და რაც სიმდიდრე ებადათ, ყველაფერი თან წაიღეს.

ლაქიად იმ ვაჭრის სახლში ასთიონი მუშაობდა,
ყაჩაღებს შეატყობინა, ვაჭარს ბევრი ფული ქონდა,
მერე ყაჩაღები გასთქვა, ასთიონი ციხეს გლიჯეს,
როგორც კაცის გამყიდველი, იქვე ენა ამოგლიჯეს.

მაშინ მე მაზრის უფროსთან მეჯინიბედ ვმუშაობდი,
სამუშაო ბევრი მქონდა, სახლში ვეღარ დავდიოდი,
ასთიონი დუქანს ვნახე, მას მე გვერდი აუქციე,
მერე ისე მაგრად ვთხლიშე, ყბა უკუღმა მ[illegible]ქციე.

აბრაგს ჩუმად გაეცინა, ჩოხის კალთები ასწია,
მას მადლობა გადუხადა და ცხენებისკენ გასწია,
სანამ ხურჯინს ალაგებდა, აქ ცოტა ხანი გავიდა,
ორთავე ცხენს ხელი ჰკიდა და დუქნისკენ წამოვიდა.

ბიკენტიმ რომ დათა ნახა, სიხარულით ცას ეწია:
   დახედეთ ბედნიერებას ა, ეს რა ძმაკაცი მეწვია! –
სიტყვის თქმა არ დააცალა, კისერზე შემოიხვია,
ისე უცქერდენ ერთმანეთს, როგორც ტყეში ვარდსა სვია.

მერე დასხდნენ ძმაკაცები და წარსული მოიგონეს,
თავისი ყოფა, ცხოვრება მათ ერთმანეთს გააგონეს,
მაშინ აბრაგმა ბიკენტის არც აცია, არც აცხელა:
   მსახური გყავს ასთიონა, მითხარი, ის რა კაცია.

   ტომარაში, კარგად იცი, ნემსი არ დაიმალება,
ხალხი უნდა საამაროს, ვინც კანონებს ემალება,
მხოლოდ ბოროტი არ არის, ყველა ყაჩაღს ის არ ასმენს,
თორემ აგერ ყვალთავაა, მაგას საჩქაროდ დაასმენს.

ყვალთავა მან ბოროტია, ბევრი ცუდის ჩამდენია,
ჩამოხრჩობილი, მოკლული, იცი, მისგან რამდენია?
პოლიციამ თუ იხელთა, ძმაკაცს მაგათ შეატყუებს,
უმალვე გაიპარება, არემარესაც დასტოვებს.

ჯაშუშად ასთიონის ჩათვლა, ეგი ტყუილის მოქმედია,
სინამდვილეს გეტყვი, დათა, უყრო ის კაცის მკვლელია,
საჩქაროდ სოფელს ვაგზავნე, დამე იქ რომ არ დაედო,
მისი ბარგი მე გავჩხრიკე, შიგნით საწამლავი ედო.

იალქანივით ფიქრებს იყო, მუნჯის ირგვლივ ტრიალებდა,
იცნო თუ არა მან დათა, აზრი თავს უტრიალებდა,
დათა ბიკენტის მიუხვდა, ეს არა სადარდელია,
მგონი, მაგან ვეღარ მიცნო, ხალხი აურა[illegible]ლია.

მე დაპირებული ლურჯა, ბიკენტ, ქვევით დამიბია,
და ჩემი მტერი ვინც არის, ისიც კარგად გამიგია.
ის ჩემი მამიდაშვილია, მოწმედ ღმერთი დამიდევია,
ქსელი მე სალაპარაკო კეთილ ხალხში გამიბია;

ჯერ გითხარი, მე ვიცოდი, შენი სისხლი და ხორცია,
ასეთი ნათესავები, გინდ ყველა დამიხოცია,
თქვენ ერთ ლოგინში წოლილხართ, ერთი ძუძუ გიწოვიათ,
ახლა ისე მიანინიხარ, ვითომ გვერდს გველი წოლია.

გარეთ ქარი გამლიერდა, ადგნენ, ოთახში შევიდნენ,
ცალ-ცალკე მათი ნაფიქრი, სულ ერთ აზრამდე დავიდნენ;
მაგ კაცი ის ყვალთაკაა, მედუქნეების რომ არჩევდნენ,
მერე დიდი და პატარა, მათ მოსაკლავად დასდევდნენ.

თავისი დღე და მოსწრება ასე ძარცვავს, ასე გლეჯავს,
ამხანაგს ცოტას გადუგდებს, ისიც ვერაფერს უბედავს,
ნეტავი ვინმე მეტყოდეს, ვის უნახავს ამ ქონებას,
მაგასაც მალე მოკლავენ, დააბრალოს მის გონებას.

ამ დროს წინა ოთახიდან ორი კაცი გამოვიდა,
ძვირფასი ჩოხები ეცვათ, ქამარ-ხანჯალიც ეკიდათ,
დათამ ორივე შეიცნო;    დაბერებულა, მგონია,
ის მოხუცი ყვალთავაა, მეორე დათა ჩოჩია.

ბიკენტიმ დათას მიმართა: ჩავალ და დუქანს მივხედავ,
მზარეულს რაღაცას ვეტყვი, თანაც, ზალას გადავხედავ...
ჩავიდა მზარეულს უთხრა: შორიდან ხომ კარგად ხედავ,
მე რომ ვეტყვი ასთიონას, შენც იქითკენ გაიხედავ.

ბიკენტიმ თაბახი აიღო, ზაქრო მზარეულსა ჰკითხა:
ეს კერძები მოითხოვეს, შენ ხომ კარგად წაიკითხავ?
მგონი, მანდ ერთი დათაა, შენ ხომ მაგას კარგად ხედავ,
კერძს ასთიონა მიუტანს და მეც ხშირად გადავხედავ.

— კოხტალ, კარგად გაპარსული, ის დათაა, თუთაშხია.
მეორე ყვალთავა ბონდოა, სამა-ჭამის დიდი ეშხია.
ასთიონ, პატარა კასრიდან, ღვინო ჩაასხი სურებში,
პურ-მარილი გამზადდება, სტუმრებს მიართვი წამებში.

ღვინით სურების გავსება ასთიონას გაუხარდა,
მან საწამლავიც ჩაასხა, ამის მეტიც არ იდარდა.
ბიკენტი აქ საქმეს მორჩა, უცბად დათასთან ავარდა,
ვგონებ, აქ ჩხუბი ატყდება, ერთი ტყვია თუ გავარდა.

ბიკენტი სუფრას მიუჯდა, თვალი დარბაზს გაატარა.
ზაქრომ ასთიონას უთხრა, რაც ბიკენტიმ დააბარა:
პურ-მარილი სტუმრებს მიართვი, სად დადიხარ წარამარა?
სირაქლემა მომაგონდა, ისე სწრაფად გაიარა.

ჩონჩიამ ფიალა აავსო, სულმოუთქმელად გადაკრა,
ყვალთავამ კი ნახევარი, დანარჩენი იქვე დადგა,
მოულოდნელად ჩონჩიას სახის ფერი შეეცვალა,
სიტყვის ამოღება სცადა, მაგრამ იქვე გარდაიცვალა.

ყვალთავამ თასი შეავსო, მაუზერიც მოიმარჯვა.
ასთიონას დაუძახა, იარაღიც მას უმარჯვა,
მსახურს თასი მიაწოდა, დალიე, სიტყვაც აახლა,
მუნჯი უარზე რომ დადგა, ორი ტყვია დაახალა.

ბიკენტის დათამ შეხედა, მაუზერი ამოიღო.
ამ დროს ყვალთავამ ქვევიდან მოისხანე ხმა გამოიღო;
ილუქანიძე ტილიანო, რატომ არ გსურს ხმა გაიღო,
თუ არა გსურს ამ მუნჯივით შენც ჯოჯოხეთში წაგიღო.

დათამ ბიკენტის უხსენა: რა ხდება აქ, მე მითხარი?
ასთიონას თავის ბარგში, წამალი ვუპოვე, გითხარი,
ახლა მივხვდი, ის წამალი შენთვის იყო გამიზნული,
ალბათ, ღმერთმა გადმოგვხედა, მუნჯი არის თვით მოკლული.



ჩოჩიაზე მე ვანიშნე – ასთიონა ის დათაა,
იგი გაიქცა და თან ღვინო საწამლავით შეამზადა,
ღირსი ვინც იყო სიკვდილის ადგილზევე გააშავა,
მაგრამ, ხომ ხედავ, სიკვდილმა ეს ბოროტიც მიაშავა.

ყვალთავამ კარებს გარედან ორი ტყვია დააყოლა,
ხუთიანი, – თქვა აბრაგმა, ბიკენტს თვალი გააყოლა,
ბიკენტის ნელა უხმოდ მის ოთახი გაიარა,
კარები ჩაირაზა და დუქანს შემოუარა,

დათამ კარს ურდული შეხსნა, თანაც კარები გააღო,
ყვალთავამ აბრაგი რომ ნახა, შიშისგან პირი დააღო,
იალქანიძეს აქ ყვალთავა მიზანს ჰყავდა აყვანილი,
მაგრამ ბოლოს ეტყობოდა, სიკვდილს ჰყავდა წაყვანილი.

– დათა, მართალი კაცი ხარ, ეს ამბავი თუ იცოდი?
დათამ მტკიცედ უპასუხა: არაფერი არ ვიცოდი,
ყვალთავას ლურჯი ტუჩები, ალბათ, ბედმა დაუჭიმა,
ბოლო პირაღმა დაეცა, იქვე ფეხები გაჭიმა.

იალქანიძემ მზარეულს, ზაქარიას დაუძახა:
– ამ მკვდრებს ასე ვერ დავტოვებთ, მიწას უნდა მაგათ ჩაფლვა,
სანამ ბოქაულს მოვიყვან, სამი დღე ხომ მაინც გავა,
თქვენ ამ საქმეს აქ მიხედეთ, მე კი უფროსებთან წავალ.

დილით ადრე თუთაშხია იალქანიძემ გააცილა,
სამშვიდობოს გაიყვანა, გზას ხიფათი ააცილა.
გზაჯვარედინზე მივიდნენ, ორთავეს ცხენი შეჩერდა,
და ის ორივე ძმაკაცი ერთმანეთსა მიაჩერდა.

ბიკენტის ცრემლი მოადგა, თანაც, სუნთქვა შეუჩერდა,
მან ცრემლები მოიწმინდა და უნებლიედ გაჩერდა,
ვგრძნობდი მეტს ველარ ვნახავდი, მას ცუდი ბედი ეწერა,
დაკითხვის ოქმში ბიკენტის სიტყვა-სიტყვით დაეწერა.



სხვადასხვა გზით გაიყარნენ, თუთაშხია ენგურს ჩაჰყვა,
გზაში ის ცხენებს იცვლიდა, ასე უფრო ჩქარა ჩავალ,
სამურზაყანოს წავიდა, ზუგდიდი მარცხნივა სტოვა,
ძმაკაცები მოიკითხა, უნახავი არ დატოვა.

უკვე შუა ღამე იყო, დათა ნიკოს სახლს მიადგა,
ძახილზე ნიკო წამოდგა, ზღურბლზე ფეხი გადმოადგა,
ნიკო, სახლში კატა რომ ჰყავს, კისერს ბაწარი შეაბი,
პარკში ჩასვი, მომიყვანე, ლობიოს სარიც გამოაბი.

ჯაგალიის კარის ჭრიალი დათას არ გამოპარვია,
ადგილი კარგი არჩია, სანამ ვინმე მოპარვია,
ჯაგალია თითზე იდგა, აბრაგისკენ მიიწევდა,
ეგონა არვინ ხედავდა, ხანაც ფეხზე აიწევდა.

ახლოს მიუშვა აბრაგმა: რატომ არ ყეფ, თუ ძაღლი ხარ,
და თუ ადამიანი ხარ, თითს ფეხზე რატომ დადიხარ?
ჩვიდმეტი წელი დგებუაძეს მეჯინიბედ ვემსახურე,
თქვენი ნათქვამი სიტყვები ნამდვილად დავიმსახურე.

ცხენის მოვლა შეგეძლება, ახლოს მოდი, ჯაგალია,
სათქმელი მაქვს შენთან რაღაც, მე დათა ვარ, თუთაშხია...
ჯაგალია ხელად მიხვდა, ოინი არ გამოადგა,
ფერწასული, ნირწამხდარი ადგა და აბრაგს მიადგა.

მოისმე ბატონო, მისმინე, ჩემი სიტყვა, აი, რა არის,
ერთი ცხენი მოგიყვანე, მსგავსი არსად აღარ არის,
შენახვა უნდა ერთი თვე საქმის მცოდნე კარგი კაცის,
მე ოცდახუთ მანეთს გაძლევ, მე მგონია, თავს გადაგდის.

დღისით გარეთ ნუ გაიყვან, წყალი ასვი და აჭამე,
ცხენს თუ რამე მოუვიდა, იცოდე, ჭირი მომჭამე,
კაცი მოვა ჩემ სახელით როდის და ვის მიუყვანო,
მაშინათვე ძალზე ფრთხილად, ადგილზე უნდა ჩაიყვანო.

ჯაგალია, არ გეგონოს შენი ხრიკები არ ვიცი,
სამ მანეთს გიხდის მთავრობა, ეს სუყველამ კარგად იცის,
ახლა მიპატიებია, შეეშვი მაგ გლახა საქმეს,
ნამუსს ფულზე ნუ გაყიდი, თორემ მოხვდები სამარეს.

ნიკომ კატა მოიყვანა, ის წარა-მარა კნაოდა,
ჯაგალიამ რა იცოდა, აბრაგს კატა რად უნდოდა,
ნიკოს ცხენი რომ მიჰყავდა, ჯაგალის ფერი ეცვალა:
ნუთუ დათამ მისი ცხენი ამ კატაში გადაცვალა?

აბრაგი ღამის წყვდიადში წისქვილის ბექობს მიადგა,
ეს წისქვილი შარუხიამ თავის დროზე იქვე დადგა,
ზარანდიამ ეს ადგილი, სულ მთლიანად შეისყიდა,
იცოდა, რომ შარუხია დევნილ კაცებს არ გაყიდდა.

ზარანდიამ მეწისქვილედ აქ ბონია მოისყიდა,
იარაღი ჩააბარა და ბევრი ფულიც შეპირდა,
როცა მოკლავ თუთაშხიას, ადექი, ჩემს ხალხს აცნობე,
საქმე ცუდად თუ წავიდა, ის სასწრაფოდ მე მაცნობე.

დათა ბექობზე შეჩერდა, ქოფაკმა ყეფა ასტეხა,
მეწისქვილე ტახტზე თვლემდა   ძილი მე ვინ გამიტეხა?
დათამ ახლოს მაგ ქოფაკთან მჩხავანა კატა დააბა,
და სულ რაღაცა წამებში მეწისქვილეს თავს დაადგა.

ამხდურმა სტუმრისათვის სასწრაფოდ ჭრაქი გამართა,
თუთაშხია ხელად იცნო, მაგრამ მისი დაემართა,
იარაღი ტახტქვეშ ჰქონდა, გამოღებას ვერ ასწრებდა,
რომ აეღო, რად უნდოდა, დათას ვეღარ დაასწრებდა.

მან ნაბადი მოიხადა, კედლის კაპოს ჩამოკიდა,
– ჩაიწიე, უნდა დავჯდე... – ბონიას ცეცხლი მოეკიდა,
აბრაგმა მის სახთუმლიდან იარაღი გამოიღო,
რევოლვერი ფეხზე იყო, თავის მუხლებზე დაიდო.



ბონია პირქვე დაემხო, ტირილით დათას მიმართა:
– მაპატიე, ბატონო დათა, ხედავ, ჩემი დამემართა,
ჩემზე ხელებს ნუ გაისვრი, აღარ გინდა მოგონება,
ჩემზე ერთგული ვაჟკაცი შენ არავინ გეყოლება.

– ერთგულება შეგიძლია, ამას ვხედავ მე, ბონია,
მოსაკლავად არ მოსულხარ, ყველა მკვლელი ნუ გგონია,
ჩემ მოკვლაში ფულს მოგცემენ, ალბათ, მე ასე მგონია.
ფულზე სინდისის გაყიდვა, ვფიცავ, არ გამიგონია,

– ეს წისქვილი მან მიყიდა, ფული ბლომად მიუცია,
სროლაც მაგათ შემასწავლეს, მე ლმერთი დამიფიცია.
სახლში გაჭირვება რომ მაქვს, ეს შენ კარგადაც იცია,
დათა, ფულებს დავეხარბე, ეგ არის ჩემი ფიცია.

ოთხი გოგო სახლში მიზის, ყველა გასათხოვარია,
თუ მზითევი არ მივეცი, ვის უნდა მათხოვარია?
ცოლიც ანგელოზი მყავდა, ახლა ნახე რავარია,
ძუკნა ძაღლსა დაემსგავსა, დაიწვას მაგის გვარია.

– ვხედავ, ფულმა დაგიმონა, გამდიდრებას ელოდები.
იარაღი ხელთ აიღე, შენ განაჩენს ველოდები,
თუ ფიქრობ, რომ დამასწრებსო, ნამდვილად დაგელოდები,
ტახტზე ზურგით წამოვწვები, მესროლე, გადავგორდები.

– შენ რომ მოგკლა მაშინათვე, მე წისქვილსა მივატოვებ,
მეგობრები გარეთ გიცდის, მე აქ ცოცხალს ვინ დამტოვებს,
ფული მე ცოცხალს მჭირდება, მკვდარი რაღას დავიტოვებ,
ის ფულები სხვას დარჩება, მე ცუდ სახელს დავიტოვებ.

აბრაგი გარეთ გავიდა, მან კატა შემოიყვანა,
ბონიამ კი დასაფქველი ნახევრამდი დაიყვანა,
რევოლვერი ადგილს დადო, თანაც შიშმა აიყვანა,
გუნებაში გაიფიქრა: რად უნდა კატის მოყვანა?

მეწისქვილე გვიან მიხვდა, აბრაგმა რაც გაუკეთა,
კატა იყო იქ დაბმული, ქოფაკიც მაგას უყეფდა.
– თავში რა აზრი მოგსვლია, ამ კატით რომ გამაფუჭე,
შენ მოსაკლავი არა ხარ, მას ჯობია მე გავფუჭდე.

– მხდალი კაცი ხარ, ბოჩია, გამიგონე შენ გეხება.
კატა იმიტომ დავაბი, შენ ქოფაკს დიდხანს ეყეფა,
შენისთანა გამყიდველები ძაღლის ყეფას გაიგებენ,
ადგებიან სუყველანი და წისქვილისკენ წამოვლენ.

ა, ეს ფული გამომართვი, სახარჯოდ გამოგადგება,
თან ის ხალხიც დაიხსომე, ამეღამ ვინც მოგადგება,
შორი გზა მაქვს გასავლელი, დაყოვნება არ მადგება,
თუ ახლავე არ წავედი, მალე მზე თავს დამადგება.

დათამ ნაბადი აიღო და წისქვილის კარს მიადგა,
მეწისქვილეს ცრემლების ღვრას საშველი აღარ დაადგა,
– დათა ბატონო, საქმე მაქვს, ერთი წუთით შენ მისმინე,
მე სიმართლე უნდა გითხრა, რაც ჩემ ყურით მოვისმინე.

ქუთაისში რომ ვიყავი, იცი მე ვინ შემაცდინა?
სხვა გვარად თავი გამაცნო, ეგონა გადამაცდინა,
პეტერბურგს დიდი კაცია, ვიცოდი, რისი რანგია,
შენი მამიდაშვილია, მუშნი გახლავს, ზარანდია.

– მუშნი მე ვარაფერს მერჩის, მას უფროსები დევნიან,
ბრძანება თუ არ აასრულა, მას თვითონვე განდევნიან,
მე სიფრთხილე არ მაკლია, სანამ თვალები მექნება,
და თუ სიკვდილმა მიწია, განგების ნება იქნება.

დათამ წისქვილს მოუარა და დაღმართი ჩაირბინა,
ბეჩუნის ღობეს გადახტა, სახლის კიბე აირბინა.
დერეფანში ძან ბნელოდა, ჩამი-ჩუმი არ ისმოდა,
მხოლოდ სადღაც უღრან ტყეში მგლის ყმუილი გაისმოდა.

დათამ კარს დაუკაკუნა, მან გუდუნას ხმა გაიგო,
— დათა ვარ, კარი გამიღე! — უცბად კარები გაიღო,
აბრაგი ზღურბლთან შეჩერდა, და ბავშვს თვალი გააყოლა,
— ეს რამოდენა გაზრდილა! — ფიქრებს ესეც ჩააყოლა.

გუდუნამ ქაღალდი აიღო და ნაკვერჩხლებს შეუბერა,
ბავშვი რაღაცას ფიქრობდა, გულმა უყო უკუ ძგერა,
დათას უმალ მოაგონდა, თინა იდგა ოთახს მღგმურად,
მან ცეცხლს ზურგი მიუშვირა, მერე ჰკითხა გუდუს ჩუმად.

თუ სად იყო ბეჩუნია, მან გუდუნასგან გაიგო,
მან წარსული მოიგონა, თინას ტუჩი რომ გაიყო,
ქალი მის ნებას მისდევდა, ყელზე იყო ჩახატული.
და თანაც კაზაკებიდან ალყა ჰქონდა შემორტყმული.

დათა ბუხართან მივიდა, იარაღი აიყარა:
— უნდა გაეშრე, სოველი ვარ, წვიმამ ტანში გამიარა,
მომეხმარე, თუ კაცი ხარ, — ბიჭს ხალათი გაუწოდა,
ბიჭმა ხალათს შეუბღვირა, ჯორკიანად გადაჩოჩდა.

— სტუმრის დახვედრა ასეთი, გუდუნია, ვინ გასწავლა?
— გუდუ შეკრთა, მოისურვა ამ კითხვაზე გვერდის ავლა,
მაგან ქცევის ნატამალი ამ სიტყვაში ველარ ნახა,
პირიქით, მან სითბო იგრძნო, დათასგან ეს დაინახა.

— შეგაწუხებ, გუდუ, მაგრამ ნაბადს გავაშრობ და წავალ,
შეშა თუ არ დაამატე, ცეცხლი ჩაქრობამდე დავა, —
გუდუნა კარში გავიდა, მაგას შიში ტანსა სცრიდა,
მაგრამ ჩანერგილი ღვარძლი გუდუნიას გულს უღრღნიდა.

იარაღი გამოიღო, თან ჩახმახი შეაყენა,
შეშის გადარჩევას მიჰყვა, მან ხმაური დააყენა,
რა იცოდა გუდუნიამ ღვიძლი შვილი მამას კლავდა,
თორემ თავის მასწავლებ[illegible] იმავე წ[illegible] დაგუდავდა.

ბიჭმა შეშა დააყარა, ხულის საბერად ჩაცუცქდა,
დათამ უთხრა: – მე მაცალე, შეგასწავლი როგორ უნდა...
ისე მძლავრად შეუბერა, ყველა, შეშას დაუარა,
მაგრამ ამ დროს გუდუს ტყვიამ დათას გვერდში გაუარა.

ხელმეორედ გუდუნიამ ტყვიის სროლა ვერ მოასწრო,
იარაღი სწრაფ აყარეს, თვალიც კი ველარ შეასწრო,
ეს რა ჰქენი, გუდუნია, გულში გველი ვინ ჩაგისვა,
გაყინილი სისხლი იგრძნო, ხელი ჭრილობას მოისვა.

– ჩემი სიკვდილი ამ სახლში ნამდვილად არ შეიძლება,
გუდუნია, იქონიე ცოტა აზრი და გაძლება,
ლელას არ უთხრა, ვიყავი და, თანაც, ტყვია მესროლე,
ფული აღარ გამოართვა, ის გაგაწვალებს, იცოდე.

ჩემ გვამს ველარ იპოვნიან, მაშინ ფულსაც არ მოგცემენ,
ამას მე თვით გავაკეთებ, ალბათ, სხვები გადმოგცემენ,
აბრაგი ორღობეს გაჰყვა, თანაც, ზღვის მხარეს გახწია,
გუდუნი გამოეკიდა, მას ვერაფრით დაეწია.

ბავშვმა ცოტა სირბილს უკლო, კაცის ლანდი დაინახა,
ნინუას სახლს ის მიადგა, თავის თვალით დაინახა,
ბიჭი სახლს გვერდით გაჩერდა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა,
ეტყობოდა, თუთაშხიას ნინუასთან საქმე ჰქონდა.

მალაქიამ დათას უთხრა: შემო სახლში, დაისვენე,
გეტყობა, რომ ცუდადა ხარ, ცოტა ხანი შეისვენე,
დათა, შვილებს გეფიცები, მე შენ არსად არ გაგიშვებ,
მასპინძლისთვის სირცხვილია სტუმარს ასე რომ გაუშვებ.

– მალაქია, მომისმინე, წადი, ჯაგალია ნახე,
ცხენი მყავს დატოვებული, შენი თვალით დაინახე,
გულუებს იქ ქორწილი აქვთ, ზარანდია მანდ იქნება,
ცხენი მუშნის მიუყვანონ [illegible] ჩემი [illegible].

დანარჩენი თვითონ იცის, ყველაფერი მაქვს ნათქვამი,
რა უთხრას და რა არ უთხრას აწ ჩემი გამონათქვამი,
შენ კი ჭორიკანა ხალხთან ასე დაილაპარაკე,
დათა ოსმალეთს წავიდა, მე თვითონ ველაპარაკე.

თუთაშხიამ გზა განაგრძო, მას მუხლები მოეკვეთა,
ჩოქვით, ხოხვით მიდიოდა და ფიჭვის ხეს შეეფეთა,
ბოლაზისპირა მინდორში საქონელი ბალახობდა,
მენახირემ მას უყვირა, მაგრამ ველარ გააგონა.

მან ყაბალახი მოიხსნა, მერე წელზე მოიჭირა,
მკერდის საკინძე გაიხსნა, თადარიგი დაიჭირა,
ყაბალახი, შარვლის ტოტი მძიმე ქვებით დაიტენა,
აქვე დარჩენილი ქვები ყველა უბეს ჩაიტენა.

როცა ამ საქმეებს მორჩა, მან კარაბინი მოიხსნა,
რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ის ზღვაში გადაისროლა,
ხანჯალს, ბებუთს, მაუზერებს გულუნასიც დააყოლა,
ყველას წყალში გადუძახა და დინებას გააყოლა.

დათამ წუთით სევდის ღიმი მოგონებებს შეაგება,
ტყვიას თავისი გაჰქონდა, მას სიკვდილი მიაგება,
ყურში ზარი აგუგუნდა, თავი გვერდზე გადეკიდა,
უეცრად დათა კლდეს მოწყდა და ზღვის ფსკერზე ჩაეკიდა.

გენერალი სუხოდოლსკი ფაქტის დადგენას შეუდგა,
შედეგი არ გამოიღო, მოწმე გვერდით არვინ უდგა,
გუდუ პერტიას ჩვენებით აბრაგი მხოლოდ დაიჭრა,
და უკან მოუხედავად იგი მთებისკენ წავიდა.

მენახირეს არ ერწმუნნენ, რადგან ჭკუათხელი იყო,
ნივთმტკიცება ანდა კვალი მანდ შარაზე არსად იყო,
მყვინთავებმა საგნის ძებნას თავი ველარ დაალწიეს,
ამ ადგილას ზღვა ღრმა იყო, ფსკერამდე ვერ ჩაალწიეს.

გუდუნიას ნაამბობი მჭედლის ნათქვამს ემთხვეოდა,
იმ საღამოს ზღვის ტრანსპორტით ის ოსმალეთს მიდიოდა,
ფელუკას ზღვაში გასვლის დრო აბრაგს ცოტათი უსწრებდა,
იმ დროს დათა თუთაშხია ფელუკას ვერ მიუსწრებდა.

პერტიასთან ბევრი სხვები თუთაშხიას ცოცხლად ელიდა,
ხმა დაირხა ერთი ღამე იგი ნაბიჯებსა თელიდა,
დროის ცოტა მონაკვეთში სოფელში გამოიელიდა,
დაინახეს ჩვენი გმირი ბიქტორის სახლს გარს უელიდა.

ბიქტორითან დააკაკუნა, ასე უთხრა მის ხმაშია:
— გარეთ გამო, ძაღლიშვილო, მე დათა ვარ თუთაშხია,
მასპინძელს სუნთქვა შეეკრა, ყველა ძარღვი დაეჭიმა,
წამოდგომა ვეღარ შესძლო, იქვე ფეხები გაჭიმა.

დათა რომ გარდაიცვალა, მუშნისთვის იყო ცნობილი,
მხოლოდ გარდაცვლის მიზეზებს ის არ იყო გაცნობილი,
პეტერბურგს კარგად მოეწყო, იქაც თავი ისახელა,
და მან ჩამოსვლის მიზეზად ქორწილი დაასახელა.

ციხეში მჯდარ იალქანიძეს ბრალდება არ დაუმტკიცდა,
განთავისუფლების ქაღალდი მუშნიმ მაგას ხელში ტკიცა,
დათას საქმეში ჩახედვა ზარანდიამ არ დაიზარა,
იგი ადგა მეორე დღეს და ქორწილში გაემგზავრა.

მომდევნო დღეს ქორწილისა ვიღაც კაცი კარს მოადგა,
არნახული სილამაზის მან ლურჯა შემოიყვანა,
ცხენი მუშნის მიუყვანა, დათას ნათქვამი აბარა,
მუშნიმ ძღვენი არ მიიღო, პოლიციას ჩააბარა.

ზარანდია ქორწილიდან იმ მთიან ადგილს წავიდა,
ორი კაზაკი თან ახლდა და იგი მთის წვერზე ავიდა,
მეგზურმა მან შენახირის ნათქვამი გაუმეორა,
მუშნი რაღაცას ფიქრობდა, სიტყვა აღარ გაუორა,

საქართველოში ვცხოვრობდი, დასავლეთში გავემგზავრე,
დედა-შვილი პერტიების კითხვა აღარ დავიზარე,
ორივე საქართველოდან სადღაც შორით გადასულან,
რაც დაია გარდაიცვალა, იმის შემდეგ არ მოსულან.

ბოლოს მუშნი ზარანდიას მელანქოლია შეეყარა,
სიკვდილს ძან ბევრი ებრძოლა, მაგრამ ველარ გაეყარა,
ასე დამთავრდა ამბავი, სისხლით, ხორცით ნათესავსა
აბრაგ დაია თუთაშხიას და მუშნი ზარანდიასა.

. 3. კ. ტყებუჩავა

## სარჩევი


| | |
|---|---|
| 1. წინასიტყვაობა | 3 |
| 2. კარი პირველი  გრაფი სეგედი | 6 |
| 3. ანდრიევსკის დღიურები 1884 წლის 9 აპრილი | 6 |
| 4. 1884 წლის 14 ნოემბერი | 7 |
| 5. დაკითხვის ოქმი. 1885 წლის 11 მარტი | 8 |
| 6. ლ. დ. შვანგირაძის პატაკი 1885 წლის 27 მარტი | 9 |
| 7. გრაფი სეგედი | 10 |
| 8. თიყვა ძაძუა | 10 |
| 9. გრაფი სეგედი | 13 |
| 10. ალექსი სნეგირი | 13 |
| 11. გრაფი სეგედი | 17 |
| 12. ნიკიფორე ბუბუტეიშვილი | 19 |
| 13. გრაფი სეგედი | 20 |
| 14. მოსე ზამთარაძე | 20 |
| 15. გრაფი სეგედი | 24 |
| 16. ქუჯი თორია | 28 |
| 17. კარი მეორე  გოგი ტატიშვილი | 35 |
| 18. გრაფი სეგედი | 44 |
| 19. ირაკლი ხურციძე | 59 |
| 20. თეთრი რვეული | 61 |
| 21. ცისფერი რვეული | 72 |
| 22. ვარდისფერი რვეული | 80 |
| 23. ყვითელი რვეული | 92 |
| 24. ნიკანდრო ქილია | 98 |
| 25. ბეგლარ გვალია | 99 |
| 26. ნიკანდრო ქილია | 104 |
| 27. კარი მესამე  გრაფი სეგედი | 109 |
| 28. ტოჩი მიქაშავრია | 110 |
| 29. გრაფი სეგედი | 113 |
| 30. ბექარა ჯეირანაშვილი | 114 |
| 31. გრაფი სეგედი | 122 |
| 32. ბექარა ჯეირანაშვილი | 123 |
| 33. გრაფი სეგედი | 129 |
| 34. დიმიტრი კოდაშვილი | 133 |
| 35. გრაფი სეგედი | 138 |
| 36. ქალბატონი თიკო ო-ნი | 140 |

37. გრაფი სეგედი 145
38. შალვა ზარანდია 147
39. ქალბატონი სალომე ბაზიერაშვილი ოდიშარიასი
ბატონი შალვა ზარანდია 153
40. გრაფი სეგედი 155
41. შალვა ზარანდია 157
42. გრაფი სეგედი 160
43. რობერტ პავლეს ძე ხაპლინი 162
44. ქარი მეოთხე ალექსი სნეგირი 167
45. გრაფი სეგედი 174
46. შალვა თუხარელი 176
47. გრაფი სეგედი 183
48. შალვა თუხარელი 185
49. ვანო ნათოფრიშვილი 188
50. გრაფი სეგედი 189
51. ვანო გოდერძიშვილი 192
52. გრაფი სეგედი 199

რედაქტორი – გიორგი ვაშაკიძე
გამომცემლობის რედაქტორი – ედუარდი ჯოლერდიშვილი
პასუხისმგებელი გამომშვები – თამაზ მიხელიძე
მხატვრები – მადლენა ჩიქოვანი
თემურ სხულუხია

დამკაბადონებელი – ირინა სიდამონიძე
ნანა ბასილაშვილი

ოპერატორები ნანი რამიშვილი
მანანა ჯიდაური
მერი წოწორია

კორექტორი – შუშუნა ბარბაქაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.12.94 წ.
ქაღალდის ზომა 60X90 1/16
შეკვეთა №1
ტირაჟი 500 ცალი

სპონსორებია: სააქციო საზოგადოება
„მარკეტი-კრწანისი"-ს დირექტორი
ჯობე დევდარიანი
და მეხუთე საფოსტო განყოფილების გამგე
გივი ბოლოთაშვილი

# შეცდომების გასწორება

| გვ. № | დაბეჭდილია | კუპლეტი ზემოდან ქვ. | უნდა ეწეროს |
|---|---|---|---|
| 4. | ფირცხალავა | 7 კუპლეტი | ფირცხელავა |
| 16. | გამომიშვი | 6 „ — — | გამომიშვა |
| 37. | გამოირთვა | 4 „ — — — | გამოირკვა |
| 39. | გამომიგზავნეთ | 1 „ | გამოგიგზავნეთ |
| 43. | შ.... არ ჩანს | 3 „ - - - - - - - " | მიმოფანტნეს |
| 43. | წესი აუგე | 6 „ ·· | წესი აუგო |
| 44. | შესთავაზეს | 5 „ | შემთავაზეს |
| 90. | ნინოს გარდა | 1 „ - - - | ნანოს გარდა |
| 108. | მუშენ ბლოლი | 2 „ - - - | მუშენ ბლოლი |
| 124. | ვ.... არ ჩანს | 7 „ — - — - " | ყველას ვიტყვი |
| 133. | დოროტე | 2 „ — - — - " | დოროთე |
| 169. | ხარშო | 4 „ — - - — " | ხარჩო |
| 169. | ხარშო | 5 „ — — — " | ხარჩო |
| 172. | იმათ ძლიეს მიითვალა | 3 „ — - - — " | იმან ძლიეს მიითვალა |
| 175. | იყო გადეგილი | 5 „ - - - — " | იყო განდეგილი |
| 177. | ვითი? დათასი | 6 „ — — — " | ვისი? დათასი |
| 178. | გამოცდილების სიმწირე | 2 „ - - - - - " | გამოცდილების სიმცირე |
| 179. | ის ტყეია უნდა ვასრულო | 4 „ - - - - " | ის სიტყვა უნდა ვასრულო |
| 188. | ბელგიის საელოში | 1 „ | ბელგიის საელჩოში |
| 191. | რაც ტყეში არ მოკვდებოდა | 2 „ - - | დაც ტყეში არ მოკვდებოდა |
| 192. | მაგას გული მოუეიდა | 2 „ — — — " | |
| | | 3 ბწკარი | მას დიდი ჩაქუჩი მისცა |
| 192. | ძობამ არ დააყოვნა | 2-4 ბწკარი | ძობამაც არ დააყოვნა |

წიგნი გამოდის ავტორის ხარჯით

დაიბეჭდა „თემქის" სტამბასთან არსებულ კოოპერატივ „თემში", გურამიშვილის გამზირი 74.